კალანდაძე ირინა
ნოოსფერო

რა ნაირსახეობით შეიძლება არსებობდეს

ქართული გენოფონდი?

ხუროთმოძღვარმა ნუკრი (ნუგზარ) ალხაზაშვილმა შექმნა პროექტს მემორიალის «უსაფლავო მთწმინდელები», რომელიც ჯერ მთაწმინდაზე არ დადგმულა, მაგრამ იმედია რომ მას განხორციელება უწერია. ამ მემორიალმა დაგვაფიქრა ადამიანის ინსტიტუტის – ნოოსფერო ადამიანები მის მნიშვნელობაზე და ჩვენ გამოვთქვამთ ჰიპოთეზას ხსოვნის არსთან დაკავშირებით, ფსიქიური მხოლოდ ადამიანის შინაგანი სივრცის მოცემულობა არ არის, ის მის მიღმისეულ სამყაროში უფრო მნიშვნელოვანწილადაა არსებული, ადამიანის ცნობიერება ხომ კოსმიური ცნობიერების მანიფესტაციაა.

დღევანდელ ინფორმაციულ მეცნიერებაში ტრანსფიზიკური ფსიქიკური ტანატოლოგიის (მეცნიერება სიკვდილის ფენომენის შესახებ) ურთულეს პრობლემასთანაა კავშირი.

მკითხველისთვის, ვინც ულტრაახალს ადევნებს თვალს ცნობილია, რომ გარდაცვალება ორი სახის არსებობს:

1. სომატური, როცა სხეული პოზიტიური

ინფორმაციული (ტორსიული) ველებითაა გაჯერებული, სომატური წყალი მეოთხე ფაზურ მდგომარეობაშია გადასული მეტაბოლიზმი შეჩერებულია, ხოლო «ვერცხლის ძაფით» კავშირს სხეული სულთან განაგრძობს.

2. მკვდარი სხეული, რომელშიც არც ერთი ზემოთნახსენები პარამეტრი არ მუშაობს და სხეული იხრწნება. სომატები დიდი ხნის მანძილზე არსებობენ და შესაძლებელია, რომ მათ გონის მეშვეობით (არსებული მაღალინფორმაციულ ველში) სული დაუბრუნდეს სხეულს და რაღაც განსხეულების საშუალებით ერს მოევლინოს ახალი ქარიზმა.

დღეს საქართველოს ძალიან სჭირდება ახალი სულიერი ძალები და ჩვენი წინამორბედების ძლევამოსილი ფსიქიკა ქართველი ადამიანის სადარაჯოზე მდგარი, არ მოგვცემს საშუალებას წავიშალოთ, როგორც ერი.

ხსოვნა ახალი სახით ნიშნავს წარმოდგენას, რომ ბრძნული სულები მატერიალიზირდებიან ჩვენს მიწაზე, თუნდაც ფორმული ველებით, თუნდაც ფოტოების ტორსიული ველებით, თუნდაც წყლის მიმოცვლით, წყალი იწერს კოსმიურ ინფორმაციას. ეს ხსოვნა ჩვენ გვჭირდება, რათა ვირწმუნოთ სინათლის.

არსებობს თუ არა ქართული შამბალა? (შამბალა სომატების ადგილსამყოფელია), ეს არავინ იცის საქართველოში! და ვიდრე ჩვენ ეს არ ვიცით, მოდით მემორიალების დადგმას მივცეთ დიდი მნიშვნელობა, ჩაწვდეთ მათ არსში და იქნებ გაგვეხსნეს გონება, რომ ადამიანის საზრისი ადამიანია და მისი კავშირი კოსმოსთან და არა შავი ტორსიონი – ფული და ადამიანის გენოციდი.

ნ. ალხაზიშვილის მემორიალი აუცილებლად უნდა დაიდგას, რათა კოსმოსის მეხსიერებას მივცეთ მწვანე შუქი.

2004
5 თებერვალი

გეშინოდეთ ნორმოზის!

ნორმოზი ადამიანისა და საზოგადოების მე-20 საუკუნის უმძიმესი დაავადებაა. ეს დაავადება მოიტანა მატერიალური ფეტიშიზაციის დაუოკებელმა წყურვილმა. ეს არის ტოტალური შიმშილისა და წყურვილის, საკაცობრიო უბედურების თავი და თავი. სიმდიდრე სააქაოში განუზომლად იზრდება, მაგრამ უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის ჯერ არნახულია.

რას ნიშნავს ეს? ნიშნავს იმას, რომ პათოლოგია იქცა ნორმად და ადამიანი ვეღარ გრძნობს ინვერსიას, უფრო სწორად, მას ინვერსია აწყობს.

დღეს ყველაფერი პათოლოგიური იქცა ნორმად: კორუფცია – ნორმაა, ნუვორიშობა – ნორმაა, კონფორმიზმი – ნორმაა, ქილერობა – ნორმაა, ნეგატიური კალაბორაციონიზმი – ნორმაა, პროზოლითიზმი – ნორმაა, კამიკაძეობა – ნორმაა, ფრუსტირებულობა – ნორმაა, პიგმალიონის ეფექტი – ნორმაა, ჰოლიკოსტა – ნორმაა, პროვინციალის სინდრომი – ნორმაა, ნომენკლატურული აბსურდიზმი – ნორმაა, ლიდერობის ჩაციკლულობა – ნორმაა, სახელისუფლო ისტერია – ნორმაა, ტყუილის ვაქხანალია – ნორმაა, კალკირებული აზროვნება – ნორმაა, კორუმპირებული აზროვნება – ნორმაა.

დღეს ნორმოზის სია თითქმის უსასრულოა, მაგრამ ამ სიიდან ყველაზე მძიმე სენი კორუმპირებული აზროვნებაა. როგორც მომთვინიერებელი იმორჩილებს მოსათვინიერებელ ობიექტს, ისევე კორუმპატორი მოსყიდვით მოიხელთებს საკორუმპირებელ სუბიექტს და მარიონეტივით ათამაშებს.

პატარა, ძველი კულტურის ერი ამდენ კორუფციას ვერ გაუძლებს და საერთოდ, მთელი პლანეტა გადაშენდება ცრუ დემოკრატიის დიდ დოზებისაგან. დრევანდელი საერთასორისო პოლიტიკური ცენტრები მოძველებული აზროვნების ორგანიზაციები არიან და მათ დასკვნებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

პლანეტაზე საჭიროა ამუშავდეს ახალი აზროვნება – არაეგოცენტრული, ნატიური, ლატერალური ცნობიერება. უნდა მოხდეს ძველი აზროვნების კონფისკაცია. ასეთ სამუშაოებს უნდა უხელმძღვანელოს მსოფლიოს ნოეტურმა ცენტრმა და ყოველი ადამიანი პასუხვალდებული უნდა იყოს უმაღლესი გონის დესპანისა დედამიწაზე – ნოოცენტრიზმის წინაშე, პირველ რიგში, ქვეყნის პრეზიდენტები ამალითურთ, სწორედ ეს არის დემოკრატია.

ნოეტური ცენტრი – ეგოცენტრული, კაფსულირებული აზროვნების ტრანსფორმატორი არაეგოცენტრულ, გამთლიანებულ, გაფართოებულ აზროვნებაში. ეს არის მსოფლიოს მეცნიერული ჰუმანიტარული გეგმა-მოდელი. თუ ჟურნალისტებს აქვთ უფლება თავისუფალი აზრისა, მითუმეტეს, შესაძლებელია ეს მეცნიერებისათვის.

«მაცნე», ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1990, № 2

«ბიოსოციალურის პრობლემის» ზოგიერთი ასპექტი

რა არის ცნობიერება? დაკავშირებულია თუა არა იგი ადამიანთან, ან წარმოადგენს თუ არა მატერიალური სინამდვილის განვითარების პროდუქტს?

საკითხი ცნობიერებისა და შემეცნების ბუნების შესახებ დიდი ხანია აწუხებს კაცობრიობას.

ამის შესახებ არსებობს სხვადასხვა აზრი. ფილოსოფოსების გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ ცნობიერება დამოუკიდებელია ტვინის მდგომარეობისაგან; იგი ყალიბდება რაღაც შინაგან მდგომარეობაში და წარმოადგენს თვითცნობიერებას [2, გვ. 158].

საიდან გაჩნდა სიტყვა თვითცნობიერება? შეიძლება ამ სიტყვას, რომელსაც ფილოსოფოსი თავისი აზრის უფრო ზუსტად გამოსახატავად ხმარობს, ღრმა ფესვები აქვს მეცნიერებებში, პირველყოვლისა, ინფორმაციის გადამუშავების დიდ და რთულ სისტემათა თეორიებში.

ამ საკითხის გასარკვევად საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვა ვთქვათ იმის შესახებ, თუ როგორ ახდენს ინფორმაციის გადამუშავებას თავის ტვინი.

დავიწყოთ «ბიოსოციალური პრობლემების» განხილვით. რას წარმოადგენს ეს პრობლემა და რატომ არის დღეს აქტუალური?

როგორც ვიცით, ადამიანის ბიოლოგიური ასპექტის შესწავლას ემსახურება ბიოლოგიური მეცნიერებანი, ხოლო სოციალური სისტემების განვითარების კანონზომიერებებსა და ფუნქციონირების საკითხებს სწავლობს სოციოლოგია.
გარდა ამ ასპექტებისა, დღევანდელმა დღემ დასვა სოციო-ბიოლოგიურის პრობლემაც.

ცივილიზაციის პროგრესმა «ადამიანის პრობლემაც» წინა პლანზე წამოსწია. ადამიანის აქტიურობის ზრდამ თანამედროვე ეპოქაში დიდი წარმატებები მოიტანა, მაგრამ ამასთანავე უარყოფითმა თანმხლებმა მომენტებმა იჩინა თავი; სახელდობრ, ადამიანი თავის თავს დაუპირისპირდა, დაისვა «გაუცხოების პრობლემა», წარმოიშვა ეკოლოგიური კრიზისის საშიშროება, გარდა ამისა, თანდათან იწყო განვითარება სოციოლოგიზატორულმა და ბიოლოგიზატორულმა ტენდენციებმა. ამ პრობლემების გადაჭრის აუცილებლობამ მათი ფილოსოფიური ანალიზიც მოითხოვა და სწორედ ამაში მდგომარეობს ადამიანის პრობლემებისადმი ბიოსოციალური მიდგომის აღმოცენების მიზეზი.

ბიოსოციალური მიდგომა არც მეცნიერული მიმართულებაა და არც ახალი მეცნიერების ჩანასახი. შეიძლება ითქვას, რომ ეს მიდგომა არის პოზიცია, რომელიც მიგვანიშნებს, რომ შეუძლებელია ადამიანის შესწავლა მხოლოდ ბიოლოგიურ ან მხოლოდ სოციოჰუმანიტარულ დონეზე.

უარყოფითი ტენდენციები, რომელზეც უკვე ითქვა, დღეს მსოფლიოში ორი ძირითადი სახით არსებობს:

1. ბიოლოგიზატორული კონცეფცია ემყარება რედუქციონიზმს, რომელიც ამტკიცებს რეალობის მაღალი დონის მოვლენათა დაყვანას უფრო დაბალ დონეებზე ასე, მაგალითად, ფსიქიკურის დაყვანას ფიზიოლოგიურსა და ინფორმაციულ პროცესებამდე. ამ მიმართულებას ჰყავს ისეთი ავტორები, როგორიცაა «ეგოისტური გენის» თეორიის ავტორი დოკინსი (Эгоистический ген, 1977), «გენკულტურული კოევოლუციური» თეორიის ავტორი უილსონი (Социобиология, новый синтез, 1975) და სხვა მრავალი.

2. სოციოლოგიზატორული ტენდენცია კი მთლიანად უარყოფს ადამიანის ბიოლოგიური ბუნების შინაარსობლივ მხარეს, მიდის მეორე უკიდურესობამდე,

ადამიანის ბიოლოგიური ასპექტი დაჰყავს ვიტალურ ფუნქციონირებამდე და უქვემდებარებს ადამიანის წინასწარ დასახულ პროგრამას. ამავე დროს ადამიანის შესახებ დაგროვებული ცოდნის ანალიზი, კოლოსალური მასალა ადამიანის შესწავლის ხაზით, რომელიც ბიოლოგიამ, ფსიქოლოგიამ, სოციოლოგიამ, მედიცინამ, გერონტოლოგიამ, პედაგოგიკამ და სხვა მეცნიერებებმა დააგროვეს, ჯიუტად ლაპარაკობს ადამიანში ბიოლოგიურისა და სოციალურის ორგანულ ერთიანობაზე, რასაც, თავის მხრივ, მივყავართ ბუნებისმეტყველების ჰუმანიტარიზაციასთან.
აქტუალური ხდება თეორიულ-ბიოლოგიური ანალიზი დიალექტიკის პრინციპების გათვალისწინებით.

ასეთ ვითარებაში ფილოსოფიის დარგის მუშაკების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ყოველგვარი რედუქციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, მისი მანკიერების გამოვლინება. ამასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა მონაწილეობას იღებს თეორიული ბიოლოგია სამყაროს თანამედროვე მეცნიერული სურათის შექმნაში, ან როგორ უნდა მოხდეს ბიოსოციალურის კონცეფციის გნოსეოლოგიური ანალიზი. ბიოლოგიური კანონზომიერების სპეციფიკის გამოვლენა მოითხოვს მატერიის სტრუქტურული ორგანიზაციის, სტრუქტურული დონეების ანალიზს, მათ დადგენას, სისტემურობის, ევოლუციის პრინციპების განზოგადებას, ექსტრაპოლაციას და, რაც მთავარია, ბიოლოგიური მიზანშეწონილობუს ბუნების ღრმა შესწავლას.

ბიოლოგიურ ცოდნას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ისეთი მეცნიერებისათვის, როგორიცაა ფსიქობიოლოგია, ბიოსოციოლოგია, ფილოსოფიური ანთროპოლოგია, ეკოლოგიური კვლევები და სხვა. ყოველივე ამას მივყავართ მეცნიერული ცოდნის ინტეგრაციის იდეამდე, რომლის განხორციელებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ფილოსოფიას, რომლის პროგრესული განვითარება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სხვა მეცნიერებათა პროგრესს. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს სხვადასხვა მეცნიერებათა განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამშრომლობის აუცილებლობას. ამ თანამშრომლობაში ჩართულია სოციოლოგიური მეცნიერებანიც, ვინაიდან მათ, ისევე როგრც სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, ცნობიერებასთან, გონთან აქვთ საქმე.

ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს არა უშუალოდ სოციალური, არამედ მისი მიმართება ბიოლოგიურთან, სახელდობრ, ბიოსოციალურის პრობლემა. ვთვლით, რომ მათ შორის მჭიდრო ურთიერთკავშირშია და მათი ერთიანობა ახალთვისებრიობას ავლენს. ამიტომ ბიოსოციალური არ დაიყვანება ერთ-ერთ მათგანზე – სოციალურზე ან ბიოლოგიურზე.

ბიოსოციალური პრობლემის განხილვისას არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ პრობლემის სოციოლოგიური ნაწილი მეტად არის შესწავლილი და ბიოლოგიურ მხარეს თუნდაც იმიტომ უნდა ყურადღების მიქცევა, რომ უკეთ გავიგოთ მისი შინაარსი.

ამ პრობლემის ანალიზი პროცესში მთავარი მნისვნელობა აქვს ცენტრალური ნერვული სისტემის – თავის ტვინის – შემსწავლელი მეცნიერების შედეგების ფილოსოფიურ ანალიზს. უწინარეს ყოვლისა, ის უნდა ითქვას, რომ ადამიანის თავის ტვინი არ არის პასიური მიმღები გარე ინფორმაციისა.
იგი წარმოადგენს უჯრედების (ნეირონების) ერთობლიობას, რომელიც განუწყვეტელ მუშაობას ეწევა – იღებს ინფორმაციას და გადაამუშავებს, აგრეთვე ცენტრალურ ნერვულ სისტემას, აქვს საკუთარი ინიციატივა სენსორულ ორგანოებზე

ზემოქმედებისა, არეგულირებს რა მათ მოღვაწეობას, უფრო მეტიც, მოდიფიკაციასაც კი ახდენს. ინფორმაციია «რედაქტირება», ნაკადის რეგულაცია რთული პროცესებია და კონტროლის ამ სახეს უკუმოქმედება ეწოდება. ნეირონების ქსელში არის კავშირების გარკვეული სისტემა და სწორედ ამ კავშირებს აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა.

ფიზიკური ენერგია, რომელიც მიიღება რეცეპტორებით (რეცეპტორები – ჭიშკარია», საიდანაც ტვინი გარემოს უკავშირდება) ტრანსფორმირდება ნერვულ იმპულსებში. ეს უმპულსები აღწევენ სინაპტურ ქსელებს (კავშირების სისტემა), სადაც დისკრეტული სიგნალები კოდირდებიან პოტენციალთა მიკროსტრუქტურებში. რას წარმოადგენს ეს მიკროსტრუქტურები?

თუ თავის ტვინის ფუქციის ანალიზის ერთეულად წინათ მიჩნეული იყო ნეირონი, დღეს შეიძლება შემოტანილ იქნეს ორპროცესიანი მექანიზმის ცნება – ნეირონული კავშირები. ეს ნეირონული კავშირები ქმნიან სივრცულ-დროით კონფიგურაციებს და მერე უკვე ეს დინამიური სტრუქტურები წარმოადგენენ ერთეულებს. თავის ტვინი ახორციელებს მუდმივ გარდაქმნებს დისკრეტულის პერმანენტულში და პირიქით (კოდირების პრინციპი). მეხსიერების პროცესი მთლიანად დამოკიდებულია კოდებზე და არა მარტო მეხსიერება.

ადამიანის მოქმედების მამოძრავებელი ძალა მოთხოვნილებაა, რომელიც გარკვეული ინფორმაციის მიწოდებასთან არის დაკავშირებული. ამასთანავე ინფორმაცია შეიძლება ერთი და იგივე იყოს, მაგრამ ორგანიზმის ბარიერებზე გარდატეხისას ის იღებს სრულიად სხვა სახეს, იმის მიხედვით, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ინფორმაციის შესვლის დროს ორგანიზმისეული სისტემა, რა შინაგან აქტივობებს აქვს ადგილი, ენერგიის რა მინიმუმი აკმაყოფილებს სტაბილობისათვის აუცილებელ პირობას. გასაგებია, რომ შიდა სისტემების ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს. დისტრესიის მაგალითი მარტივად ხსნის ამ აზრს. სტრესი ახალ სიტუაციასთან შეგუებას ნიშნავს – ნორმალური მდგომარეობის აღდგენას ორგანიზმული გარდაქმნების ხარჯზე, როცა გარდაქმნის მუაობა უარყოფით ემოციებთან არის დაკავშირებული, მაშინ საქმე გვაქვს დისტრესთან. დისტრესთან ბრძოლის საშუალებად გ. სელიეს მიაჩნია ორი პირობის შესრულება: 1. ნერვული სისტემის ადაპტაცია და 2. გარემო პირობების ეგულაცია.

მეორე პირობის შესრულება დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ხოლო პირველი თითქოს შედარებით ადვილი, მაგრამ არანაკლებ სიმძიმისა აღმოჩნდა, ვინაიდან ნერვული სისტემის ადაპტაცია თავისთავად მხოლოდ ნაწილობრივ ხდება. დანარჩენწილად კი დამოკიდებულია ადამიანის მიერ თავისი ნერვული სისტემის რეგულაციაზე.

ჯერ კიდევ თანამედროვე ბუნებისმეტყველების ფილოსოფიურ საკითხებზე გამართულ III საკავშირო კონფერენციაზე ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ სამყაროს თანამედროვე მეცნიერული სურათი არ შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც მარტო ფიზიკური, მთლიანად ობიექტივირებული სურათი, იზოლირებული «ადამიანის პრობლემისაგან». ასეთი რამ უკვე აღარ შეესაბამება დღევანდელ მეცნიერულ შემეცნებას. ადამიანი, როგორც შემმეცნებელი სუბიექტი, სამყაროს მეცნიერული სურათის განუყრელი ნაწილია, ეს იმაზე მიუთითებს, რომ «ადამანის პრობლემის» გადაწყვეტა უნდა მოხდეს ადამიანის შესახებ მეცნიერულ ცოდნის ინტეგრაციის შედეგად. უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, «ბიოსოციალური პრობლემა» ადამიანის პრობლემაა და დამიანის ირგვლივ ფოკუსირდება როგორც

სოციოლოგიური, ასევე ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური მიდგომები.

ადამიანის წინაშე დგება საკითხი სამყაროს შემეცნების შესახებ. ამ საკითხის გადაჭრაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჰოლოგრაფიულ მოდელს. ეს მოდელი გამოიყენება ისეთ შემთხვევაში, როცა სისტემის თავისუფლების ხარისხი დიდია და ელემენტების სუპერპოზიციას აქვს ადგილი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ასეთ სისტემაში მუშაობს შემთხვევითი განაწილების პრინციპი, მაგრამ თურმე არსებობს ტრანსფორმაციის კანონები, რომლებიც ჰოლოგრაფიულ სფეროს გადააქცევს სტრუქტურულად. ეს ფურიეს ტრანსფორმაციებია.

ფიზიკური ჰოლოგრაფიის პრინციპის მიხედვით, ნეიროჰოლოგრამის ძირითადი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ რეზონანსული ინფორმაციის საშუალებით აღდგება მთელი ჰოლოგრამის ფილტრით დამახსოვრებული და კოდირებული.

ნეირონული კოდირება განაპირობებს პირდაპირ და უკუკავშირებს. «გადაკოდირება საოცრად ძლიერი ადაპტაციური და კონსტრუქციული ინსტრუმენტია, რომლითაც სარგებლობს ორგანიზმი, რათა იმოქმედოს გარე სამყაროში» – ამბობს კ. ბრიბრამი.

«ენა, რომლის საშუალებითაც გადაიცემა ინფორმაცია, არ შეესატყვისება და არც უნდა ემთხვეოდეს იმ ენას, რომლითაც სარგებლობენ ადამიანები ერთამენთთან ურთიერთობისას» – ასეთია აზრი მაკ-კალოკისა და პიტსისა. ნეიროჰოლოგრაფიის მამამთავრის კ. ბრიბრამის აზრი ასეთია: შესაძლებელია, სამყარო მხოლოდ სტრუქტურულობის პრინციპით არ არის აგებული! დასაშვებია, რომ იგი ჰოლოგრაფიულად იყო აგებული. ასეთ შემთხვევაში ჰოლოგრაფიულ სურათს აქვს არა მხოლოდ გნოსეოლოგიური, არამედ ონტოლოგიური ღირებულებაც. მაგრამ ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა; ხოლო მ კითხვაზე, თუ რა საშუალებები გვაქვს სამყაროს აღქმისათვის, ამაზე ჰოლოგრაფიული მოდელი გარკვეულ ინფორმაციას გვაძლევს. ბუნებისმეტყველების პრინციპების პირდაპირი გადატანა სოციოჰუმანიტარული ცოდნის არსენალში სწორი არ იქნება. მეთოდოლოგიური განსხვავება ამ ორ სფეროს ხელს არ უშლის, რომ ითანამშრომლონ ახალი კონცეპტუალური სისტემის შესაქმნელად.

მეცნიერულ მასალაზე დაფუძნებული კონცეპტუალური სისტემის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ჰუმანიტარული ცოდნის გამოყენებით. ამის შედეგად შეიძლება შეიქმნას ცოდნის ახალი სფერო, რომელიც უკვე აღარ იქნება კონკრეტულ-მეცნიერული; საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბუნებისმეტყველების ჰუმანიზაცია რთული პროცესია.

ბიოლოგიაჰუმანიზაციის პროცესში მონაწილეობს ისეთი ფუნდამენტური საკითხებით, როგორიცაა ევოლუციის პრობლემა, რომელსაც დღეს გლობალური ხასიათი აქვს. ბევრი მკვლევარი ფიქრობს, რომ ევოლუციის პროცესი მნიშვნელოვანწილად ატარებს მიმართულ ხასიათს. ევოლუციის ეს ნიშანი კავშირშია თვითორგანიზაციის პრინციპთან. თვითორგანიზაციის, თვითრეგულაციის და თვითკონტროლის პარამეტრები ზედმიწევნით სპეციფიკური თვისებაა ცოცხალი ბუნებისა, რომლის პრინციპებზეც დღეს იქმნება ბიოანალოგიები კიბერნეტიკაში და რასაც პირდაპირ მივყავართ ადამიანამდე, რომელიც გარემოში მოქმედებს მიზანდასახულობის პრინციპით. ადამიანი მიზანდასახულობის გარეშე ბუნებაში და სოციალურ გარემოში არ არსებობს, მაგრამ, როგორც ცნობილი გახდა, მხოლოდ სოციალური მიზნებით არ განიმარტება მიზანდასახულობის პრინციპი ბიოლოგიაში – «მიზანდასახულობა სუბიექტს არ შეაქვს ობიექტში; მაგრამ არც ამ უკანასკნელიდან

გამოაქვს, როგორც მისი საკუთარი ატრიბუტი. იგი სუბიექტისა და ობიექტის პრაქტიკული ურთიერთქმედების თვისებაა [3, გვ. 50].

სუბიექტურს ამ შემთხვევაში აქვს დიდი წილი, რომლის უგულებელყოფა შეუძლებელია.

დავიწყოთ დნმ-ით, რომელშიც განხორციელებულია აბსოლუტურად დეტერმინირებული კავშირები და მიმართულია ასიმეტრიულობის გაზრდისაკენ; მუტაციები მაკრომოლეკულებში უმეტესწილად არ ატარებს შემთხვევით ხასიათს. შინაგანი თვისებებით გაპირობებული შეზღუდვების სისტემა მუშაობს ცილების შემთხვევაში; იგივე შეიძლება ითქვას ზემომოლეკულურ სტრუქტურებზეც (რიბოსომები და სხვა). უჯრედის დონეზე ორგანულ სისტემაში თითოეულმა ნეირონმა «იცის» თავისი ადგილი, განვითარების პროცესში ნეირონი იზრდება «მიზნის» მიხედვით, უარყოფს ერთი სახის უჯრედებს, არჩევს შესატყვისს და ქმნის მუდმივ კონტაქტებს მემბრანის უბანში, თითქოს იცოდეს კავშირების რა სისტემა უნდა დამყარდეს, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ გარემოსთან კონტაქტისათვის [4, გვ. 347].

გადავიდეთ ტვინის სტრუქტურაზე; როგორც ვიცით, ტვინის ძირითადი თვისება გამოიხატება კოდირებისა და გადაკოდირების უნარიანობაში. კოდების შექმნაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმულ ინსტრუქტაჟს და როგორც კ. ბრიბრამი ამბობს, «სამყარო ჩვენს შიგნით» ცოდნას [5, გვ. 191]. არც ერთი კოდი არ იქმნება მხოლოდ ადაპტაციით გარემოსთან და მხოლოდ მიღებული ინფორმაციით. ვნახოთ ეს მომენტი ფსიქოლოგიაში. პროფესორი შ. ნადირაშვილი განსაკუთრებით მიგვითითებს შემდგომზე: «განწყობის» განვითარების პროცესში უზნაძემ ურთიერთისაგან გაარჩია განწყობის ორი ფორმა:

ა) განწყობის დაბალი ფორმა, რომელიც ინდივიდის იმპულსური ქცევის და მასთან დაკავშირებული ცნობიერების ცნობიერების პროცესების მიზანშეწონილ მიმდინარეობას განაპირობებს.

ბ) «განწყობის» მაღალი, რთული ფორმა, რომლის ფორმირებაში, გარდა აღნიშნული ფაქტორებისა, აზროვნება და ნებელობა მონაწილეობს, რომელთა დახმარებითაც პიროვნებას უმუშავდება ისეთი განწყობა, რომლის საფუძველზედაც შესაძლებელი ხდება სოციალური მოთხოვნილებების შესატყვისი შეგნებული ქცევის განხორციელება [1, გვ. 5].10

აქაც სუბიექტურის დიდ მნიშვნელობას ესმება ხაზი.

ჩემი აზრით, ბიოლოგიასა და ფსიქოლოგიას აქვს საერთო პრობლემა; ეს არის ადამიანის როლის პრობლემა ბიოლოგიურსა და ფსიქოლოგიურ პროცესებში. ფაქტობრივად ბიოლოგიამ და ფსიქოლოგიამ არსებითად უკვე დასცა სუბიექტურისა და ობიექტურის ურთიერთობის საკითხი, რაც მათ ორთავეს აინტერესებს.

ამრიგად, თანამედროვე მეცნიერებამ, განსაკუთრებით ბიოლოგია, ბიოსოციალურის ცნების მართებულობის თეზისი წამოაყენა. ადამიანის ცნობიერების მოღვაწეობა სწორედ ბიოსოციალური ბუნებისაა. ამდენად, თანამედროვე ბიოლოგია ბევრ საინტერესო მასალას იძლევა ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ურთიერთკავშირის დასაბუთებისათვის.

ლიტერატურა:

1. ნადირაშვილი შ. განწყობის ფსიქოლოგია, ნაწ.

II, თბ., 1985.
2. (Вопросы философии(, 1986, №2.
3. Иванов В. П. Человеческая деятельность (познание (искусство. Киев, 1977.
4. Куффлер С., Николс Дж., От нейрона к мозгу, М., 1979.
5. Прибрам К., Языки мозга, М., 1975.

И. Л. КАЛАНДАДЗЕ

НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ (БИОСОЦИАЛЬНОЙ ПРОБЛЕМЫ)

Резюме

В работе дана попытка исследования проблемы человека как социо-психо-био-философской проблемы. Подчеркивается значение биология для более глубокого изучения сущности человека. Утверждается, что только комплексное изучение человека даст желаемый результат исследования столь глобальной проблемы.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

მასების ფსიქოტრონიზაცია

ზომბირება დააჩლუნგებს ადამიანს საბოლოოდ. საინტერესოა, ეს სპეციალურად კეთდება, რომ ამერიკანიზმმა იბატონოს?

ახალი ანტიგლობალისტური მეტაფიზიკური მეცნიერება იღწვის სულიერი გრატუალის გაზრდისათვის, რათა სხეული იქცეს ცნობიერებს დონედ, ხოლო მონსტრული რეაქციული მანქანა ქმნის ინგრატუალს, ანუ ცნობიერება იქცევა სხეულის დონედ. ეს სპეციფიური ზემოქმედება საჭიროა იმისათვის, რომ მარიონეტულად, ბუტაფორულად, ვითარცა რობოტი, ფიტული გლობალისტებმა მართოს ადამიანი.

ვინც დღევანდელი ინფორმაციული მეცნიერების შიგთავსები არ იცის, მათთვის ვამბობ – ზომბები კიდია პირდაპირ ეთერში. ამით არის გამოწვეული დღევანდელი ადამიანის ესოდენ გაუგებარი ანომალური ბიჰევორიზმი (ქცევა), ადამიანი დაუპირისპირდა თავის თავს, მას სძულს მეორე ადამიანი, მტრობს მას, მეფობს საშინელი ეგოცენტრიზმი. მატერიალური კორუმპირებულობა არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ჰქვია ცნობიერების კორუმპირებულობა. პირველ რიგში, გლობალურ სისტემებს ხელთ მოგდებული ჰყავთ ქვეყნების პათოლოგიური ლიდერები, ხდება მათი ზომბირება, შემდეგ ზომბირებული ხელისუფლება მართავს ქვეყანას (პიგმალიონის ეფექტი), ყველა საშუალებით აავადებს ხალხის მასას. უსაზრისოდ დარჩენილი მასა ვეღარ არჩევს, ვის უნდა გაჰყვეს. განსაკუთრებით პლებსი არის ძალიან ცუდ დღეში, ინტელიგენცია თამაშგარე მდგომარეობაშია.

დედაქალაქში სუფევს არნახული დონის ურბანიზაცია, უამრავი დეზერტირი «სარანჩასავით» შესეულია სოციალურ ადგილებს, არც ერთი სოციალური ფილტრი არ მუშაობს, ქვეყანაში სრული ანარქიაა, რომელსაც ჰქვია დემოკრატია. მეცნიერული ინტერპრეტაცია რომ მივცეთ დღევანდელი საქართველოს დემოკრატიას სამჰიპოსტასიურ დონეზე, აღარ ვლაპარაკობ მაღალ განზომილებებზე, – ეს კანონის უზენაესობა კი არა, ზომბების უზენაესობაა, ზომბირებული სხეულის ჰეგემონიაა. ფაქტობრივად, ზომბი მართავს ქვეყანას, ზომბოკრატიაა. მონობის ასეთი ფაქტები კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს, უფრო სწორად, კაცობრიობამ არ იცის. სხვადასხვანაირი მონობა ყოფილა, მაგრამ ადამიანის ბიოკომპიუტერის ინჰიბირება ადამინის სიკვდილს ნიშნავს რადგანაც ის ვერ აზროვნებს.

ახალი მეტაფიზიკური მეცნიერების მეცნიერთათვის სურათი ნათელია – ფსიქოტრონული ინფორმატიზაცია რეალურია, მხოლოდ პერცეფცია ყოველივე ამისა არ არსებობს. ზომბოკრატია მოსპობს ცოცხალ აზრს, დაეცემა ერი. ზომბირების საწინააღმდეგოდ საჭიროა ცნობიერების შეცვლა, უარყოფითი ინფორმაცია უნდა განეიტრალდეს, დაითრგუნოს დადებითი ინფორმაციით, მარცხენა ტორსიული ველები უნდა შეიცვალოს მარჯვენათი, მაგრამ ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ რობოტებად არიან ქცეულნი. მათი პირველი მოთხოვნა გარე და შიდა მმართველთა მიმართ უნდა იყოს ის, რომ შეურყვნელი დაუტოვონ ადამიანებს ადამიანური ფენომენი, რადგან ვითარცა მათხოვართ მიგდებული 1,5 ლარი ადამიანებს ვერას უშველის.

ადამიანი არა მარტო ფიზიკურად უნდა გადარჩეს, არამედ მან აუცილებლად უნდა გადაირჩინოს საკუთარი სააზროვნო სისტემა.

სიმპოზიუმები, კონფერენციები
Tlk-show-ები

27 ივნისი, კვირადღე, 13 სთ.

4 ივლისი, კვირადღე, 13 სთ.

ტრანსდისციპლინარული Tlk-show

ცნობიერების გამთლიანების მნიშვნელობა ახალი სოციალური პარადიგმის მომწიფებაში

სპიკერი ეკონომიკაში – ბ-ნი თენგიზ ჭიაბრიშვილი

სპიკერი ცნობიერების საკითხებში – ქ-ნი ირინე კალანდაძე

მონაწილეები: თამაზ ჩიკვაიძე, გიორგი მალაშხია, ელგუჯა მექვაბიშვილი, ჰენრი ყარაშვილი, სანდრო თვალჭრელიძე, კახა ბენდუქიძე, ლადო პაპავა, ნოდარ მამისაშვილი, ირაკლი ბათიაშვილი, ადა მარშანია, თემურ ძიძიგური, სანდრო მეიფარიანი, როსტომ რაზმაძე, გივი გიგაური, ამირან ავალიანი

ორგ. კომიტეტი: თემურ ძიძიგური, გივი გიგაური, ანი ნაცვლიშვილი, ამირან ავალიანი

Tlk-show ჩატარდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლეონიდე კალანდაძის სახლ-მუზეუმთან არსებულ ადამიანის ინსტიტუტში – ნოოსფერო

მისამართი: წინამძღვრიშვილის (ყოფილი კლარა ცეტკინი) 77
სადარბაზო მემორიალით, მეორე სართული
ტელ.: 95-44-17

გაზ. «რეზონანსი», 9/VII, 04.

ადამიანმა თავად უნდა ქმნას თვის მომავალი

ცხადია, ანტროპოგენული ნოოსფერო, როგორც ცნობიერების ბუფერი ადამიანსა და კოსმოსს შორის, ხვალ და ზეგ არ განხორციელდება, მაგრამ ვექტორი მისკენ სულ უნდა არსებობდეს. რას ნიშნავს ეს?
იცვლება ფორმაციები, მათი იერარქია ევოლუციონირებადია, ახალი სოციალური პარადიგმა ცვლის ადრე არსებულს. კაცობრიობამ გადააგდო, როგორც შეუსატყვისი და შეუმდგარი, სოციალიზმი და კომუნიზმი. ეს ორი ფორმაცია არ შედგა, პირველ რიგში, ნულოვანი ცნობიერების მატარებელთა გამო.
დღეს პლანეტა გაჩერებულია კაპიტალიზმზე, როგორც შემდგარ ფორმაციაზე ისევ ნულოვანი ცნობიერებით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აზრობრივად კაპიტალიზმი უფრო მარტივია, ვიდრე ადამიანის სრულყოფილების ცალკე აღებული თეორია.

კაპიტალიზმი მუშაობს ადამიანის ჭურჭლის შევსებაზე და არაფერი ესაქმება სიღრმისეულ ეკოლოგიასთან. მაპატიეთ, მაგრამ ადამიანისს მატერიალური ფუფუნება სულაც არ არის გლობალურად ჭეშმარიტი ადამიანის თვითმიზანი.
მატერიალური ადამიანს სჭირდება მხოლოდ იმისთვის, რომ არამშიერმა ადამიანმა მოიწესრიგოს თავისი ფსიქოლოგიური სისტემები. მამონის ფეტიშიზაცია, ფაქტობრივად, სტაგნაციაა. მამონა რატომ უნდა იყოს გიდი ადამიანის ცხოვრებაში?

ადამიანი მხოლოდ ფიზიკური სხეული არ არის, ადამიანის ბიოკომპიუტერი ურთულესი სისტემაა. ეს არის ტვინის ქერქი, მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფეროებით, ეს არის ველისმიერი სტრუქტურები და ფიზიკური ვაკუუმი აინშტაინის ეთერით, დირაკის ველით და, რაც მთავარია, მეტაფიზიკური ინფორმაციის მდგენელებით. მეტაფიზიკურ ინფორმაციას «კოლბასი» არ სჭირდება, «კოლბასი» სჭირდება სხეულს, მაგრამ ხომ არ უნდა გადავყვეთ ამ «კოლბასს», რამდენი უნდა ვნთქათ?
აზროვნება არ გვჭირდება? სხვათა შორის, მონელების პროცესის დროს და გამუდმებული ფიქრით პროდუქტგადახარშვაზე ხდება სისხლის ნაკადის გადაზიდვა კუჭზე და თავი რჩება სისხლმიუწოდებელი.
ასე ვღებულობთ ფრუსტრირებულ ადამიანს.

ყველაფერს აქვს ზომა, ყველაფერს აქვს თავისი ლატენტური პერიოდი. თუ ასე გარდაუვალია ეს კაპიტალიზმი, გარკვეულ დროს იდინოს, მაგრამ ბოგინობის

პერიოდში უნდა გაიშალოს დიდი ფრონტი სამუშაოებისა ადამიანის ცნობიერების შეცვლის და მერე ცნობიერებაშეცვლილი ადამიანი და ადამიანთა კონგლომერატი თვითონ გადააგდებს მამონის კერპადქცევის ფორმაციას. სხვანაირად პრაგმატიზმი წალეკავს ამ ცივილიზაციას. უნდა მომრავლდეს სხვადასხვა ცნობიერებითი კარტოგრაფიების ელიტარული უბნები. ამ კერებმა უნა შეავიწროვოს მატერიალური სრბოლის სივრცეები. ყოვლად დაუშვებელია ადამიანის მხოლოდ მატერიალურ სისტემებზე ზრუნვა.

მრავალგანზომილებიანი ცნობიერების აგურები დღესვე, ახლავე უნდა ჩაიდოს საფუძველში, პირველ რიგში, განათლების სისტემის რეორგანიზაციაში. კულტურა, მეცნიერება უნდა ავიდეს ძალიან მაღალ დონეზე. დღეს ვინც ებრძვის ფუნდამენტალურ მეცნიერებებს, ნეტავი იმათ თუ იციან, რომ როგორც ფრიდრიხ ნიცშე წერს თავის კაპიტალურ ნაშრომში «ნება ძალაუფლებისა»: «მეცნიერება წარმოიშვა ინტელექტის სიძულვილის გამო და შედეგად დღეს საქართველოში ბევრი კუსტარული შეტიტყნილი ფსევდოცენტრებია თავისუფლების ინსტიტუტის ტიპის, რომელიც «არამკითხე მოამბის» სტატუსით თავს ასაღებს იდეოლოგიურ ცენტრად. აზროვნების პრობლემების გადაწყვეტა უფრო სერიოზულ დონეზე უნდა ხდებოდეს. ახლა ჩვენ რა, ილია პრიგოჟინის უმძლავრესი სინერგეტიკის თეორიის წინააღმდეგ მივდივართ, ვილტვით ქაოსისკენ? სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

დღეს ვინც ამ სამჰიპოსტასიურ სოციუმში იღწვის პოზიტიურად და არა ეგოცენტრული ფსიქიკის უკიდურესი ფორმების გამოვლენით, მარტო სამგანზომილებიანობაზე არ უნდა იმუშაოს. კაპიტალისტური სუპერმანქანის უდიერად შემოტანა ძალიან საშიშია სულიერების დათრგუნვის თვალსაზრისით. ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ სულიერება ეს არის ვიტალობის, სიცოცხლის მიერ კოსმიური ცნობიერების წვდომა. ჩვენი ცნობიერება კოსმიური ცნობიერების მეტაფორაა. ინფორმაციულ ველებში უაღრესად მნიშვნელოვანი, ადამიანისათვის გამოუყენებელი კოლოსალური ენერგიებია. ადამიანი მარტო ლოგიკური აზროვნება არ არის, რაციონალური აზროვნების დომინანტურობამ მოგვცა ის, რაც დღეს არის პლანეტაზე. ასეთი აზროვნების გარდა ადამიანს აქვს ინტუიტური აზროვნება, რითაც ის ტრანსცენდეტირებს მიღრმისეულ სამყაროში. დღეს ეს აზროვნება დათრგუნულია. ტვინის მარცხენა ნახევარსფეროს სულიერება ამოცანად არ უდგას, სულიერებასთან უშუალო კავშირში არის გამთლიანებული აზროვნება – ნებელობა, ინტუიცია, სპონტანურობა, საზრისები, რაციო.

ყველა მოღვაწემ სოციალური ინოვაციების სფეროში პირველ რიგში უნდა იზრუნოს, რომ ყველა პროცესი სოციუმში განვითარდეს. გამთლიანებული აზროვნება აუცილებელია, რომ სოციუმში ინტერაქტივის პროცესი სწორედ წარიმართოს, ხოლო პროდუქტი, რომელსაც შექმნის ეს ურთიერთობები, თავისთავად უზრუნველყოფს უშეცდომო პროდუქტს. დაქუცმაცებული აზროვნება მუშაობს აგრესიაზე და კონფლიქტზე, ეს უკანასკნელი ქმნის ქაოსს და ქაოსი ხდება მარადიულად გადაუწყვეტი პრობლემა – ბიოტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები, კიბორტექნოლოგიები, დაფუძნებული დანაწევრებულ აზროვნებაზე უჰარმონიო სიახლეებს შემოიტანენ, კომპიუტერიზაცია ტგბ-ების (ტორსიული გამომთვლელი მანქანები) გარეშე ადამიანებს ფიტულებად, რობოტებად აქცევს, მაშინ, როცა ადამიანებს სჭირდებათ კოსმიურ სოლიტონებზე გასვლა, სულიერი გრატუალის ზრდა. უხეშვიბრაციული სამყარო ძალიან პრიმიტიულია და ამიტომ არის, რომ მეფობს პიგმალიონის ეფექტი.

რაც შეეხება დემოკრატიას, დღეს პლანეტაზე, უბრალოდ ძალიან სასაცილო პრეცედენტთან გვაქვს საქმე. ლატერალური აზროვნების გარეშე დემოკრატიული სისტემები მატყუარა სისტემებია.
თავად ამერიკაში, ე. წ. დემოკრატიის აკვანში ტრანსპერსონალური და ტრანსდისციპლინარული აზროვნების ცენტრები შეურიგებელი ოპოზიციონერის როლში უტევენ ცრუ დემოკრატიას. მე არ ვიცი, რამდენ ხანს გასტანს კაპიტალისტური პროლონგაცია, მეშინია, ეპიდემიას არ დაემსგავსოს და კარანტინი არ იყოს გამოსაცხადებელი, მაგრამ ქვეყნიერება უნდა გამოთავისუფლდეს მამონის მონობიდან. ცნობიერების კორუმპირებულობის შემთხვევაში მამონას კრეატიულ პროცესთან საქმე არა აქვს, შეიძლება ბიზნესს ეწოდოს შემოქმედებით ცალკეულ აქტთა სიმრავლე, მაგრამ ყველა შემთხვევაში ძალიან ყოფით პროცესებთან გვაქვს საქმე. ინდივიდი სიმდიდრით კი არ უნდა მოეფინოს საზოგადოებას, არამედ აზროვნების განფენით, მსოფლიო ბიზნეს-სისტემა მთლიანად პროფანული აზროვნებისაა.

ინსტრუმენტული აზროვნების წარმომადგენლებს მივმართავ – ასწავლეთ ბიზნესმენებს ლიტერალური აზროვნება, გაუმთლიანეთ მათ ცნობიერება, თუ დღეს ასე აუცილებელია კაპიტალიზმი, მაშინ შეიძლება რაიმე სასიკეთო მოხდეს. დღეს კი დაქუცმაცებული აზროვნებით თავსმოხვეული პროდუქტი უგემურია.

ეკონომიური აღმასვლის სპეციალისტებს ვეხმიანები – ნურაფერი ნუ შემოვა სოციუმში ახალი გამთლიანებული აზროვნების გარეშე, ყველა აქტში ჩადეთ გამთლიანებული აზროვნება, ვინაიდან არ მოხდება ისე, რომ ჯერ ეკონომიკურად ავღორძინდეთ და მერე ფსიქიურ სისტემებზე ვიზრუნოთ.
გამთლიანებული აზროვნება სატელიტი უნდა იყოს ყველა სოციალური მოვლენისა, როგორც პიტერ ვეილი ამბობს, მენეჯმენტში ურთიერთობის მეცნიერება ურთიერთობის ხელოვნებით უნდა შეიცვალოს.

ნახეთ, რამხელა გრადიენტია მენეჯმენტის ცნობილი თეორეტიკოსის გამონათქვამსა და სოციუმის დღევანდელ რეალობას შორის. ურთიერთობები არა თუ რაციონალური, არამედ ვულგარულ-ბანალურ-სპეკულატიურია. თითოეული ადამიანი მეორე ადამიანის ვამპირია. ჰაერში ჰკიდია ზომბები, ხელისუფლება ნაყიდი, კორუმპირებული აზროვნებით, ხალხი ტყუილებით კმაყოფილია და გასულელებული, სივრცის ყოველ წერტილსი შავი ტორსიონი, ტვინის დამლუქველი კომპიუტერები, ოკეანე მობილურებისა.
ხალხს ჰგონია, რომ წიგნი შეცვალა კომპიუტერმა, ადამიანმა დაამყარა უსივრცო კონტაქტები. წარმოდგენისთვის თანამედროვეობის რეალური სურათი ასეტია: ადამიანი სუროგატი, ცხადია, რაღაც ჯიპის ტიის მერსედესში მჯდარი, მხრით ყურზე მიბჯენილი პრეტენციულობის გამომხატველი ე. წ. მესიჯური მობილურით, ერთ ხელში ქონიანი ხაჭაპურით, მეორეში «ბარანკა» (რული),
კაპიტალისტური იდილია, იყო შიგნით ნული, გარეთ ხნული, ამერიკული შმოტკა, ღია ჭიპი, შიშველ ფეხზე ბარძაყამდე ჩექმა, კიბორგტექნოლოგიური თვალები, ისი-პარის «პრიჩოსკა», საქართველოს მთელი პროვინცია მაინც და მაინც თბილისში, ამას ჰქვია – ქაჯებო გაგიმარჯოთო; ანტისანიტარია დეზოდორებით დაღვარული, ვიმოწმებ მიხეილ ზადორნოვის ახალი რუსობის აღწერას, ათასჯერ უარესია ახალი ქართველი.

არაჩვეულებრივი ელეგია ვიტალობისა, რომელსაც ვიტალობის ავტონომიის აპოლოგეტი, ბიოლოგი იოჰან ფონ იქსკიული ეძახის საბოლოო და თავისთავად სინამდვილეს. მგონი, მართლაც ასეტია სიმჰიპოსტასიური აზროვნების ჭერი.

ვიტალობა თუ არაფერში არ გადაიზარდა, მასინ აღმოვჩნდებით ეუნესკუს «მარტორქის» როლში. ვერავინ ვერ გადარჩება, არც მიწისქვეშა ქალაქები უშველის ხელისუფლებას და მთავრობას, არც პერშინგები და ავაქსები, არც ფული. კოსმოსი მათ მიმართ განსაკუთრებით მრისხანე იქნება.

გაზეთი «ქართული ფილმი»,

23 თებერვალი, 1995 წელი

ადამიანის ინსტისუტი – ნოოსფერო

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ აკადემიკოს ლეონიდე კალანდაძის სახლ-მუზეუმში, მისივე ქალიშვილის საქ. მეცნ. აკად. «მეცნიერებათა ფილოსოფიის» საბჭოს სწავლული მდივნის ირინა კალანდაძის ხელმძღვანელობით ფუნქციონირებს სამეცნიერო კერა «ადამაინის ინსტიტუტი – ნოოსფერო». ქალბატონი ირინა გვესაუბრება ამ ინსტიტუტის დანიშნულებაზე.

«ნოო» გონითს ნიშნავს. ნოოსფერო არის სულიერების პლანეტარული მოვლენა, აზრის პლასტზე გასვლა პლანეტარულ მასშტაბში, როცა აზრი იქცევა ყოფიერებად, არსებობის ფორმად და ეგზისტენცია იქნება სატელიტური (თანმხლები) მოვლენა. მეცნიერებაში ეს არის მეტაფიზიკური, მეცნიერების ძებნის გზა. დღევანდელი დისციპლინარული აზროვნება, ერთის მხრივ, კარგია; მეორეს მხრივ, მას ნეგატიური მოვლენები გააჩნია. ყოველი ცალკე დარგი გარკვეული კუთხით უდგება სამყაროს აღქმას. სამყარო პროექციულად აღიქმება ცალკეული დარგის დონეზე, ხოლო ამ პროექციათა ჯამი არ გვაძლევს თვითონ სამყაროს. დღეს ინტედისციპლინარული დონის შემოტანაა საჭირო. სხვადასხვა ჭრილში დანახულმა დიფერენციალურმა დარგებმა ექსტრაპოლაცია (მიახლოება) უნდა მოახდინონ მეტაფიზიკურ აზროვნებასთან. მეტაფიზიკურ აზროვნებაში გლობალურად თანაიარსებებენ როგორც მეცნიერების სხვადასხვა დარგები, ისე ხელოვნება და თეოლოგია. უნდა მოხდეს ყველა ადამიანური კატეგორიის ონთოლოგიზაცია, რაც ინტეგრალურ პროცესად ქცევის შემთხვევაში მიგვიყვანს ნოოპროცესის ნოოსფეროდ ქცევამდე. წარმოდგენისათვის გაგაცნობთ სემინარზე განხილულ თემატიკას: ნოოსფეროს ანბანი, აზრის ონთოლოგიზაცია, ვირტუალური (მყისიერი) ფილოსოფია, ილია პრიგოჟინის ახალი აზროვნების განხილვა, თავის ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს კვლევის საკითხები, კოსმიური ფარმაკოლოგია, ტრანსპერსონალური ფსიქოლოგია, ლინგვისტიკის, ლიტერატურის, ბიოლოგიის სხვადასხვა დარგის გადახედვა ახალი აზროვნების გადასახედიდან, ავანგარდული მუსიკა, ფიროსმანის ფენომენი, ხელოვნების პრობლემატიკის ფაშუქება ახალ ჭრილში, თეოლოგიის ევოლუციურ ჭრილში განხილვა, ალბათური აზროვნება, როგორც ახალი კონცეფცია და ა.შ.

ამ არასრული ჩამონათვლითაც კარგად ჩანს, თუ რა განსხვავებული სფეროს წარმომადგენლები მონაწილეობენ სემინარებში. აქ ნახავთ ლინგვისტ ბელა ქობალავას, ძველი ქართული ენის სპეციალისტს თინათინ ცქიტიშვილს, ფსიქოლოგ შოთა ნადირაშვილს, რეჟისორ მედეა კუჭუხიძეს, პოეტ ჯემალ აჯიაშვილს, კონსერვატორიის პროფესორ ნოდარ ანდღულაძეს, ფიზიკოსებს ციალა ლოლაძეს და

გივი ნიკობაძეს, ნეიროფიზიოლოგ თემურ ნათიშვილს, ფსიქიატრებს ნელი სავანელსა და ზურაბ ზურაბიშვილს, ხელოვნებათმცოდნე თამაზ სანიკიძეს, ასტროფიზიკოს ანდრო როგავას და მრავა სხვას.

– რატომ დადიხართ «ნოოსფეროს ინსტიტუტში»?

– ამერთადერთი კითხვით მივმართეთ ზოგიერთ მათგანს.

დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი:

– მართალია, ჩვენს დროში ყველა ძალიან პრაქტიკული გახდა, ცოდნაც ღირებულებად გადაიქცა და ყველაფერთან ერთად, ხალხი მასაც ყიდის, ადამიანებს აქვთ მოთხოვნილება თანამოზრეთა გარემოში ყოფნისა და იმ საკითხებზე ლაპარაკისა, რაშიც ისინი ღირებულებებს ხედავენ. როგორც წესი, სამსახურებში საამისოდ ვერ იცლიან და რაც მთავარია, საამისოდ საჭიროა არსებობდეს სპეციალური ველი, სპეციალურ გარემო.

ქალბატონ ირას შეუძლია ასეთი გარემოს შექმნა. მას შეუძლია დაინახოს და შეარჩიოს ისეთი ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ. მისი დამსახურებაა, რომ ჩვენი შეხედულებების წრე თანდათან გაიზარდა, ამასთან, ეს შეხედულებები კი არ გაიფანტა, უფრო შეიკრა, როგორც თქმის, ისე მოსმენის თვალსაზრისით, სემინარებზე არაჩვეულებრივი ადამიანები იყრიან თავს. არადა, ქართველები ხომ თავისებურები, უფრო მეტად მონოლოგისტები ვართ, ჩვენთან დიალოგი, ხშირად, ორი მონოლოგია.

აქ მოსულ ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა დაიკმაყოფილონ ღრმა მოთხოვნილება სულიერი ურთიერთობისა, აზრთა შეერთებისა, ურთიერთმხარდაჭერისა და თანაც, ეს კონტაქტები ამაღლებულ სფეროში ვლინდება.

ხშირად ასეთ გარემოში ზოგი ადამიანი უფრო დომინირებული ხდება. ქალბატონი ირა ახერხებს, რომ ჩვენთან ასე არ მოხდეს და სემინარების მუშაობაში თითოეული წევრი ინტენსიურად უნდა იყოს ჩართული.

ასეთია ამ სემინარების ფსიქოლოგიური მხარე, მაგრამ მათ მეორე მხარეც გააჩნიათ – ესაა მათი მეცნიერული ღირებულება.

ქალბატონ ირას აქვს მეცნიერული იდეები, რომლებსაც შეიძლება ჩვენ არც ვიზიარებდეთ, მაგრამ გვაინტერესებს, რადგან მას ამოძრავებს მოთხოვნილება გამოავლინოს ყოველ მეცნიერებასა და ყოველ საზოგადოებაში არსებული დადებითი, მაგრამ მთვლემარე ტენდენციები, რომლებიც ამოქმედებისათვის ბიძგს საჭიროებენ.

ასეთი ურთიერთობების გამო, მეცნიერებაში გარკვეული წარმატებების მქონე და სხვადასხვა ორიენტაციის ადამიანები ერთმანეთს უკანასკნელ მიღწევებზე მოუთხრობენ, საუბრობენ, კამათობენ. ამ მხრივ აქ ძალიან მრავალფეროვნებაა, რადგან თავი მოიყარეს სრულიად განსხვავებულ სფეროთა (მეცნიერების, ხელოვნების, რელიგიის) წარმომადგენლებმა. როგორც წესი, ასეთი ადამიანები ჩვეულებრივ, ურთიერთობისაგან მოწყვეტილნი არიან, ერთმანეთთან აღარაფერი აკავშირებთ, ამავე დროს, თითოეული სფეროს საქმიანობა ძალიან ინტელექტუალურია, სულიერი მოღვაწეობის შედეგია, ვინც თავის სფეროში ჩაუღრმავდება საკითხებს, მისთვის აუცილებელი გახდება მეზობელ სფეროებში ადამიანის მოღვაწეობისა და აზროვნების ბუნების გარკვევა.

თანდათან იქით მივდივართ, რომ მეცნიერება, ხელოვნება და რელიგია ერთმანეთს დაუახლოვდეს. ამ სემინარებზე სწორედ ასეთი გარემოა.

აქ ადამიანები საკუთარ შეხედულებებს ამჟღავნებენ და სხვებისას ღებულობენ, სხვადსხვა სფეროს წარმომადგენლებმა საერთო აზრები გამონახეს და ესეც დიდი სტიმულია ურთიერთთან დაახლოებისა.

ჩვენი საუბარი რომ შევაჯამოთ, აქ ადამიანები ვიწრო ინტერესების გამო კი არ დადიან, არამედ იმიტომ, რომ ხდება ზოგადი შემეცნებითი ინტერესების გაღვიძება და თავ-თავიანთ საქმეებში წინ წაწევა მეზობელი სფეროების წარმატების ხარჯზე – აქ ხომ ის ადამიანები დადიან, რომლებიც იცნობენ უკანასკნელ მიღწევებს, ამდენად, სემინარებს ძალიან დიდი განმანათლებლური მნიშვნელობა აქვს.

სემინარებზე ადამიანები მორალურადაც უკავშირდებიან ერთმანეთს, კერძოდ, საერთო აქვთ სიყვარული თავისი ქვეყნისადმი, ადამიანებისადმი, მეცნიერებისადმი და ყველაფერ ამას არაფერი აქვს საერთო ეგოისტურ მიზნებთან. სამწუხაროდ, ასეთი სფეროები საქართველოში ძალიან ცოტაა.

ყველასათვის ნათელია, რომ ადამიანი მარტო ბიოლოგიური არსება არ არის, იგი სულიერი არსებაა, ქმნის და მოიხმარს კულტურას, სხვა ადამიანებს აზრის საშუალებით უკავშირდება. ყველგან შეინიშნება სწრაფვა იმისაკენ, რომ მთელი დედამიწა გადაიქცეს ერთი დიდი აზრის მქონე სისტემად, რომელშიც ადამიანები ერთმანეთს დაეხმარებიან; ყოველდღიურ ცხოვრებაში მორალური და მეცნიერული პრინციპები გაშინაგანდება, კაცობრიობა ერთიან, ჰარმონიულ სისტემად გადაიქცევა და ეს მოხდება არა ცალკეული ადამიანებისა და ერების ნიველირების, არამედ ურთიერთგააზრებისა და დახმარების ხარჯზე. ეს უკვე ნოოსფეროს არსებობას ნიშნავს.

იდეა ნოოსფეროს შესახებ ადრეც არსებობდა, მაგრამ უფრო მეტად აქტუალური გახდა ტეიარ დე შარდენიდან მოყოლობელი. ამ იდეის დასტურია დღევანდელი მსოფლიოს მცდელობა ერთიანი ძალისხმევით და ურთიერდახმარებით მოაგვაროს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური თუ სხვა ტიპის პრობლემები.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი თინათინ ცქიტიშვილი. – იმის თაობაზე, რაც გვიზიდავს, რატომაც დავდივართ ასე მონდომებითა და რეგულარულად საუწყებათაშორისო «ადამიანის ინსტიტუტში», ზოგადად უკვე ისაუბრა ბატონმა შოთა ნადირაშვილმა.

აღნიშნულთან ერთად, მე ჩემი პროფესიული ინტერესები მაქვს. ვმუშაობ ნების თავისუფლების საკითხზე შოთა რუსთველის «ვეფხისტყაოსანში» და სინდისის ფენომენზე იოვანე პეტრიწის შემოქმედებაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში ეს საკითხები არათუ შესწავლილი, დასმულიც არ არის. ორივე საკითხი ადამიანის თემას განეკუთვნება და ამდენად, სხვა თანამავალ პრობლემებთან ერთდ, ვრცლად განიხილება «ადამიანის ინსტიტუტის» სემინარებზე.

საიდან მოდის, საით მიემართება ადამიანი? რა შეადგენს ადამიანის ყოფის არსს? – საკითხთა ეს წრე სრულიად ახლებურად მოიაზრება და შეისწავლება ახალი მეთოდოლოგიით – მეცნიერების სხვადასვა დარგების მიღწევათა კომპლესური გამოყენების გზით. ადამიანის ღია სისტემურად განხილვა გულისხმობს ამ ხედვის მთელი სპექტრის დატვირთულობის გამოყენებას. მთავარი უბანი – ეს ალბათური სააზროვნო სისტემაა. ცნობიერების ველში განიხილება როგორც რაციონალური, ასევე ირაციონალური, რომელთა თანამუშაობა ქმნის სწორედ ალბათურ აზროვნებას (ინტუიციურობისა და სპონტანურობის სფეროს).

ტრადიციულთან ერთად ახალი მეთოდოლოგიის მომარχვებით და ზემოთდასახელებულ მეცნიერულ სიახლეთა ფონზე მთელი სისრულით გამოიკვეთა რუსთველის ნააზრევში არა მარტო ნების თავისუფლების საკითხი, არამედ ადამიანის თემა საერთოდ. შემუშავდა საკუთარი თვალსაზრისი: ის სიახლენი, რაც მეცნიერებისთვის სადღეისოდ იქნა ცნობილი, რუსთველის ნააზრევში უკვე დევს მზამზარეულად ჭეშმარიტების უშუალო წვდომის გზით. უფრო ზუსტად, რუსთველის განსხვავებული აზროვნების წყალობით, რუსთველისეული ადამიანი სრულქმნილების გზით მიემართება და რაც მთავარია, ახალი ადამიანის ფორმირება ნების თავისუფლებას ეფუძნება. ძირითადი საზრისიანობის გზაა და გულისხობს ახალი ფართო ცნობიერების ადამიანს, რომლის სააზროვნო სისტემა ერთდროულად მოიცავს რაციონალურსა და ირაციონალურს, ინტუიციურსა და ემოციურს (შდრ.: გამოთქმები: «გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია», «გონიერი გული»...).

ამგვარი ცნობიერებისანი არიან რუსთველის გმირები და მათი სამოქმედო სივრცე თითქოს მიკრო ნოოსფეროს მოგვაგონებს. ეს აზრის რეალობაა.

რუსთველის გმირები ისე გარდაქმნიან არსებულ ყოფას, რომ საბოლოოდ სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირება იხსნება: – «შიგან მათსა საბრძანისსა თხა და მგელი ერთად ძოვდესო», გვაუწყებს პოეტი.

კიდევ ერთი ფაქტი მინდა მოვიყვანო «ადამიანის ინსტიტუტთან» ჩემი თანამშრომლობის ნაყოფიერების მაჩვენებლად: სინდისის პრობლემა ძველთაგანვე განიხილება რელიგიებში, თეოლოგიაში, ფილოსოფიაში. თანამედროვე მეცნიერებაში განსაკუთრებული სიმძაფრით და ფუნქციური დატვირთულობით დააყენა ეს პრობლემა ვიქტორ ფრანკლმა. ობიექტური განსχა მომავლის ადამიანების მოუცილებელი თვისება გახდება, იგი იქნება ადამიანის ადამიანობის მაჩვენებელი. იქამდე მივიდა დიდი მკვლევრის მეცნიერული ფანტაზია, რომ ივარაუდა: ადამიანს ევოლუციის გარკვეულ ეტაპზე სინდისი, როგორც საზრისის ორგანო ჩამოუყალიბდაო. რვა საუკუნის წინათ ქართველმა მოაზროვნემ იოვანე პეტრიწმა ასეთივე დიდი ფუნქციური დატვირთვა ჩასდო სინდისის ფენომენში, რომელშიც ის «გულისშორის მბჭობელს» ეძახის, მეტიც, ადამიანის ადამიანობის მანიშნებელ თვისებად მიიჩნევს. მხოლოდ და მხოლოდ ეს უნარს გამოარჩევს და უპირისპირებს ადამიანს ცხოველთა სამყაროს ცოცხალსა და არაცოცხალ მოვლენებს. იგი ღმერთმა უბოძა ადამიანებს: «მებჭეობის ძალით უფალმან მსახმან ბუნებისამან შეატყუა თავსა თ?ისსა ბუნება? ჩუენ კაცისა? გამოყოფითა უტყუებისაგან სულისა სული სიტყ?თი».

ასე შეერწყა ჩემი სამეცნიერო ინტერესები «ადამიანის ინსტიტუტის» საკვლევ პრობლემატიკას. ამიტომ, აქ რატომ დავდივარ კი არა, ადამაინის ინსტიტუტი ჩემი სამუშაო სფეროს ორგანული ნაწილია.

მასალა მოამზადა დალი ჩიკვაიძემ

ადამიანი და მისი აზროვნების სამჰიპოსტასიურობა

ეს სტატია იმისათვის დაიწერა, რომ ადამიანმა დაინახოს თავის თავი საკუთარ სამგანზომილებიან სტერილიზაციაში, ანუ რაციონალურის ჩიხში, მიხვდეს «ინტუიციის ვექტორის» მნიშვნელობას, გაიმთლიანოს აზროვნება და მიზეზ-შედეგობრიობიდან გამოსვლით, შემდგომ ოთხჰიპოსტასიური (დრო, სივრცე,

კაუზალობა (მიზეზ-შედეგობრიობა), აკაუზალობა (დროისა და სივრცის გარეშე არსებული) აზროვნებით ადამიანური ველები შექმნას.

დავიწყოთ ადამიანის განხილვა უნივერსუმთან (მთელი სამყარო) მიმართებაში.

სამყარო წარმოადგენს ფიზიკური (მატერიალური) და ტრანსფიზიკური (არამატერიალური) ქვესამყაროების ერთობლიობას, უხეში და ნატიფი ვიბრაციების გამთლიანებულ ვიბრაციულობას, სამყაროში არსებობს მხოლოდ ვიბრაცია. ფიზიკური ნაწილი წარმოადგენს მრავალგანზომილებიანი უნივერსუმის სამგანზომილებიან პროექციას და ჩვენთვის ადვილი აღსაქმელია. ამ ნაწილს ნოოგენეტიკოსები (ცნობიერების სპეციალისტები) ვეძახით ექსპლიციტურ (გამჟღავნებულ სამყარო).

ტრანსფიზიკური, ანუ იმპლიციტური (გაუმჟღავნებელი) დიდ ქვენაწილს წარმოადგენს და გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ექსპლიციტური. ეს ნაწილი ბევრნაირად არის მონათლული:

1. მაკროკოსმი
2. შორი კოსმი
3. პირველადი ტორსიული (გრეხვის) ველები
4. ცნობიერებითი ველები
5. სუპერკომპიუტერი
6. აბსოლუტი
7. ლოგოსი
8. ღმერთის სამფლობელო
9. აკაშა
10. ინფორმაცია
11. ელექტროობა
12. მოაზროვნე ეთერი
13. ანთროპოგენური ნოოსფერო
14. წ – ომეგა ნოოსფერო

ფუნქციონალური შინაარსი შემდეგნაირია:

ფიზიკური – ჩვენი სამყაროა, ბიოსფერო.

არამატერიალური წარმოადგენს ინფორმაციისა და სასიცოცხლო ენერგიის (პრანა) ერთობლიობას (კონგლომერატს) (დასავლეთ და აღმოსავლეთ ერთეულებში). ეს ნაწილი იერარქიულია მზარდი სულიერი გრატუალით: (გრატუალი – სულიერი ინფორმაციის «საზომი»).

1. სტიქიალები (მთების, ტყეების, ოკეანეების და ა.შ. სულები)
2. ეგრეგორები (ანგელოზთმფარველობა)
3. კარმული (ადამიანთა ქმედების ჩანაწერების უნივერსუმის ქსოვილში) ველები
4. რეინკარნაციული (განსხეულება) ველები
5. მორფოგენეტური (ფორმის, მეხსიერების, სიბრძნის პასუხისმგებელი) ველები
6. კოლექტიური არაცნობიერი (კაცობრიული ვითარებები დემატერიალიზებული სამყარო)
7. კოსმიური ცნობიერება (კოსმიურ ვითარებათა დემატერიალიზებული სამყარო)

იერარქიის ველებს თავისი სპეციფიკური ვიბრაციულობები ახასიათებთ და იმის მიხედვით, თუ რა ვიბრაციაზე შეუძლია გასვლა ჩვენს ინტუიციას, ჩვენ ვწვდებით გარკვეულ ველს, ინდივიდუალური და კოსმიურ სპონტანურობათა რეზონანსით ვხსნით კოსმიურ ინფორმაციას და ჩვენი გამთლიანებული აზროვნება (ნებელობა, ინტუიცია, სპონტანურობა, საზრისები, რაციო), თუკი ასეთი გაგვაჩნია, ახდენს

აპრიორულ იდეათა სამყაროდან მოხსნილი ინფორმაციის ონთოლოგიზაციას (ყოფიერებადქცევა), სხვანაირად, იდეა მატერიალიზდება და ხდება ადამიანთა სოციუმის მონაპოვარი.

ეს იდეალში, ხოლო რეალობა აბსოლიტურად სხვანირია. ჩვენი თანამედროვეობის ცნობილი მოაზროვნე ილია პრიგოჟინი წერს ერთ-ერთ თავის სტატიაში, რომ «ჩვენი დროის ბოლო ათეული წლის განმავლობაში ამოიზიდა კოლოსალური ინტელექტუალურ-სულიერი ადამიანური პოტენციალი და ეს მაშინ, როცა დედამიწაზე არსებობს უმძაფრესი ეკოლოგიური კრიზისი (ადამიანური დაკნინება). სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გარდა, რომელმაც ფანტასმაგორიულ მასშტაბებს მიაღწია, აღმოცენდა უამრავი ცნობიერებითი ელიტარული კერა სხვადასხვა ცნობიერებითი კარტოგრაფიით:

1. სტანისლავ გროფის ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიის ცენტრი,
2. მრავალგანზომილებიანი ფიზიკის ცენტრი,
3. ძენ-ბუდისტური ცენტრი,
4. ტორსიული ველების ცენტრი,
5. კასტენედას ცენტრი,
6. დე-ბონოს ლატერალური აზროვნების ცენტრი,
7. რ. შელდრეკის ახალი ბიოლოგიის ცენტრი,
8. მერ-კა-ბას კვლევის ცენტრი,
9. ტრანსცენდენტალური მედიტაციის ცენტრი,
10. ნოოსფეროს კვლევის ცენტრები მთელს მსოფლიოში, მათ შორის, თბილისშიც.

თბილისში მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ლეონიდე კალანდაძის სახლ-მუზეუმთან არსებული «ადამიანის ინსტიტუტი – ნოოსფერო», ინსტიტუტს გააჩნია საკუთარი კარტოგრაფია: კონცეფცია – «ანთროპოგენური ნოოსფერო» – გამთლიანებული აზროვნებით მოცული პლანეტა – დედამიწა.

მიმართულება: ნოოსფერო გენეზიდან – ნოოსფერომდე.

მეთოდოლოგია:

1. ინტერტრანსდისციპლინარიზმი (ინტუიტიური შეთანხმებული ველების შექმნა სხვადასხვა სფეროში)
2. ინტუიციის ინტენსიფიკაცია სოციუმის ყველა დონეზე
3. ახალი ქალაქმშენებლობა ნოოცენტრებით
4. ახალი კულტუროლოგია.

შედეგი: ახალი ცნობიერების ადამიანი ახალი სოციუმისათვის. რით უნდა ავხსნათ ზემოთ აღნიშნული პარადოქსული მოვლენა უჩვეულო გრადიენტისა?

ნოოგენეტიკოსებს მიგვაჩნია, რომ ცნობიერების იმპლიციტური ფენომენი უსწრებს ექსპლიციტურს, ანუ სამგანზომილებიანი აზროვნების მანიპულაციებს. ეს ფენომენი ბარიერად აღიმართება ავარიულობის შემთხვევაში.

აპოკალიპსის თავიდან აცილების მიზნით, ცნობიერებაში უნდა მოხდეს ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ცნობიერების სრულ ფუნქციონალური მობილიზაციას. ფუნქციონალური მობილიზაცია ნიშნავს, რომ ადამიანი სოციუმის ღირებულებების (კარგისა და ცუდის დიქოტომია) მონა კი აღარ იქნება, არამედ ადამიანური ოპტიმიზაციის პრინციპით იმოქმედებს.

აზროვნება უნდა გამთლიანდეს!

რაციონალური აზროვნებისაგან განსხვავებით, გამთლიანებული აზროვნება (ნებელობა, ინტუიცია, სპონტანურობა, საზრისები, რაციო) აღმატებული აზროვნებაა. მას არ შეუძლია იყოს კორუმპირებული, ნუვორიში ადამიანის აზროვნება.

გამთლიანებული აზროვნება არ შეიძლება იყოს განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანის აზროვნება, არ შეიძლება იყოს ცრუ ადამიანის აზროვნება. გამთლიანებული აზროვნება ლატერალური (გაფართოებული) აზროვნებაა. ეს არის ინტერტრანსდისციპლინარული აზროვნება. ასეთ აზროვნებას სწორედაც რომ შეუძლია კოსმიურ ცნობიერებაზე გასვლა, ე.ი. ტრანსპერსონალური ტრანსცენდენცია მაღალ სულიერ ინფორმაციულ განზომილებებზე. არა თუ გაერთიანება კოსმიურთან, არამედ დროებითი ტრანსცენდენტალური მედიტაციას კი პოზიტიურად მოქმედებს ნეგატიურ მოვლენებზე, იქნება ეს სტიქიური, თუ სოციალური.

აზროვნების გამთლიანება უნდა მოხდეს, უპირველეს ყოვლისა, სოციალური იერარქიის მაღალ ეშელონებში, რამეთუ აქედან იწყება სამგანზომილებიანი ქმედებები, სწორედ «სკამის» ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ გონს მოგებაა საჭირო, გონს უნდა მოეგონ როგორც ადამიანები და არა როგორც მარტო ჩინოვნიკები.

გამთლიანებული აზროვნება ნიშნავს ინტუიტური აზროვნების ინტენსიფიკაციას, ე.ი. ინტუიტიური აზროვნების სუბდომინანტურობიდან გამოსვლას, რაციონალურის თანაბრად დომინანტურად ქცევას და ასეთნაირად რაციონალურისა და ინტუიტიურის წონასწორობას. ასეთი აზროვნება აქცევს დაუოკებელი მატერიალური სურვილების მქონე ადამიანს მტაცებლის რანგიდან სოციალურისადმი შემრიგებლური არსის მატარებელ ნორმალურ ადამიანად.

თუკი ზედა ეშელონებში მოწესრიგდა ცნობიერება, ხალხის ცნობიერების შეცვლა უფრო ადვილია, რადგან თუ ცხოვრების პირობები გაუმჯობესდა, ადამიანის ფსიქოსომატური სისტემის ფუნქციონალური პილიმორფიზმის რეალიზაცია შესაძლებელია ინტერტრანსდისციპლინარიზმის შემოტანით სოციუმში, საზოგადოების ყველა დონეზე. ინტუიტიური აზროვნების გამძლავრებით, იქნება ეს კულტუროლოგია, ქალაქმშენებლობა (ნოოპოლისი, ნოოცენტრი) თუ სხვა. გამთლიანებული აზროვნება უბრალოდ ლამაზი სიტყვები არ არის. როცა ადამიანი მარტო ლოგიკური ფანჯრიდან იყურება, ის სამყაროს ხედავს მხოლოდ ერთი კუთხით, გამთლიანებული აზროვნება მას უქმნის მთლიან სურათს სამყაროსას. ასეთი ხედვისას ის შესძლებს ეკოლოგიური დესტრუქცია აღიქვას როგორც სამყაროს კოლაფსის მომასწავებელი და მიხვდება, რომ საერთო უბედურება, რომელშიც ხელი თვით ადამიანსაც ურევია, მისი უბედურებაც არის. პასიური მხედველიდან ადამიანი აქტიურ მხედველად უნდა იქცეს და შეერწყას მაღალ ცნობიერებას. უნდა ითქვას, რომ ადამიანის სულიერი ზრდისათვის აუცილებელია ადამიანის ორგანიზმში სასიცოცხლო ენერგიის ბალანსირების რეგულაციის ცოდნა. პრანის რეგულაციით ხდება მაღალ ჩაკრებზე ფიქსაცია და ადამიანი უკავშირდება ტრანსფიზიკურ სამყაროს. მაღალი განზომილებების დალაშქვრა განსაკუთრებით საჭიროა იმ შემთხვევაში, როცა თავად პლანეტა მაღალ ვიბრაციებს რეზონანსულად დაუკავშირდება. ახალ ვითარებაში ჩაკეტილი ჩაკრული სისტემა არ გამოდგება. ვინც ვერ შესძლებს ჩაკრების მუშაობით მობილიზაციას, ის ახალ პლანეტარულ განზომილებებს ვერ გასწვდება და დარჩება ძველ დანგრეულ სისტემაში.

ადამიანის არჩევანი თავისუფალია და დღევანდელი პრაგმატიზმით იცხოვრებს და იქნება სულ სამგანზომილებიანი, ან მრავალგანზომილებიანობას ეზიარება.

მართალია, მეორე გზა შორი და რთულია, მაგრამ მომავლიანი, ხოლო პირველი – უმომავლო. არჩევანი თქვენზეა.

ველით გამოხმაურებას გაზეთის მისამართით და აგრეთვე «ნოოსფეროს ინსტიტუტის» ტელეფონზე 95-44-17

გაზეთი «ურმული», №3, 2004 წელი

ადამიანთა ურთიერთობის ნატიფი სტრუქტურა

ადამიანი ურთიერთობებში

(ბიოსფეროს ნოოსფერული კრიტიკა)

ბიოსფეროში ადამიანები მარტოსულნი არიან. მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობათა ქსელი დიდია. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ფაქტობრივად, ურთიერთობები ადამიანურად უარსოა. ადამიანური ველები, ჯერ ეს ერთი, ადამიანურ დონეზე თითქმის არ მუშაობენ, ხოლო ადამიანურ დისტანციებზე ნაკვალევიც არ ჩანს.

ამ ურთიერთობათა სპექტრი, რომელიც არსებობს ბიოსფეროში, მოიცავს საქმიან, პრაგმატულ,
ამხანაგურ, მეგობრულ, ეროსს, სულიერ, ღმერთის სიყვარულს.

მთავარი საზრისი, რაც უნდა ახასიათებდეს ურთიერთობებს – ადამიანურ ველში მეორე ადამიანის არსებობაა, მასთან ადამიანურ-მოღვაწეობრივი კავშირი.

ყველა შემთხვევაში, ადამიანური აქტი – საქმიანი, პროფესიული, მეგობრული, სქესობრივი თუ სხვა, უნდა სრულდებოდეს მთავარი საზრისის გათვალისწინებით. შეიძლება გამჟღავნება ყველა ამ საზრისისა არ იყოს საჭირო, მაგრამ შინაგანად მთავარი ადამიანური საზრისი უნდა არსებობდეს.

ოჯახში მთავარი ადამიანური საზრისი ოჯახის ყველა წევრს უნდა გააჩნდეს. უპირველესი არის ოჯახის საზრისი, შემდგომ, დედის, მამის, მეუღლეთა, შვილების და ა.შ.

რა არის მაგალითად, მშობლის მთავარი ადამიანური საზრისი? – არა ის, რომ შვილი უნდა დაიცვას და გამოიყვანოს მძიმე მდგომარეობიდან ყველა არსებულ შემთხვევაში, არამედ ის საზრისი, როგორიც ჰქონდა ქართველ დედას – შვილი უნდა მოიქცეს ღირსეულად!

დღევანდელი მშობლები ყველა ღონეს ხმარობენ, რომ შვილი დაიხსნან დამნაშავეობიდან. ბიოსფეროს დონეზე მორალისა და ზნეობის ფაქტორი მუშაობს მნიშვნელოვანწილად. ზემონახსენები განა მორალია? იცავ შენს გენს და მტრობ სხვა ადამიანებს.

უნდა ამუშავდეს ადამიანის შინაგანი თვალი, ანუ რაც იგივეა საზრისი. დედის საზრისი – საერთო დედის, მამის საზრისი – საერთო მამის, შვილის – საერთო შვილის და ყველა ეს ერთად – ადამიანური.

ქვეყნის პრეზიდენტის საზრისი – არა პოლიტიკური სტატუსი, არამედ, პირვე რიგში, ადამიანური, მეორე რიგში – პროფესიონალური, არავითარ შემთხვევაში არ

შეიძლება პირიქით, ვინაიდან ხალხის პოლიტიზაცია კი არ არის მთავრი საქმე, არამედ პოლიტიკის გაადამიანურება.

მეცნიერებათა კადემიის პრეზიდენტი – მთავარი საქმე – არა პროფესიულ-ფუნქციონალური ამბიციურობა, არამედ ფსიქიზებული მეცნიერულ-ადამიანური დამოკიდებულებები.
ასევე ყველა ორგანიზაციის თავი.

შესატყვისი თანამშრომლები – პატივისცემა უფროსი კოლეგების, საერთო ადამიანური ველი დადებითი.

ყველაფერი ამისათვის პრეზიდენტები, რექტორები, დირექტორები უნდა გამოვიდნენ კაბინეტებიდან და დაიკავონ ჩვეულებრივი ოთახები.
დაწესებულებეში არაჩვეულებრივი უნდა იყოს მხოლოდ საერთო ოთახები, იქ, სადაც ერთმანეთს ხვდებიან თანამშრომლები.

ეს გულისხმობს ახალ მშენებლობებს, რადგან ძველი აგებულია ძველი ფსიქიკით. ახალმა შენობებმა ხელი უნდა შეუწყოს ახალ აზროვნებას.

მონოპოლიური სისტემა უნდა ანიჰილირდეს. მონოპოლია არაფერში კარგის მომტანი არ არის, ის ქმნის ნეგატიურ ველს. ბიოსფეროში ჩვენი საყვარელი სპორტიც კი ნოოსფეროში იარსებებს არა მოგებისათვის და წაგებისათვის, არამედ თამაშები უნდა არსებობდეს თამაშის ხელოვნების დემონსტრირებისათვის. რაღაცის მოგება, რაღაცის მოხვეჭა არაფერს არ იძლევა ფაქტობრივად, თუ კარგად დავუკვირდებით. კონფლიქტსა და აგრესიას საერთოდ შინაარსი არ აქვს. ვთქვათ, აგრესიითა და კონფლიქტით რაღაც მოვიპოვეთ და დავჯექით ჩვენს შემოფარგლულ სამფლობელოში. ეს რას მოგვცემს.
მთავარი ხომ ჩვენი სამფლობელოს მიღმა ურთიერთობებია. ადამიანი თუ მოვიდა თავის ბუნებრივ აზროვნებამდე, მაშინ ის, რაც მის სააზროვნო სივრცეს ესაჭიროება, იმას დასჯერდება და ზედმეტს არ მოინდომებს.

ხალხისა და ერების საერთო სულიერი რეზერვუარების შექმნას ხელს უწყობს კულტურათა გადაკვეთები.

ვთქვათ, პატარა ერი იბრძვის თავისი კულტურის გადასარჩენად. თუ ამ ერის კულტურამ აწმყოში ვერ შექმნა ვერაფერი, რაც ხელს შეუწყობს საერთო კულტურათა განვითარებას, მაშინ მოხდება ერის კულტურის უარყოფითი სტერილიაზაცია, ერი გახდება მხოლოდ ამბიციური, მაგრამ თუ ერის მიერ შეიქმნა საადამიანო პროდუქცია, ის გასცდება ერის ფარგლებს და სხვა ერები დააფასებენ ამ განსაკუთრებული კულტურის ერს, ასეთი შეიძლება იყოს გამთლიანებული აზროვნების ადამიანთა კულტურა.
თუ რომელიმე ერი თავის თავზე იღებს ქარიზმატული წინამძღოლის როლის შესრულებას და წარუძღვება სხვა ერებს «ანთროპოგენური ნოოსფეროსაკენ», მაშინ საკაცობრიო სულიერების საქმე გადარჩენილია. კიდე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალს (ფუტუროვერტული კულტურა), თუ სამომავლოდ ერს აქვს რაღაც მნიშვნელოვანი პოტენციურად ან წარსულზე დაყრდნობილი ახალი ან სპონტანური ახალი, მაშინ ამას სჭირდება ერისა და ხალხის ინტენსიური მუშაობა, რომ პოტენცია რეალიზდეს.

ფორმულა:

ადამიანიდან – ადამიანთა ურთიერთობამდე.

გამთლიანებული ადამიანიდან – გამთლიანებული აზროვნების ადამიანთა ურთიერთობებამდე.

დღემდე კაცობრიობა სულ ქაოტურ მდგომარეობაში არსებობს. არც ერთ ეპოქას არ მიუყვანია ადამიანი ტრანკვილიზებულ სულიერ სტატუსამდე. მაშ, როდის არის ეს შესაძლებელი?

თუკი ადამიანი გამხოლოებული რეგიონალური აზროვნებიდან უპირატესად ინტუიტიურზე შესძლებს გადასვლას, სოციალური, ყოფითი მინიმუმიც კი არის საკმარისი, რომ ადამიანმა დაიწყოს ზრუნვა თავის ფსიქიკურ სისტემაზე, ისწავლოს მედიტაცია, ნირვანაში გადასვლა, დაეუფლოს ხედვით სისტემებს, მოვლენაში შესვლა შესძლოს, გავიდეს არაპარადოქსულობაზე და მიაღწიოს ატარაქსიას.

როცა სიბრძნის ზღვარს მიუახლოვდება ადამიანი, მხოლოდ მაშინ იგრძნობს, თუ რა არის უსასრულობა, დროისა და სივრცის გარეშე არსებობა, არამიზეზობრიობა, შემთხვევითობა, როგორც კანონზომიერება.

კაპიტალიზმმა მოგვიტანა ძალიან ცუდი ზნე – ფიფუნებისაკენ სწრაფვა. ადამიანებმა ამ ცალსახა სრბოლაში ადამიანურ ფაქტორად მიიჩნიეს სიმდიდრე. თუ რა კავშირშია სიმდიდრე ადამიანის სტატუსთან, აბსოლიტურად გაუგებარია. ადამიანი შეიძლება იყოს მდიდარი და ადამიანურობა ნულის დონეზე ჰქონდეს. მამონა რაციონალური კონსტრუქტიისა არ ზის არც ფიზიკურ გენში, არც ფსიქიკურში და არც ნოოგენში მითუმეტეს. ეს მოიტანა კონკურენტულმა სისტემებმა, ან რა აქვს ადამიანს საკონკურენციო, ყველას აქვს თავის პოტენციური მონაცემები, რომლის რეალიზაციაც უნდა მოხდეს და აქ იწყებს მუშაობას «ანთროპოგენური ნოოსფეროს» ლოზუნგი: ყველამ – შესაძლებლობის მიხედვით. ყველას – გამთლიანებული აზროვნების მოთხოვნილებების მიხედვით.

კომუნისტურ თეორიას ეძახდნენ სრულყოფილების თეორიას, მაგრამ აზროვნების გამთლიანების გარეშე სრულყოფილების თეორია შეუძლებელია.

ჩვენ არ ვმბობთ, რომ «ანთროპოგენური ნოოსფერო» ყველა არსებულ კონცეფციებთან შედარებით უპირატესი თეორიაა, მაგრამ, ალბათ, ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ აზროვნების გამთლიანებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, რადგან მარტო რაციონალურ აზროვნებას რაც შეუძლია, ჩვენ უკვე ვიცით. ახლა საჭიროა მივუახლოვდეთ ინტუიტიურს, რაციონალურმა და ირაციონალურმა ერთად წინ უნდა გადაადგმევინოს ნაბიჯი ადამიანს, ინტუიციას შეუძლია შეღწევა იმპლიციტურის შრეებში და სულიერი ინფორმაციის ექსპლიციტურში გაცხადება. ჩვენი ექსპლიციტური აღარ არის საკმარისი. რაციონალურმა თავის საქმე გააკეთა კაცობრიობის ისტორიაში და ახლა დროა თავის ტვინის მარჯვენა ნახევარსფერომ იმძლავროს მარჯვენაზე და ადამიანი ამოვა თავისი კაფსულიზაციიდან, იქცევა ბიოფსიქოსოციალურ-ფილოსოფიურ-კოსმიურ ფენომენად. ეს იქნება ადამიანის გამარჯვება თავის თავზე.

ადამიანის ენერგიების სუბლიმაციის უდიდესი მნიშვნელობა

ადამიანი არ უნდა ცდილობდეს მხოლოდ ერთი სახის ენერგიის დაგროვებას, ხშირ შემთხვევაში ეს ფიზიკური ენერგიაა. ფსიქიკური ენერგიისაგან განსხვავებით, ადამიანი ფიზიკურ ენერგიას ძალიან კარგად ფლობს და კარგად იყენებს ბევრი რაციონალური ამოცანის ამოსახსნელად, მაგრამ ერთი ენერგიით მანიპულირება და მანევრირება ადამიანს ცალმხრივს ხდის, ადამიანის ცნობიერების სპექტრის გაფართოებისათვის და მოქმედებათა მასშტაბურობისათვის აუცილებელია

ადამიანში ენერგიების წრებრუნვა, სუბლიმაციური წიაღსვლა თვალსაწიერის გაზრდისათვის.

დღევანდელი ადამიანი ძლიერ ეტანება ძალას, ძალის გამოყენებით ოპერირებს და ამით იკაფავს გზას ცხოვრებაში, მაგრამ მას ხომ ამის გარდა ინტელექტუალური და ემოციური ენერგიები გააჩნია, რომლებიც დღეს რატომღაც ემსახურებიან ძალის პრიორიტეტს და პრეროგატივას.

რაშია საქმე?

ფიზიკური ენერგიები ყველაზე მარტივი ენერგიებია და მათი გამოყენება იოლია. ენერგიების წრებრუნვაში ყველაზე უფრო «ჩაწოლილი საქონელი» არის ეგოცენტრული სექსუალური ენერგია. ხალხს ჰგონია, რომ ჰედენისტური ფუნქციის გარდა, ამ ენერგიას დიდი მემკვიდრეობითი ფუნქცია აქვს, ეს ყველაფერი იმ შემთხვევისათვის, თუ მივიჩნევთ, რომ სამყარო მხოლოდ ფიზიკური, მატერიალური ქვესამყაროა, მაგრამ – არა!

სამყაროს ძალიან დიდი მნიშვნელობის ფსიქიკური სამყარო გააჩნია. ამიტომ ძალიან კარგად უნდა გავიცნობიეროთ, რომ სექსუალური ენერგიის ფუტუროლოგიური (სამომავლო) მნიშვნელობა და მთავარი დანიშნულება არის ფიზიკური სექსუალური ენერგიის გადაყვანა სუბლიმირება ფსიქიკურ ენერგიაში.

ადამიანის აღნაგობის ძირითად «სივრცეს» წარმოადგენს ღვთაებრივი კარტოგრაფია:

* მისტიკური ანატომია (სომა);

* მეტაფიზიკური ტოპოლოგია – ინფორმაციული სივრცე (ველისმიერი სტრუქტურა);

* ეთერის გლობალური დისპერსულობა (ფიზიკური ვაკუუმი – აინშტაინის ეთერი, საერთო ველი, ინერციის ველები, ინფორმაცია მეტაფიზიკური ინფოემაციის სახით).

ღვთაებრივი კარტოგრაფია მეცნიერულ ენაზე ნიშნავს I და II ტორსიული, ანუ ინფორმაციული ველების მოღვაწეობის აკაუზალურ (არამიზეზშედეგობრივ) დასახლებას.

ადამიანის უმთავრესი არსი არის მისი ფსიქიკური სისტემა, რომელსაც, პრინციპში, ემსახურება ფიზიკური სხეულებრივი ნაწილი.

სექსი სექსისათვის დღეს არის აბორიგენული პროფანური აზროვნების შედეგი.

მძლავრად შემოდის ვექტორი – სექსი ფსიკისათვის. ზემონათქვამი არის თეორიული წინამძღვარი, ხოლო ახლა გადავიდეთ დღევანდელ პრაქტიკაზე.

სოციუმში, გარდა მეცნიერული წრეებისა, სექსი, როგორც ასეთი, ფსიქიკური სისტემებისათვის საერთოდ არ არსებობს. სექსი მხოლოდ სექსისათვის და ნაყოფის მისაღებად. გამომდინარე აქედან, ცნობიერებაც ასეთი გაგვაჩნია.

სექსი – პორნო, სექსი – ეროსი, სექსი და პროზოლიტიზმი, სექსი და ფული, სექსუალურ-ამურული პროცესი ცხოველებში უფრო ბუნებრივია, ვიდრე ადამიანებში. დღეს ჩამოყალიბდა სრულიად მანკიერი სექსუალური სტატუსი ადამიანისა. სექსისათვის ადამიანი ყველაფერზე მიდის – კაცის კვლაზე, მეორე ადამიანის ღალატზე, რაც მთავარია, საქმის, ადამიანური სახის დაკარგვაზე სიმახინჯის პრეცენდენტების შემოტანით, ზნეობის გაჩანაგებით, უსინდისობით.... საერთოდ, ადამიანი საზრისს კარგავს და არაკაცი ხდება.

სექსის სფერო დღეს მომგებიანი და თვალში საცემია. ამაზე კარგად მიგვითითებს დღევანდელი ფორმაცია – გამოშიგნული მამონა.

სექსუალური სფეროს სპექტრს აქვს 200 პარმონიკა – ფროტაცია, ეგზიბიციონიზმი, უამრავი სხვადასხვა ფილია, მანია, ჰომო- თუ ჯგუფური და ... ყველაფერი ემსახურება ნეგატიურობას, შპიონაჟს, ყოველგვარ შანტაჟს. პოლიტიკური სისტებემი, რბილად, ბანალურად რომ მოგახსენოთ, გარყვნილი, დასვრილი სისტემებია შავი სექსითა და შავი ფულით, მძვინვარებს შავი მაგიური სისტემების მოქმედება და პროპაგანდა, ძირი ეთხრება ადამიანის არსს.

ნარკოტიკები უკვე არაფერია იმასთან შედარებით, რაც ხდება სექსის სფეროში. პლანეტა გატენილის ანაბოლიკებით. ცნობილია, ადამიანში ეზოთერულად მუშაობს საკრალური გეომეტრიის ორი ტეტრაედრი – მიწიერი და ზეციერი, ანუ სხეულებრივი და მენტალური. ანაბოლიკებით მთლიანად ითიშები ფსიქიკური ტეტრაედრი და ადამიანი ხდება ვამპირის (!), ზომბის (!) მარიონეტი. როგორც გვინდა, ისე მოიხელთებ ბუტაფორულ ადამიანს. ეს გამოიყენება ინდივიდუალურ-სექსუალურ სისტემებში და გლობალისტურ-პოლიტიკურ სისტემებში, ფსიქოტრონულ იარაღში, შავ მედიცინაში სპერმა ექტოპლაზმად იქცევა. სოციუმში ძირითადი ურთიერთობები განხორციელდება ამ ექტოპლაზმის მეშვეობით; ვენერიულ დაავადებათა დისპერსია მოიცავს ყველას და ყველაფერს. სექსუალურად ავადმყოფი ადამინი გახდება ნორმა სოციუმში, თუ უკვე არაა მაღალ ეშელონებში, გარლემებში ხომ დიდი ხანია მძვინვარებს აზელილი სექსი. შოუ ბიზნესი, კაზინოები, კაბარეები, პრიტონები, ორგიები, რულეტკები მთავარი წყაროა ფულის დაგროვების, ადამიანების გაპირუტყვების. ეს არის ფიზიკური პლანეტის რეალური სახე, სრულიად საწინააღმდეგოდ ვითარდება ფსიქოპლანეტა. ეს პლანეტის მცირე დასახლებაა. ეს ნაწილი იღწვის ცხოვრების ნამდვილი საზრისის დამკვიდრებისათვის, ემპათიურობისათვის, ადამიანის ინფორმაციის ველში შესვლასა და ურანიული სიყვარულისათვის (უმაღლესი სიყვარული).

შავი ძალები საერთოდ მძლავრი ძალებია და მათთან შერკინება იოლი საქმე არ არის. ჰუმანური, ალტრუისტული, ფილანტროპული ძალების კონსოლიდაცია პაციფისტურად დაამარცხებს აგრესიას.

სახელმწიფოში დიდი ხანია უკვე არაფრის მაქნისია სახელმწიფო სექტორი. კერძო სექტორი რასაც უნდა იმას აკეთებს, მაგრამ ყველა ხალხში, ყველა ერში, ყველა სოციუმში არსებობს კიდევ, სულიერების თვალსაზრისით, ჯანსაღი ნაწილი, რომელიც ვერ ეგუება ნორმოზს. შეიძლება იფიქროთ, რომ ამ ნაწილს ელოდება ვიონიჩის «ოვოდის» ბოლო. მაგრამ ერთი კაცის გამკლავება სხვაა და ასი, ათასი კაცის გამკლავება – სხვა.

ახალი ნოეტური არმია იკვებება მეტაფიზიკური ინფორმაციით და არა სხვადასხვაფერი რევოლუციებით. სამყაროს ფიზიკური ვაკუუმი არის მისი დაუშრეტელი წყარო, მაშინ, როცა წარმატებულ კაციჭამიებს ეს წყარო წარმოუდგენიათ როგორც სიცარიელე. ეგონოთ, – მით უკეთესი. ეს მშვენიერი სიცარიელე დეტონაციის ცენტრად შეიძლება იქცეს. ამოიფრქვევა გაცრუებული იმედები, გაუმართლებელი მოლოდინი, სინდისგარეცხილთა პათოლოგიური რაობა, მზაკვრობა, ავსებული მოთმინების ფიალა, ყველა სახის კატაკლიზმები – სრული კოლაპსი აპოკალიფსის პირისპირ.

კაპიტალიზმს, ალბათ, საშინლად გაუკვირდება სახელმწიფოს მართვის სისტემაში მესამე – ნოეტური – ნაწილის არსებობა, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, აზროვნება ევოლუციონირებს ნოეტურ განზომილებამდე. ყველა რევოლუციის გვერდის ავლით ნოო განეფინება პლანეტას, დაიტვირთება მთელი ფიზიკური ვაკუუმი, რომელიც არის მინიმალური განუსაზღვრელი ენერგიის პერპენტუუმობილე. სოციუმების

უარყოფითი ენერგიების დათრგუნვის შემთხვევაში გაწყდება კავშირი ანტისამყაროსთან და კოსმიურ ცნობიერებასთან. კონსესუსის შემთხვევაში დაუშრეტელი დადებითი ენერგიები გახდება მისაწვდომი.

ადვილი მისახვედრია, რომ ადამიანური ცხოვრების წესის შემოღებისათვის აუცილებელია ნოეტური ცენტრის ოფიციალიზაცია, სამჰიპოსტასიური კონსტიტუციის ტრანსფორმირება მეოთხე განზომილების აუცილებელი განზომილებით.

ნუ დავტოვებთ ერს მხოლოდ პოლიტიკოსების ვაისაქმიანობის ანაბარად.

ადამიანმა თავად უნდა ქმნას თავის მომავალი

ცხადია, ანთროპოგენური ნოოსფერო, როგორც ცნობიერების ბუფერი ადამიანსა და კოსმოსს შორის ხვალ და ზეგ არ განხორციელდება, მაგრამ ვექტორი მისკენ სულ უნდა არსებობდეს. რას ნიშნავს ეს? იცვლება ფორმაციები, მათი იაერარქია ევოლუციონირებადია, ახალი სოციალური პარადიგმა ცვლის ადრე არსებულს. კაცობრიობამ გადააგდო, როგორც შეუსატყვისი და შეუმდგარი, სოციალიზმი და კომუნიზმი. სოციალიზმი და კომუნიზმი არ შედგა, პირველ რიგში, ნულოვანი ცნობიერების მატარებელი ჩინოვნიკების გამო. დღეს პლანეტა გაჩერებულია კაპიტალიზმზე, როგორც შემდგარ ფორმაციაზე ისევ ნულოვანი ცნობიერებით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აზრობრივად კაპიტალიზმი უფრო მარტივია, ვიდრე ადამიანის სრულყოფილების ცალკე აღებული თეორია.
კაპიტალიზმი მუშაობს ადამანის ჭურჭლის შევსებაზე და არაფერი ესაქმება სიღრმისეულ ეკოლოგიასთან. მაპატიეთ, მაგრამ ადამიანის მატერიალური ფუფუნება სულაც არ არის გლობალურად ჭეშმარიტი ადამინის თვითმიზანი. მატერიალური ადამიანს სჭირდება მხოლოდ იმისათვის, რომ არამშიერმა ადამიანმა მოიწესრიგოს თავისი ფსიქოლოგიური სისტემები. მამონის ფეტიშიზაცია ფაქტობრივად სტაგნაციაა. მამონა რატომ უნდა იყოს გიდი ადამაინის ცხოვრებაში? ადამიანი მხოლოდ ფიზიკური სხეული არ არის. ადამიანის ბიოკომპიუტერი ურთულესი სისტემაა. ეს არის ტვინის ქერქი, მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფეროებით, ეს არის ველიმიერი სტრუქტურები და ფიზკური ვაკუუმი აინშტაინის ეთერით, დირეკის ველით და, რაც მთავარია, მეტაფიზიკური ინფორმაციის მდგენლებით. მეტაფიზიკურ ინფორმაციას «კოლბასი» არ სჭირდება. «კოლბასი» სჭირდება სხეულს. მაგრამ ხომ არ უნდა გადავყვეთ ამ «კოლბასს»? რამდენი უნდა ვნთქათ? აზროვნება არ გვჭირდება? სხვათა შორის, მონელების პროცესის დროს და გამუდმებული ფიქრით პროდუქტგადახარშვაზე ხდება სისხლის ნაკადის გადაზიდვა კუჭზე და თავი რჩება სისხლმიუწოდებელი.
ასე ვღებულობთ ფრუსტრირებულ ადამიანს.

ყველაფერს აქვს ზომა, ყველაფერს აქვს თავისი ლატენტური პერიოდი. თუ ასე გარდაუვალია ეს კაპიტალიზმი, გარკვეულ დროს იდინოს, მაგრამ ბოგინობის პერიოდში უნდა გაიშალოს დიდი ფრონტი სამუშაოების ადამიანის ცნობიერების შეცვლის და მერე ცნობიერებაშეცვილი ადამიანი და ადამიანთა კონგლომერატი თვითონ გადააგდებს მამონის კერპადქცევის ფორმაციას. სხვანაირად, პრაგმატიზმი

წალეკავს ამ ცივილიზაციას. უნდა მომრავლდეს სხვადასხვა ცნობიერებით კარტოგრაფიების ელიტარული უბნები. ამ კერებმა უნდა შეავიწროვოს მატერიალურის სრბოლის სივრცეები. ყოვლად დაუშვებელია ადამიანის მხოლოდ მატერიალურ სისტემებზე ზრუნვა. მრავალგანზომილებიანი ცნობიერების აგურები დღესვე, ახლავე უნდა ჩაიდოს საფუძველში, პირველ რიგში, განათლების სიტემის რეორგანიზაციაში. კულტურა, მეცნიერება უნდა ავიდეს ძალიან მაღალ დონეზე. დღეს ვინც ებრძვის ფუნდამენტალურ მეცნიერებებს, ნეტავი იმათ თუ იციან, რომ ფრიდრიხ ნიცშე წერს თავის კაპიტალურ ნაშრომში «Воля ко ласти» – «наука возникла из отвращениииинтеллекта к хаосу», ასე მაგალითად. ახლა ჩვენ რა, ილია პრიგოჟინის უმძლავრესი სინერგეტიკის თეორიის წინააღმდეგ მივდივართ, ვილტვით ქაოსისაკენ?

დღეს ვინც ამ სამჰიპოსტასიურ სოციუმში იღწვის პოზიტიურად და არა ეგოცენრული ფსიქიკის უკიდურესი ფორმების გამოვლენით, მარტო სამგანზომილებიანობაზე არ უნდა იმუშაოს.

კაპიტალისტური სუპერმანქანის შემოტანა უდიერად ძალიან საშიშია სულიერების დათრგუნვის თვალსაზრისით. ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ სულიერება ეს არის ვიტალობის, სიცოცხლის მიერ კოსმიური ცნობიერების წვდომა. ჩვენი ცნობიერება კოსმიური ცნობიერების მეტაფორაა,. ინფორმაციულ ველებში უარღესად მნიშვნელოვანი, ადამიანისათვის გამოუყენებელი კოლოსალური ენერგიებია. ადამიანი მარტო ლოგიკური აზროვნება არ არის, რაციონალური აზროვნების დომინანტურობამ მოგვცა ის, რაც დღეს არის პლანეტაზე. ასეთი აზროვნების გარდა ადამიანს აქვს ინტუიტური აზროვნება, რითაც ის ტრანსცენდენტირებს მიღმისეულ სამყაროში. დღეს ეს აზროვნება დათრგუნულია. მარცხენა ნახევარსფეროტვინს სულიერება ამოცანად არ უდგას.

სულიერებასთან უშუალო კავშირში არის გამთლიანებული აზროვნება – ნებელობა, ინტუიცია, სპონტანურობა, საზრისები, რაციო. ყველა მოღვაწემ სოციალური ინოვაციების სფეროში, პირველ რიგში, უნდა იზრუნოს, რომ ყველა პროცესი სოციუმში განვითარდეს გამთლიანებული აზროვნების ფონზე. გამთლიანებული აზროვნება აუცილებელია, რომ სოციუმში ინტერაქტივის პროცესი სწორად წარიმართოს, ხოლო პროდუქტი, რომელსაც შექმნის ეს ურთიერთობები, თავისთავად უზრუნველყოფს უშეცდომო პროდუქტს.

დაქუცმაცებული აზროვნება მუშაობს აგრესიაზე და კონფლიქტზე. ეს უკანასკნელი ქმნის ქაოსს და ქაოსი ხდება მარადიულად გადაუწყვეტი პრობლემა – ბიოტექნოლოგიები, ნანატექნოლოგიები, კიბორგტექნოლოგიები, დაფუძნებული დანაწევრებულ აზროვნებაზე უჰარმონიო სიახლეებს შემოიტანენ, კომპიუტერიზაცია TBM-ების გარეშე ადამიანებს ფიტულებად, რობოტებად აქცევს, მაშინ, როცა ადამიანებს სჭირდებათ კოსმიურ სოლიტონებზე გასვლა, სულიერი გრატუალის ზრდა. უხეში ვიბრაციული სამყარო ძალიან პრიმიტიულია და ამიტომ არის, რომ მეფობს პიგმალიონის ეფექტი.

რაც შეეხება დემოკრატიას დღეს პლანეტაზე, უბრალოდ ძალიან სასაცილო პრეცედენტთან გვაქვს საქმე. ლატერალური აზროვნების გარეშე დემოკრატიული სისტემები მატყუარა სისტემებია. თავად ამერიკაში, ე.წ. დემოკრატიის აკვანში ტრანსპერსონალური და ტრანსდისციპლინარული აზროვნების ცენტრები შეურიგებელი ოპოზიციონერის როლში უტევენ ცრუ დემოკრატიას. მე არ ვიცი, რამდენ ხანს გასტანს კაპიტალისტური პროლონგაცია, მეშინია, ეპიდემიას არ დაემსგავსოს და კარანტინი არ იყოს გამოსაცხადებელი, მაგრამ ქვეყნიერება უნდა

გამოთავისუფლდეს მამონის მონობიდან, ეს არის ცნობიერების კორუმპირებულობის შემთხვევა. მამონას კრიატულ პროცესთან საქმე არა აქვს, შეიძლება ბიზნესს ეწოდოს შემოქმედებით ცალკეულ აქტთა სიმრავლე, მაგრამ ყველა შემთხვევაში ძალიან ყოფით პროცესებთან გვაქვს საქმე. ინდივიდი სიმდიდრით კი არ უნდა მოეფინოს საზოგადოებას, არამედ აზროვნების განფენით, მსოფლიო ბიზნეს სისტემა მთლიანად პროფანული აზროვნებისაა.

ინსტრუმენტალური აზროვნების წარმომადგენლებს მივმართავ – ასწავლეთ ბიზნესმნებს ლატერალური აზროვნება, გაუმთლიანეთ მათ ცნობიერება, თუ დღეს აუცილებელია კაპიტალიზმი, მაშინ შეიძლება რაიმე სასუკეთო მოხდეს, დღეს ეს დაქუცმაცებული აზროვნებით თავსმოხვეული პროდუქტი უგემურია. ეკონომიური აღმასვლის სპეციალისტებს ვეხმიანები – ნურაფერი ნუ შემოვა სოციუმში ახალი გამთლიანებული აზროვნების გარეშე. ყველა აქტში ჩადეთ გამთლიანებული აზროვნება, ვინაიდან არ მოხდება ისე, რომ ჯერ ეკონომიკურად ავღორძინდეთ და მერე ფსიქიურ სისტემებზე ვიზრუნოთ.

გამთლიანებული აზროვნება სატელიტი უნდა იყოს ყველა სოციალური მოვლენისა. როგორც პიტერ ვეილი ამბობს, მენეჯმენტში ურთიერთობის მეცნიერება ურთიერთობის ხელოვნებით უნდა შეიცვალოს. ნახეთ, რამხელა გრადიენტია მენეჯმენტის ცნობილი თეორეტიკოსის გამონათქვამსა და სოციუმის დღევანდელ რეალობას შორის. ურთიერთობები არა თუ რაციონალური, არამედ ვულგარულ-ბანალურ-სპეკულატიურია. თითოეული ადამიანი მეორე ადამიანის ვამპირია. ჰაერში ჰკიდია ზომბები, ხელისუფლება ნაყიდი, კორუმპიებული აზრვნებით, ხალხი ტყუილებით კმაყოფილი და გასულელებული, სივრცის ყოველ წერტილში შავი ტორსიონი, ტვინის დამლუქველი კომპიუტერები, ოკეანე მობილურების.

ხალხს ჰგონია, რომ წიგნი შეცვალა კომპიუტერმა, ადამიანმა დაამყარა უსივრცო კონტაქტები. წარმოდგენისათვის – თანამედროვეობის რეალური სურათი ასეთია: ადამიანური სუროგატი ცხადია, რაღაც ჯიპის ტიპის მერსედესში მჯდარი, მხრით ყურზე მიბჯენილი პრეტენციულობის გამომხატველი ე.წ. მესიჯური მობილურით, ერთ ხელში ქონიანი ხაჭაპური, მეორეში – «ბარანკა» (რული), კაპიტალისტური იდილია, იყო შიგნით ნული, გარეთ ხნული, ამერიკული შმოტკა, ღია ჭიპი, შიშველ ფეხზე ბარძაყამდე ჩექმა, კიბორტექნოლოგიური თვალები, ისიპარის «პრიჩოსკა», საქართველოს მთელი პროვინცია მაინცდა მაინც თბილისში, ამას ჰქვია – ქაჯებო გაგიმარჯოთო. ანტისანიტარია დეზედორებით დაღვარული. ვიმოწმებ მიხეილ ზადორნოვის ახალი რუსობის აღწერას, ათასჯერ უარესია ახალი ქართველი. არაჩვეულებრივი ელეგია ვიტალობის, რომელსაც ვიტალობის ავტონომიის აპოლოგეტი ბიოლოგი იოჰან ფონ იქსკიული ემახის საბოლოო და თავისთავად სინამდვილეს. მგონი, მართლაც ასეთია სამჰიპოსტასიური აზროვნების ჭერი. ვიტალობა თუ არაფერში გადაიზარდა, მაშინ აღმოვჩნდებით უენესკუს «ნოსოროგის» როლში. ვერავინ ვერ გადარჩება, არც მიწისქვეშა ქალაქები უშველის ხელისუფლებას და მთავრობას, არც პერშინგები და ავაქსები, არც ფული. კოსმოსი მათ მიმართ განსაკუთრებით მრისხანე იქნება.

ადამიანთა ცნობიერების გამთლიანებას დღეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს

მეტაფორულად რომ ვთქვა, დაბადებისთანავე, გაახილა თუ არა თვალი ადამიანმა თავის გარშემო დაინახა უზარმაზარი სამყარო და დაიწყო მასთან თავისი დამოკიდებულების გარკვევა.

სამყარო მთლიანობას წარმოადგენს.
აღსანიშნავია, რომ ადამიანის პირველყოფილ ცნობიერებაში ეს მთლიანობა არ იყო დარღვეული, მაგრამ როცა ადამიანი მიჰყვა ცხოვრების რიტმს თავისი ადამიანური მოღვაწეობის მანძილზე ბევრი რთული პრობლემის წინაშე დადგა, ვეღარ შეძლო სამყაროს მთლიანობის აღქმა, მისთვის უფრო მოსახერხებელი აღმოჩნდა უსასრულობისათვის სხვადასხვა კუთხით შეეხედა.

დავიწყოთ ყოფითობით. ყოფითი ადამიანი აბსოლუტურად ცალსახად ხედავს სამყაროს, მას არ აწუხებს მეცნიერული თუ ხელოვნებისეულ მიდგომები სამყაროსადმი. მორწმუნე ადამიანებსაც თავისებური დამოკიდებულება აქვთ ყველაფრისადმი.

ამ გზას დიდი ისტორია აქვს. ამ ხნის განმავლობაში შეიქმნა უდიდესი მატერიალური პროდუქცია, აშენდა ცივილიზაციები. ძნელია თქმა იმისა, რომ ადამიანს არ უნდოდა ან დრო არ ჰქონდა ეფიქრა იმაზე, თუ თანდათან როგორ აქუცმაცებდა საკუთარ აზროვნებას და ამასთან ერთად, როგორ ირღვეოდა ადამიანის ბუნებრიობა, რამაც წარმოშვა სხვადასხვა პროფესიები.

პროფესიონალობა ძალზე მნიშვნელოვანი რამ არის. ცალკეულ სფეროში ცოდნის გარღმავებას დიდი სარგებლობა მოაქვს ადამიანისათვის, მაგრამ სინამდვილეს შევხედოთ ფხიზელი თვალით და ნუ გამოგვრჩება ის ფაქტი, რომ სპეციალობები სულ უფრო და უფრო ვიწროვდება და ცოდნის გარღმავებას შეიძლება აზრიც კი დაეკარგოს, როცა საქმე დაწვრილმანებამდე მიდის.

მოდით, შევხედოთ ყველაფერ ამას ახლა სხვა
კუთხით. რა ფასეულობებს ვკარგავთ ასეთ შემთხვევაში? ეს არის ფართო აზროვნების ფასეულობა, სამყაროსთან მთლიანი კავშირის გაწყვეტა, ბუნებრიობის დარღვევა. დანაწევრების ფაქტმა ძალიან გაამძლავრა ადამიანის რაციონალური აზროვნება. რაციონალურმა ენამ გადაფარა ინტუიტიური რწმენითი ენები. ხელოვნებას, კულტურას, რელიგიას ვეღარ ძალუძს აღადგინოს დაკარგული ბუნებრიობა, სადაც ყველაფერი წონასწორობაშია. მატერიალური ფაქტორი ძლიერი ფაქტორია. ის მუშაობს ძლიერი რაციონალური მანქანის გამოყენებით და ეყრდნობა ეგოცენტრიზმის მექანიზმებს. ეგოცენტრიზმს კაცობრიობისათვის არაფერი კარგი არ მოაქვს. «ეგო» ადამიანს, რასაკვირველია, უნდა გააჩნდეს, მაგრამ ის შეთანხმებული უნდა იყოს «არა-ეგო» სისიტემებთან, ანუ სულიერებასთან. ასეთი სიტუაცია კი შესაძლებელია მხოლოდ გამთლიანებული აზროვნების შემთხვევაში. გამთლიანებული აზროვნება კი ის აზროვნებაა, სადაც ერთად მუშაობს როგორც ნებელობითი, ასევე ინტუიტიური, სპონტანური და ლოგიკური. ეს რაციონალურისა და ირაციონალურის ორგანული სინთეზია – ეს წონასწორობაა «ეგო» და «არა-ეგო» სისტემებისა. ამ რეჟიმში ეგოსისტემები ვერ შესძლებენ დათრგუნონ ადამიანის კაცთმოყვარეობა, მშვიდობა, მაღალი იდეალები. გამთლიანებული აზროვნება კი ადამიანურობის რეზერვუარია, ე.ი. მეორე ადამიანურზე მთლიანად სოციუმში (ახლო კოსმოსი) თუ მოვლენებთან მიახლობება (შორის კოსმოსი) უნდა ხდებოდეს სწორედ ადამიანის რეზერვუარიდან, დღეს კი ადამიანი ძირითადად გარემოს უკავშირდება მხოლოდ რაციონალური აზროვნებით. ამ გზით ადამიანი კოსმოსთან დიალოგში ვერ შევა.

როცა პროფესიონალიზმზე ვლაპარაკობდი, ჩვენ ცოდნითი სისიტემები ვახსენეთ, მაგრამ იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს კოსმოსთან კონტაქტში შესვლა მხოლოდ ცოდნითი სისტემები არ იქნება საკმარისი. ადამიანი როცა ცოდნას აგროვებს ის ობიექტთან თუ მოვლენასთან გარე დამკვირვებლის როლში გამოდის, მაგრამ თუ ჩვენ გვინდა ვწვდეთ სამყაროს საიდუმლოებას შიდა დამკვირვებლის როლი იქნება აუცილებელი. ე.ი. ობიექტის ან მოვლენის შიდა დამკვირვებლად უნდა ვიქცეთ, მასთან გავიგივდეთ და ასეთ სისტემებს, სამყაროსთან ურთიერთობისა ხედვითი სისტემები ჰქვია.

ხედვითი სისტემები ადამიანს გამთლიანებული აზროვნებით უვითარდება და მუშაობა გამთლიანების მისაღწევად ინტუიციური აზროვნების ინტენსიფიკაციით უნდა მოხდეს, ამიტომ საჭიროა საბავშვო ბაღებში, სკოლებში აქცენტი რაციონალურიდან გადატანილ იქნეს ინტუიტიურ აზროვნებაზე.

ახალი აზროვნება ხელმძღვანელობს მეთოდოლოგიით, რომელსაც ინტერდისციპლინარიზმი – ტრანსდისციპლინარიზმი ჰქვია (სპეციალობათა გადაკვეთებზე შეთანხმებული აზრობრივი ველების შექმნა), ვიწრო აზროვნებიდან მასშტაბურ აზროვნებაზე გადასვლა. ინტერდისციპლინარიზმი – ტრანსდისციპლინარიზმი ახალ პროფესიად უნდა იქცეს დამატებით არსებულ პროფესიად. უმაღლეს სასწავლებლებში ფაკულტატიური კურსები უნდა ამუშავდეს, ახალგაზრდობა აზროვნების ახალ ყაიდაზე უნდა გადავიდეს – ეს არის სამყაროს არა მარტო ცოდნა, არამედ ხედვაც, ადამიანური ალღო და უნარი, შენი თავი გაამთლიანო სამყაროსთან.

ამერიკანისტული ერთპოლარული სისტემა

ამერიკანული ერთპოლარული სისტემა ფსიქოტრონულად იპყრობს მსოფლიო მასებს. ხდება ფსიქოტრონული დაშანთვა. ზომბირება დააჩლუნგებს ადამიანს საბოლოოდ და საინტერესოა, ეს გლობალიზმი ვისთვისღა იარსებებს?

ახალი ანტიგლობალისტური მეტაფიზიკური მეცნიერება იღწვის სულიერი გრატუალის გაზრდისათვის, რათა სხეული იქცეს ცნობიერების დონედ. მონსტრულ-რეაქციული მანქანა კი ქმნის ინგრატუალს, ანუ ცნობიერება იქცევა სხეულის დონედ. ეს სპეციფიური ზემოქმედება საჭიროა იმისათვის, რომ მარიონეტულად, ბუტაფორულად, ვითარცა რობოტი, ფიტული მართოს ადამიანი.

მათთვის, ვინც დღევანდელი ინფორმაციული მეცნიერების შიგთავსები არ იცის, ვამბობ – ზომბები კიდია პირდაპირ ეთერში. ამიტომ არის ესოდენ გაუგებარი დღევანდელი ადამიანის ანომალური ბიჰეიორიზმი. ადამიანი დაუპირისპირდა თავის თავს, მას სძულს მეორე ადამიანი, მტრობს მას, მეფობს საშინელი ეგოცენტრიზმი. მატერიალური კორუმპირებულობა არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ჰქვია ცნობიერების კორუმპირებულობა. პირველ რიგში გლობალურ სისტემებს მიგდებული ჰყავთ ქვეყნების პათოლოგიური ლიდერები, ხდება მათი ზომბირება, შემდეგ ზომბირებული ხელისუფლება მართავს ქვეყანას, ყველა საშუალებით აავადებს ხალხის მასას. უსაზრისოდ დარჩენილი მასა ვეღარ არჩევს, ვის უნდა გაჰყვეს. განსაკუთრებით პლებსი არის ძალიან ცუდ დღეში. ინტელიგენცია თამაშგარე მდგომარეობაშია.

დედაქალაქში სუფევს არნახული დონის ურბანიზაცია. უამრავი დეზერტირი «სარანჩასავით» შესეულია სოციალურ ადგილებს; არც ერთი სოციალური ფილტრი არ მუშაობს; ქვეყანაში სრული ანარქიაა, რომელსაც ჰქვია დემოკრატია. მეცნიერული ინტერპრეტაცია რომ მივცეთ დღევანდელი საქართველოს დემოკრატიას (სამჰიპოსტასიურ დონეზე, აღარ ვლაპარაკობ მაღალ განზომილებებზე), ეს კანონის უზენაესობა კი არა, ზომბების უზენაესობაა, ზომბირებული სხეულის ჰეგემონიაა. ფაქტობრივად, ზომბი მართავს ქვეყანას, ზომბოკრატიაა. მონობის ასეთი ფაქტები კაცობრიობას არ ახსოვს, უფრო სწორად, კაცობრიობამ არ იცის. საზოგადოების ფორმაციის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა სახის მონობა ყოფილა, მაგრამ ადამიანის ბიოკომპიუტერის ინჰიბირება არ მომხდარა. ამ სახის ინჰიბირება ადამიანის სიკვდილს ნიშნავს, რადგანაც ის ვერ აზროვნებს.

ახალი მეტაფიზიკური მეცნიერების მეცნიერთათვის სურათი ნათელია, ფსიქოტრონული ინფორმატიზაცია რეალურია. მხოლოდ პერცეფცია ყოველივე ამისა არ არსებობს. ზომბოკრატია მოსპობს ცოცხალ აზრს, დაეცემა ერი. ზომბირების საწინააღმდეგოდ საჭიროა ცნობიერების შეცვლა.

უარყოფითი ინფორმაცია უნდა განეიტრალდეს, დაითრგუნოს დადებითი ინფორმაციით, მარცხენა ტორსიული ველები უნდა შეიცვალოს მარჯვენათი. ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ რობოტებად არიან ქცეულნი. მათი პირველი მოთხოვნა გარე და შიდა მმართველთა მიმართ უნდა იყოს ის, რომ შეურყვნელი დაუტოვონ ადამიანებს ადამიანური ფენომენი. მათხოვარივით მიგდებული 1,5 ლარი ადამიანებს ვერაფერს უშველის.

ანთროპოგენურ ნოოსფერო

კონცეფცია

1. ექსპლიციტური სამყარო
2. იმპლიციტური სამყარო
3. ბომის ჰოლოგრამა
4. ანთროპოგენური ნოოსფერო

მე დავიწყებ წ – ნოოსფეროს განმარტებით; რომ ეს არის გაუმჟღავნებელი პოტენციურობის უნივერსული და წარმოადგენს გლობალურ ცნობიერებას ძალიან რთული ტრანსფიზიკური იერარქიით მზარდი სულიერი გრატუალით. ეს სულიერი იერარქია სხვადასხვა ვიბრაციულობისაა.

ადამიანი ინტუიციით გადის ამ სხვადასხვა ვიბრაციებზე თავისი შესაძლებლობის მიხედვით და მოაქვს თავის ადამიანურ სამყაროში ეს ინფორმაციები, რომლებიც ყოფიერდებიან. ასე ვივსებით ჩვენ სულიერებით.

იერარქია იწყება სტიქიალებით (ოკეანეების, მთების, ტყეების და ა.შ. სულები), შემდგომ – ეგრეგორები (ადამიანის, კოლექტივების, ერების, სახელმწიფოების მფარველი ანგელოზები, რომლებიც პასიონირებისა და ემისრების საშუალებით ამყარებენ ურთიერთობას ფიზიკურ სამყაროსთან.

მომდევნო შრეები – კარმული და რეინკარნაციული წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც ჩაბეჭდილია უნივერსუმის ქსოვილში პირდაპირ ან გარდასახული სახით

ჰოლოგრაფიულად აზრის მეშვეობით ხდება აღდგენა (წაშლა ან განმეორება). აღდგენის მექანიზმი ჰოლოგრაფიულია.
აქ ლაპარაკია მრავალგანზომილებიან ჰოლოგრამებზე.

იერარქიის შემდეგი შრე მორფული ველები ძალიან რთული ველებია. ისინი წარმოადგენენ კოსმოსის მეხსიერებას, პასუხისმგებელნი არიან ფორმების ჩამოყალიბებაზე მოკიდებული ფიზიკური ფორმებიდან ანგელოზის მორფოლოგიით და ცნობიერების გრიგალური ფორმებით დამთავრებული. მორფოგენური ველები ჰაბიტუალური (ჩვევები) ხასიათისაა. დროისა და სივრცის გარკვეული ლოკალიზაციის ადგილას ხდება ჩვევების კუმულაცია (დაგროვება, განმეორადობა), ჩვევები კრეოდულია, ანუ გადაადგილდებიან სტაბილური დროითი ღერძებით, ახასიათებთ იმანენტური კრეატულობა, ე.ი. გარკვეული მიზნისაკენ სწრაფვა, ევოლუციონირდებიან, წარსული აწმყოდ იქცევა, ადგილი აქვს მორფულ რეზონანს. ჩვევები კონკრეტიზირდებიან გარკვეულ ფორმებად იმ გარკვეულ ადგილას, სადაც აწარმოებენ მუშაობას. ეს არის საგნის ბუნების მეხსიერება. თუ ობიექტი ქრება, ჩვევები არ ქრებიან, ისინი გადაადგილდებიან დროისა და სივრცის სხვა ადგილას და იქ ქმნიან ახალ ფორმას ძველი ფორმის მეხსიერებით. ფაქტობრივად, ეს სახეობათა ევოლუციაა, ახალი ევოლუციური თეორია.

ეს რუპერტ შელდრეიკის თეორიაა. ბლეზ პასკალის მიხედვით, თუ საგნის მეორე ბუნება ჩვევაა, მაშინ პირველი ბუნებაც ჩვევა იქნება.

კოლექტიური არაცნობიერი არის კაცობრიული ხატების, ასტროლოგიური არქეტიპების კონგლომერატი.

კოსმიური ცნობიერება – ეიდოსების და ასტროსომების აკუზალური სამყარო. ეს მთლიანობაში არის იმპლიციტური სამყარო.

როცა ადამაინი გავა წ – ნოოსფეროში, მისი სხეული იქცევა ცნობიერების დონედ ექსპლიციტური სამყარო არის ლითოსფეროსაგან და ბიოსფეროსაგან შემდგარი ფიზიკური სივრცე.

ბიოსფერო წარმოადგენს სიცოცხლით მოცულ პლანეტა დედამიწას. ბიოსფერო სპირალური ფორმების არსებობა.

ადამიანი ბიოსფეროს შვილია და მას გააჩნია ცნობიერება, ყველა დანარჩენ ცოცხალს ბიოსფეროში (ფლორა, ფაუნა) გააჩნია კვაზი ცნობიერება.
ფსევდოცნობიერება ლითოსფეროში მინერალებსაც გააჩნია, რადგან ისინი შეიცავენ პირამიდებს (ფორმულ ველებს), ე.ი. ცნობიერება გააჩნია ყველა პლასტს და ეს შემთხვევითი არ არის. მეტაფიზიკური მეცნიერება ინტენსიურად მოდის პლატონისაგან, რომ რეალობის არსებობის ფორმა ცნობიერებაა და ადამიანი წარმოადგენს კოსმოური ცნობიერების მანიფესტაციოას. ცნობიერებითი ველები შესულია ველის ერთიან თეორიაში სუსტ, ძლიერ, ელექტრომაგნიტურ, გრავიტაციულ ძალებთან ერთად.
გრეხვის ველების (პირველადი ტორსული, სპინორული) და მედიტაციური მახარიშის ველების სახით. ტორსულ ველებს გადააქვთ ინფორმაცია კოსმოური ცნობიერებიდან კოსმოსის შორეულ მანძილებზე ტორსიული ფანტმების მეშვეობით მეორადი ტორსიული ველების გამოყენებით.

ჩვენს საუკუნეში დიდი გამოძახილი აქვს ინფორმაციულ პროცესებს, ინფორმაციას, როგორც ინფორმაციას და არა როგორც მატერიასა და ენერგიას, როგორც ნ. ვინერი ამბობს.

მეცნიერული ინფორმაციული სამყაროები სულიერი სამყაროებია. ეს არის დროისა და სივრცის გარეშე არსებული მთელი კოსმიური ვითარებების დინამიური

რეზერვუარი იდეაფორმათა სახით. ვიმეორებ, კოსმიურ იერარქიაში შესულია კოლექტიური არაცნობიერი კაცობრიული ხატების, ასტროლოგიური არქეტიპების კონგლომერატი, სადაც ყოველი არქეტიპი – ჰოლოგრამაა და ბოლოს კოსმიური ცნობიერებაა. ეიდოსებისა და ასტროსომების აკაუზალური სამყარო, რომელიც აწესრიგებს ნახევრადკაუზალურ და მთლიანად კაუზალურ სამყაროებს.

კოსმიური ცნობიერება სუპერკომპიუტერია, ხოლო ადამიანი ბიოკომპიოუტერი. ცნობისათვის, ვაკუუმის სპინით (ელექტრონის ბრუნვა საკუთარი ღერძის გარშემო) აღგზნების შემთხვევაში ვღებულობთ სპინორულ ველს, ანუ ტორსულ ველს, ან რაც იგივეა, ინფორმაციულ ველს.

მეტაფიზიკური მეცნიერება იქმნება მეცნიერების, ხელოვნებისა და რელიგიის უდიდესი თანამშრომლობით, თუმცა რელიგია სულ გვაფრთხილებს, რომ ზომა უნდა ვიცოდეთ და ღვთაებრივი ნუმონიზური ხელშეუხებლი უნდა დავტოვოთ, ვიდრე ღმერთი თვით არ ინებებს და ჩათვლის დროს შესაფერისად გამჟღავნებისათვის, მაგრამ ეს ხდება თავისთავად, რადგან ჩვენ, მეცნიერები, ვერ ავდივართ იქ, სადაც ღმერთის სამფლობელოა, თუმცაღა თვით ერთი ნაბიჯი წინ მეცნიერებაში ნიშნავს ახალ პარადიგმას, პარადიგმების რიგი – განზომილებათა ზრდას.

ჩვენ მომსწრენი ვართ ჩაკრების, ტორსიული ველებისა და ასტროლოგიური ბივალენტურობის დადგენისა, ე.ი. არ არსებობს სუფთა მატერიალური და არამატერიალური სამყაროები, ეს არის ჰოლომოძრაობა.

ბიოსფერო სამგანზომილებიანი სივრცეა წრფივი დროით, ხოლო ბიოსფერული ადამიანის ცნობიერება, აზროვნება სამჰიპოსტასურია (დრო, სივრცე, კაუზალობა).

რაციონალურ აზროვნებას უჭირს დაკავშირება, უფრო სწორად, არ შეუძლია კოსმიურ ცნობიერებასთან საკუთარი ინიციატივით, მაგრამ არსებობს კონცეფცია «ანთროპოგენური ნოოსფერო» (გამთლიანებული აზროვნებით მოცული პლანეტა დედამიწა), რომელიც წარმოადგენს ტრამპლინს, სატრანზიტო პუნქტს განზომილებათა ზრდისათვის.

იდეათა სამყაროებმა შეიძლება მოახდინონ იდეების მატერიალიზაცია (კ. იუნგის სინქრონისტულობა) ფიზიკურ სამყაროში.

თუ განვიხილავთ სქემას ბიოკომპიუტერი – სუპერკომპიუტერი, საშუალედო ადგილს მათ შორის დაიკავებს «ანთროპოგენური ნოოსფერო».

და აქ მივდივართ ბომის ჰოლოგრამასთან.

ზემოთ ვახსენეთ ჰოლომოძრაობა.

ცნობილი ინგლისელი თეორეტიკოსი ფიზიკოსისა და მოაზროვნის, აინშტაინისა და კრიშნამურატის მოწაფის დევიდ ბომის ჰოლოგრამა წარმოადგენს იმპლიციტური და ექსპლიციტური ნაკადების ჰოლომოძრაობას და ეს მოძრაობა ექვემდებარება ჰოლოგრაფიულ პრინციპს.

შემოვიტანოთ ცნობიერების ჩვენეული რუქა, რომელსაც ვუკავშირებთ ბომს ჰოლოგრამას.

ბომის ჰოლოგრამა, პლატონისა და ნეოპლატონისტების მოდელი და აგრეთვე აუბინდო გხოშის ინოვაცია – ევოლუციის წრებრუნვა ერთნაირ ერთიან სისტემურობას ემსახურებიან. ბომის ჰოლოგრამაში «ანთროპოგენური ნოოსფერო» იკავებს რა ადგილს ექსპლიციტურ და იმპლიციტურ შრეებს შორის, ე.ი. აქვს კავშირი ფიზიკურ სამყაროსთან, ასევე ტრანსფიზიკურთან, შეუძლია ზარდოს განზომილებები სხვადასხვა ვიბრაციებზე გასვლით.

«ანთროპოგენური ნოოსფერო» შეცვლილი ცნობიერების სოციუმია. ეს არის რაციონალურისა და ირაციონალურის ერთობლიობა, საზრისები, ინტუიცია, სპონტანურობა. გამთლიანებულ აზროვნებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავლისათვის. აზროვნების გამთლიანება ჩვენს ხელთ არის. ადამიანს ძალუძს აქცენტი რაციონალური აზროვნებიდან ირაციონალურზე გადაიტანოს, სოციუმში უნდა შემოვიდეს ახალი პროფესია – ინტერტრანსდისპლინარიზმი, საჭიროა ახალი ქალაქმშენებლობა, ახალი კულტუროლოგია, გამთლიანებული აზროვნების მიკრო კერების მომრავლება, ასტროლოგიური მეტანების გათვალისწინება. ასეთ შემთხვევაში აღდგება კავშირი კოსმოსურ ცნობიერებასთან, შესაძლებელია მოხდეს სუბიექტ-ობიექტის (0-0) გაერთიანება, ადამიანი გახდება 4-ჰიპოსტასიური (დრო, სივრცე, კაუზალობა, აკაუზალობა), იმუშავებს მეტაფიზიკური ინტუიციის მექანიზმებ, ადამიანი გავა არაპარადოქსალურობაზე.

დღევანდელი მსოფლიო გაშმაგებით მუშაობს ხელოვნური ინტელექტისა და ბიორობოტების შექმნაზე. ეს ნარკოტიკული საშუალებაა ადამიანის წინააღმდეგ. სამგანზომილებიან რაციონალურ აზროვნებას ბევრი ნეგატიური ველის შექმნა შეუძლია.

ამას წინ უნდა აღუდგეს ადამიანის ადამიანური პოტენციალი. გენური ინჟინერია ძირითადად მუშაობს ინგატუალის შექმნაზე, ცნობიერება ხდება სხეულის დონედ, რათა მართვადი გახადოს კაცთმოდგმა, ადამიანი კი უნდა აღუდგეს ერზაცსა და სუროგატობას, ის თავის ბუნებრიობაზე უნდა გავიდეს.

ინტუიციას შეუძლია ჰოლოგრამის წიკითხვა, ყოველი შრის გაშიფვრა, მაგრამ ეგრეგორების შემთხვევაში ის მშვენივრად განარჩევს ერს სახელმწიფოსაგან. გამთლიანებულმა აზროვნებამ – ანთროპოგენურმა ნოოსფერომ სამჰიპოსტასიური კაცობრიული ისტორიის ბევრშეცდომათა შორის კიდევ ერთი უნდა გამოსწოროს – ეს არის ემანსიპაციის დესტრუქციული პროცესის ფემინიზაციით შეცვლა. სოციუმში ქალი მამაკაცის ადექვატი კი არ უნდა იყოს, ქალმა უნდა შეიტანოს თავისი ბიოლოგიური თვისებრიობა საზოგადოებაში და სოციუმში უნდა გაჩნდეს ახალი როლები, რომელთა განხორციელება მამაკაცებს ვერ ძალუძთ, პირველ რიგში, ემპტიურობა, მარჯვენა ნახევარსფერული საქმიანობა (ყურადსაღებია, რომ მარჯვენა ნახევარსფეროს ტვინს ტყუილი არ შეუძლია). ანთროპოგენური ნოოსფეროში უნდა შედგეს ადამიანი – ბიო-ფსიქო-სოციო-ფილოსოფიურ-კოსმიური ფენომენი.

ბიო-ფსიქო-სოციო-ფილოსოფიურ-კოსმიური სამგანზომილებიანი ადამიანი

ადამიანი მარტო კოსმოსური გენის შედეგი არ არის, ადამიანში ფუნქციონირებს როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოგენი და ნოოგენი (მთლიანი აზროვნების გენი ადამიანის სააზროვნო სისტემაში).

უნივერსუმის უმაღლეს შრეს წარმოადგენს კოსმიური ცნობიერება, ყოველგვარი ცოდნის შემცველი, ადამიან მიახლოება ამ სიმაღლესთან შეუძლია ტრანსდისციპლინარული გზით.ტრანსდისციპლინარიზმი

რა შეიძლება იქნეს წინაპირობა ანთროპოგენური ნოოსფეროს ბიოსფეროში? ცხადია, არავითარ შემთხვევაში სახელმწიფო არ შეიძლება იყოს, ის დაბალი განზომილების სოციალური წარმონაქმნია უპოტენციოა კოსმოსთან

ურთიერთობისათვის, რაც შეეხება ერს – ეს კოსმიურ გონთან დაკავშირებულია პოტენციურად, რადგან ღვთის გაჩენილი ერთობაა ადამიანებისა (დენიზა სუმბაძე, «ერის უფლებისა და ღირსების სესახებ», გვ 29). მაგრამ დღევანდელი ერის ფსიქოსომატური ჯერ კიდევ დასამუშავებელია, მოსამზადებელია მაღალი განზომილებისათვის, თუ ამას თვით ერი ისურვებს და ჩათვლის აუცილებლად აქციოს მომზადება პროცესად. სხვა შემთხვევაში ერი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი მზად არ არის იქცეს «ანთროპოგენურ ნოოსფეროდ», ამით, მე მგონი, ერის სტატუსი არ ილახება, ეს მხოლოდ ნოოსფეროს უპირატესობაა ბიოსფეროსთან შედარებით.

საკაცობრიო საკრალური ცოდნა მრავალგანზომილებიანი ჰოლოგრამების სახით არსებობს. ჰოლოგრაფიულობა მოგვეხმარება ადამიანებს გავშიფროთ ურთულესი ტექსტები. მიმაჩნია, რომ მეცნიერული საშუალება არ უნდა იყოს მკრეხელური გზა სიბრძნის ამოცნობისათვის.

ანთროპოგენური ბიოსფეროსა და ანთროპოგენური ნოოსფეროს საკითხისათვის

შევეცადოთ მედიკოს ნოოგენეტიკოსის სკრუპულოზური ანალიზიდან უფრო გლობალურზე გადავიდეთ. თავის დროზე ვ. ი. ვერნადსკიმ ძალიან დიდი საქმე გააკეთა ნოოსფეროს, როგორც მეცნიერული აზრით მოცული პლანეტის შემოტანით, ვერნადსკი იყო ერთ-ერთი გამრღვევი ძველი აზროვნებისა ლე-რუასა და ტეიარ დე-შარდენთან ერთად.

მაგრამ დღეს, ნოოსფეროს სხვა ჟრერადობა აქვს. სწორია ა. კაპანაძე, როცა ამბობს, რომ ლოგიკური აზრით მოცული პლანეტა, დედამიწა კვლავ ბიოსფეროა, რადგან რაციონალური აზროვნება სამგანზომილებიანი ფიზიკური სამყაროს (ბიოსფერო) მიღმა ვერ გადის და ვერ ამყარებს კონტაქტს კოსმოსთან. დისკურსიული აზროვნება სამჰიპოსტასიურია (დრო, სივრცე, კაუზალობა) სამყარო კი ოთხჰიპოსტასიურია (დრო, სივრცე, კაუზალობა და აკაუზალობა), ადამიანს სჭირდება ტრანსცენდენცია მაღალი განზომილებებისაკენ, ამისათვის აუცილებელია ლიტერალური (გაფართოებული) აზროვნება, ვერტიკალურთან (შეზღუდული) ერთად ლატერალური აზროვნება გულისხმობს სპონტანურობას, ინტუიციას საზრისს, ვერტიკალური და ლატერალური ერთად შეადგენენ გამთლიანებულ აზროვნებას, რის შესახებაც ძალიან კარგად წერს ა. კაპანაძე, გასულიერებისათვის საჭიროა ინტუიციის ინტენსიფიკაცია, ემპატიური სისტემების შემოტანა ურთიერთობებში, ემანსიპაციის მახინჯი ფორმის ფემინიზაციით (ახალი სოციალური როლები) შეცვლა, ინტერ-ტრანს დისციპლინარიზმის, როგორც ახალი პროფესიის შემოღება და ბევრი სხვა რამ, რაც გათვალისწინებული აქვს ახალ მეტაფიზიკურ მეცნიერებას. შეიქმნება ახალი სოციუმი, ახალი ჰოლისტური სოციოლოგიით და ფილოსოფიით, ყველაფერ ამისათვის საერთო ძალისხმევაა აუცილებელი.

1998 წელი

I ნოოსფერული სიმპოზიუმი საქართველოში

ტრანსდისციპლინარიზმი და ახალი ცნობიერების ადამიანი

ირინე კალანდაძე, თინათინ ცქიტიშვილი

ახალი ცნობიერების ადამიანი

ადამიანის პრობლემა ოდინდელია. გაჩენის დღიდან აინტერესებს ადამიანს თავისი როლი და ადგილი კოსმიურ სიცოცხლეში. რას წარმოადგენს ადამიანი, საიდან მოდის, საით მიემართება მისი ევოლუცია, განხორციელდება აღთქმული სრულქმნილება ადამიანისა? ეს კითხვები მუდამჟამ დგას ნუმინოზურ (ოკოლტურსა და რწმენით) სისტემებში, ფილოსოფიასა და მეცნიერებაში.

მრავალი წარმოსახვითი და გონებამჭვრეტული მოძღვრებაა შექმნილი, მაგრამ... ვერ ამოიხსნა ადამიანის ფენომენი, ვერ შეიმეცნა ადამიანმა საკუთარი თავი, ვერ დაიკავა თავისი ადგილი სამყაროში. ვერ მიაღწია ღვთაებრივ სრულყოფილებას, რომელიც ადამიანის ევლოლუციის უმთავრესი მიზანდასულებაა. მოხდა პირიქით: ათასწლეულებში ყოფითობისათვის ადამიანის მიერ გარემოს «მოსათვინიერებლად» განხორციელებულმა ზღვარდაუდებელმა ქცევა-ქმედებებმა თანდათან დათრგუნეს მასში ის სააზროვნო უნარები (ნებელობა, ინტუიცია, სპონტანურობა, რეფლექსურობა, მართლგანსჯა, პასუხისმგებლობა, ხედვა, ანუ უმაღლესი მეტაფიზიკური ინტუიცია), რომელთა წყალობით ხერხდებოდა მიწიერის, პიროვნული კავშირი ზეციურთან. დაკარგა რა უშუალო მიმართება მთლიან, ერთიან სამყაროსთან, რომლის ორგანული ნაწილი თვითონვეა, ადამიანი უფრო დაშორდა სრულქმნილებას, ბუნებრიობას, შემოიფარგლა ოდენ ფიზიკური რეალობით, საკუთარი ეგო და მასთან დაკავშირებული პრაგმატული აზროვნება აღაზევა.

საზრისდაკარგული, ეგოსაისტემებში ჩაკაფსულებული ადამიანი, შესაბამისად მთელი კაცობრიობა, იმდენად მოიცვა ფლობისა და პყრობის ინსტიქტმა, რომ ეკოლოგიურად უაღრესად დააბინძურა, დააჭუჭყიანა სამყარო, როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად.

რელიგიურ სისტემათა ფართო სპექტრი, სოციალურ ფორმაციათა ცვლა, კარტეზიანულ პარადიგმაში ჩაფლული აზრი უძლური აღმოჩნდა შეეჩერებინა კაცობრიობის უგონო სრბოლა. დარღვეულია ხალხთა თანაცხოვრების ელემენტარული წესები. განუსჯეობა, დაუნდობლობა, უსამართლობა, სიძულვილი, ტერორი – ეპოქის მოუცილებელ მახასიათევლებად იქცნენ; პლანეტაზე გლობალური კრიზისი მძვინვარებს; ქართველი ხალხი მთლიანად აღმოჩნდა ჩაბმული ამ უარყოფით პროცესებში.

გამრუდებულია ქართველის ცნობიერება, დაქვეითებულია მისი ადამიანურობის, პიროვნულობის პოტენციალი, დაბნეულია ქართველი ხალხი, ზესახელმწიფოთა თვალთმაქცური პოლიტიკური თამაშებით დაქანცული და იმედმიხდილი.

XX საუკუნის პროგრესული აზრი ჯიუტად ეძიების გამოსავალს... ახალ მეცნიერულ პარადიგმას ნუმინოზური სისტემებიდან, განსაკუთრებით ჩინური ძენ-ბუდიზმიდან, იუდაიზმიდან და ქრისტიანული მოძღვრებიდან ხელახლა ამოაქვს და ავითარებს ფრიად მნიშვნელოვან თვალსაზრისს: არაფერი ეშველება ადამიანს, თუ ძირეულად არ მოხდა გარდატეხა მის აზროვნებაში, თუ არ ჩამოყალიბდა ახალი ცნობიერების ადამიანი, ახალი ცნობიერების კაცობრიობა.

ამ ასპექტში თანამედროვე ანთროპოლოგია საგულისხმო პროგნოზს გვთავაზობს: ადამიანის იმანენტური სამყაროს თანდათანობითი ევოლუცია გარკვეულ ეტაპზე სრულიად ახალი, გამთლიანებული ცნობიერების ადამიანს ჩამოაყალიბებს. ცვლილებები განხორციელდება ცალკეულ ინდივიდთა ცნობიერებაში. ახალი აზროვნების ადამიანები შექმნიან ახალ სოციუმს, ახალ კაცობრიობას, ახალი ცნობიერება მოედება მთელს პლანეტას, გაჩნდება ახალი ქმნადობითი პლასი – ნოოსფერო (გამთლიანებული ცნობიერებით მოცული პლანეტა), რომელთან ერთად იარსებებს ლითოსფერო, ბიოსფერო ისევე, როგორც დღეს ბიოსფეროს გვერდით თანაარსებობს ლითოსფერო.

ადამიანის სამომავლო პერსპექტივის ეს კონცეფცია სათავეს ვ. ვერადსკის შრომებიდან იღებს. მას მრავალი მოაზროვნე იზიარებს და ავითარებს: ტეიარ დე შარდენი, ი. პრიგოჟინი, უ. ჯეიმსი, რ. ბიორკი, რ. ასაჯოლი, დ. უზნაძე, კ. უილბერი, ა. მასლოუ, ვ. ფრანკლი, ვ. ნალიმოვი, ედუარდ დე ბონო, ს. გროფი, დ. ბომი, ვ. ლეფევრი, დ. რადიარი, ფ. კაპრა, ე. ფაიდიში, კ. კასტანედა და სხვ.

ბიოსფეროდან ნოოსფეროს შექმნა თავის საფუძველში ბუნებრივი მოვლენაა და უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე კაცობრიობის ისტორია, – წერს ვ. ვერნადსკი და ამით მიანიშნებს ადამიანის ევოლუციის ამ გზის გარდაუვალობასა და უაღრესად დიდ ღირებულებებზე.

სადღეისოდ გაფართოებული, გამთლიანებული აზროვნების პროცესებს, ნოოსფეროს პრობლემატიკას მსოფლიოში მრავალი ცნობიერებითი სკოლა სწავლობს (იხ. წინამდებარე კრებულის შესავალი წერილი). მათ შორის არის საქართველოს მეცნ. აკადემიის აკად. ლ. კალანდაძის სახლ-მუზეუმში არსებული ადამიანის ინსტიტუტი «ნოოსფერო» (სამეცნიერო ხელმძღვანელი ირინე კალანდაძე). თითოეულ მათგანს კვლევის საკუთარი კარტოგრაფია აქვს.

ვიდრე თბილისის ადამიანის ინსტიტუტის კვლევის შინაარსსა და მეთოდოლოგიაზე ვისაუბრებდეთ, მოკლედ შევეხებით და განვმარტავთ, რას გულისხმობს, რაში მდგომარეობს გამთლიანების არსი და მეცნიერული სიახლის შემცველია თანამედროვე ფილოსოფიური ანთროპოლოგია, კერძოდ, «ახალი მეცნიერული პარადიგმა», რომელიც სრულიად ახალ ჭრილში აყენებს ადამიანისა და სამყაროს შესწავლის პრობლემას.

თანამედროვე მეცნიერებამ დღის წესრიგში ხელახლა დააყენა ანტიკურ ფილოსოფიაში არსებული თვალსაზრისი სამყაროს მთლიანობისა და ერთიანობის თემაზე: სამყაროს ერთი გონითი საწყისი აქვს. სამყარო ერთიანია, მთლიანია, ცოცხალია, სუნთქავს, ევოლუციონირებს, აქვს თავისი რიტმული ვიბრაციების მრავალსახოვანი, შეიძლება ითქვას, უსასრულო სპექტრი, აქვს თავისი სამყაროული კანონზომიერებანი, სამყარო აკაუზალურია.

დ. ბომი სამყაროს მთლიანობის ჰოლოგრაფიულ მოდელს გვთავაზობს, რომლის მიხედვით, მთელმა და მისმა შემადგენელმა ნაწილებმა ყველაფერი იციან ურთიერთზე. განსაკუთრებით მთელი ფლობს სრულ ინფორმაციას თავისი ნაწილების შესახებ. ადამიანი სამყაროს ნაწილია, ამდენად ისიც, ჯერჯერობით ქვეცნობიერად, თავის თავში ატარებს ცოდნას, ინფორმაციას სამყაროული მოვლენების თაობაზე.

ცნობიერება სამყაროს, რეალობის არსებობის ერთ-ერთი ფორმაა. ადამიანის, როგორც სამყაროს ნაწილის, სხეულებრივი არსებობის ერთ-ერთ შესაძლებელ ფორმადაც შეიძლება გახდეს ცნობიერება.

კოსმოსისა და ადამიანის ოდინდელი ერთიანობა-მთლიანობა კანონზომიერად მოითხოვს ადამიანის ბიორითმების თანხმიერებას სამყაროულ რითმებთან, ვიბრაციებთან. ეს ადამიანის არსებობის ბუნებრივი ფორმაა. ადამიანის ბუნებრიობის განმსაზღვრელია.

კოსმოსისა და ადამიანის ბუნებრივი მთლიანობა დაირღვა მაშინ, როდესაც ადამიანი ცერებლაური
სისტემების განვითარების შედეგად გამოეყო და დაუპირისპირდა უნივერსუმს, განუვითარდა დისკრეტული სამგანზომილებიანი აზროვნება და დისჰარმონიაში მოვიდა მრავალგანზომილებიან სივრცესთან. მისი ევოლუცუა ცალმხრივად წარიმართა. თანდათანობით გაუფერმკრთალდა ადამიანს მთლიანი აზროვნება, რომლითაც იგი უნივერსუმთან ერთიანობაში იყო. დისკრეტული აზროვნებაც ზომიერების ფარგლებში სჭირდებოდა ადამიანს ყოფითობისათვის, გადარჩენისათვის, მაგრამ როცა საარსებო საშუალებათა მოპოვება გაუჭირდა, შიშმა შეიპყრო ადამიანი, მომეტებულად ამუშავდა რაციონალური აზრი, რომელიც სამყაროს მთლიანობაში ვერ აღწევს და ანაწევრებს საწყის რეალობას ექსპლიციტური
სამყაროს ცალკეულ ელემენტებად, ანაწევრებს თვითონ ადამიანს, მის იმანენტურ სამყაროს. დიფერნცირების პროცესი ადამიანის ასაკისაა.

პრაგმატულმა აზროვნებამ გადაფარა ირაციონალური აზროვნება და მისი პარამეტრაჟი (ინტუიცია, სპონტანურობა, რეფლექსია, საზრისები, სინდისი), ჩაიკარგა ადამიანი ცრუ საზრისებით ორიენტირებულ სივრცეში, ჩაიკარგა ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა ნიშებში, გაუუცხოვდა საკუთარ თავს, სოციუმს, სამყაროს, არასრულყოფილება მისი მოუცილებელი ნიშანი გახდა.

ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანის ტიპი დასავლური ცივილიზაციის შედეგია. ვერბალურმა აზროვნებამ განსაზღვრა საბოლოოდ ევროპელი ადამიანის მოდელი.

აღმოსავლურმა კულტურამ დისკრეტულ, პრაგმატულ აზროვნებას «პროტესტი» გამოუცხადა. ინდუიზმი, ბუდიზმი ამქვეყნიურ რეალობას ილუზიად თვლის და მთლიანად გადასულია ინტუიციურ, ხედვით აზროვნებაზე. აღმოსავლურ კულტურათა პარადიგმაში ცნობიერება ეფუძნება ირაციონალურ აზრს, ხედვას, ჭვრეტას, რომელიც მედიტაციებით გზას უხსნის ადამიანს ტრანსცენდენციისაკენ, კოსმიური უპიროვნო ცნობიერებისაკენ.

დასავლური ცნობიერება დისკრეტული აზროვნებით შემოიფარგლება და სრულიად მოსწყდა უნივერსუმს. ასე გაიხლიჩა პირველქმნილი ადამიანის მთლიანი ცნობიერება (მიაჩნიათ, რომ ბავშვი ახლაც კი მთლიანი აზროვნებით იბადება, შემდეგ გარემო, ოჯახი, ყოფითობა ანაწევრებს მის ცნობიერებას). ცნობიერების ორივე შემთხვევაში უკმარმცოდნეობასთან გვაქვს საქმე, ვერც ერთი რეალობის სრულ სურათს ვერ იძლევა, განსაკუთრებით ეს ითქმის რაციონალურ ცნობიერებაზე, რომელიც ვერ ახერხებს უნივერსუმის შეცნობას.

შევნიშნავთ, რომ თანამედროვე აღმოსავლური ცნობიერებაც თავის მხრივ გახლეჩილია: 1. შენარჩუნებულია კლასიკური ინტუიციური აღმოსავლური ცნობიერება, 2. აშკარად იკვეთება ლოგიკური პრიმატი ისეთივე უხეში ფორმით, როგორც ეს დასავლურშია. შეიძლება ითქვას, რომ ლოგიკურმა აზროვნებამ მოახდინა ექსპანსია.

აღმოსავლური კულტურა ირაციონალური აზროვნების შედეგია. ამდენად, აზროვნების აღმოსავლური წესიც თავისთავად ცალკე შინაარსისაა.

ხაზგასმით შევნიშნავთ, რომ როდესაც რაციონალურისა და ირაციონალური აზროვნების დასავლურ და აღმოსავლურ ფორმებზე ვლაპარაკობთ, ცხადია, არ

მივიჩნევთ რომ დასავლური ცხოვრების წესი აზროვნებისა მთლიანად გამორიცხავს ირაციონალურს და, პირიქით, აღმოსავლური აზროვნება არ შეიცავ ლოგიკურ აზრს. საკითხის ასე დასმა, ცხადია, შეცდომა იქნებოდა.
აღმოსავლური ცნობიერება გარკვეული დოზით რომ არ მოიცავდეს რაციონალურს, ადამიანი ამქვეყნიურ არსებობას შეწყვეტდა, მის სიცოცხლეს ბოლო მოეღობოდა. აქ საქმე ეხება იმას, რომელი აზრია პრიმატის მდგომარეობაში. თუმცა ამჯერად საკაცობრიო აზრი დასავლური ცნობიერების შინაარსით უფროა შეშფოთებული, რადგან აზროვნების ამ ფორმის ფეტიშიზაციით ადამიანი სამყაროს აღსასრულის შემოქმედი ხდება.

ადამიანმა დაკარგა ბუნებრიობა, დაკარგა თავისი არსებობის ნამდვილი საზრისი, თვითაქტუალიზაციის, თვითრეალიზაციის, შემოქმედებითობის უნარი, დაკარგა სამყაროსთან თანხმიერება.

სიცოცხლის გადარჩენისათვის ზრუნვამ და ფიქრმა აჩვენა, რომ განვლილი გზა ფუჭი მცდელობა იყო და კვლავ წარმოშვა გამთლიანებული აზრის იდეა, რომელიც არსებითად ცნობიერების დასავლური და აღმოსავლური ფორმების თანაზომიერ შერწყმა-განვითარებას გულისხმობს.

უნდა აღდგეს, უნდა გამთლიანდეს ადამიანია უნივერსუმთან, რათა დაიბრუნოს ადამიანურობა, ფეხი აუწყოს კოსმოსს. XX საუკუნის დასაწყისიდან მსოფლიო მეცნიერული აზრი ინტენსიურად იღწვის გამთლიანებული ცნობიერების პრობლემის სათანადოდ გადასაჭრელად. გამთლიანება უნდა შეეხოს ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროს: უნდა გამთლიანდეს თვით ადამიანი, სოციუმი, მეცნიერება, კულტურა.

თითქმის ერთმნიშვნელოვანი აზრი არსებობს იმის თაობაზე, რომ უპირველესად უნდა გამთლიანდეს დანაწევრებულ აზროვნებაზე აგებული მეცნიერება. მეცნიერების ყველა დარგში უნდა შემოვიდეს მეტაფიზიკური პლასტი. ეს ნიშნავს, ყოველი დისციპლინა იმუშავებს რაციონალურთან ერთად – უმაღლესი მეტაფიზიკური ინტუიტიური აზროვნებით. მეტაფიზიკური ინტუიციით, ტრანსცენდენციით უშუალოდ მიიღებს ინფორმაციებს კოსმიური ცნობიერებიდან მისთვის საჭირო ნებისმიერი ამოცანების გადასაჭრელად. მეცნიერების ცალკეულ დარგებში ჩვეულებრივი გახდება გამთლიანებული, ალბათური აზროვნების პრინციპებით კვლევა.

მეტაფიზიკური პლასტის შეტანა ცალკეულ დარგებში და გამთლიანებული აზროვნებით კვლევა ქმნის ახალი შინაარსის მეცნიერებას ახალი მეთოდოლოგიით, რომელსაც ინტერტრანსდსციპლინარიზმი ჰქვია.

ტრანსდისციპლინარიზმი გულისხმობს მეცნიერების, რელიგიისა და ხელოვნების დარგთა გამთლიანებას, ანუ თითოეული სფეროს სიღრმისეული შრეებიდან ისეთი მასალის ამოზიდვას, რომელიც გაგვიყვანს ადამიანისა და სამყაროს სრულიად ახალ ერთიანობაზე. თვით მეცნიერებაში შექმნის კოჰერენტულ (შეთანხმებულ) სივრცეს.

ახალი მეცნიერეული პარადიგმა უწოდა ამ მეცნიერულ ხაზს მისმა მესაძირკვლემ დ. ბომმა. იგი განიხილავს ადამიანს არა მიზეზ-შედეგობრივ, დეტერმინისტულ სივრცეში, არამედ ტრანსტენდენციაში, ინდეტერმინისტურ კატეგორიებში, შესაძლებელს მიღმა. მეცნიერება მეტაფიზიკად კი არ იქცევა, არამედ ივსება და ფართოვდება შინაარსობრივად მისი ფარგლები.

მეტაფიზიკა ახალი მეცნიერული პარადიგმის გაგებით, შეუძლებელზე გასვლაა, ვირტუალური სივრცეა, იგი სხვა არაფერია, თუ არა შევსება იმ სამყაროსი, რომელიც ადამაინის შემეცნებით შემოფარგლული ხედვის წინაშე წარმოდგება.
მეტაფიზიკის შემწეობითYჩვენ უშუალო ურთიერთობაში ვართ და ვერთიანდებით უნივერსუმთან. ვწვდებით ნივთთა თავისთავადობას.
მეტაფიზიკური აზროვნება, მეტაფიზიკური ცოდნა ხორციელდება და ემყარება ირაციონალური აზროვნებიას პარამეტრებს: ინტუიციას, სპონტანურობას, ნებელობას, საზრისს, სინდისს.
ახალი ცნობიერების შინაარსი გაუგებარი იქნება, თუ მოკლედ მაინც არ შევეხეთ თითოეულ ამათგანს:

ინტუიცია ადამიანის შინაგანი უნარია, გამთლიანებული აზროვნების პარამეტრია, რომლის შემწეობით ადამიანი უშუალოდ იღებს ცოდნას, ინფორმაციას კოსმიური ცნობიერებიდან.

ახალი მეცნიერული პარადიგმისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეტაფიზიკური ინტუიცია, რომელიც მთლიანობაში წვდება საგანთა და მოვლენათა ნამდვილ ბუნებას. ეს არის ხედვა, ანუ მოვლენაში შესვლა, მოვლენად ქცევა, ანუ სუბიექტისა და ობიექტის სრული დამთხვევა. მეტაფიზიკური ინტუიცია მრავალგანზომილებიანი, გამთლიანებული ცნობიერების პარამეტრია.

ირაციონალური აზროვნების ზემოთჩამოთვლილი პარამეტრებით ხორციელდება ადამიანის ტრანსცენდენცია – ანუ ადამიანის პიროვნული გარდასახვა. ეს არის გასვლა მისი მკაცრი აზრობრივი კაპსულიზაციის ფარგლებიდან უსაზღვროებაში, ახლოსა თუ შორ კოსმოსში. ტრანსცენდენცია ადამიანის ლოგიკურად სტრუქტურული ცნობიერეის გამოთიშვაა, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა საშუალებებით (ფსიქოტრონული პრეპარატებით, სუნთქვითი რეგულაციით, რელაქსაციებით...–. ეს არის ძიება იმ დაკარგული პიროვნული საწყისი გზისა, რომელიც ადამიანს ამთლიანებას კოსმოსთან, კოსმიურ ცნობიერებასთან. ეს სამკურნალო გზაც არის კაპსულების ჯავშნით დათრგუნული კაცისა, რომელსაც არ შეუძლია გამთლიანდეს სოციუმთან, ადამიანებთან, მსგავსი სიტუაციებიდან თავდახსნის გზა ტყრანსცენდენციებია.

სპონტანურობა ურთულესი ცნებითი კატეგორიაა. იგი ადამიანის შიდა მოძრაობაა, მისი რიტმული ჰარმონიაა სამყაროს მოძრაობასთან, უნარია, იყო სამყაროსთან რეზონანსში. ტრანსპიროვნული საწყისია, პიროვნულისა და ღვთაებრივის (სამყაროულის) ერთიანობაა მათს შემოქმედებით ღიაობაში; ღიაობაა სამყაროს პოტენციურობის მიმართ;უშუალო გასვლაა ინფორმაციულ ველებში (კ. იუნგით, აზრის ველში). სპონტანურობა ეს თვითონ სამყაროა, ადამიანი მიკრო სამყაროა. მ. შ. სპონტანურობა თვითონ ადამიანია. აქედან იღებს სათავეს ადამიანის, როგორც ინდივიდის, განუმეორებლობა.

სპონტანურობა უეცრად გაჩენილი ახალი, შემოქმედებითი აზრია, აკაუზალობის სამყაროში მიმდინარე პროცესების, იმპლიციტურობის გამჟღავნებაა, ნაბიჯის წადგმაა წინ და შესვლა მომავალში, შეხებაა წარსულისა მომავალთან, სპონტანურობა საზრისების მიგნების გზაა.

სპონტანურობა თვით უზენაესი და უპირობო ძალის, ღმერთის, მიუცილებელი ატრიბუტია, თვითონ ღმერთია, რომლის წყალობით ვლინდება სამყაროს სემანტიკა. სპონტანურობის არსის უკეთ გადმოსაცემად ხშირად ამბობენ: წინასწარ თვით ღმერთმაც არაფერი უწყის სპონტანური პროცესების შესახებ.

სპონტანურობა რთულია იმიტომაც, რომ იგი ატარებს თავისთავში დამაკავშირებელს სამყაროეულსა და პიროვნულს შორის. ჯერ კიდევ გნოსტიკოსები მიხვდნენ, რომ რაღაც ღრმა საზრისები შეიძლება იქცნენ ტექსტად და მათმა გახსნამ შეიძლება მოახდინოს ადამიანის ტრანსცენდენცია, რომელიც არა მარტო რთავს ადამინს საზრისების ძიებაში, არამედ აჯანყებს მათ წინააღმდეგ. სპონტანურობა ეს არის გასვლა ნირვანაზე.

მედიტაცია დაბალ საფეხურზე ხსნის წარმოსახვებს, ხელს უწყობს უკონფლიქტობას. მედიტაცია სპონტანურობას უკავშირდება. ეს არის ცნობიერების გათავისუფლება სემანტიკური შებოჭილობისაგან, ეს არის სპონტანურობის გათავისუფლება და გაერთიანება ღვთაებრივ, სამყაროულ ცნობიერებასთან. ახალ აზროვნებაში მედიტაცია იქნება ახალი ადამიანის მოდელის
პოეტური დანამატი.

საზრისს ადამიანის ცნობიერების ტრანსფორმაციისათვის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აქვს, იგი არსებობის აზრის გამოვლენაა, იგი უფრო მეტია, ვიდრე ცნობიერება. საზრისი სამი სახით ვლინდება: 1. საქმის კეთებით, შემოქმედებით, 2. ღირებულებათა განცდა-შეფასებით, 3. დიდი ტანჯვით.

საზრისი ეს უძლიერესი იდეაა, რომელიც შინაარსს აძლევს ადამიანის ისცოცხლეს. იყო ადამიანი, ნიშნავს გქონდეს საზრისი, რომელიც ითხოვს განხორციელებას, ნიშნავს გქონდეს ღირებულებათა სისტემა, რომელიც ითხოვს რეალიზაციას. ადამიანი ცხოვრობს იდეალებითა და ღირებულებებით. საზრისები ცნობიერი ქმედების საშუალებას იძლევიან, გვაკავშირებენ სამყაროს საზრისებთან, ისინი მუდამ განახლებადი უნდა იყვნენ.

არსებობა არა მხოლოდ ინტერნაციონალურია, არამედ ტრანსცენდენციურიც. საზრისის საზრისი ის არის, რომ ის მართავს ჩვენს არსებობას, საზრისის მიგნება ადამინის სიცოცხლის საზრისია.

საზრისი აქვს სამყაროს, სიცოცხლეს, ადამიანს, საზრისები გააჩნია ქცევა-ქმედებას, ყოველ მოვლენას, ისინი კონკრეტულ სიტუაციებში მჟღავნდებიან. თუ ადამიანმა ეს მომენტი ნებსით თუ უნებლიეთ ხელიდან გაუშვა, საზრისი აღარ განმეორდება, რადგან ხელმეორედ აღარ შეიქმნება მოცემული საქმისათვის საჭირო პირობები, სიტუაცია, რომელიც სპონტანურად იქმნება. საზრისებთან დაკავშირებით ორი პირობა არსებობს: საზრისს უნდა მიაგნო და მყისიერად განახორციელო, სხვა შემთხვევაში ადამიანი ცრუ საზრისების ტყვეობაში ექცევა, მისი შრომა ამაოა და ფუჭი. საზრისი განუმეორებელი და ერთია. ნამდვილი ჭეშმარიტი საზრისის ამოცნობა რთულია, სწორედ იგი მოითხოვს გაფართოებულ აზროვნებას. საზრისების გახსნამ შეიძლება ადამიანი ბუნებრივად გაიყვანოს ტრანსცენდენციაში. შემოქმედებითი სპონტანურობა საზრისების ახლებური გაგებისკენაა მიმართული.

გარესამყაროს დაქუცმაცებამ, დარგობრივმა დიფერენციაციამ ადამიანს დაუკარგა უნარი ტრანსცენდენციისა, მიღმიური ხედვისა.

ადამიანური სიმწიფის უმაღლეს დონეზე, როცა რაციონალურ აზრთან ერთად თანმუშაობენ ინტუიტიური აზრის პარამეტრები (ინტუიცია, სპონტანურობა, ნებელობა, საზრისები, სინდისი), ადამიანი ადვილად აგნებს თავისი არსებობის ჭეშმარიტ საზრისებს, ქრება მრავალი დიქოტომია, პოლარულობა, კონფლიქტი, იგი ადვილად ძლევს ეგოისტურ ბარიერებს, აქ პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვითაქტუალიზაციას (გ. მასლოუ).

საზრისის ორგანო სინდისია. ეს უმთავრესი არაცნობიერი უნარია, იგი სამართლიანი განსჯაა, თვითგანსჯა, ბუნებრივი კონპონენტია ადამაინის იმანენტური სამყაროსი.

ადამიანის იმანენტური სამყაროს ყველა პარამეტრი ნებელობას უკავშირდება. ადამიანი თავისუფალია, იპოვოს საზრისი და მოახდინოს მისი რეალიზაცია, ადამიანი თავისუფალია, აირჩიოს და მოიქცეს ისე, როგორც სურს. მაგრამ თავისუფალი ნება პასუხისმგებელია სინდისის წინაშე. ხშირად მიუთითებენ, თავისუფლება უფრო შეზღუდვაა, აკრძალვაა.

მიუთითებენ: თავისუფლება, როგორც ადამიანური ფენომენი, რაღაც ძალიან ადამიანურია. თავისუფლება გულისხმობს ადამიანის უნარს, გამოეყოს თავის თავს. ადამიანი თავისუფალი არ არის პირობებისაგან, მაგრამ ის თავისუფალია დაიკავოს პოზიცია მათ მიმართ.

თავისუფლება საქმის ნაწილია, იყო თავისუფალი ეს მხოლოს ნეგატიური ასპექტია, რომელიც იქცევა პოზიტიურად, თუ პასუხისმგებლობასაც აიღებ საკუთარ თავზე. სხვაგვარად თავისუფლება შეიძლება გადაიზარდოს თვითნებობაში. გონებამახვილურად შენიშნავს ვ. ფრანკლი: მე ვურჩევდი, თავისუფლების ქანდაკება, რომელიც აღმართულია ამერიკის აღნმოსავლეთ ნაწილში, შეივსოს დასავლეთის მხრიდან პასუხისმგებლობის ქანდაკებით.

სამი ეგზისტენციალია განმსაზღვრელი ადამიანისათვის: სულიერება, თავისუფლება, პასუხისმგებლობა. სამივე ერთად უკავშირდება უაღერესად მნიშვნელოვან პარამეტს, სინდისს, რომელიც ადამიანის თვითგანსჯის, მართლგანსჯისა და სამართლიანობის უნარია. სინდისი ორი სახისაა: 1. ონიტური, რომელიც უნარია, არაცნობიერია, იგი უწყვეტად უნდა მუშაობდეს ყოველ ადამიანში, 2. ნოეტური, ონთოლოგიზირებული. იგი ზნეობრივი კატეგორიაა, ცნობიერია, აღმოცენებული სინდისის არაცნობიერი ფენომენიდან.
ვ. ფრანკლის მიხედვით, სინდისი ის უნარია, რომლითაც ადამიანი გამოირჩევა სხვა ცოცხალ ორგანიზმებისაგან.

მოკლედ შევეხოთ რეფლექსიას, როგორც ირაციონალურ განზომილებას. იგი ოდითგან განფენილია რელიგიურ სისტემებში, ფილოსოფიისა და მეცნიერების საგანიცაა. რეფლექსია საკუთარი თავის განხილვაა, კონტროლია, შეფასებაა. იგი ორგვარი გზით ხორციელდება: ცნობიერითა და არაცნობიერით, ანუ ინტროსპექციულად (საკუთარ თავში ჩაღრმავებით, თვითგანსჯით) და ტრანსცენდენციით. ამ უკანასკნელით განხორციელებული რეფლექსია სანდოა, იგი კოსმიური ინფორმაციაა, ღვთაებრივია.

დიალოგი სინდისთან არ არის დიალოგი საკუთარ თავთან, ეს არის დიალოგი სუპერეგოსთან (ზე-მესთან), ამიტომ სინდისი ზეპიროვნულია, საკუთარი ეგოდან ამოსული პიროვნება, თვით ღმერთია ადამიანში.

სისნდისი ეს ტრანსცენდენტური მეა. იყო ადამიანი, ნიშნავს, იყო პასუხისმგებელი სინდისის წინაშე, იყო გაცნობიერებული რეფლექსის უნარის მქონე.

პასუხისმგებლოსბი ცნება გულისხმობს ვალს, მოვალეობებს. ადამიანის მოვალეობა შეიძლება განვიხილოთ საზრისის კატეგორიასთან კონტაქტში. ყოყმანი არ ნიშნავს საზრისის უქონლობას. პასუხისმგებლობა მომდინარეობს ყოველი ინდივიდის არსებობის განუმეორებლობიდან.

ადამიანის იმანენტური სამყაროს პარამეტრები (ინტუიცია, ხედვა, ნებელობა, რეფლექსია, სპონტანურობა და სხვანი) ძველი რელიგიური და ფილოსოფიური სისტემების განსჯის საგანიცაა.

მაგარმა ახალმა მეცნიერებამ, რომელიც თავისი შინაარსით მეტაფიზიკის მოდელიცაა, ისინი ადამიანის ცნობიერების გამამთლიანებელ, წამყვან კომპონენტებად აქცია, რომლებიც თანხმიერად მუშაობენ და ავლენენ ადამიანს, რომელიც თანამედროვე გაგებით, ტექსტია, უფრო სწორად, ტექსტების მრავალფეროვნებაა, რომლის გრამატიკასა და სემანტიკას ჩვენ უნდა ჩავსწვდეთ გაფართოებლი ცნობიერებით, რათა ახლებულად გავაშუქოთ შემდეგი პრობლემები: პიროვნება, ენა და ლოგიკა, შემოქმედება და ევოლუცია, სპონტანურობა და სხვ. საზრისების გამჟღავნება სპონტანუროდ ხდება.

ყოველი ადამიანი უნიკალურია სწორედ იმიტომ, რომ ყოველ მათგანში განსხვავებული ნებელობითა და პასუხისმგებლობით ხორციელდება საზრისების გამჟღავნება, რომელიც სპონტანურად მიმდინარე, პერმამენტული, შეუქცევადი პროცესია. სწორედ ამის გამოა ადამიანის იმანენტური სამყაროს ინოვაციური ბუნება მოუხელთებელი მეცნიერებისათვის. ახალი ცნობიერების შინაარსი გაუგებარი იქნება, თუ საგანგებოდ არ გავეცნობით რეფლექსიას, საზრისს. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ადამიანის საზრისის მიგნებისა და მისი რეალიზაციის გზები, რაზეც დიდადაა დამოკიდებული ღირებულებათა სისტემა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალ აზროვნებაში მეტაფიზიკურ კატეგორიებს (ინტუიცია, ხედვა, სპონტანურობა), რაც გულისხმობს მოვლენაში სიღრმისეულ შეღწევას, ანუ, როგორც ჩვეულებრივ უწოდებენ, მოვლენად ქცევას. ამგვარი აზროვნება კარგახანია მუშაობს ძველ რელიგიურ სისტემებში (ინდუიზმი, ბუდიზმი, ძენ-ბუდიზმი, ქრისტიანობა).

მაგრამ რწმენით სფეროებში ყველაფერი აბსტრაჰირებულია და ირეალურ სივრცეში რჩება. ახალ აზროვნებაში კი ეს უნარები ამოიზიდება, როგორც მთლიანობის სუბერთეულები, რომლებიც ახორციელებენ ბუნებრივ პროცესებს. შედეგად ვღებულობთ გაფართოებულ ცნობიერებას, ძველი ხელოვნებისა და რელიგიების ინტუიტიური და ხედვითი უნარები ადამიანის ახალ ევოლუციურ თეორიაში იმპლიციტურად იგულისხმება.

ყველა ზემოგანხილული პარამეტრი ადამიანის იმანენტურ სამყაროში შეიძლება სათანადოდ ამუშავდეს იმ შემთხვევაში, თუ ადამიანები გადავლენ ერთიანი აზროვნების პრინციპებზე: თუ ადამიანში განსაკუთრებული ინტენსივობით ამუშავდება ინტუიტიური და ხედვითი აზროვნება, რასაც ბუნებრივად მოჰყვება ადამიანის ამოსვლა ეგოსისტემიდან. ასეთი ადამიანები ადვილად მოახერხებენ თვითრეალიზაციას, გამოავლენენ თვითებას, რომლითაც ყოველი ადამიანი უნიკალური და განუმეორებელია. ეგოდან ამოსული ადამიანი ადვილად მიხვდება, რომ მისი ცხოვრების საზრისი, მისი ადამიანური არსი მდგომარეობს არა სიმდიდრისა და ქონების დაუოკებელ ზღვარგადასულ დაგროვებაში, არამედ შემოქმედებითობაში, ახლის ქმნაში, ახალ აზროვნებაში, სპონტანურობაში, ვიდრე ბუნებრივად განხორციელდება ახალი ცნობიერების ფორმირება, სასურველია და, ვფიქრობთ, აუცილებელიც, აზრის დონეზე შევეჩვიოთ ხედვას. თუნდაც დავეუფლოთ ხედვას, მოვლენაში წვდომას, ინტუიტიურ აზროვნებას, რაც მეცნიერულისა და რელიგიური ცოდნების გამთლიანებით, აქტიური შემოქმედებითი შრომით, თავისუფალი ნებით, პასუხისმგებლობით, თვითრეალიზაციით მოგვცემს საშუალებას «მეს» ტრანსცენდენციისა და ამ გზით სამყაროსა და საკუთარ თავზე ცოდნას მოვიპოვებთ არა როგორც გარეგანი დამკვირვებლები (მეცნიერული ხაზი), არამედ როგორც მოვლენაში მყოფი შიდა დამკვირვებლები (მეტაფიზიკური ხაზი).

ჩვენ ზემოთ მივუთითეთ, რომ ცვლილებები უნდა განხორციელდეს ცალკეულ ინდივიდთა ცნობიერებაში, მაგრამ საქმეს მაინც არ ეშველება, თუ ახალი აზროვნება არ მოედო მთელ პლანეტას.

ისმის კითხვა: რა გზით, რა საშუალებით მოვახერხოთ და დავაჩქაროთ ირაციონალური პარამეტრების ამუშავება პლანეტარული მასშტაბით, რომლებიც ბუნებრივად ოდესაღაც მაინც ამუშავდებიან. იმის თაობაზე, თუ რამ გამოიწვია ამ პარამეტრთა დაჩლუნგება, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ; ითქვა, რომ ისინი კოსმიური ცნობიერების კუთვნილებაა და იქიდან წამოჰყვა ადამიანს და, რაც მთავარია, ადამიანის იმანენტური სამყაროს ამ უნარების ამოზიდვა და გააქტიურობა დიდ სარგებლობას მოუტანს კაცობრიობას.

ახალი ცნობიერების გავრცელება უნდა მოხდეს პლანეტარულ განზომილებებში. მაშინ შეიქმნება სწორედ ახალი ნოოსფერული პლასტი დედამიწაზე.

სხვა მიკრო განზომილებებში ყოველ დროს, ყოველ ეპოქას მუდამ დაუმგზავრებდა ხოლმე ღმერთი გამთლიანებული ცნობიერების ადამიანებს, რომლებიც ინტუიტური აზროვნების პარამეტრებით გადიოდნენ კოსმიურ, ღვთაებრივ ცნობიერებაზე და იღებდნენ იმ მზამზარეულ ცოდნას, რომელსაც ინახავს ტრანსფიზიკური სამყაროს ინფორმაციული შრეები.

ასეთი გამთლიანებული აზროვნების ადამიანებს ღვთისგან მოვლინებულს უწოდებდნენ (მხედველნი, წინასწარმეტყველები, მოციქულები, დიდხელოვანნი, შემოქმედები). ესენი იყვნენ შუამავალნი ცასა და დედამიწას შუა. ასეთ პიროვნებებს ზოთერმიზმში პასიონერი, ან ემისარი ჰქვია, რომელიც უშუალო კავშირშია ტრანსფიზიკურ უხილავ სამყაროსთან (შდრ.: «მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა»).

სამყაროს აგებულება – სტრუქტურა, მისი ევოლუცია დამიანთან მიმართებაში განიხილებოდა მუდამ. ძველ კულტურებში, ძველ ცივილიზაციებში დაგროვილი სულიერი გამოცდილების ნიადაგზე ერთმნიშვნელოვნად მიღებულია, რომ ადამიანს და საერთოდ ამქვეყნიურ რეალობას მართავენ ფარული ძალები, რომლებთანაც ადამიანის უშუალო კავშირი ხორციელდება ინტუიტური გზით.

ჰარმონიული მიმართება ღვთაებრივ სამყაროსთან და ნამდვილი სასიცოცხლო საზრისების მიგნება გააზომიერებს ადამიანს, თანხმიერს ხდის მის სულიერსა და ნივთიერ ინტერესებს. ზემოთ ისიც აღინიშნა, რომ ახალი მეტაფიზიკური მეცნიერება ტრანსდისციპლინარულ დონეზე ერთიან კოჰერენტულ სივრცეში იხილავს ადამიანისა და სამყაროს პრობლემას.

ახალმა მეცნიერებამ კიდევ ერთი საგულისხმო სამუშაო დებულება წამოაყენა, უფრო სწორად, ძველი პრობლემა განაახლა: სამყარო მთლიანია, ადამიანი სამყაროს ნაწილია, სამყარო ნაწილებისაგან შემდგარი ერთი მთლიანობაა (სამყარო ჰოლოგრამაა), რომელსაც ერთი სულიერი გონითი საწყისი აქვს. რაც მთავარია, ნაწილები ურთიერთისაგან იზოლირებულნი არ არიან. მაშასადამე, ჭეშმარიტება, სინამდვილე ერთია და, ცხადია, მის შესახებ ცოდნაც ერთი შინაარსის უნდა იყოს. სამყაროს წვდომა, მისი შესწავლა-განხილვა დასაბამიდან დღემდე სულ სხვადასხვა გზებითაა ნაცადი. სხვადასხვა ოკულტურ რწმენით, ფილოსოფიურ და მეცნიერულ სისტემებში არსებიტად ერთი შინაარსის, ერთმნიშვნელოვანი ცოდნები დევს, ოღონდ საკუთრივ ამ სისტემათა ენაზე დაწერილი და გადმოცემული. ახალი მეცნიერული პარადიგმა ახალი მეთოდოლოგიით ახდენს სხვადასხვა გზით მოპოვებული მონაცემების ურთიერთშეჯერება-შეჯამებას და ყველაფერი ეს გადმოაქვს ახალი აზროვნების ენაზე.

ახალი ფიზიკის აღმოჩენებმა, განსაკუთრებით ფარდობითობის თეორიამ და კვანტურმა ფიზიკამ, ახლებურად დააყენა მატერიალურისა და სულიერის (არამატერიალურის) ურთიერთმიმართების საკითხი.
გაირკვა, რომ სამყაროს საფუძველი არამატერიალურია, სამყარო არამატერიალური ენერგიის გამკვრივების სედეგია. დევისი წერს: თანამედროვე ფიზიკამ უკეთ დაასაბუთა ის თვალსაზრისი, რომ სამყარო ეფუძნება გონით, სულიერ საწყისს, ვიდრე ეს იუდაიზმშია მოცემული.
ბიბლიური სამყაროული ქმნადობა ქაოტიური მატერიის მოწესრიგებას გულისხმობს. კვანტური ფიზიკა უფრო შორს წავიდა, არამატერიალურ საწყისს მიადგა და ამით სრულ თანხმობაში მოვიდა ქრისტიანული მოძღვრების თვალთახედვასთან. «პირველიდგან იყო სიტყუა, სიტყუა? იგი იყო ღმრთისა თანა, სიტყუა? იგი იყო ღმერთი» (იოვ. 1, 1-3).

ახალი მეტაფიზიკური მეცნიერება აცხადებს: არსებობენ პარალელური სამყაროები; ცნობიერება სამყაროს, რეალობის არსებობის ფორმაა. თვითშემცნობი რელობა იგივე ინფორმაციული ველებია, საიდანაც მოედინება ინფორმაციები. მეტაფიზიკური მეცნიერება იყენებს უძველეს ეზოთერულ სიბრძეს სამყაროს, როგორც ნაწილების შემცველი მთელის თაობაზე. ძირითადად გამოყოფილია სამი შემადგენელი ნაწილი: ფიზიკური, ტრანსფიზიკური, ღვთაებრივი, ანუ იგივე კოსმიური გონი.

ტრანსდისციპლინარიზმის მონაცემთა განზოგადებით ვარაუდობენ, რომ გამთლიანებული აზროვნების ადამიანი მეტაფიზიკური ინტუიციით უკავშირდება ტრანსფიზიკურ, ანუ უხილავ სამყაროს, რომელიც თავის მხრივ, ინფორმაციას იღებს უმაღლეს ინფორმაციული სივრციდან, იგივე ღვთაებრივი ველიდან.

ეზოთერიზმის უხილავი სამყარო, ქრისტიანული მოძღვრებით, ანგელოზების საბრძანისია. ანგელოზები ამცნებენ ადამიანებს იმას, რასაც ისინი ღმერთისგან (ახალი ტერმინოლოგიით, ინფორმაციული ველებიდან) იღებენ.

შევეცადეთ ნაწილობრივ მაინც წარმოგვეჩინა ახალი მეცნიერული პარადიგმის სივრცეში განფენილ პრობლემათა მასშტაბები.

ამგვარ შესწავლასა და კვლევას ოდენ მეცნიერული ინტერესი არ ახლავს. სადღეისოდ ეს პრობლემები ყოველი ქვეყნის მოაზროვნათა მიერ პირველ რიგში წამოწეული პრაქტიკული თვალთახედვით: დაუბრუნოს ადამიანს ადამიანურობა, დაუბრუნოს კაცობრიობას სულიერება, აღადგინოს გაყვეტილი კავშირი სულიერ სამყაროსთან, რათა გადაარჩინოს სიცოცხლე დედამიწაზე, გადაარჩინოს სამყარო, რომლის ნგრევისა და მოშთობის პროცესი, როგორც მიუთითებენ, 4000 წლის წინ დაიწყო (ხ. ორტეგა, რ. შტაინერი).

4000 წელია ადამიანის დანაწევრებული აზროვნება, დანაწევრებული ცოდნითი სისტემები ცდილობენ, შეაჩერონე ეს პროცესები. ვერ შესძლო ეს ვერცერთმა რელიგირმა სისტემამ, ვერც ფილოსოფიურმა და მეცნიერულმა აზრმა. ვერ შესძლო ადამიანური რეალობის მთლიანობად კრისტალიზება საყოველთაოდ ცნობილმა მათმა მცნებამ, რომელიც იუდაიზმიდან გადმოიტანა და გაიზიარა ქრისტიანულმა მოძღვრებამ (გაირკვა, რომ 10 მცნება იუდაიზმზე ადრე არსებული შუამდინარული ცივილიზაციის კუთვნილება ყოფილა).

ამგვარად, ახალი ცნობიერება გარდაუვლად გულისხმობს ინტუიტიური აზროვნების გააქტიურებას, ადამიანის გასვლას ტრანსცენდენციაში. ეს უკანასკნელი გარდასახვის გზაა, რომელიც აკავშირებს ადამიანს თავისი სულიერების წყაროსთან – ღვთაებრივ სამყაროსთან, კოსმიურ გონთან.

ახალი ცნობიერება ინტუიტიური უნარების გააქტიურებით, განცდა-ემოციების, მთელი სხეულებრივი სააზროვნო პოტენციალის ამოქმედებით სხვა ტრაექტორიით წარმართავს დისკრეტულ აზროვნებას. ადვილად ახერხებს პრაგმატულ კულტურაში არსებული გადაძაბვის გადალახვას.

უჩნდება უნარი, თავის სემანტიკურ ქოლგაში თავი მოუყაროს ადამიანთა მრავალფეროვნებას. ქრება გაუცხოება, რომელსაც ბადებს ერთ აზრობრივ თავშესაფარში შეუთავსებლობა და, რომელიც თავისთავად აპოკალიფსური ჟღერადობის განგაშია, ინტუიციის გააქტიურება გასვლაა აზრობრივი ჩაკეტილობიდან უსაზღვროებაში, ახლოსა თუ შორ კოსმოსში.

იმისათვის, რომ ჰარმონიულად ამუშავდეს ინტუიტიური აზროვნება, საჭიროა ელემენტარული გზების ძიება, საჭიროა, შევიტანოთ სოციუმში, საზოგადოებაში ახალი მეცნიერული აზროვნების მიღწევები. საჭიროა გაიაზრონ ადამიანებმა გამთლიანებული აზროვნების თეორია. საჭიროა საგანგებო სავარჯიშოების დამუშავება და სასკოლო სისტემაში დანერგვა, რომლებიც მიმართული იქნებიან მოზარდთა ინტუიციების გამახვილებისაკენ.

თბილისის ადამიანის ინსტიტუტში მიმდინარეობს პრობლემის როგორც თეორიული დამუშავება, ისე პრაქტიკული გზების ძიება.

ამჯერად ვისაუბრებთ სიახლეებზე, რომლებიც ამ ერთი ათეული წლის განმავლობაში დაგროვდა თბილისის ადამიანის ინსტიტუტში, სადაც კარგა ხანია მუშაობენ ინტერ-და ტრანსდისციპლინარული მეთოდოლოგიით. საინტერესო სიახლეები იკვეთება დღეისათვის ინსტიტუტის სამეცნიერო პრობლემატიკაში:

1. ანთროპოგენური ნოოსფერო (ი. კალანდაძე);
2. ადამიანის ცნობიერების იერარქიული მოდელი (ი. კალანდაძე);
3. გენურ ტრადიციულ სისტემაზე აგებული ადამიანის ბიო-ფსიქო-სოციო-ფილოსოფიური მოდელი (ფიზიკური გენი, ფსიქოგენი, ნოოგენი, გამთლიანებული აზროვნების გენი) (ი. კალანდაძე);
4. გამთლიანებული ცნობიერების მოდელი (თ. ცქიტიშვილი);
5. ახალი ცნობიერების ადამიანი და ჰერმენევტიკა (თ. ცქიტიშვილი);
6. ენა და გამთლიანებული აზროვნება (ბ. ქობალავა);
7. ახალი აზროვნება და ჰუმანიზაციის საკითხები ეკონომიკაში (თ. ჭიაბრიშვილი);
8. ვირტუალური ფილოსოფია (რ. რაზმაძე);
9. მუსიკალური ნოოსფეროს საკითხები (ნ. ანდღულაძე);
10. გამთლიანებული აზროვნება და ბგერითი ეკოლოგიის პრობლემატიკა (ნ. მამისაშვილი);
11. ახალი ფიზიკის პრობლემატიკა (რ. ბურძგლა, ა. მელნიკოვი);
12. ინტუიტიური აზროვნება პედაგოგიკაში (ც. ლოლაძე);
13. მომავლის მედიცინის კონცეფცია (ა. კაპანაძე).

ჩამოთვლილთაგან თითოეულ მათგანზე მოკლე ინფორმაციას მიიღებს მკითხველი წინამდებარე კრებულში მოთავსებული სტატიებიდან.

ყურადღებას გავამახვილებთ ანთროპოგენური ნოოსფეროს თეორიაზე, რომელიც ინსტიტუტის კვლევის ცენტრალური პრობლემაა.

ანთროპოგენური ნოოსფეროს ცნობიერება, ნოოგენის აქტივიზაციით გამთლიანებული, დროებით დახურული სისტემებიდან გადის ღია სისტემაში, ტრანსცენდენციის საშუალებით ხდება ინტროსპექციის პერსპექტივაში გატანა. აქ შესაძლებელია ჯერ დაბალი სიმძლავრეების ინტუიციები, რომლებსაც თანდათანობით გავყავართ მაღალი სულიერების შრეებში.

გამთლიანებული აზრი გავრცელდება მთელს პლანეტაზე; ეს ნიშნავს: აშენდება ანთროპოგენური ნოოსფერო, რომლის დირიჟორი, ადამიანი, გამთლიანებული აზროვნების პარამეტრებით შეაღწევს უნივერსუმში, შედგება დიალოგი ადამიანსა და კოსმოსს შორის, რაც ნიშნავს იმას, რომ ადგილი ექმენა არამარტო გარემოს ზემოქმედებას ადამიანზე, არამედ ადამიანის უკუქმედებას გარემოზე. სწორედ ამ პროცესს გულისხმობს დიალოგი ადამიანსა და სამყაროს შორის, ეს იქნება ადამიანის გასვლა თავისი თავიდან და მისი ტრანსცენდენცია სამყაროში, რომელიც ავტორის თვალსაზრისით, ტრანსფიზიკური სამყაროა, კერძოდ, უხილავი სამყაროა. სადაც იგულვება: კ. იუნგის კოლექტიური არაცნობიერი, რეინკარნაციული გარდასახვები, ეგრეგორები, კარმული ჰოლოგრამები და სხვ. ჩვენი აზრით, ცნობიერებითი გასვლა უნდა განხორციელდეს არა ფსიქოტრონული საშუალებებით, არამედ გამთლიანებული ალბათური აზროვნებით.

ანთროპული წარმომავლობის ნოოსფერული სტრუქტურის სამომავლო სურათი წინასწარ შეიძლება წარმოვიდგინოთ და გამოვკვეთოთ. ნოოსფეროს საბოლოო ფორმი, ე.წ. ომეგა ნოოსფეროს, მოდელი კი ჯერ არავინ იცის, როგორი იქნება.

საყურადღებო თვალთახედვაა გატარებული ინსტიტუტში შემუშავებულ ცნობიერებითი იერარქიის მოდელში, რომელიც სქემატურად ასე გამოისახება:

როგორც სქემიდან ჩანს, ცნობიერებითი იერარქიის ქვედა, საწყისი საფეხურია ცნობიერებითი სარდაფები, სადაც სენსორული გზებით, შეგრძნებებით იწყება აღქმა. შემდეგი საფეხურია ირაციონალური აზრი და მასთან დაკავშირებული შინაგანი უნარები (ნებელობა, ინტუიცია, სპონტანურობა, რეფლექსია, სინდისი...). ზედა შრე რედუცირებული აზრის ზონაა.

ირაციონალური და რაციონალური აზროვნება ერთად ქმნის ადამიანის იმანენტურ სამყაროს, რომელიც ბიოსფეროში დიქოტომურია.

ნოოსფეროს შემთხვევაში ხდება რაციონალური და ირაციონალური აზრის გამთლიანება, რაც ნიშნავს, რომ შედგება მათი სინქრონული თანამუშაობა. კვლავ ორგანულად ერწყმის ერთმანეთს, ანუ უბრუნდება თავის პირვანდელ ნატიურ მდგომარეობას ინტუიტიური და დისკრეტული აზროვენება. გამთლიანებული ადამიანი გააღწევს ეგოსისტემებიდან. მიაგნებს ნამდვილ საზრისებს. გაუქმდება ზნეობრივი, ანუ ეთიკური კატეგორიები.

ტრანსცენდენციაში, პიროვნული მიღმა, შეისწავლება ადამიანის ფსიქიკური სამყარო. ასეთი დარგი უკვე შექმნილია ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიის სახით.

ირინე კალანდაძის ცნობიერებითი იერარქიის სქემამ განსაზღვრა და ჩამოაყალიბა გამთლიანებული ცნობიერების მოდელი (თ. ცქიტიშვილი), რომლის ნაწილები იერარქიულად არარ არიან ურთიერთთან დაკავშირებული.

გამთლიანებული ცნობიერება

სხეულებრიობა
განცდა-ემოციები

ცნობიერებითი სარდაფები

აზროვნების წინარე შრე (ინტუიციები, ნებელობა, სპონტანურობა, საზრისები) ლოგიკის შრე

როგორც სქემიდან ჩანს, ჩვენ ერთ სიბრტყეზე გამოვსახეთ ადამიანის გამთლიანებული, გაფართოებული ცნობიერების შრეები: სხეულებრიობა, განცდა-ემოციები, ირაციონალური, ანუ აზროვნების წინარე შრე, რაციონალური აზრი, რითაც მივანიშნეთ ჩვენს თვალსაზრისზე: ადამიანის გაფართოებულ ცნობიერებას ქმნის ყველა ზემოჩამოთვლილი ფსიქოსომატური თუ აზრობრივი პარამეტრი, მათი ერთდროული თანამუშაობა, რომლის არსი მოკლედ ასე შეიძლება გადმოიცეს: გამთლიანებული ცნობიერება ადამიანის არსებობის ფორმაა.

ცნობიერების ამგვარი ინტერპრეტაციისას ვემყარებით მეოცე საუკუნის მეტაფიზიკურ მეცნიერებაში მტკიცედ ფეხმოკიდებულ შეხედულებას: სამყარო, რელოაბა, ადამიანი ერთი მთლიანია, ერთიანია, დაუსაზღვრავია, ყოველგვარი საზღვრის დაყოფა-დანაწევრების გარეშე არსებული ერთიანობაა, ყველა დონის დაყოფა-დანაწევრება სინკრეტული აზროვნების შედეგია (შდრ.: კენ უილბერის წიგნი «არავითარი საზღვრები», სადაც იგი წერს: ბიოლოგიის თვალსაზრისით, რარა გვაქვს არავითარი საფუძველი, რადიკალურად გავთიშოთ ერთმანეთისაგან გონება და სხეული, ფსიქიკა და სომატურობა, ეგო და სხეული; ფსიქოლოგიურ დონეზე ასეთი დაქუცმაცება დამანგრეველია.

გონებისა და სხეული დაპირსპირება დასავლური ცივილიზაციის არსებითი მახასიათებელია (ცნობილია, პლოტინს როგორი განცდა ჰქონდა საკუთარი სხეულის გამო. წმინდა ფრანცისკო კი თავის სხეულს საცოდავ ვირს უწოდებდა).

ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგი უილიამ ჯეიმსი ადამიანის ყოველდღიურ დისკრეტულ ცნობიერებას ხატოვნად უდარებს პატარა კუნძულს, რომელსაც გარშემო აკრავს ჩვეულებრივი ადამიანისათვის შეუმჩნეველი და მიუწვდომელი ცნობიერების უსასრულო სპექტრი, რომელიც ქმნის მთლიანობას, გადადის კოსმიურ ცნობიერებაში, აღმოსავლური მისტიური სისტემები, ჩინური ფილოსოფია დასაბამშივე ამ აზრის მატარებელია.

ცნობიერებითი შრეები თანამუშაობის სიბრტყისებური სქემა, ვფიქრობთ, ნათლად აჩვენებს ადამიანის ცნობიერებითი ნაკადების იმ ჰარმონიულ მთლიანობას, რომელიც ასახულია სულიერ გამოცდილებაში.

უ. ჯეიმსი, კ. უილბერი, ფ. კაპრა და სხვანი დამაჯერებლად გვიყვებიან იმ სულიერ გამოცდილებაზე, რაც მათ მიიღეს ნათელხილვისას შინაგანი ხედვით: ვიხილეთ მოლეკულები და ატომები, რომელთაგან შედგება სამყარო, და ჩვენ არ ვიცოდით, მატერიალურნი იყვნენ ისინი, თუ სულიერნი.

სამყაროების რიტმული ძრაობისას ისინი გარდაისახებიან ერთი მდგომარეობიდან მეორეში ისე, თითქოს ყველაფერი ერთმანეთში იყო, ერთმანეთს ერწყმოდა, ერთ ჰარმონიულ მთელს ქმნიდა.

საგულისხმოა, რომ თანამედროვე ფიზიკა უხვად იძლევა მასალას მსგავს მეტაფიზიკურ თუ სულიერ გამოცდილებათა ექსპერიმენტული მტკიცებისათვის (ფ. კაპრა, კ. ფაიდიში, ვ. დევისი...).

ვფიქრობთ, ინდუიზმის ჩაკრათა სისტემა აზუსტებს ინტუიტური აზროვნების შინაარსს. ჩაკრები არიან ადამიანის დამაკავშირებელი კოსმიურ ცნობიერებასთან. სამწუხაროდ, დღევანდელ პირობებში ჩაკრები დაჭუჭყიანებულია და გამტარიანობა მათი დაბალია, როს გამოც ადამიანი სულიერად ყრუა სამყაროს მიმართ.

ადამიანის სამყაროსთან თანხმიერებასი მოსვლა უდავოდ გულისხმობს ადამიანის შინაგანი რიტმების ვიბრაციების (ემოციების) სამყაროულ რიტმულ

კანონზომიერებაში წვდომას. როცა შეერწყმის და გამთლიანდება ადამიანი სამყაროსთან, მაშინ განხორციელდება სუბიექტისა და ობიექტის სრული დამთხვევა.

იმისათვის, რომ განხორციელდეს გამთლიანება.
უპირველეს ყოვლისა, ადამიანი შინაგანად უნდა განიწმინდოს თავაწყვეტილი ეგოისტური სურვილებისაგან. ეს სხვადასხვა გზით შეიძლება განხორციელდეს (მედიტაციებით, ხელდასმით, ანუ ღვთაებრივ ნათელთან ზიარებით, ლოცვებით, გალუცინოგენური, ფსიქოტრონული საშუალებებით.
ასეთ ვითარებაში ხორციელდება რეალობიდან გაყვანა ადამიანისა და ა. შ.). ყყველა ეს პარამეტრი ადამიანის იმანენტურ სამყაროში შეიძლება სათანადოდ ამუშავდეს იმ შემთხვევაში, თუ ადამიანები გადავლენ ერტიანი აზროვნების პრინციპებზე, თუ ადამიანში განსაკუთრებით ამუშავდება ინტუიტური და ხედვითი აზროვნება, რასაც ბუნებრივად მოჰყვება ადამიანის ამოსვლა ეგოსისტემიდან. ასეთი ადამიანები ადვილად მოახერხებენ თვითრეალიზაციას, გამოავლენენ თვითნებას, რომლითაც ყოველი ადამიანი უნიკალური და განუმეორებელია. ეგოდან ამოსული ადამიანი მიხვდება, რომ მისი ცხოვრების საზრისი, მისი ადამიანური არსი მდგომარეობს არა სიმდიდრისა და ქონების დაუოკებელ, ზღვარგადასულ დაგროვებაში, არამედ შემოქმედებაში. ვიდრე ბუნებრივად განხორციელდება ახალი ცნობიერების ფორმირება, სასურველია და, ვფიქრობთ, აუცილებელი, აზრის დონეზე შევეჩვიოთ ინტუიტურ აზროვნებას, რაც აქტიური შემოქმედებითი შრომით, თავისუფალი ნებით, პასუხისმგებლობით, თვითრეალიზაციით მოგვცემს საშუალებას «მეს» ტრანსცენდენციისას და ამ გზით სამყაროსა და საკუთარ თავზე ცოდნას მოვიპოვებთ არა როგორც მხოლოდ გარეგანი დამკვირვებლები (მეცნიერული ხაზი), არამედ, როგორც შიდა დამკვირვებლები (მეტაფიზიკური ზახი).

ჩვენ ზემოთ, მართალია, მივუთითეთ რომ ცნობიერებაში ცვლილებები უნდა განხორციელდეს ცალკეულ ინდივიდებში, მაგრამ საქმეს მაინც არ ეშველება, თუ ახალი აზროვნება არ მოედება მთელს პლანეტას. ამ თვალსაზრისს საუკეთესოდ გამოხატავს ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ფილოსოფოსისა და ასტროლოგის დეინ რადიარის მიერ ჩვენი საუკუნის 80-იან წლებში შექმნილი ნაშრომი, რომლის სათაურიც კი მიანიშნებს წიგნის დედააზრზე: «ცნობიერების პლანეტარიზაცია», იქვე ქვესათაურია «ინდივიდუალურიდან მთლიანისაკენ».

საგულისხმოა, რომ ახალი აზროვნების თეორია კერძოდ, ცნობიერების გამთლიანების პრობლემა საგანგებო მსჯელობის საგანია დ. უზნაძის ფილოსოფიურ ნაშრომებში. ჩვენი სახელოვანი წინაპარი თითქოს ამ ახალი მოძღვრების ერთ-ერთი მესაფუძვლეც გამოდის, ძალზე ორიგინალურად სვამს პრობლემას მკვლევარი: «გაერთიანება-გამთლიანება ჯერ ცხოვრებაში, შემდეგ კი მეცნიერებაში უნდა მოხდეს, უნდა შედგეს სინთეზი პოზიტიური მეცნიერების, თეოლოგიისა და ხელოვნებისა. ამის აღსადგენად საჭიროა მთლიანი აზროვნების მოქმედება და არა მხოლოდ მეცნიერება, ან მხოლოდ ფილოსოფია და თეოლოგია – «ჭეშმარიტება მხოლოდ მაშინ იქნება ადამიანის ხელში, როდესაც ეს სამი მხარე ადამიანის აზროვნების მოქმედებისა ერთად შეკავშირდება და როდესაც მათ შორის სოლიდარული დამოკიდებულება განხორციელდება». თითქმის მთლიანად მისდევს დ. უზნაძის ამ თვალსაზრისს დეინ რადიარის მსჯელობა: უნდა გაერთიანდეს, უნდა გამთლიანდეს ადამიანის აზროვნება (რელიგიური, მეცნიერული, ხელოვნებითი), ოღონდ დ. რადიარი უფრო ვრცლად ავითარებს თავის თვალსაზრისს: «თუ ახალი ადამიანების არ გადალახავენ ეგოცენტრულ ინდივიდუალიზმს, ასე განდიდებულსა და ხორცშესხმულს ჩვენი საზოგადოების მიერ, და არ

ისწავლიან, შეიგრძნონ და იცხოვრონ სოლიდარობისა
და ურთიერთმომსახურეობის კატეგორიებით, მაშინ
ჩვენ გვემუქრება წარღვნა». დ. რადიარი დიდ იმედებს
ამყარებს, ამ თვალსაზრისით გონებაგახსნილ და
ადვილადშემთვისებელ ნიჭიერ ადამიანებზე,
რომლებიც ადვილად მოახერხებენ ლოგიკურ
აზროვნებასთან ერთად გააქტიურონ ინტუიტური
აზროვნება, რითაც ისინი დაემსგავსებიან და
შეუერთდებიან «შემოქმედებითი პიროვნებების
კომპანიას, რომლებიც ცნობიერად, თუ ქვეცნობიერად
თავისუფალი ნებით, სემართებით, ინტენსიურად, სიყვარულითა და განწყობით შრომობენ, იღვწიან ახალი ტიპის ცნობიერებისა და ახალი კაცობრიობის შექმნისათვის».

ახალი ცნობიერების ადამიანის ფორმირებისას, აუცილებელია ცვლილებები ცნობიერებაში, რაც გულისხმობს ადამიანის პოტენციურობის ამოზიდვასა და დამთხვვას სამყაროს პოტენციურბასთან. საჭიროა ხედვის საზღვრების გაფართოება. იმას, რასაც დღეს ვერ ხედავს ადამიანი თავისი ვიწრო, რაციონალური აზროვნებით, ხვალ უნდა დაინახოს ხედვით, ე. ი. უნდა გააქტიურდეს ადამიანისა და კოსმოსის ურთიერთობის ბუნებრივი მხარე. დღეს ადამიანი ბუნებრიობისაგან შორსაა და სწორედ ეს ბუნებრიობა, ნატიურობა უნდა შედგეს. ასე მოხდება სუბიექტისა და ობიექტის დამთხვევა ანუ ადამიანი კვლავ გაერთიანდება სამყაროსთან. ოღონდ ეს გაერთიანება აიყვანება ახალ თვისობრივ ხარისხში მრავალგანზომილებიანი, ანუ ალბათური აზროვნების წყალობით. ეს ნიშნავს მიზეზშედეგობიდან ამოსვლასა და ნამდვილი ცოდნის მოპოვებას მოვლენაზე შიდადამკვირვებლის პოზიციიდან. ამის მეთოდოლოგია დღეს მეცნიერებაში უკვე იქმნება და მუშავდება ინტერდისციპლინარიზმისა და ტრანსდისციპლინარიზმის სახით.

ადამიანის ცნობიერების ამგვარ კვლევას არსებითად ორი მიზანდასახულება აქვს – თეორიული და პრაქტიკული. კვლევის პრაქტიკული არსი მდგომარეობს ახალი სოციუმის ჩამოყალიბებაში ანუ დღევანდელი სოციუმის მიერ ღირებულებათა გადაფასებაში, რომელიც თავისთავად ოპერატიულ ზემოქმედებას მოახდენს ეკონომიკურ სფეროზე – მატერიალური გადანაწილებს ახალი შინაარსი დაისაზღვრება ახალი ცნობიერებითი პრინციპებით (შევნიშნავთ, რომ ეს პრაქტიკული საკითხები მწვავედ დგას ჯ. სოროსის წიგნში, სადაც იგი სახავს გზებს ჩაკეტილი, იზოლირებული სოციუმის ღია სისტემად ქცევისათვის და პირდაპირ მოითხოვს საზოგადოების გარდაქმნას ახალი ცნობიერების პრინციპებით.
სწორედ ამ პრობლემის შესასწავლად გამოყო მან დახმარების ფონდი ბევრ ქვეყანაში).

თუ ოდესმე საჭირო ყოფილა სრულქმნილი, სრულყოფილი ანუ ახალი ცნობიერების ადამიანი, დღეს სჭირდება იგი მსოფლიოს, განსაკუთრებულად იგი სჭირდება დღვანდელ საქართველოს: სრულქმნილი ადამიანი სჭირდება მის ეკონომიკურ სივრცეს, რომლის გარკვეულ ახალ ეკონომიკურ წყობად ფორმირების პროცესი დღესდღეობით მიმდინარეობს და არავინ უწყის, რა ფორმას მიიღებს იგი. სწორედ ახალმა აზროვნებამ, ახალი გაფართოებული ცნობიერების ადამიანებმა სამომავლოდ უნდა დაარეგულირონ და ფორმა მისცენ მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ისეთ ეკონომიკურ წყობად ჩამოყალიბებას, რომელიც მატერიალური დოვლათის თანაბარი განაწილების პრინცი უმუშევრობის, კაპიტალიზმის ამ უმძიმესი სენის, სრულ ლიკვიდაციას, რომელიც ფუნქციას უკარგავს ადამიანს,

უაზროსა და უმიზნოს ხდის ცხოვრებას, ადამიანურობის ნიშანწყალი აღარა აქვს ასეთ ადამიანს, აღკვეთს ერთი მუჭა ადამიანების ხელში ქონების დაგროვების ველურ წესებს. ეს ფაქტორები გადაულახავ ბარიერს უქმნიან ადამიანებს. რათა გააცნობიერონ საკუთარი თავი. მიაგნონ ჭშმარიტ მე-ს რათა თითოეულმა ადამიანმა სწორად გააცნობიეროს, სწორად «გაიგოს, თუ რა უნდა აკეტოს, რათა იყოს ადამიანი» (ი. კანტი). ამისათვის გარდაუვალი საჭიროებაა, შეიქმნას მატერიალური იერარქიის მაღალი მოტივაციური დონეები (დ. მასლოუ. უნდა განხორციელდეს მატერიალურისა და სულიერის თანაბარზომიერი შერწყმა, ანუ მაღალი პლანის სინერგიზმი. დღევანდელი საზოგადოებრიობა დაბალი სინერგეტულობისაა, რომლის უმთავრესი მიზეზია თანამედროვე სამგანზომილებიანი ადამიანის დაქუცმაცებული აზროვნება, რის გამოც ვერ იქცა ადამიანი ადამიანად და მან, რბილად რომ ვთქვათ, საშუალო ადგილი დაიკავა ადამიანსა და ცხოველს შორის.

მთელი რიგი ნუმინოზური სისტემები არსებითად სულიერება დაჩლუნგებული ნახევრად ადამიანების ადამიანად ქცევის პრობლემით არიან დაკავებულნი (ეს არაერთგზის გვაქვს ნაშრომში შენიშნული. ამჯერად დავიმოწმებთ სიბრძნის წყაროს – ფსალმუნთა წიგნს, რომელიც არა ოდენ რელიგიური, არამედ ღრმა ფილოსოფიური ნაშომიცაა. 48-ე ფსალმუნში ორგზის მეორდება ფრაზა: ნივთიერ ნაყოვნებაში მყოფი ადამიანი ვერ მიხვდა, რომ პირუტყვს დასგავსა: კაცი პატივსა შინა იყო და არა გულის?მა-ყო, ჰბაძვიდა იგი პირუტყუთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ (48, 13: 21. ადამიანის ხელალა გასაადამიანებლად ერთი გზაა დასახული წიგნში – ადამიანი უნდა გახდეს სამართლიანი, მართალი. სამართლიანობის და სიმართლის დამცველი. ეს სიტყვები ფსალმუნში, 200-ზე მეტჯერ არის ნახსენები სათანადო კონტექსტებით, რათა შეიგნოს ადამიანმა მათი მნიშვნელობა და გაითავისოს იგი.

ახალი ცნობიერების ადამიანი უცნაური მოვლენა არ არის. მისი «მეს» განმსაზღვრელია სწორედ სიმართლე, სამართლიანი განსჯა და თვითგანსჯა.
უმთავრესი ფუნქცია და არსი ახალი აზროვნების ადამიანისა დაკუთარი თავის თვითრეალიზაციაა თვითაქტუალიზაციის გზით, რითაც ყოველი ადამიანი მიაგნებს თავის არსებობის საზრისს, ანუ შინაგან მოწოდებას, ხელოვნებად აქცევს თავის საქმიანობას და თავისი ყოველდღიური, ყოფითი საქმიანობა სულიერებით იქნება აღბეჭდილი და არა მშრალი ანგარიშიანობით.

ზემოთ უკვე ითქვა, ასეთი ადამიანები, ოღონდ ერთეულები, ყოველ დროსა და ყველგან არსებობენ, ასეთნი უნდა მომრავლდნენ, ასეთმა ცნობიერებამ უნდა მოიცვას პლანეტა დედამიწა, თანამედროვე ანთროპოლოგიაში ისახება გზები ადამიანის, სოციუმის ცნობიერების თანდათანობით გარდასაქმნელად, საქმეს არაფერი ეშველება, თუ სახელმწიფო ხელისუფლება არ გაითავისებს და არ მოჰკიდებს ხელს ამ უაღრესად საჭირო პრობლემის პრაქტიკულ განხორციელებას. დიდი როლი დაეკისრება, ცხადია, აღმზრდელობით სისტემებს.

ახალი ფორმულები

1. უნივერსუმი მხოლოდ ფიზიკური სამყარო არ არის, ფიზიკური სამყარო ტრანსფიზიკური სამყაროს მანიფესტაციაა, მეტაფორაა.

2. ფიზიკურ სამყაროში ადამიანს სამჰიპოსტატიური ცნობიერება აქვს. ეს არის მიზეზი ეგზოცენტრიზმისა პლანეტაზე. სამჰიპოსტასიურობა – დრო, სივრცე, კაუზალობა.

3. ტრანსფიზიკური სამყარო მაღალვიბრაციული ფსიქიკური სამყაროა. მას ძალიან მაღალი გრატუალი გააჩნია. (გრატუალი – სულიერების, ინფორმაციის საზომი). ამ სამყაროში დევს მთავარი ადამიანური ველები.

4. ცნობიერება უნდა ლატერალიზირდეს და გახდეს ოთხჰიპოსტასიური – დრო, სივრცე, კაუზალობა და აკაუზალობა. აკაუზალობა – დროსა და სივრცის გარეშე არსებული.

5. სამჰიპოსტასიური ცნობიერების ადამიანისათვის დემოკრატია არის კანონის უზენაესობა, ხოლო ოთხჰიპოსტასიური ცნობიერებისათვის ასეთი დემოკრატიზაცია – სუროგატი, ერზაცია.

6. ოთხჰიპოსტასიური ცნობიერებისათვის დემოკრატია არის ცნობიერების უზენაესობა, ნატიურობის პატერნებთან რეზონანსი.

7. კაუზალური სივრცის დემოკრატიას წარმოადგენს მკვეთრად გამოხატული თანამედროვე ზომბოკრატია.

8. ახალი მეტაფიზიკური ინფორმაციული მეცნიერებები ჰქმნიან პირობებს, რომ სხეული ცნობიერების დონედ იქცეს, წარმოიქმნება პოზიტიური ველები.

9. ერთპოლიარული გლობალისტური სისტემები, ბუტაფორიადის გამჩაღებლები არიან, ცნობიერებას აქცევენ სხეულის დონედ და მარიონეტულად მართავენ რობოტად ქმნილ სხეულებს, რასაც ზომბირება ჰქვია იქმნება ნეგატიური ველები.

10. ზომბოკრატია – ახალი არქეტიპია.

11. კოლაპსიდან ამოსვლის გზა არის გამთლიანებული აზროვნებით კოსმიურ ცნობიერებაზე გასვლა, ოთხჰიპოსტასიურობის მიღწევა. გამთლიანებული აზროვნება – ნებელობა, ინტუიცია, სპონტანურობა, საზრისი, არაატომარული რაციო.

12. სულიერება არის სიცოცხლის, ვიტალობის მიერ კოსმიური ცნობიერების წვდომა.

13. მეთოდიკა მაღალ განზომილებებზე გასვლისა არის პირველ რიგში ფაკულტატიკა ტრანსდისციპლინარიზმისა, ჩაკრების ტრანსფორმაცია – მეტამორფოზირება (ეზოთერიკა), ინტუიტიის ინტენსიფიკაცია, მარცხენა ნახევარსფერო ცივილიზაციის ქცევა მარცხენა-მარჯვენა ნახევარსფეროთა ცივილიზაციად.

14. ტვინი არ არის აზროვნების მთავარი ორგანო. ჩვენი ცნობიერება წარმოადგენს ბიოკომპიუტერს, რომელიც შედგება ქერქისაგან (ნახევარსფეროები), ველისმიერი სხეულებისაგან და ფიზიკური ვაკუუმისაგან (ეინშტეინის ეთერი, დირაკის ველი და, რაც მთავარია, მეტაფიზიკური ინფორმაციის მდგენელები). ვაზროვნებთ ბიოკომპიუტერის, სუპერკომპიუტერზე გასვლა.

15. ადამიანის ბიოკომპიუტერის ინჰიბირება გამოიწვევს ადამიანური კატეგორიის ანიჰილიაციას.

27 ივნისს და 4 ივლისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ადამიანის ინსტიტუტმა ჩაატარა ორდღიანი კონფერენცია ტრანსდისციპინარულ დონეზე თეზით: «ცნობიერების უზენაესობა და ახალი სოციალური პარადიგმა».

სხდომებს ეწრებოდა 25 აკადემიკოსი და პროფესორი.

მკითხველო! გაგაცნობთ კონფერენციის მასალებს.

ნოოსფეროს ინსტიტუტი
პროფესორი ირინე კალანდაძე

მასების ფსიქოტრონიზაცია

ზომბირება დააჩლუნგებს ადამიანს საბოლოოდ.
საინტერესოა ეს სპეციალურად კეთდება, რომ ამერიკანიზმმა იბატონოს?

ახალი ანტიგლობალისტური მეტაფიზიკური მეცნიერება იღწვის სულიერი გრატუალის გაზრდისათვის, რათა სხეული იქცეს ცნობიერების დონედ, ხოლო მონსტრული რეაქციული მანქანა ქმნის ინგრატუალს, ანუ ცნობიერება იქცევა სხეული დონედ. ეს სპეციფიკური ზემოქმედება საჭიროა იმისათვის, რომ მარიონეტულად, ბუტაფორიულად, ვითარცა რობოტი, ფიტული მართოს ადამიანი. ვინც დღევანდელი ინფორმაციული მეცნიერების შიდთავსები არ იცის, მათთვის ვამბობ – ზომბები ჰკიდია პირდაპირ ეთერში. ამიტომ არის დღევანდელი ადამინის ესოდენ გაუგებარი ანომალური ბიჰევიორიზმი (ქცევა), ადამიანი დაუპირისპირდა თავის თავს, მას სძულს მეორე ადამიანი, იგი მტრობს მას, საშინელი ეგოცენტრიზმი მეფობს, მატერიალური კორუმპირებულობა არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ჰქვია ცნობიერების კორუმპირებულობა, პირველ რიგში, გლობალურ სისტემებს მოგდებული ჰყავთ ქვეყნების პათოლოგიური ლიდერები, ხდება მათი ზომბირება, შემდგომ ზომბირებული ხელისუფალი მართავს ქვეყანას. ამ საშუალებით აავადებენ ხალხის მასებს, უსაზრისოდ დარჩენილი მასა ვეღარ არჩევს ვის უნდა გაჰყვეს, განსაკუთრებით პლებსი (პლებეები) არის ძალიან ცუდ დღეში. ინტელიგენცია თამაშგარე მდგომარეობაშია.

დედაქალაქში სუფევს არნახული დონის ურბანიზაცია. უამრავი დეზერტირი სარანჩასავით შესეულია სოციალურ ადგილებს. არც ერთი სოციალური ფილტრი არ მუშაობს. საქართველოში სრული ანარქიაა, რომელსაც ჰქვია დემოკრატია.
მეცნიერული ინტერპრეტაცია რომ მივცეთ დღევანდელი საქართველოს დემოკრატიას სამჰიპოსტასიურ დონეზე, აღარ ვლაპარაკობ მაღალ განზომილებებზე, – ეს კანონის უზენაესობა კი არა, არამედ ზომბირების უზენაესობაა, ზომბირებული სხეულის ჰეგემონია. ფაქტობრივად, ზომბი მართავს ქვეყანას. სუფთა წყლის ზომბოკრატიაა. მონობის ასეთი ფაქტები კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს, უფრო სწორად, კაცობრიობამ არ იცის.
სხვადასხვანაირი მონობა ყოფილა, მაგრამ ადამიანის ბიოკომპიუტერის ინჰიბირება (შეკავება) ადამიანის სიკვდილს ნიშნავს, რადგან ის ვერ აზროვნებს.

ახალი მეტაფიზიკური მეცნიერების მეცნიერთათვის სურათი ნათელია – ფსიქოტრონული ინფორმატიზაცია რეალურია, მხოლოდ პერცეპცია ყოველივე ამისა არ არსებობს. ზომბოკრატია მოსპობს ცოცხალ აზრს, დაეცემა ერი. ზომბირების საწინააღმდეგოდ საჭიროა ცნობიერების შეცვლა, უარყოფითი ინფორმაცია უნდა განეიტრალდეს, დაითრგუნოს დადებითი ინფორმაციით, მარცხენა ისტორიული ველები უნდა შეიცვალოს მარჯვენათი, მაგრამ ხალხმა უნდა შეიგრძნოს, რომ რობოტებად არიან ქცეულნი და პირველი მოთხოვნა გარე და შიდა მმართველთა მიმართ უნდა იყოს ის, რომ შეურყვნელი დაუტოვონ ადამიანებს ადამიანური ფენომენი, რადგან მათხოვართ მიგდებული 1 1/2 ლარი ადამიანებს ვერას უშველის. ადამიანი არა მარტო ფიზიკურად უნდა გადარჩეს, არამედ მან აუცილებლად უნდა გადირჩინოს საკუთარი სააზროვნო სისტემები.

ადამიანმა თავად უნდა ქმნას თავის მომავალი

ცხადია, ანთროპოგენური ნოოსფერო, როგორც ცნობიერების ბუფერი ადამიანსა და კოსმოსს შორის ხვალ და ზეგ არ განხორციელდება, მაგრამ ვექტორი მისკენ სულ უნდა არსებობდეს. რას ნიშნავს ეს? იცვლება ფორმაციები, მათი იაერარქია ევოლუციონირებადია, ახალი სოციალური პარადიგმა ცვლის ადრე არსებულს. კაცობრიობამ გადააგდო, როგორც შეუსატყვისი და შეუმდგარი, სოციალიზმი და კომუნიზმი. სოციალიზმი და კომუნიზმი არ შედგა, პირველ რიგში, ნულოვანი ცნობიერების მატარებლობის გამო. დღეს პლანეტა გაჩერებული კაპიტალიზმზე, როგორც შემდგარ ფორმაციაზე ისევ ნულოვანი ცნობიერებით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აზრობრივად კაპიტალიზმი უფრო მარტივია, ვიდრე ადამაინის სრულყოფილების ცალკე აღებული თეორია. კაპიტალიზმი მუშაობს ადამანის ჭურჭლის შევსებაზე და არაფერი ესაქმება სიღრმისეულ ეკოლოგიასთან. მაპატიეთ, მაგრამ ადამიანის მატერიალური ფუფუნება სულაც არ არის გლობალურად ჭეშმარიტი ადამინის თვითმიზანი.
მატერიალური ადამიანს სჭირდება მხოლოდ იმისათვის, რომ არამშიერმა ადამიანმა მოიწესრიგოს თავისი ფსიქოლოგიური სისტემები. მამონის ფეტიშიზაცია ფაქტობრივად სტაგნაციაა. მამონა რატომ უნდა იყოს გიდი ადამაინის ცხოვრებაში?

ადამიანი მხოლოდ ფიზიკური სხეული არ არის.
ადამიანის ბიოკომპიუტერი ურთულესი სისტემაა. ეს არის თვინის ქერქი, მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფეროებით, ეს არის ველიმიერი სტრუქტურები და ფიზკური ვაკუუმი აინშტაინის ეთერით, დირეკის ველით და, რაც მთავარია, მეტაფიზიკური ინფორმაციის მდგენლებით. მეტაფიზიკურ ინფორმაციას «კოლბასი» არ სჭირდება. «კოლბასი» სჭირდება სხეულს. მაგრამ ხომ არ უნდა გადავყვეთ ამ «კოლბასს»? რამდენი უნდა ვნთქათ? აზროვნება არ გვჭირდება? სხვათა შორის, მონელების პროცესის დროს და გამუდმებული ფიქრით პროდუქტგადახარშვაზე ხდება სისხლის ნაკადის გადაზიდვა კუჭზე და თავი რჩება სისხლმიუწოდებელი. ასე ვღებულობთ ფრუსტრირებულ ადამიანს.

ყველაფერს აქვს ზომა, ყველაფერს აქვს თავისი ლატენტური პერიოდი. თუ ასე გარდაუვალია ეს კაპიტალიზმი, გარკვეულ დროს იდინოს, მაგრამ ბოგინობის პერიოდში უნდა გაიშალოს დიდი ფრონტი სამუშაოების ადამიანის ცნობიერების შეცვლის და მერე ცნობიერებაშეცვილი ადამიანი და ადამიანთა კონგლომერატი თვითონ გადააგდებს მამონის კერპატქცევის ფორმაციას. სხვანაირად, პრაგმატიზმი წალეკავს ამ ცივილიზაციას. უნდა მომრავლდეს სხვადასხვა ცნობიერებით კარტოგრაფიბის ელემენტარული უბნები. ამ კერებმა უნდა შეავიწროვოს მატერიალურ სისტემებზე ზრუნვა. მრავალგანზომილებიანი ცნობიერების აგურები დღესვე, ახლავე უნდა ჩაიდოს საფუძველში, პირველ რიგში, განათლების სიტემის რეორგანიზაციაში. კულტურა, მეცნიერება უნდა ავიდეს ძალიან მაღალ დონეზე. დღეს ვინც ებრძვის ფუნდამენტალურ მეცნიერებებს, ნეტავი იმათ თუ იციან, რომ ფრიდრიხ ნიცშე წერს თავის კაპიტალისტურ ნაშრომში «Воля ко власти» – «наука возникла из отвращениииинтеллекта к хаосу», ასე მაგალითად, გაუგებარი პროფესიის განათლების მინისტრმა, ანდა თავისუფლების ინსტიტუტმა, რომელიც «არამკითხე მოამბის» სტატუსით მოგვევლინა იდეოლოგიურ ცენტრად.

აზროვნების პრობლემის გადაწყვეტა ოფრო სერიოზულ დონეზე უნდა ხდებოდეს ახლა ჩვენ რა, ილია პრიგოჟინის უმძლავრესი სინერგეტიკის თეორიის წინააღმდეგ მივდივართ, ვილტვით ქაოსისაკენ?

დღეს ვინც ამ სამჰიპოსტასიურ სოციუმში იღწვის პოზიტიურად და არა ეგოზენრული ფსიქიკის უკიდურესი ფორმების გამოვლენით, მარტო სამგანზომილებიანობაზე არ უნდა იმუშაოს. კაპიტალისტური სუპერმანქანის შემოტანა უდიერად ძალიან საშიშია სულიერების დათრგუნვის თვალსაზრისით. ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ სულიერება ეს არის ვიტალობის, სიცოცხლის მიერ კოსმიური ცნობიერების წვდომა. ჩვენი ცნობიერება კოსმიური ცნობიერების მეტაფორაა,. ინფორმაციულ ველებში უარღესად მნიშვნელოვანი, ადამიანისათვის გამოუყენებელი კოლოსალური ენერგიებია. ადამიანი მარტო ლოგიკური აზროვნება არ არის, რაციონალური აზროვნების დომინანტურობამ მოგვცა ის, რაც დღეს არის პლანეტაზე. ასეთი აზროვნების გარდა ადამიანს აქვს ინტუიტიური აზროვნება, რითაც ის ტრანსცენდენტირებს მიღმისეულ სამყაროში. დღეს ეს აზროვნება დათრგუნულია. მარცხენა ნახევარსფეროტვინს სულიერება ამოცანად არ უდგას. სულიერებასთან უშუალო კავშირში არის გამთლიანებული აზროვნება – ნებელობა, ინტუიცია, სპონტანურობა, საზრისები, რაციო.

ყველა მოღვაწემ სოციალური ინოვაციების სფეროში, პირველ რიგში, უნდა იზრუნოს, რომ ყველა პროცესი სოციუმში განვითარდეს გამთლიანებული აზროვნების ფონზე. გამთლიანებული აზროვნება აუცილებელია, რომ სოციუმში ინტერაქტივის პროცესი სწორად წარიმართოს, ხოლო პროდუქტი, რომელსაც შექმნის ეს ურთიერთობები, თავისთავად უზრუნველყოფს უშეცდომო პროდუქტს.
დაქუცმაცებული აზროვნება მუშაობს აგრესიაზე და კონფლიქტზე. ეს უკანასკნელი ქმნის ქაოსს და ქაოსი ხდება მარადიულად გადაუწყვეტი პრობლემა – ბიოტექნოლოგიები, ნანატექნოლოგიები, კობორგტექნოლოგიები, დაფუძნებული დანაწევრებულ აზროვნებაზე უჰარმონიო სიახლეებს შემოიტანენ,
კომპიუტერიზაცია TBM-ების გარეშე ადამიანებს ფიტულებად, რობოტებად აქცევს, მაშინ, როცა ადამიანებს სჭირდებათ კოსმიურ სოლიტონებზე გასვლა, სულიერი გრატუალის ზრდა. უხეში ვიბრაციული სამყარო ძალიან პრიმიტიულია და ამიტომ არის, რომ მეფობს პიგმალიონის ეფექტი.

რაც შეეხება დემოკრატიას დღეს პლანეტაზე, უბრალოდ ძალიან სასაცილო პრეცედენტთან გვაქვს საქმე. ლატერალური აზროვნების გარეშე დემოკრატიული სისტემები მატყუარა სისტემებია. თავად ამერიკაში, ე.წ. დემოკრატიის აკვანში ტრანსპერსონალური და ტრანსდისციპლინარული აზროვნების ცენტრები შეურიგებელი ოპოზიციონერის როლში უტევენ ცრუ დემოკრატიას. მე არ ვიცი, რამდენ ანს გასტანს კაპიტალისტური პროლონგაცია, მეშინია, ეპიდემიას არ დაემსგავსოს და კარანტინი არ იყოს გამოსაცხადებელი, მაგრამ ქვეყნიერება უნდა გამოთავისუფლდეს მამონის მონობიდან, ეს არის ცნობიერების კორუმპირებულობის შემთხვევა. მამონას კრიატულ პროცესთან საქმე არა აქვს, შეიძლება ბიზნესს ეწოდოს შემოქმედებით ცალკეულ აქტთა სიმრავლე, მაგრამ ყველა შემთხვევაში ძალიან ყოფით პროცესებთან გვაქვს საქმე. ინდივიდი სიმდიდრით კი არ უნდა მოეფინოს საზოგადოებას, არამედ აზროვნების განფენით, მსოფლიო ბიზნეს სისტემა მთლიანად პროფანული აზროვნებისაა.

ინსტრუმენტალური აზროვნების წარმომადგენლებს მივმართავ – ასწავლეთ ბიზნესმნებს ლატერალური აზრვნება, გაუმთლიანეთ მათ ცნობიერება, თუ დღეს

აუცილებელია კაპიტალიზმი, მაშინ შეიძლება რაიმე სასუკეთო მოხდეს, დღეს ეს დაქუცმაცებული აზროვნებით თავსმოხვეული პროდუქტი უგემურია.

ეკონომიური აღმასვლის სპეციალისტებს ვეხმიანები – ნურაფერი ნუ შემოვა სოციუმში ახალი გამთლიანებული აზროვნების გარეშე. ყველა აქტში ჩადეთ გამთლიანებული აზროვნება, ვინაიდან არ მოხდება ისე, რომ ჯერ ეკონომიკურად ავღორძინდეთ და მერე ფსიქიურ სისტემებზე ვიზრუნოთ.

გამთლიანებული აზროვნება სატელიტი უნდა იყოს ყველა სოციალური მოვლენისა. როგორც პიტერ ვეილი ამბობს, მენეჯმენტში ურთიერთობის მეცნიერება ურთიერთობის ხელოვნებით უნდა შეიცვალოს. ნახეთ, რამხელა გრადიენტია მენეჯმენტის ცნობილი თეორეტიკოსის გამონათქვამსა და სოციუმის დღევანდელ რეალობას შორის. ურთიერთობები არა თუ რაციონალური, არამედ ვულგარულ-ბანალურ-სპეკულატიურია. თითოეული ადამიანი მეორე ადამიანის ვამპირია. ჰაერში ჰკიდია ზომბები, ხელისუფლება ნაყიდი, კორუმპიებული აზრვნებით, ხალხი ტყუილებით კმაყოფილი და გასულელებული, სივრცის ყოველ წერტილში შავი ტორსიონი, ტვინის დამლუქველი კომპიუტერები, ოკეანე მობილურების.

ხალხს ჰგონია, რომ წიგნი შეცვალა კომპიუტერმა, ადამიანმა დაამყარა უსივრცო კონტაქტები. წარმოდგენისათვის – თანამედროვეობის რეალური სურათი ასეთია: ადამიანური სუროგატი ცხადია, რაღაც ჯიპის ტიპის მერსედესში მჯდარი, მხრით ყურზე მიბჯენილი პრეტენციულობის გამომხატველი ე.წ. მესიჯური მობილურით, ერთ ხელში ქონიანი ხაჭაპური, მეორეში – «ბარანკა» (რული), კაპიტალისტური იდილია, იყო შიგნით ნული, გარეთ ხნული, ამერიკული შმოტკა, ღია ჭიპი, შიშველ ფეხზე ბარძაყამდე ჩექმა, კობორტექნოლოგიური თვალები, ისიპარის პრიჩოსკა, საქართველოს მთელი პროვინცია მაინცდა მაინც თბილისში, ამას ჰქვია – ქაჯებო გაგიმარჯოთო. ანტისანიტარია დეზედორებით დაღვარული. ვიმოწმებ მიხეილ ზადორნოვის ახალი რუსობის აღწერას, ათასჯერ უარესია ახალი ქართველი. არაჩვეულებრივი ელეგია ვიტალობის, რომელსაც ვიტალობის ავტონომიის აპოლოგეტი ბიოლოგი იოჰან ფონ იქსკიული ემახის საბოლოო და თავისთავად სინამდვილეს. მგონი, მართლაც ასეთია სამჰიპოსტასიური აზროვნების ჭერი.

ვიტალობა თუ არაფერში გადაიზარდა, მაშინ აღმოვჩნდებით უენესკუს «ნოსოროგის» როლში. ვერავინ ვერ გადარჩება, არც მიწისქვეშა ქალაქები უშველის ხელისუფლებას და მთავრობას, არც პერშინგები და ავაქსები, არც ფული. კოსმოსი მათ მიმართ განსაკუთრებით მრისხანე იქნება.

ახალი მეტაფიზიკა სქემებში

სამყარო რთულია. ტრანსპარანტულობისათვის (გამჭვირვალობისათვის) მიზანშეწონილია შემოტანილ იქნეს დაშვებები:

1. სამყარო მთლიანად ფსიქიურია, ტრანსფიზიკურია (ფიზიკურს მიღმა) და შემდგომ ხდება ზემაღალი სიხშირეების გაიშვიათება და მიიღება ფიზიკური სამყარო ან პირიქით;

2. სამყარო მთლიანობაში ფიზიკურია და შემდგომ ხდება დაბალი სიხშირეების აქსელერაცია (აჩქარება) და მიიღება ფსიქიური სამყარო. შინაარსი ერთია – სიხშირის ზღვარი არის მიზეზი ფიზიკურის არაფიზიკურში გადასვლისა და პირიქით.

სამყაროს განხილვა სუბსტანციური (პირველქმნილი) საკითხია, ხოლო თუ სოციოლოგიაზე დავამიწებთ, მივიღებთ იდეოლოგიას.

გთავაზობთ ახალ იდეოლოგიას ახალი მეტაფიზიკის სახით.

– ნოოსფეროს მარადიული განახლების თეორია – ბომის ჰოლოგრამაში ციკლები თავდება ექსპლიციტურის (გამჟღავნებულის) მთლიანი გადასვლით იმპლიციტურში (გაუმჟღავნებელში), ახალი ციკლი იქმნება იმპლიციტურის მიერ ახალი ექსპლიციტურის შექმნით.

ცნობიერება, როგორც რეალობის არსებობის ფორმა, პერპენტუმმობილეა. ახლაც ვდგავართ ახალი მენეჯმენტის ჩამოყალიბების ფაქტის წინაშე და ცხადი ხდება, რომ სიცოცხლე ცნობიერების მანიფესტაცია, მეტაფორაა მხოლოდ. სამყაროს წარმოსადგენად ივარაუდება შემდეგი მიდგომები:

1. სამყარო შესდგება ვიბრაციულობისაგან;
2. სამყარო შესდგება ემანაციებისაგან
3. სამყარო შესდგება ჩვევებისაგან და ა.შ.

სამყაროს აღწერის ჰამილტონიანი აკაუზალურის
(არამიზეზ-შედეგობრივი) წევრებით.

ინვოლუცია (დაღმავალი ევოლუცია).
ევოლუციის წრებრუნვა

აურობინდო გხოშის (დიდი ინდოელი ფილოსოფოსი),
პლატონისა და ნეოპლანისტების მიხედვით

სამყაროს საზრისიანობა

1. ოლდოს ჰაქსლის მარადიული ფილოსოფია;
2. ბომის ჰოლოგრამა – იმპლიციტურისა და ემპლიციტურის ნაკადების ჰოლომოძრაობა (მოძრაობა მთლიანობაში);
3. მეხსიერების ველები – ტორსიული ველები.

იმპლიციტური (გაუმჟღავნებელი):

1. სტიქიალები – ტყეების, მთების, კლდეების და ა.შ. სულები;
2. ეგრეგორები – ადამიანის, სოციუმის, სახელმწიფოს, ნაციის, ერის, კოლექტივის მფარველი ანგელოზები
3. რეინკარნაცია
4. კარმული
5. მორფოგენეტური ველი – პასუხისმგებელია ფორმის, მეხსიერებასა და სიბრძნეზე;
6. კოლექტიური არაცნობიერი – არქეტიპები, აპრიორულ იდეათა სამყარო;
7. კოსმიური ცნობიერება – გლობალური სპონტანურობა;

შემთხვევითობის კანონზომიერება

კ.-გ. იუნგის სინქრონისტულობის თეორიის ძირითადი არსი

სამყაროში რეგენტის როლს ასრულებს თანხვედრები, რომელთა შორის მიზეზობრივი კავშირი არ არის აკაუზალური, რომელიც მართავს კაუზალურს.

ემპათიურობა – მეორე ადამიანის ინფორმაციულ ველში შესვლა.

ადამიანი მარტო ფიზიკური გენის მატარებელი არ არის.

ადამიანში მუშაობს გენთა ტრიადა: ფიზიკური გენი, ფსიქოგენი და ნოოგენი (მთლიანობის გენი).

ადამიანის კონტაქტი კოსმოსთან ხორციელდება, როგორც ბიოკომპიუტერის კორელაცია სუპერკომპიუტერთან.

ბიოკომპიუტერი: ქერქი (მარცხენა, მარჯვენა ნახევარსფერო), ველისმიერი სხეულები, ფიზიკური ვაკუუმი.

რეალობის იერარქია

ღვთაებრივი კარტოგრაფია

1. მისტიური ანატომია (თითოეული ორგანო პოტენციურია ყველა ორგანოს თვალსაზრისით);
2. მეტაფიზიკური ტოპოლოგია (ველისმიერი სხეულები);
3. ეთერის გლობალური დისპერსულობა (ფიზიკური ვაკუუმი, აინშტაინის ეთერი, დირაკის (ცნობილი ფიზიკოსი) ველი, ინერციის ველი).

ЧЕЛОВЕЧЕСКОЕ СОЗНАНИЕ, СОЗНАТЕЛЬНОЕ, ПОДСОЗНАТЕЛЬНОЕ - БЕССОЗНАТЕЛЬНОЕ, МОЗГ НА ЭЗОТЕРИЧЕСКОМ УРОВНЕ

По информационной теории вира, все состоит из информации. Вся материя торсионная, будь это тонкой мир (первичные торсионные поля) или физический мир (полевая форма жизни) и др.

Сознание является особой формой полевой материи.

Сознание нужно понимать как творящую информацию (высшая форма развития информации.

Мыслим мы с помощью Духа используя энергию тонкого мира.

Дух – сгусток психической энергии в виде торсионных полей.

Торсионный эффект – закручивание торсионных полей и есть мышление.

Множество духов составляют информационное поле.

Мыслит не мозг а вся биополевая система человека.

Мозг считывающее устройство, черпающее информацию и сочетающее кан с тонкого мира и так с биополевой системы человека, происходит суперпозиция считанный информации в биополевой системы человека. Информации интерферируют или суперпозируются.

Биополевая система – это сложная анатомия человека, которую составляют низкочастотное физическое тело и высокочастотные тонкие тела человека.

Если биополевая система человека исправна (без изъянов), то считанная информация с биополевой системы сильнее закручивание торсионные поля тонкого мира и помогает духу мыслить (целостное мышление).

С новых позиций сознательное подсознательное, бессознательное не есть принадлежность собственно мозга.

Душа человека в развоплощенном состоянии, есть подсознание и бессознательное, Душу составляют комбинаций тонких тел.

Душа, воплощенная в человеке, отождествляется личностью.

Дух решает где быть душе, на каком уровне в человеческой системе, душу, пригвожденную к плотному телу можно винить в дискурсивности мышления.

То что отождествляется с личностью и объективизирует снятую информацию с космоса.

Лево, право полушарность мозга ответстсвенные за логическое и интуитивное мышление, но к этим параметрам нужно присовокупить, вернее в реальности они

плусуются интуитивным, ментальным и духовным телами тонкотельности человека. Интуитивное мышление есть запредельность совокуности интуиции мозга и интуитивного, ментального, духовного тел человека в купе.

При переходе от (Антропогенной Ноосферы(к (-Ноосфере(исчезнет трехмерная оболочка биополевой системы человека и в голограмме Бома с импликатным воссоединиться высокочастотная часть эксплицитного.

ნოოსფეროს ფილოსოფიური სერპანტინი (გზა) გადის მნიშვნელოვანწილად ძენბუდიზმზე.

ნოოსფერულად სულიერება განისაზღვრება როგორც სიცოცხლის მიერ კოსმიური ცნობიერების წვდომა.

თავად კოსმიური ცნობიერება ინტერპრეტირდება, როგორც გლობალური სპონტანურობა. სპონტანურობა აკაუზალური კატეგორიაა და ძველიდან არ გამომდინარეობს.

ბიოსოციალური პრობლემის ბიოლოგიური ასპექტი

უკანასკნელ წლებში ძლიერ გაიზარდა ინტერესი «ადამიანის ფაქტორისადმი». პრინციპულად ეს თემა ახალი არ არის, მაგრამ გლობალური ხასიათის უმწვავეს პრობლემად იგი დღეს იქცა. ამ გარემოებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ადამიანის შესახებ საკავშირო უწყებათაშორისი მეცნიერების ცენტრისა და ადამიანის ინსტიტუტის შექმნაში.

უდავოა, რომ ცივილიზაციამ კაცობრიობას ბევრი სიკეთე მოუტანა, მაგრამ ამ პოზიტიურ პროცესს სატელიტებად აღმოაჩნდა უარყოფითი მხარეებიც. მატერიალური ბაზის შექმნაში ჩადებულმა უზარმაზარმა შრომამ მთლიანად შთანთქა ადამიანის ენერგია და მას აღარ ეცალა თავისთავისთვის მიეხედა. გაჩნდა «გაუცხოების პრობლემა». ყველაფერთან ერთად, ადამიანი ფსიქიკურ ჩიხში მოექცა, რომლისგან გამოსვლა ნიშნავს «ადამიანის პრობლემის» გადაწყვეტას «სოციო-ფსიქო-ბიოფილოსოფიური» თვალსაზრისითაც.

ადამიანი არ შეიძლება იყოს მხოლოდ სოციალურ მეცნიერებათა კვლევის საგანი. მის რთულ ბუნებას ბევრი ასპექტი აქვს, მათ შორის ბიო-ფსიქოლოგიური. ამ თვალსაზრისით ჩვენ ძალზე ცოტა რამ ვიცით პრობლემის ბიოლოგიური ნაწილის შესახებ. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჰუმანიტარულ მეცნიერებებში გაბატონებული იყო მცდარი აზრი, უფრო სწორად, წარმოდგენა ადამიანის განხილვის ბიოლოგიურ დონის ელემენტარულობისა და პრიმიტიულობის შესახებ.

მიაჩნიათ, რომ ადამიანის განხილვის ფსიქოლოგიური დონე მაღალია. თუნდაც ასეც იყო, ადამიანის ფსიქიკა ხომ ბიოლოგიურისაგან მოწყვეტით არ არსებობს: ფსიქოლოგიური ხატის ჩამოყალიბება ტვინში ხდება, გარემოსთან ადამიანის მთელი კონტაქტისათვისაც პასუხისმგებელია «კომპეტენტური ნეირონული სისტემა». ადამიანი, ცხადია, ბუნების ნაწილია, ცხადია, აგრეთვე, რომ სოციალური გარემო განაპირობებს და წარმართავს ადამიანს. მაგრამ რა წარიმართება? როგორ წარიმართება? და რატომ ხდება ყველა ეს მოძრაობა? როგორც ჩანს, საიდუმლოება ადამიანის მატერიის ორგანიზაციაში უნდა ვეძებოთ.

«ადამიანის პრობლემაში», ადამიანის ანალიზის ყველა სხვა მომენტთან შედარებით, ძალზე მნიშვნელოვანია გარემოზე ადამიანის გავლენის ფაქტორი, ე. წ. უკუკავშირი. ცხადია, შეუძლებელია უშუალოდ განიზომოს ეს უკუკავშირი, მაგრამ

გარემომცველ სივრცეზე კონსტრუქციული ზემოქმედება, რომლის რეალიზაციაც ტვინს ძალუძს, ბევრისმთქმელია.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ტვინის მიერ ინფორმაციის გადამამუშავებელ მექანიზმებს ამჟამად უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება, თვით ტვინი მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ ჯუნგლია, სადაც ყველაფერი ბევრად უფრო რთულია და ბუნდოვანი, ვიდრე გვესახება («ტვინი», 1982, გვ. 260, რუს.).

ჩვენ შევეჩვიეთ, რომ ინფორმაციის მიღებაც და ორგანიზმის რეაქციაც ერთ მთლიანად გვაქვს წარმოდგენილი და ეს მართლაც ასეა. მაგრამ ორგანიზმის რეაქცია უკვე აღარ შეიძლება განვიხილოთ როგორც პრიმიტიული ბიოლოგიური აქტი ან უბრალოდ რეაქცია გაღიზიანებაზე. ეს არის სამყაროს ახალი სურათის შესაქმნელად გარემოსთან ორგანიზმის სპეციფიკური სქემების კორელაციის თავისთავადი ურთულესი პროცესი. «ინფორმაციის კოდირება და ხელახლა კოდირება ნიშნავს აურაცხელი სიმრავლის ენების შექმნას, მოდიფიკაციისადმი ტვინის უნარიც კი დამოკიდებულია ინფორმაციის ხელახლა კოდირების და უფრო პროდუქტიულ სტრუქტურებად მისი გადაქცევის უნარზე», – ამბობს კ. პრიბრამი («ტვინის ენები», «ჰოლოგრამები», 1975, რუს.).

რომ არაფერი ვთქვათ ჰოლოგრაფიულ მეხსიერებაზე, რომელიც ინფორმაციის დამუშავების სისტემის მუდმივი რგოლია, აღგზნებაზე ორგანიზმის პასუხის კონსტრუქციაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ფსიქოლოგიური ხატისა და ქცევის ორგანიზაციის ჩამოყალიბების პროცესებს.

ორგანიზმში მართვის პროცესებს განეკუთვნება თვითორგანიზაცია და თვითრეგულაცია, რომელთა პროფილის მიხედვით იგება ბიოანალოგიები კიბერნეტიკაში.

მაგრამ მოქმედების ცნობილი აქტების გარდა, ორგანიზმში არსებობს პროცესები და მოვლენები, რომლებიც მოქმედებით რ არიან გამოხატული, – ეს არის სუბიექტური სამყარო, ე. წ. «სამყარო ჩვენში», მოტივაციებისა და ემოციების სამყარო. ადამიანის სუბიექტური სამყაროს ობიექტივიზაცია დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მართალია, «ბიოლოგიური რეალობა» არ ემთხვევა ცოცხალის სტრუქტურულ დონეებს, ვინაიდან ეს იქნებოდა მეტისმეტი ონტოლოგიზაცია, მაგრამ მისი გნოსეოლოგიური მნიშვნელობა აშკარაა (კარპინსკაია, «ბიოლოგია მეცნიერებათა სისტემაში», 1982, რუს.).

«სამყაროს მთლიანად ობიექტივიზებული მეცნიერული სურათი, იზოლირებული ადამიანის «ადამიანის პრობლემისაგან», რომელშიც გათვალისწინებული არ არის სუბიექტური რეალობა, უკვე ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე მეცნიერული შემეცნების მოთხოვნებს», – ითქვა თანამედროვე ბუნებისმეტყველების ფილოსოფიური საკითხებისადმი მიძღვნილ III საკავშირო თათბირზე (1981). ჩვენს დროში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ჰუმანიზაციის პროცესი ძალიან ინტენსიურად მიმდინარეობს. ბიოლოგია ჰუმანიზაციაში მონაწილეობს ისეთი ფუნდამენტური საკითხების დამუშავებით, როგორიცაა ევოლუცია, რომელიც წარმოდგენილია გლობალური ევოლუციონიზმის პრობლემატიკით; ნეიროფიზიოლოგია და ნეიროფსიქოლოგია; გენური ინჟინერია და სხვ. მან ერთგვარად გამოძახილიც კი პოვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და ფილოსოფიამ თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს – გააანალიზოს და გაიაზროს მისი საერთაშორისო მასშტაბით ჰუმანიტარიზაციის საკითხებმა უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვეს.

იუნესკოს განყოფილებამ «მეცნიერება თანამედროვე სამყაროს შესახებ» მოაწყო გენეტიკისა და ეთიკის პრობლემათაკვლევამ VII საერთაშორისო კონგრესი თემაზე «მეცნიერებათა ლოგიკა, მეტოდოლოგია და ფილოსოფია» (1983, ზალცბურგი) მიეძღვნა ამ ცხოველმყოფელ საკითხებს, მომდევნო, VIII კონგრესი, რომელიც მოსკოვში გაიმართა, მტლიანად მიმდინარეობდა ლოზუნგით «მეცნიერება – ეთიკა – ჰუმანიზმი». ახალშექმნილი მსოფლიო ცხოვრების ინსტიტუტის დირექტორმა, საქვეყნოდ სახელგანთქმულმა მეცნიერმა ბიოლოგმა მ. მორუამ თავის გამოსვლაში, რომელიც შეიძლება მომავალ სამუშაოთა პროგრამად ჩაითვალოს, აღნიშნა: «მეცნიერება ადამიანის შესახებ, – ეს მეცნიერებათა მთელი გალაქტიკაა. მის სათავეებსა და კანონზომიერებებზე მხოლოდ ახლა ვიწყებთ ფიქრს.

ადამიანის არსება შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ბიოქიმიური სუბტრატი, ფიზიოლოგიურიც და ისტორიულიც, მაგრამ ვერც ერთი აღწერილობა ვერ იქნება უნივერსალური. არ არსებობს ადეკვატურობა, ვინაიდან ადამიანი უნიკალურია და მისი არსება მისი თავისუფლებაა».

ჩვენი მახინჯი სოციუმის ანალიზი

ფული და სექსი

სტატიას ვუძღვნი ჩემს მოწაფეებს – ამჟამინდელ, ყოფილ, მომავალ ნოოგენეტიკოსებს და მთელ ქართველ ხალხს

როგორც იტყვიან, ორ გველეშაპზეა დღეს დაყრდნობილი ჩვენი სოციუმი. ეს არის ფული და სექსი. ყველაფერი დანარჩენი – მატერიალური თუ ჰიპერტროფირებული არამატერიალური – ფულისა და სექსის ვარიაციებია, წარმოებულია.

სამგანზომილებიანი, სამჰიპოსტასიური, მარცხენა ნახევარსფერო, რაციონალური, კაპსულირებული სოციუმის ცხოვრების საზრისი არის მხოლოდ ფული და სექსი. ამისათვის იკლავს ხალხი თავს: ერთგანზომილებიანი სექსი და ჭუჭყიანი ურთიერთობების საზომი – ფული. თუ გაქვს ფული – კაცი ხარ, კარიერაც გექნება, დოვლათიც, თუ სექსი გამოძრავებს – ბედნიერი ხარ. ფულიც და სექსიც ზნეობაში არის შესული, არც მეცნიერებაა საჭირო, არც მთლიანად კულტურა, სულიერება ხომ საერთოდ საჭირო არ არის. ამისათვის კაპიტალიზმმა დანერგა ბიზნესმანიპულაციები. ადამიანური ურთიერთობები დიდი ხანია გადაგდებულია. მოდაშია სექსუალური ზომბირება ანაბოლიკებით. უბრალო ენაზე – ჯადოობით. ადამიანებს ჰგონიათ, რომ მათ სიყვარული ესტუმრათ. გამოიყენება ძლიერი პრეპარატი ნონდრადოტი, რომელიც მხოლოდ სექსზე აფიქრებს ადამიანს, მსხვერპლი ადამიანურად წაშლილი ხდება, ემართებათ ნერვიული ვენერიული სნეულებები, შობენ დაკომპლექსებულ შვილებს, ყველაფრისადმი ინდიფერენტულად იქცევიან, აღარც სიკეთე ესმით, აღარც ადამიანური სილამაზე იციან, ასეთი ადამიანებს ცხოველები სჯობიათ, მცენარე – ხომ მითუმეტეს.

მგონი, მართლდება ადამიანი ფრაქტალია. ფრაქტალი – უსწორობის ზომა, ადამიანი შეუმდგარი ქმნილებაა. შავი უბედურება სუფევს პლანეტაზე, სიკეთეს ერთეულები აკეთებენ, დანარჩენები ვამპირები არიან. ვამპირების არმია მალე გაძლიერდება და ყველაფერს წალეკავს პირისაგან მიწისა.

ემპათიურობა? ეს რაღაა? – იკითხავს მკითხველი. ვპასუხობთ: ემპათია არის მეორე ადამიანის ინფორმაციულ ველში შესვლა, მეორე ადამიანის ქვეცნობიერი

დახმარება, თან შენი საკუთარი თავის გარედან შეხედვა. ემპათია ნოოსფერული (ცნობიერებით მოცული პლანეტა დედამიწა) კატეგორიაა, ძალიან რთული და ძალიან საჭირო ადამიანთა ურთიერთობის მაღალ დონეზე ასაყვანად.
თუ ადამიანი მზად არის მაგიური ინფორმაციის მიღებისათვის, ის ვერ შესძლებს მხოლოდ ინტელექტუალურად მაღალი ფსიქიკური მდგომარეობის განხორციელებას.

სულიერება. ბევრს ჰგონია, რომ ეს არის ბანალური ცნება. მაგრამ, ვაი, რომ ეს ასე არ არის.

დავიწყოთ იმით, რომ ჩვენს ქვეყანაში სულიერების საქმე ძალიან ცუდად არის. სულიერება მხოლოდ სიყვარული, სექსი, მუსიკა, პოეზია, თეატრი, კინო არ არის. სულიერება ეფემერული ფენომენია. ეს არის უმაღლესი გონის წვდომა.

დღეს პლანეტაზე და განსაკურებით საქართველოში კვდომა და კვნესაა მხოლოდ მატერიალურის დეფიციტის გამო. სულიერება, როგორც ასეთი, სამუდამოდ დაიმარხა ადამიანის მიერ, რომელიც იარაღის ჟღარუნის ვნებით არის ატაცებული. სულიერების რეგერენაცია თითქმის შეუძლებელია, სულიერება ფენიქსივით ვერ აღდგება. სულიერების პროცესი შეუქცევადია, მისი მატერიალიზაცია იძლევა უხეშ მატერიას.

სულიერების გარეშე კაცთა მოდგმის წარმოდგენა შეუძლებელია. უამისოდ ადამიანი იქცევა სხეულად, რობოტად, ფიტულად, ბუტაფორიად, მარიონეტად და მისი მართვა ყველა ზომბს, ვამპირს ადვილად შეეძლება. გადახედეთ დღეს პლანეტას: მას მართავს ეკონომიურად ძლიერი მონსტრი, რომელიც ურიცხვი ფულის ხარჯზე ყიდულობს სულიერებას და აცხადებს მას საკუთრებად.

კოსმიური გონის წვდომა სხვანაირად ნიშნავს უმაღლეს ადამიანურ ველებზე გასვლას, სადაც ადამიანი ადამიანად შედგება. როცა ვამბობთ, რომ ჩვენი პლანეტა თავის მასაში (ზოგიერთი წინმსწრები ადამიანის გამოკლებით) სულიერების მატარებელი არ არის, ვგულისხმობთ, რომ ადამიანობა პლანეტაზე არ სუფევს – დაიარებიან რობოტები, ომობენ, მამონას აგროვებენ და კვდებიან. მათთვის უკვდავება არ არსებობს.

ვთქვათ, ხელისუფლებამ ხალხს გადმოუყარა ბევრი კოლბასი, ადამიანებმა მოინელეს ეს ხორაგი სტომაქში, შემდეგ რა?... მუქთახორობა, ტვინის გაუნძრევლობა? თქვენ რომ სარკეში თქვენს თავს ძალიან დიდხანს უყუროთ, საბოლოოდ გაგიჟდებით, რადგანაც საკუთარ თავს შეასკდებით. ასეა მაძღარი და არასულიერი ადამიანის საქმეც. ის მხოლოდ ფულის ნაკვალევზე დადის და დაკავებულია მხოლოდ სექსით. აი მთელი მისი ცხოვრება.

რა ვქნათ? სოროსებს, ონასისებს, ფრიდმანებს გავყვეთ და პლანეტა დავანგრიოთ?

რისთვის მოგვეცა ეს პლანეტა? ფუტურო ყოფისათვის? არამც და არამც.

ჩვენ უნდა ვეომოთ ფულის მანიას, სექსომანიას, ფუტურომანიას, ცრუ პოლიტიკოსებს, ცრუ ინტელიგენციას, კორუმპირებული ცნობიერების ლიდერებს. მათში არაფერი ქარიზმატული არ არის. ჭკვიანმა და ადამიანურმა ადამიანებმა უნდა შექმნან ჰუმანური პოლიტიკის პრეცენდენტი. ამის პოტენციალი საქართველოში არის – ეს არის გამთლიანებული აზროვნების იდეის და კონცეფციის ჩადება განათლების სისტემაში, ეკონომიკაში, მთელს მენეჯმენტში. დაქუცმაცებული აზროვნება, რომელიც დღეს საქართველოშია, სჭირდება «სკამების» ადამიანებს. საქართველო კი მხოლოდ ისინი არ არის. იგი შ. რუსთაველის, დ. უზნაძის, ვაჟა-ფშაველას და მაღალი სულების ქვეყანაა, კულტურული ერის სამშობლო. ამიტომ აპოკალიფსი ნეგატიურ ველებს გაანადგურებს, დადებითი ველებისათვის კი დადგება ნოოსფერო.

ცოდნა და რწმენა

უხსოვარი დროიდან აინტერესებს ადამიანს თავისი როლი კოსმიურ სიცოცხლეში. ურიცხვი წარმოდგენითი და გონებამხვილური სისტემაა შექმნილი ამ მიმართულებით.

გლობალურად, ადამიანი, პირველ რიგში, უცოდინარობის შვილია, ხოლო შემდგომ ცოდნის. მისტიკას ადამიანის ფსიქიკის ფორმირებაში დიდი ადგილი უჭირავს. მისტიკურთან უშუალოდ არის დაკავშირებული რწმენითი სისტემები, რწმენა ადამიანს აძლევს საშუალებას იმედიანად იყოს სამყაროში. რწმენა ყოველთვის წინ უსწრებს ცოდნას, გაცნობიერებული რწმენითი კატეგორია გადადის რა ის ცოდნის ფონდებში, ხელს უწყობს ახალ რწმენათა წარმოაქმანს. კონსერვაცია (დალუქულობა) მენტალურ სფეროს ძლიერ აზიანებს, ხავსმოდებული წარმოდგენით თუ ცოდნითი ცნებები აუცილებლად უნდა უფასურდებოდნენ, ამაშია განვითარების და სიცოცხლის წესი. კონფესიონალური (რწმეითი) აზროვნებაც ევოლუციას განიცდის. რწმენა ადამიანის ქვეცნობიერების კატეგორიაა. ქვეცნობიერი თანაარსებობს ცნობიერთან და არასდროს გამოირიცხება. ადამიანის არსებობის მანძილზე სწრაფვათა და სურვილთა უმრავლესობა ვერ ხორციელდება ცხოვრების სირთულის გამო, მაგრამ ეს შინაგანი დინამიკის ელემენტები არ იმსხვრევა, არამედ განაგრძობს სიცოცხლეს «სამყარო ჩვენს შიგნით» სახით. უწინარეს ყოვლისა, მოტივები და ემოციები, ნებელობა და ცნობიერთან განუზიდაობა არის ჩვენი შინაგანი სამყაროს ძირითად შინაარსი.

ჩვენ ერთმანეთისაგან ძალიან განვსხვავდებით ამ «სამყაროს» თვისებებით. ირაციონალურის პოლიპერსონალურობა ეჭვს არ იწვევს, ადამიანის რაციონალური სფეროს განვითარებაც ინდივიდუალური ბუნებისაა, მაგრამ ამ შემთხვევაში მეტია ალბათობა სტერეოტიპულობისა, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი ის ფაქტია, რომ ადამიანის ქვეცნობიერი ბუნება თითქმის შეუსწავლელია და მას დღეს მეტი ყურადღების მიიქცევა სჭირდება.

ქვეცნობიერი სფეროს აღმოჩენა და ანალიზი ეკუთვნის ცნობილ ფსიქიატრს ზ. ფროიდს, ხოლო სუბიექტური კვლევის ობიექტურზე გადაყვანას, მეცნიერულ რელსებზე დაყენებას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს თანამემაულეს დ. უზნაძეს. «განწყობის» ცნების შემოტანით დაიწყო ქვეცნობიერი ფსიქოლოგიის ახალი საზრისის ერა.

«განწყობა» სუბიექტის, სურვილების სიტუაციის და შესატყვისი მოთხოვნილებების საფუძველზე მზადყოფნის მდგომარეობის გამომუშავებას ნიშნავს, ადამიანის აქტიური პოზიციის შექმნას გულისხმობს და ამიტომ გასაგებია, რომ მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის გარემოსთან მოღვაწეობრივი კავშირისათვის ადამიანის ფსიქიკა მისი ცნობიერისა და ქვეცნობიერის ერთობლიობაა და ფსიქოფიზიოლოგიურად ტვინის ინტეგრალური მუშაობით გამოიხატება. ტვინის მიერ სტაციონალური სტრუქტურით წარმოდგენა შეუძლებელია, ტვინი არის პერმამენტულად დინამიური სისტემა, რომლის ანალოგი დღეს ჩვენ ბუნებაში არ ვიცით. არც ერთი მზა ფორმა გარედან ტვინში არ შედის, გარე არედან მიიღება ინფორმაცია, გარდატყდება რა ის ორგანიზმულ ბარიერებზე, შინაგანი ინსტრუქტაჟის საფუძველზე, ტვინის სერვომექნიზმების მეშვეობით გადამუშავდება და კოდირების ციკლი მთავრდება უკუპროცესით, როცა ტვინი

ახდენს გარემოს არამარტო რეკონსტრუქციას, არამედ კონსტრუირებასაც სუბიექტურ დონეზე. მაგალითისათვის, ვთქვათ, გარედან შემოდის ინფორმაცია, რომ მზიანი ამინდი დგას, ადამიანი კი ამ დროს ცუდ ხასიათზეა. ამ სხვადასხვა ინფორმაციათა (გარე და შინაგანი) სუპერპოზიცია (განლაგება ერთმანეთზე) იძლევა რეალურად არსებულის შეუსატყვის სურათს – მაგ., დღე ნაცრისფერია. ობიექტურ დონეზე – გარემოს გარდაქმნა.

ფსიქიკური ფორმა სპეციფიკურია ადამიანისათვის და შეადგენს კოსმიურ მასშტაბში განსხვავებულ პროდუქციას. ადამიანი, დრო, სივრცე – ძალიან მნიშვნელოვანია ტრიადაა, რომელშიც თითქოს ადამიანი გაბნეულ ნაწილაკს წარმოადგენს. მაგრამ, არა, «ანონიმური მასებიდან» ის გამოირჩა ცნობიერების პარამეტრით. ამ ფაქტმა გარკვეული «შეშფოთება» შეიტანა სამყაროში, ვინაიდან ახალი სპეციფიკა გაჩნდა, როგორც ცოცხალმა არსებამ, ადამიანმა უნდა განაგრძოს «თავის თავი», უნდა იხანგრძლივოს და რომ იხანგრძლივოს, უნდა იმოქმედოს, მოქმედებისათვის უნდა იცოდეს. აქ შევჩერდეთ და გავყვეთ ცივილიზაციის პროგრესის ხაზს.

მაგალითისათვის გავარჩიოთ პრაგმატიკოსის და მისტიკოსის მიდგომა.

ცივილიზაცია შექმნილია ცოდნის აქტიური ზრდით. ცივილიზაციას პოზიტიურთან ერთად სატელიტად (თანმხლებ) უარყოფითი მხარეც ახლავს. გადაჭარბებულმა პრაგმატიზმმა «გაუცხოების პრობლემამდე» მიგვიყვანა. ხომ არ მიგვანიშნებს ეს ფაქტი ცოდნის «აბსოლუტიზაციის» უვარგისობაზე, რომ «ურწმუნო ცოდნა» დასაგმობია? მისტიკოსი იტყვის, რომ აუცილებლად დასაგმობია! და უფრო მეტიც, რომ მთავარი მისტიური არსებობაა! შევქმნათ მისტიურ საფუძველზე დაყრდნობილი არსებობის მოდელი. აქ პრაქტიკოსიც კი არ არის საჭირო, ჩვენ, ჩვენდა თავად, დაგვებადება კითხვა – როგორ ვიცხოვროთ უმოქმედოდ, მხოლოდ მესიის (ღვთაებრივი გადამრჩენელი) მოლოდინი გადაგვარჩენს? ჯერ ეს ერთი, უნდა განვასხვავოთ პრაქტიციზმი ცოდნისაგან. პრაქტიციზმი ნორმიდან გადახრაა, ხოლო ცოდნასთან დაკავშირებულია ადამიანის განვითარებისა და თავისუფლების გზა, სიცოცხლის არსში ჩაღრმავების გზა.

ცოდნისა და რწმენის არსებობა ურთიერთხელშემშლელი სრულიადაც არ არის. «ჯანსაღი აზრით» ეს ტანდემი (წყვილი) აუცილებელია. ცოდნის გზამ ჩვენ გეოსფეროს ხანიდან განვითარებულ ბიოსფერომდე მიგვიყვანა, ჩვენს თანამედროვეობაში ხდება ბიოსფეროს ტრანსფორმაცია ადამიანის მოღვაწეობით და მოსალოდნელია ახალი შედეგები, ცერებლაური (ტვინისეული) ნაკადის გაზრდით სულ უფრო დიდი დოზებით ხდება ფსიქიურის კონცენტრაცია.

ფსიქიურის არსებობის ფორმა დინამიური რეალობაა, განუყოფელი ცოცხალისაგან, რომელიც ევოლუციური პრინციპით არსებობს და ვითარდება. ფსიქობიოლოგიურის განვითარების ცოდნათა ფონდების დიდ დაგროვებასთან მივყავართ.

რა კონტაქტში შედის ეს ფონდები მისტიურთან. «ადამიანი – კოსმოსის» სისტემაში ადგილი აქვს «ცოდნის» და «რწმენის» მიმოცვლას. ეს მუდმივად ხდება და ადამიანის მენტალური არსებობის ფორმას წარმოადგენს. ჩვენ ბევრი გვესმის ე.წ. ზეცნობიერის არსებობის შესახებ. აქვს თუ არა საშუალება ადამიანს ამ კატეგორიაზე პირდაპირი გასვლისა თუ არა გზით ქვეცნობიერისა, ე.ი. ქვეცნობიერის შუამავლობით, ქვეცნობიერში ხდება ზეცნობიერთან დაკავშირებული მგრძნობელობის დაგროვება. ამ თვალსაზრისით ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ემოციური სფეროს ობიექტივიზაციას.

ადამიანის მამოძრავებელი ძალა ცოდნაა, კაცობრიობის განვითარების ისტორია ცოდნის განვითარების ისტორიაა, ეს ფაქტია და ასე იქნება მომავალშიც.

ცოდნა დროის ცნების გარეშე არ არსებობს. რწმენის სფერო კანონიზირებულ სისტემათა რიგს განეკუთვნება და როგორც ყველაფერი მუდმივად და აბსოლუტურად არსებული, დროის ცნებას გამორიცხავს. კაცობრიობის არსებობა წარმოუდგენელია განვითარების გარეშე, ე.ი. დროის ღერძის გაუთვალისწინებლად. ანთროპოკოსმიურ დამოკიდებულებათა სფეროში გვაქვს საქმე მენტალური ინფორმაციის ცვლასთან. ადამიანი ღია სისტემაა და ეს ციკლი უდაოდ არსებობს. ისმის კითხვა – როგორ უნდა მოხდეს მუდმივისა და ცვალებადის ერთმანეთში გასვლა? ხომ არა აქვს ადგილი თეორიულად, იდეალურად არსებულის პოზიციიდან განვითარებადი სისტემების დაგმობის ცდას? თუ არა, მაშინ უნდა დავუშვათ იდეალურის დროში არსებობა. მაგალითისათვის, რწმენები განვითარებას უნდა განიცდიდნენ. ასეთ შემთხვევაში ცოდნისა და რწმენის მიმოცვლა სწორი პრინციპით შესდგება და ადამიანისათვის რწმენას დოგმატური ხასიათი აღარ ექნება.

ბუნებაში, გლობალური მასშტაბით, ძირითადში დრო მაკონსტრუირებელ როლს თამაშობს, ევოლუციას აქვს ადგილი, მუდმივად მიმდინარე მცირე პროცესების გამორიცხვით.

ადამიანის შინაგანი ბუნება ნოვაციური (განახლებადი) ხასიათისაა და გასაგებია, რომ არავითარი ბარიერები არ არსებობს დროში ცვალებად ადამიანის სამყაროსა და გლობალურ სამყაროს შორის. ამ თვალსაზრისით ასიმეტრიულად იქცევიან კატეგორიები, რომელთაც აბსოლუტურის პრეტენზია გააჩნიათ. თუ ამგვარი პრეტენზიულობა დასაშვებია, მაშინ მოსალოდნელია აბსოლუტიზმის მიმდევარი სფეროების «ჩაკეტვა» იზოლაციის დონეზე. ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა ისარგებლოს ადამიანმა ამ სფეროთა შიდა არსებით, თუ ფორმა არ იძლევა საშუალების შინაარსის გამოყენებას.

ეს საკითხი დღეს ძალიან მწვავედ დგას იმის გამო, რომ ადამიანს რწმენითი კატეგორიები ძალიან სჭირდება, მაგრამ არა განუვითარებადი რწმენები, ყოველგვარი განუვითარებადი ადამიანის ფსიქიკას აფუჭებს. ამის მაგალითია ყველა ის მეტასტაბილური მდგომარეობა (ჩიხები), რომელშიც აღმოჩნდება კაცობრიობა. დღესაც კაცთა მოდგმა სტაციონალურ კრიზისს განიცდის. ადამიანის აზროვნებაში მატერიალურის ფეტიშური ფესვებგამჯდარის კატეგორია ბუდობს. «გაქვავებულმა» წარმოდგენებმა დღეს «ადამიანის პრობლემა» წარმოქმნეს.

ადამიანისათვის მისი უზენაესი მიზანი ფსიქიური სრულყოფილებაა. რატომ გადაუხვია კაცობრიობამ ამ გზიდან? რატომ უღალატა თავის ძირითად არსს? მიზეზი ადამიანის შინაგან უცოდინარობაში, უვიცობაში მდგომარეობს. რა ძირითად ცოდნაზეა ლაპარაკი? ეს არის ურთულესი პრობლემა ადამიანის რაობის საკითხი.

ადამიანი ცოცხალი არსებაა «გამსჭვალული» ფსიქიკით (სული), ფსიქიკა ტვინის კონტურებით შემოსაზღვრულ-შემოხაზულ სივრცეს არ წარმოადგენს, ეს არის პროცესუალობა, ეს არის, როგორც უკვე ვთქვით, დინამიური რეალობა. რას ნიშნავს ეს ცნება?

ცოცხალის არსებობაზე ჩვენ წარმოდგენა გვაქვს. ვიცით, რომ მისი გაიგივება არ შეიძლება უსულო საგანთან, ცოცხალს შეუძლია გამრავლდეს, თაობები წარმოიქმნას, ევოლუციური განვითარება ქმნის კოლექტიურ სტრუქტურას, ერთობლიობას, რომელიც მუდმივ ძრაობაშია. მოძრაობის შეწყვეტა სიცოცხლის შეწყვეტას ნიშნავს. ამგვარ უწყვეტ პროცესს დინამიური რეალობა ეწოდება. ეს არის ცოცხალი ნაკადი. ცოცხალის და ფსიქიკის ერთმანეთისაგან გაყოფა არ შეიძლება. ცოცხალი ნაკადი

თანდათან იმუხტება ფსიქიკით და ფსიქიურის გაჯერებამდე მიდის. სწორედ ასეთ დინამიურ, კოლექტიურ რეალობას წარმოადგენს თავის ტვინში ინფორმაციული კოდების მუშაობა, რომლის განმხორციელებელია ნელ პოტენციალთა მიკრო სტრუქტურა, ე.წ. სინაპსური ქსელი. კოდირება ნიშნავს თავის ტვინში უწყვეტ და წყვეტილ ინფორმაციულ სიგნალთა მონაცვლეობას, რის ხარჯზეც ხორციელდება ადამიანის შიდა სამყაროს კავშირი გარემოსთან. ადამიანისეული დინამიური რეალობა სპეციფიკური რეალობაა. თუმცა ფიზიკურ რეალობასთან დაკავშირებით, თუ დავეყრდნობით თანამედროვე ახალი დინამიკის პრინციპებს შეუქცევადი პროცესების ფიზიკაში, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზოგადკანონიერება სამყაროში ერთია – ეს არის ევოლუცია, თვითორგანიზაციის პრინციპზე დამყარებული. როგორც უკვე იყო ნათქვამი, სამყაროს ყველა ღიაა (გარემოსთან ენერგიის მიმომცველი) სისტემისათვის «დროს» აქვს ახალის მაკონსტრუირებლის, შემქმნელის მნიშვნელობა. გამომდინარე აქედან, რა ადგილი უნდა მივუჩინოთ ჩაკეტილ «გაჩერებულ» სისტემებს არსებულთ მუდმივი კანონებითა და მექანიზმებით?

ალბათ, კერძო შემთხვევის ლოკალობის. ეს არის დეტერმინირებული, წონასწორული, შექცევადი პროცესები.

მკითხველს ალბათ დაანტერესებს რა კანონია ფსიქიურ ბუნებაში ისეთი, რომელიც ადექვატურია ცოცხალის ევოლუციის კანონისა და ტემპორალობისა (დროის ღერძის გამთვალისწინებელი) ფიზიკაში (თერმოდინამიკა). გენეზისი ამ კანონისა, პრინციპისა დევს ქვეცნობიერი ფსიქოლოგიის სფეროში, გამომდინარეობს «განწყობის» თეორიიდან. ფსიქიური «განწყობა» ერტჟერადი არ შეიძლება იყოს. დინამიკაში ის ღბულობს განზოგადოებულ სახეს. დინამიურ სისტემებში ფინალიზირებულ მდგომარეობათა ევოლუციურ ცვალებადობას შეიძლება ეწოდოს «ჩამომყალიბებელი» ანუ «განწყობა» სიტყვიდან გამომდინარე, «განწყობადობრიობის» კანონი. განვითარებადი სამყარო, ერთიანი ფიზიკურის, ბიოლოგიური, ფსიქიურის თვალსაზრისით სსაერთო კანონზომიერებით არსებობს, ე.ი. შეუქცევადი, თვითორგანიზებადი, ქაოსურობიდან წესრიგისაკენ მიმართული.

ჩვენ ვცხოვრობთ სოციალ-პოლიტიკურად მეტად დაძაბულ ეპოქაში, მაგრამ მიუხედავად ძალიან დიდი ქაოსურობისა, თანდათან და მეტად მძიმე სვლით იკვეთება ფსიქიურის კონცენტრაციის გზა. ეს გზა ნოოსფერული (ცნობიერებითი) ტენდენციისაა.

შეიძლება ოპტიმალურად განვითარებული ბიოსფერო ნოოსფეროში (ცნობიერებით დასახლებული დედამიწის გარსი) გადაიზარდოს. ეს დღეს ჰიპსისტემის დონეზეა, მაგრამ აზრი ვითარდება და მომავალმა შეიძლება ბევრი რამ ახალი დაგვანახოს. ამ ასპექტთან დაკავშირებით, მე მგონია, რომ რელიგიური რწმენების განვითარება უნდა ხდებოდეს კოსმოლოგიური საკითხების შესწავლის ხარჯზე.

რელიგიური რწმენების გარდა არსებობს რწმენითი სისტემები, რომელიც ადამიანს ყოფით სფეროს მიეკუთვნება. ამ რეგიონში მე იმისათვის გადმოვინაცვლე, რომ უკეთესად გავიგოთ თეორიული მოთხოვნა. ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად მიმართავს რწმენის კატეგორიას, რწმენის გამოყენებით იწყებს თავის ქმედებას, თუ რწმენა სტატისტიკურად ბევრჯერ «ჩავარდა», ადამიანი გაცრუებულ იმედიანი რჩება, ეს მაშინ, როცა ადამიანი სიტუაციისათვის შეუსატყვისი, რწმენებით სარგებლობს, რწმენა უნდა იყოს პროგრესული, თანამედროვე ასპექტში წინმსწრები. სოციალ არეში ამის მაგალითი ბევრია, თუნდაც პოლიტიკური სისტემების გაუმართლებლობა, ადამიანი ურწმუნო ხდება. რელიგიური სფერო «მომგებიან»

მდგომარეობაში იმ თვალსაზრისით, რომ რელიგიური რწმენის გამართლების შემოწმება შეუძლებელია. რელიგიური კოსმოგენიური არსი ადამიანისათვის მიუწვდომელია და თუ რაღაც არ შესდგა, ყოველთვის ადამიანი იქნება დამნაშავე. ეს არის პოსტულატი. ეს ნიშნავს აბსოლუტის არსებობას.

ჩემი აზრი ასეთია, დავუშვათ, რომ არსებობს ეს აბსოლუტი, გზა მისკენ ხომ ყველა შემთხვევაში უნდა იყოს რეალტიური (ფარდობითი) ადამიანისათვის უნდა იყოს აბსოლუტთან მიახლოების გზა, ადამიანის ფსიქიური სისტემების სრულყოფის გზა. ფსიქიური სისტემების სრულყოფა კი ადამიანს ძალუძს, ეს მის ხელთ არის, ეს ინტრისპექციის (საკუთარ თავში ჩახედვა) მეთოდით ხორციელდება, ამას ქადაგებს ბუდისტური რელიგიური სისტემები, ე.ი. რელიგიის ზოგიერთი რეგიონი თანახმაა რეალური გზის გამოყენებისა, მაგრამ მთლიანობაში რელიგია ზეცნობიერის ხელშეუხებლობის პოზიციაზე დგას. მეცნიერები კი გვთავაზობენ კონკრეტულ ამოცანას, ზეცნობიერთან მიახლოებას ადამიანისეული ქვეცნობიერის გაცნობიერებით. მეცნიერება იზიარებს ბუდისტურ რელიგიურ აზრს – ადამიანში ფსიქიურ მდგომარეობათა ევოლუციური განვითარების შესაძლებლობის შესახებ. აბსოლუტურად დასაშვებია, რომ ადამიანი ფსიქიურად ისე განვითარდეს, რომ ცნობიერების სუბსტანციურობის პრეტენზია გააჩნდეს. მაშინ შეიძლება საერთოს ცოდნა გამეფდეს დედამიწაზე და უკვე ცნობიერების ეს იერარქია შევიდეს კონტაქტში კოსმიურთან. ნუ გავისწრებთ წინ ძალიან მოვლენებს. ჩვენ წინ ამოცანა მინიმუმი დგას – შევიცნოთ რანი ვართ ადამიანები. ამის კვლევის სამუშაოები დღეს არის ბუნებისმეტყველების ჰუმანიტარიზაციის გზა, სოციალური სისტემების ფსიქოლოგიური სამსახურის, მობილიზაციის გზა, ადამიანების საკუთარ თავზე ინდივიდუალური მუშაობის გზა, ახალი რწმენითი სისტემების შექმნის გზა, მეცნიერულ და არამეცნიერულ ცოდნათა გართიანება.

კაცობრიობას იმაზე უფრო მნიშვნელოვანი და რთული ამოცანა თავისი ისტორიის მანძილზე არ ჰქონია, როგორცაა ადამიანის ადამიანურობისაკენ დაბრუნებისა. ხალხები ურიცხვჯერ ყოფილან ფიზიკური განადგურების პირას. ეს იყო სტიქია, ომები. ადამიანი სულ რაღაცას და ვიღაცას ებრძოდა, დღეს კი მას ყველაზე საშინელი მტერი ჰყავს ყველა არსებულიდან – საკუთარი «მე», «მტერი შენს თავში», კატეგორიულად ახალი ფორმა მტრისა. ანტისხეულის ლიკვიდაციისათვის იმუნური ძალების მობილიზაციაა საჭირო, რაც გამოიხატება ცოდნისა და რწმენის საფუძველზე სიტუაციის გადარჩენის აქტიური პოზიციის გამომუშავებაში.

რა რწმენისა? რწმენა საკუთარი ძალებით მოხდეს რევოლუცია ადამიანის შინაგან სამყაროში. რა ცოდნისა? კაცობრიობის ინტეგრალური ცოდნისა და განსაკუთრებით გამოსაყოფი სამომავლო ცოდნისა – ადამიანის ქვეცნობიერი ფსიქოლოგიის ობიექტივიზაციისა.

დიმიტრი უზნაძის თეორიის მნიშვნელობა ნოოსფერული აზროვნების გადმოსახედიდან

სამყარო მხოლოდ სტრუქტურულად არ არის მოწყობილი. სამყარო ჰოლომოძრაობაა გამჟღავნებული ფიზიკური, მატერიალური და გაუმჟღავნებელი ტრანსფიზიკური არამატერიალური ნაკადებისა. სამყარო არის ინოვაციურ-ევოლუციური ჰოლოგრამა. ჰოლოგრამა არის ინფორმაციული სივრცე, დიდი

ინფორმაციით გაჯერებული, სადაც სივრცის თითოეული წერტილი უზრუნველყოფილია ინფორმაციით მთელი სივრცის შესახებ და სივრცის ყველაზე მცირე ნაწილს შეუძლია აღადგინოს მთელი ჰოლოგრამა. ჰოლოგრამა არის ჰოლიზმის უნივერსალური ვარიანტი და სამყაროს აზრი მის ჰოლოგრაფიულობაშია, ჰოლოგრაფიულობა სამყაროს საზრისია. სამყარო ჰოლოგრაფიულია, ერი ჰოლოგრაფიულია, ადამიანი ჰოლოგრაფიული, ადამიანის აზროვნება თუ ჰოლოგრაფიული არ არის, ის უვარგისია და ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ რასაც დ. უზნაძე ეძახის მესამე რეალობას, სწორედ ამ მესამე რეალობის ჰოლოგრაფიულობა არის ძირეული. დ. უზნაძე ლაპარაკობს ადამიანის გამთლიანებულ აზროვნებაზე პოტენციაში, პოტენციურობის სიღრმისეულ, ქვეცნობიერ ასპექტში, ეს არის ცნობიერების იერარქიის აზროვნების წინარე შრე, ცნობიერება არაატომარულ, ალბათურ სიმბოლიზმში, ქვეცნობიერის ჰოლოგრამა პირველადი ჰოლოგრაფიულობაა ადამიანში, ასეთი ჰოლიზმი უწყობს ხელს კაპსულებიდან ტრანსცენდენციას, ადამიანი ნოოსფეროში (ცნობიერებით მოცული პლანეტა დედამიწა). აღწევს ანთროპოგენური ნოოსფეროს (გამთლიანებული აზროვნებით მოცული პლანეტა) მეშვეობით და არის უდიდესი საოცრება, რომ ანთროპოგენური ნოოსფერო მხოლოდ ინვარიანტია დ. უზნაძის გამთლიანებული აზროვნებისა არაარტომარულ დონეზე, აქედან მოდის, ადამიანის ჭეშმარიტი ადამიანურობის წანამძღვრები, რომელთაც აქვთ უნარი ადამიანურ ველებზე გასვლისა კოსმიურ დონეზე და ამიტომ არის, რომ გამთლიანება უზნაძის დონეზე კაცობრიობის მომავალია ყოველგვარი ჰიპერბოლის გარეშე.სამყაროს ინდეტერმინისტული თეორია

ნოოსფეროს ანბანი

1. წინათქმა
2. წუთისოფელი. ზოგადი სქემები:
   ა. რეალობის ერთადერთობა
   ბ. ფიზიკური
   გ. ბიოლოგიური
   დ. მენტალური (აზრობრივი) სამყაროები
3. მატერიის ინდუქციის (გართულების) თეორია
4. სულის გამკვრივების თეოლოგიური თეორია
5. მეცნიერული ინვოლუციური თეორია
6. ცნობიერება. თანამედროვე მოდელი. ალტერნატიული ვარიანტი
7. ადამიანი და მისი იმანენტური («სამყარო ჩვენს შიგნით»)
8. იმანენტურის ტრანსცენდენცია (მიღმა სწრაფვა)
9. XX საუკუნის II ნახევრის ახალი აზროვნება
10. ონთოლოგიზაცია (ყოფიერებადქმნა)
11. ნოოსფერო – პლანეტა დედამიწის ცნობიერებითი ყოფიერება, როგორც პლანეტარული მოვლენა.

დამატებითი ინფორმაციები მაგისტრალური ხაზის წამყვანი ავტორების თვალთახედვათა შესახებ.

1. Пространственно-временная голографическая модель мозга [Ш.Д. Какичашвили, И.Л. Каландадзе, Симпозиум, 1990 г. 21.XI «Природа научной теории»]
2. К использованию голографической модели [И.Л. Каландадзе, Ш.Д. Какичашвили, Труды Совета по «Философии науки» АН ГССР, 1990 г.]
3. Илья Пригожин, Изаббела Стенгерс «Порядок из Хаоса», 1986, 2 Прогресс».
4. В.И. Вернадский «Философические мысли натуралиста», «Наука», 1988.
5. Пьер Тейяр де Шарден «Феномен человека», «Наука», 1987.
6. В.Франкл«Человек в поисках смысла», «Прогрес», 1990 г.
7. Ф.Ницше, 1910 «воля к власти».
8. D. Bohm 1986, New theory of the relationship of mind and body. The Journal of the American society for Psychical Research, 80, ȝ.113-135.
9. В.В. Налимов «Спонтанное сознание», «Прометей», 1989.
10. Древнекитайская философия, «Мысль», 1973.
11. Sociophysiology, SSSP, New-York, Berlin, Heidelberg, Tokyo. “On Evolutionary Perspeqtive on Human Social Behavior”, rne Ohman and Ulf Dimberg.
12. ი. ლ. კალანდაძე (შრომების სია ავტორთან).

წინათქმა

არ გასულა დიდი დრო მას შემდეგ, რაც მთხოვეს ექსტრასენსორული მოვლენების შესახებ სატელევიზიო გადაცემაში მონაწილეობა. მე მგონია, რომ ამ ტიპის მოვლენები, როგორიც არის ექსტრასენსორული ტრანსლაციები, ადამიანის გლობალური ცნობიერების დროსა და სივრცეში გაფართოებითა და შეკუმშვით არის გამოწვეული. სწორედ ამგვარი ცნობიერების სახიერების მიწოდებით მივიჩნიე მიზანშეწონილად დაგვეწყო ამ თემაზე საუბარი.

შეთავაზებული კადრი იყო შემდეგი:

აბიბინებულ ლერწმის ყანაში დგას შესანიშნავი ბიჭუნა ლუკა, მოხიბლული საოცარი სილამაზით, და შესჩერებია ერთ, ყველაზე უფრო ტანაზიდულ ლერწამს. მზერა განთხეულია უსასრულო სივრცეში. გაოცებული და გაოგნებული ბავშვი თითს იშვერს მაღალი ლერწმისაკენ და კითხულობს – ესაა ლერწამი? კადრსუკანა ხმა პასუხობს ბავშვს – ეს ჩვეულებრივი ლერწამი არ არის, ეს მოაზროვნე ლერწამია!

დიახ, აქედან იწყება თქვენთანაც, მკითხველნო, ჩემი საუბარი. მოაზროვნე ლერწამი სიმბოლოა მოაზროვნე ცოცხალი არსებისა. ლერწამი აზიდულობაა, ატყორცნილობაა! ადამიანებო! რამ შეგვაწუხა დღეს ყველაზე უფრო?

რატომ ავლაპარაკდით ასე აფორიაქებულად ადამიანის შიდა სამყაროების შესახებ? რა არის ჩვენში, ადამიანებში, ისეთი სპეციფიური, რაც არ გააჩნია ყველა დანარჩენს, ადამიანის გარდა, გარემოში?

ადამიანის «სამყაროში მის შიგნით» [კ. პრიბრამის გამოთქმა] ყოველივე მის მიერ ნაგრძნობი და მასში გადადუღებული «შიდა მოძრაობების» სახეს იღებს, «შიდა მოძრაობების» პიკი «აზრის ძიების სივრცეს» აღწევს ჯერ თვით ადამიანის შიგნით, ხოლო შემდგომ მის გარეთ, ადამიანისეული გარეთ იჭრება და ცდილობს ადამიანთა ერთიან აზროვნებაში გაერთიანებას. ასეთი ერთიანობა ახალი ტიპის ერთიანობაა განსხვავებით სიცოცხლის ერთიანობის ფორმისაგან. სიცოცხლე პლანეტის ერთიან

მოვლენათაგანია, დროით აზროვნებითი ერთიანობის ფორმა უფრო გვიანდელია და ახლა ფორმირდება ქმნადობითი კატეგორიების მწკრივში კიდევ ერთი წევრი და მას ნოოსფერო ჰქვია. ნოოსფერო ცნობიერებით მოცულ პლანეტა დედამიწას ნიშნავს. დღეს ადამიანს ამ სიტყვის გაგონებზე ისეთივე «ემართება». როგორც ფიზიკური არაორგანული სამყაროს ელემენტს, მეტაფორულად, ცხადია, სიცოცხლის სტრუქტურული დონის შემოტანისას. რა იწვევს შოკს? ის, რომ ჩვენ ყველაფერი გვინდა წარმოვიდგინოთ მატერიალური ნაწილაკის სახით. მაგრამ ადამიანისთვის აზრის ცნება უცხო არ არის. აზრს ჰქმნის ცოცხალის ნეირონული ქსელები ტვინისეულ სტრუქტურებში, მაგრამ ამ მუშაობის შედეგი – თავად აზრი, ცხადია, მატერიალური არ არის. სივრცე, რომელიც იმსჭვალება აზრით, აზროვნების სივრცეს წარმოადგენს და მუშაობს როგორც ბუფერი ადამიანსა და კოსმოსს შორის ურთიერთობის დასამყარებლად. [იხ. დამ. №4 Вернадский]. ნოოსფეროს არსებობა არ ნიშნავს, რომ ფიზიკური და ბიოლოგიური დასახლებები პლანეტაზე უნდა წაიშალონ, პლანეტის ყველა ევოლუციური პლასტი თანაარსებობს, იქმნება რთული სისტემები, მომავალში შესაძლებელია პლანეტარული დინამიური იერარქიის სულ ახალი შევსებები. ეს უკონტროლო მომავალია თუ არ ვიგულისხმებთ თეოლოგიურ და მეცნიერულ დეტერმინისტულ ცოდნას, ერთმაც და მეორემაც "ყველაფრის შესახებ ყველაფერი" იცის განსაზღვრული პროგრამების მიხედვით. მეცნიერების ინდეტერმინისტური, სხვათა შორის არამატერიალისტური თეორიის მიხედვით, სამყარო განუსაზღვრელია (ინდეტერმინისტურია).

წუთისოფელი
ზოგადი სქემები

თვალთახედვა არის შემდეგნაირი, რომ რეალობა ერთია და ის ნაგულისხმევი (იმპლიციტური) [იხ. დამ. №8 დ. ბომი] პოტენციურობის შემცველია, რასაც გამოვლენა (ექსპლიკაცია), რეალიზაცია ესაჭიროება. ექსპლიციტური ფორმებია: ფიზიკური, ბიოლოგიური და ფსიქიური სამყაროები. ამ სამყაროების ამოცანები სპეციფიურია, რაც განაპირობებს მათი არსებობისა და ფუნქციონირების ფორმასა და შინაარსს. ადამიანის მეხსიერების სამყაროსთან კავშირი შეიძლება წარმოვიდგინოთ ჰოლოგრაფიული პროცესის მეშვეობით. ოპტიკაში ჰოლოგრაფირება ითვალისწინებს ინფორმაციის ჩაწერას ლოკალიზებული ობიექტის მიერ კოჰერენტული ველის გაბნევის, ამასთანავე ჰოლოგრამის ყოველი წერილი შეიცავს ინფორმაციას ობიექტის ყოველი წერტილის სესახებ. გამოვიყენოთ ჰოლოგრამა მეტაფორის სახით ფსიქო-ბიოლოგიური სისტემისათვის [იხ. დამ. №1 Какичашвили, Каландадзе]. შემოვიტანოთ ცნობიერების ახალი მოდელი:

1. გამჭვირვალე (ცნობიერი) ნაწილი
2. გაუმჭვირვალე (ქვეცნობიერი, არაცნობიერი)
3. ობიექტივირება – გაუმჭვირვალედან გამჭვირვალეში გადასვლის საშუალება. ამ მოდელს ქვევით უფრო დაწვრილებით შევეხებით [თავი 6]. ადამიანის ცნობიერების გაუმჭვირვალე სარდაფებში ჰოლოგრაფირებულია იმპლიციტური სამყარო დროით-სივრცული ჰოლოგრამის სახით ისეთნაირად, რომ ჩვენს მეხსიერებაში მოცემულია მთელი საკაცობრიო პოტენციური ფსიქოგენეტიკური მასალის სახით [იხ. დამ. №11] (მეხსიერების თვითოეულ წერტილში არის ინფორმაცია ნაგულისხმევი სამყაროს ყველა წერტილის შესახებ), ე.ი. იმპულსი ადამიანის პერსონიფიცირებისა არსებობს.

პერსონიფიცირებას წარმოვიდგენთ როგორც გაუმჭვირვალედან გამჭვირვალეში გადასვლას ობიექტივირების საშუალებით. ობიექტივაციას იმპულსის დონიდან ადამიანი გადაჰყავს გაცნობიერებულ სამყაროში. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ადამიანი ერთხელ და სამუდამოდ ყველაფერს გაიცნობიერებს და შეიქმნება «აბსოლუტურად ცნობიერი». ევოლუციას იმ გზით მივყავართ, რომ თანდათან ადამიანი უფრო აქტიურად შესძლებს ინფორმაციის არაცნობიერიდან ცნობიერში გადაყვანას, ხოლო არაცნობიერის ევოლუციური პროცესი განაგრძობს ფუნქციონირებას, არავინ არ ამბობს, რომ მომავალში თავის ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო, ირაციონალობის პასუხისმგებელი, გაუქმდება, მოხდება მხოლოდ ტვინის ინტეგრალური მუშაობის ინტენსიფიკაცია. რას წარმოადგენს ადამიანის გარემოსთან დიალოგი? როგორია მთლიანობაში კოდირების პროცესი, რომელსაც ტვინი აწარმოებს?
გთავაზობთ სქემას:

ადამიანი
გარემო
In
Out
დემარკ. ხაზი
გარე
ინფორმაცია
შიდა
ინფორმაცია

ყოველი ახალი გარე ინფორმაცია, გარდატეხილი ორგანიზმულ ბარიერზე, შემოდის ტვინში, სუპერპოზირდება (შრევდება, თანედება) შიდა ინფორმაციაზე (მუშაობს ორგანიზმული ინსტრუქტაჟი) და გადამუშავების შემდეგ, დეკოდირებული ნაკადი სცილდება დემარკაციულ ხაზს და «ჟონავს» გარემოში (ვერბალური და არავერბალური სემენტიკა) ჯერ ახლო კოსმოსში, შემდგომ ევოლუციონირებს შორკოსმოსში. უკურეაქციის სახით ადამიანურ-სპეციფიური ინფორმაცია იწყებს მუშაობას გარემოში და ის არამარტო რეკონსტრუირებას ახდენს გარეარსისას, არამედ კონსტრუირებასაც, რაც ტოლფასია ახალი სამყაროების შექმნისა. სწორედ ეს არის ევოლუციური დიალოგი სამყაროსთან.

ფიზიკური სამყარო

ძველი წარმოდგენების ფიზიკური სამყარო განსაზღვრული (დეტერმინირებული) სამყაროა, რომელშიც მოქმედებს ძირითადი მიზეზ-შედეგობრივი კანონი, სისტემები ისწრაფვიან წესრიგიდან ქაოსისაკენ მზარდი ენტროპიით (სისტემის უფრო ალბათურ მდგომარეობაში გადასვლა, ენერგიის მინიმუმისაკენ სწრაფვა). ამგვარი სისტემები იზოლირებული სისტემების რიგს განეკუთვნებიან.
ასეთი ფიზიკისათვის დრო შექცევადია და სკალარს (სიდიდე მიმართულების გარეშე) წარმოადგენს. ეს არის ფაქტიურად ნიუტონისა და ეინშტეინის ფიზიკა.
ფიზიკაში ცოტა ხნის წინათ გაკეთდა მესამე რევოლუცია, რომლის ავტორი ცნობილი მეცნიერი ილია პრიგოჟინია. ახალი წარმოდგენა ფიზიკაზე ანტიენტროპიულ

პრინციპებზეა აგებული. პრიგოჟინისეული ფიზიკა ქაოსიდან წესრიგისაკენ მიმართული პროცესების სამყაროა.

«ვაკუუმი ანუ ფარდობითობის ზოგადი თეორიის დრო და სივრცე წარმოქმნის მატერიას შეუქცევადი პროცესის შემთხვევაში და უკუპროცესი შეუძლებელია» (ი. პრიგოჟინი). ფიზიკური სამყარო არაორგანულ-ნივთიერებითი აღნაგობისაა თავისი სტრუქტურით, მისი საწყისი ფორმა ქაოტურია, რომელშიც უამრავ ალბათურ მოვლენას აქვს ადგილი, გარკვეულ მომენტში რომელიმე ერთი ალბათობა ან ალბათობათა კომბინაცია გამორჩეულ ხასიათს იღებს, ძლიერდება და გადაჰყავს სისტემა უწესრიგობიდან წესრიგში თვითორგანიზაციის მექანიზმზე დაყრდნობით. ასეთი სისტემები ისწრაფიან ევოლუციისაკენ, მარტივიდან რთულ სტრუქტურებზე და ფუნქციებზე გადასვლით, ქმნადობისაკენ და იწოდებიან მზარდინფორმაციულ სისტემებად. ასეთი სისტემები არაწრფივი, არაწონასწორული, არასტაციონარული, სტოქასტიკური (ალბათური) კანონებით მოქმედი ღია სისტემებია. ფიზიკური რეალობა, ძირითადში, ღია სისტემების სამყაროა, მაგრამ მასში ქვესისტემების სახით დახურული სისტემებიც მუშაობენ ლოკალურად, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ფიზიკური სამყარო იდენტერმინისტულია მთლიანობაში, რომელსაც გააჩნია დეტერმინირებული ლოკალური უბნები.

ბიოლოგიური სამყარო

არაორგანულ წიაღში ორგანულის გაჩენის ფაქტი აქსიომად უნდა მივიღოთ, სხვაგვარად, მისტიკაში გადავვარდებით. ფიზიკურისაგან განსხვავებით, ბიოლოგიური – ახალი სტრუქტურული დონეა. ქრომოსომა, უჯრედი, მართალია, ფიზიკური ელემენტებისაგან შედგება, მაგრამ ის ფუნქციონალური დონე, რომელსაც ბიოლოგია ქმნის, უკვე მექანიკური ჯამი არ არის მოლეკულებისა. იქმნება რა უჯრედი, ის ერთი უჯრედის დონეზე არ რჩება, აუცილებლად მრავლდება და წარმოქმნის დინამიურ კონგლომერატს, რასაც «დინამიურ რეალობად» აყალიბებს თეიარ დე შარდენი (იხ. მად №5 Т. де Шарден). «დინამიური რეალობა» ჰქმნის ბიოლოგიურ სივრცეს. ბიოლოგიური სამყარო ანტიენტროპიულ პრინციპებზე აგებული ევოლუციური სამყაროა. დიდ შეუთავსებლობას ჰქონდა ადგილი კლასიკური ფიზიკის თერმოდინამიკის II კანონისა და ჩ. დარვინის ბიოლოგიას შორის. იმ დროს ფიზიკა ენტროპიულობას ქადაგებდა და უფსკრული გაჩნდა ბიოლოგიასა და ფიზიკას შორის, ეს ბარიერი მოხსნილ იქნება მას შემდეგ, რაც ღია სისტემის პრინციპებზე დაყრდნობით განვიხილავთ ფიზიკას, ე.ი. პრიგოჟინის ხანაში (იხ. დამ. №3 Пригожин). ცოცხალიდან ჩვენ ავტომატურად გადავდივართ სიცოცხლის კატეგორიაზე. არსებობს სიცოცხლის კლასიკური განმარტებები (ცილოვან ნაერთთა არსებობის ფორმა, ორგანიზებული მატერია და სხვა.), ჩვენ კი გვაინტერესებს სიცოცხლე, როგორც ერთიანი პლანეტარული მოვლენა. სიცოცხლე არც როგორც ფორმა, არც როგორც შინაარსი არ წარმოადგენს უბრალოდ ცალკეული სიცოცხლეების ჯამს, სიცოცხლე ინტეგრალური მოვლენაა, რომლითაც არის მოცული მთელი პლანეტა და ცოცხალი არის სიცოცხლის მატარებელი.

აქვს თუ არა ფიზიკურ სამყაროს გამაერთიანებელი კატეგორია? ის ინტეგრალური ფორმა, რომელიც აერთიანებს ფიზიკურ სამყაროს დრო და სივრცეა (დამ. №2 Каландадзе, Какичашвили) F (ხ, ყ, ზ, ტ). შემდგომ დროის შეუქცევადობა, დროის ასიმეტრია ქმნის სიბურცეს (пучность) სივრცის განსაზღვრულ ნაწილში, ჩნდება

ცოცხალი. ცოცხალ ორგანიზმებში დროის ვექტორი უფრო არის გამოხატული. ცოცხალში დრო სამი სკალით მიმდინარეობს – ნივთიერებათა ცვლის, ფენოტიპური (გარემოსთან ურთიერთქმედი), ევოლუციის, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ცოცხალ სამყაროში გადაადგილება დროის ღერძებით მიმდინარეობს (კრეოდიულობა) (იხ. დამ №12) და ხაზგასმულია, რომ ფიზიკურის მაგივრად, მიუხედავად იმისა, რომ ცოცხალ სამყაროში დახურული სისტემებიც მოქმედებენ, მთლიანობაში მიზანდასახული მოძრაობა ევოლუციით ხდება. ცოცხალის წიაღში ფეხს იკიდებს კიდევ ერთი სტრუქტურული დონე – გონითი ქსელი, ახალი ტიპის «დინამიური რეალობა», უფრო რთული თავისი სტრუქტურით და ფუნქციით, ჩნდება მენტალურის დისპერგირებული უბნები და ეს დისპერსიაც ილტვის გაერთიანებისაკენ.

მენტალური სამყარო

რა სპეციფიკასთან გვაქვს საქმე რეალობის მენტალური გამჟღავნების დროს? ადამიანის დონეზე ახალი ტიპის ინფორმაციასთან გვაქვს საქმე – აზროვნების ინფორმაციასთან. როგორც წინა თავში გაკვრით აღვნიშნე და მე-6, მე-7 მე-8 თთ. დეტალურად ვილაპარაკებ, გრძნობადი ინფორმაცია ადამიანის ცნობიერებით იერარქიულ სქემაში ცნობიერების სარდაფებიდან ჯერ აზროვნების საფეხურს აღწევს, ეს ალბათური მდგომარეობის ზონაა, აქ წარმოიქმნება ინტუიციური (სენსიბელური მგრძნობელობითი) და ინტელჰიბელური (განსჯითი სია). ამ შრეს სპონტანურობის შრეს ეძახიან ცნობიერების თეორიაში (სპონტანურობა – მყისიერი განათება, გასხივოსნება (мгновенное просветление, озарение) (იხ. დამ. 10). ზოგიერთი ავტორის მიხედვით ამ შრეს უშუალო კავშირი აქვს კოსმოსურ ცნობიერებასთან (ეს დეტერმინისტულ თეორიებში), ხოლო ინდეტერმინისტური აზროვნება ფიქრობს, რომ ადამიანის ცნობიერების (სპონტანურის) კავშირი გარემოსთან გამოიხატება საკაცობრიო პოტენციურთან ანუ «არქეტიპულ კოლექტიურ არაცნობიერთან» ურთიერთობით სენსიტიბილური სარდაფების დონეზე, შემდეგ ყველა ეტაპი ცნობიერითი იერარქიისა ანტროპოგენურია (ადამიანისეულია). სპონტანურობის დონიდან აზრი ილტვის ადამიანის მიღმისეულ სამყაროში (ინტენციონალობა) მეორე ობიექტზე, ან სუბიექტზე გასასვლელად, რათა ადამიანურ სპეციფიური ენის გატანით მოახდინოს თანდათანობითი სემანტიკური სივრცის შექმნა, უნდა მოხდეს ადამიანის სუბიექტური სამყაროდან გასვლა ანუ ეგონაჭუჭებიდან «ამოხტომა» და თავისუფალი აზროვნებისკენ სწრაფვა და მეტად საგულისხმო მომენტია – თავისუფალი აზროვნება ახდენს დროის უსასრულობის რეალიზაციას, სადაც შეიძლება დროსა და სივრცეში გაფართოებაც და შეკუმშვაც. ეს არის სწორედ ადამიანის განზომილების სივრცე, თავისუფლების დიდი ხარისხებით, სადაც თავისუფლება აუცილებლად სუბიექტურის დონეს უნდა იყოს გამცდარი. ობიექტურობა, როგორც თავისუფლება და თავისუფლება, როგორც ობიექტურობა.

«მატერიის ინდუქციის» (გართულების) თეორია

ცნობიერების თეორიაში არსებობს პოზიცია, რომლის წარმომადგენელი ავტორიც გახლავთ, რომ ჩვენი რეალობა ქაოსით იწყება და წესრიგისკენ მიემართება

მარტივიდან რთული სტრუქტურებისა და ფუნქციებია შექმნით, ამ იერარქიული კიბის პირველი საფეხური ფიზიკური სამყაროა (ლითოსფერო).
ლითოსფეროს წიაღში ჩნდება ცოცხალი, რომელიც ჯერ ჩანასახის (მატრიცის) დონეზეც კი უკვე აღარ არის ფიზიკური, ცოცხალის ელემენტები იწყებენ სტრუქტურული სამყაროს ტერიტორიების ექსპანსიას, თანდათან ცოცხალი ერთეულების სიმკვრივე მატულობს და პლანეტა დედამიწა მოცული ხდება სიცოცხლით. შემდგომ, ბიოსფეროს წიაღში ჩნდება აზრის მატარებელი ელემენტები, ამჯერად ეს ელემენტები ახდენენ ბიოსფეროს ოკუპაციას და იქმნება ახალი პლანეტარული აზროვნებითი შრე. ყველა ეს პლასტი პლანეტაზე თანაარსებობს, მხოლოდ ყველა ახალი პლასტის წარმოქმნის შემთხვევაში, ახალი ითამაშებს ბუფერის როლს კოსმოსთან ურთიერთობაში.

ნოოსფერო არის ადამიანის იმანენტურის (შინაგანი) ყოფიერებად (ონთოლოგიად) ქცევა. ფაქტიურად ამ სქემას მივყავართ მატერიის (არამატერიალურ მატერიისაკენ) გართულებამდე. არის თუ არა ასეთი თეორია მატერიალურისტური? მე მგონი, ასეთი განმარტება უმართებულოა. სამყაროს ქმნადობითი პროცესი მატერიალურიც შეიძლება იყოს და იდეალურიც. მთავარი არის ახლის ქმნადობის პრონციპი, სხვანაირად მოძრაობა შეწყდება, დრო გაჩერდება. აქვე დავსვათ კითხვა – აქვს თუ არა აზრი არამატერიალურთან დაკავშირებით დროსა და სივრციდან გასვლას, მიღმა ყოფნას, დროისა და სივრცის მიღმაობას? თუკი მენტალურისთვის ჩვენ უსასრულო დროს შემოვიტანთ, შესაძლებელია დროსა და სივრცეში დარჩენა.

სულის გამკვრივების თეორია

კონფესიალური (რწმენითობის) აზროვნების სფეროს მიაჩნია, რომ არსებობს საყოველთაო მოცემულობა – აბსოლუტი სული (გონი), ღმერთი, მაგრამ შინაარსი ერთია, ეს არის სამყაროს დეტერმინისტური თეორია. მთავარია, რომ არსებობს გლობალური განსაზღვრულობა, პროგრამა, რომლითაც სამყარო ხელმძღვანელობს. მოქმედებისათვის ადამიანს ეძლევა თავისუფალი ნება ამ პროგრამის რეალიზაციისთვის. უშვებს თუ არა ეს თეორია ევოლუციას თავის არსენალში? უშვებს იმდენად, რომ ევოლუციურობა გამოიხატება აბსოლუტის მიუღწევლობაში სრულყოფილების უსასრულობაში. ასეთი ლოგიკა აბსოლუტურად გასაგებია.

მეცნიერების ინვოლუციური თეორია

არაფრით არ განსხვავდება ეს მეცნიერული ვარიანტი თეოლოგიური სურათისგან, რომელიც უშვებს, რომ მთელი არის ყველაფრის თავი და თავი, მთელის დაშლით ნაწილებად მიიღწევა მთელში არსებული მოცემულობის დიფერენციაცია, რაც გულისხმობს განვითარების პროცესში სხვადასხვა ფუნქციონალური განსხვავებების გამოვლენას. აქ მიზანდასახულობის პრინციპი, ბიოლოგიაში კარგად ცნობილი, მოთავსებული მთელის ფარგლებში, მაშინ როცა დიფერენციაცია, როგორც მიზანდასახულობის პრინციპის გამხორციელებელი ევოლუციის გზით, ღია სისტემას უნდა გულისხმობდეს (დახურულში – დრო შექცევადია). ღია სისტემა კი მთელისა და მთლიანის საზღვრება ვერ მიუთითებს, რადგან შემოფარგლული არ არის. ფაქტიურად ეს თეორია ინვოლუციურია (უკუპროცესით წრის ჩაკეტვა).

აქვე მინდა შევნიშნო, რომ ადამიანის დაუოკებელი სურვილი – რადაც არ უნდა დაუჯდეს სამყაროს საწყისი წერტილი განსაზღვროს, აბსურდულია, რადგან აბსოლუტის ცნების შემოტანით კითხვა, საიდან წარმოიშვა პირველი წერტილი, ყველა შემთხვევაში ძალაში რჩება, იქმნება ეს ღმერთი, გონი, იდეა, მთლიანობა, წყვდიადი, წყალი, უფრო მკაფიოდ, ის ორგანიზატორი, რომელმაც ყველაფერი ჩაუშვა, საიდან და როგორ წარმოიშვა? ყველა ახსნა მხოლოდ სურვილის დონეს გამოხატავს და ფაქტიურად კი სრულიად არა აქვს არავითარი მნიშვნელობა საწყისი წერტილის კატეგორიულ რაობას, მთავარია იმ პროცესის ანალიზი, რომელიც მიმდინარეობს კაცობრიობის ისტორიაში გარკვეული ათვლის წერტილიდან. ის, რომ ეს პროცესი ანტიენტროპულია, ამას დღეს ვერავინ ვერ აღუდგება და ქაოსის ქვეშ, რომლიდანაც გადავდივართ წესრიგზე, თუ რას ვიქონიებთ მხედველობაში – ეს მოგვინდია რწმენისთვის. ის რომ სამყაროს წარმოდგენა დეტერმინისტური თვალსაზრისით, ძალიან შეგვზღუდავს, აქ ორი აზრი არ შეიძლება იყოს. შევჩერდეთ დეტერმინიზმის ზოგიერთ მაგალითზე.

ღვთის არსებობის ფსიქოლოგიური მტკიცება:

ადამიანის ცნობიერებაში ღვთის იდეა არსებობს. ცნობიერება არ წარმოადგენს საფუძველს მასში ღვთის არსებობისას. მაშასადამე უნდა არსებობდეს ამ იდეის გამომწვევი გარეშე მიზეზი – ღმერთი. ან ღვთის არსებობის მორალური მტკიცება: ზნეობრივი ცნობიერების არსებობის ფაქტს გავყევართ მის შემოქმედზე – ღმერთზე (ორივე მტკიცება ქუირონ ჰუონდერის). ცნობიერების თანამედროვე მოდელი: (ალტერნატიული ვარიანტი). ცნობიერების თანამედროვე მოდელში ცნობიერების ქვეშ მარტო ცნობიერება არ იგულისხმება. ცნობიერება რთული კატეგორიაა და მოიცავს, როგორც ცნობიერს, ასევე ქვეცნობიერს და არაცნობიერს. ადამიანში მუდმივად ხდება გაუმჭვირვალიდან (ქვეცნობიერი და არაცნობიერი) გადასვლის მოძრაობა ცნობიერში (გამჭვირვალე).
ევოლუციონირებს როგორც ცნობიერი, ასევე არაცნობიერიც.

ადამიანის ცნობიერების კოსმოსთან ურთიერთობის აღსანიშნავად შემოვიტანოთ ანტროპული პრინციპი, რომ მხოლოდ ადამიანი კი არ არის ადაპტირებული გარემოსთან, არამედ გარემოს ადაპტაციაც ხდება ადამიანის მიმართ.

ადამიანის ცნობიერების იერარქიული სქემა შემდეგნაირია:

1. სენსიტიური სარდაფები ცნობიერებისა
2. აზროვნებისწინარე შრე +კოსმოსური ცნობიერება
3. ლოგიკური აზროვნების შრე

წარმოვადგინოთ გარემოსთან ურთიერთობის ორი ვარიანტი:

პირველი – აზრთა ღერძის თავდაპირველი მოცემულობა – მეტადონე (სემანტიკური დეტერმინიზმი) აგრეთვე მოცემულია კოსმოსური ცნობიერების სარდაფები «კოლექტიური არაცნობიერების» სახით.

კოსმოსური ცნობიერება მუდმივ კონტაქტშია აზროვნების წინარე შრესთან, მას კვებავს უშუალოდ, ადამიანში შეღწეული ასეთი სემანტიკა წარმოადგენს პრესირებულ აზრთა კონტინუუმს, რომელსაც გაშლა სჭირდება, ადამიანის

ცნობიერება მოცემული კოსმოსური ცნობიერების პროგრამის აღმსრულებელია [იხ. დამ. № 9 В.В. Налимов].

მეორე, როცა ცნობიერების მეტადონე არ იგულისხმება. არსებობს მხოლოდ საკაცობრიო არქეტიპული «კოლექტიური არაცნობიერი», რომელიც იმპულსებს აწვდის ადამიანის ცნობიერების სარდაფებს. პროცესის შემდგომი განვითარება უკვე ანტროპოგენურ დონეზე ხდება, სენსითიური ინფორმაცია აღწევს აზროვნებით ალბათურ დონეს, აქ წარმოიქმნება ინტუიციები, რომელთა მეშვეობით ადამიანს შეუძლია ადამიანური ტრანსცენდენურობის (მიღმასწრაფვა) განხორციელება მეორე სუბიექტზე ან მეორე ობიექტზე გასვლით (ინტენციონალობა).

ტრანსცენდეცია აძლევს საშუალებას ადამიანს სუბიექტური სამყაროდან ამოსვლისა და მცდელობისა მომცველნი ანალიზის ,,ადამიანური განზომილებების მიახლოვებაში» [იხ. დამ. №6], რაც პარალელურად ბიოლოგიურად ნიშნავს, რომ ადამიანის ტვინს აქვს შესაძლებლობები ობიექტივაციის ოპტიმუმის რეალიზაციისა (ტვინის ფუნქციონალური პოლიმორფიზმის ხაზი). ამ პოზიციის განხილვის შემთხვევაში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება ანტროპულ პრინციპს, რომლის საფუძველზეც ადამიანი თავად ჰქმნის სემანტიკას, ხოლო ადამიანთა ენედის ურთიერთქმედება, თავის მხრივ, ჰქმნის სემანტიკურ ველს, ეს ველი ენების ერთიანობაა და არა მხოლოდ ენების სიმრავლე [მეორე პოზიცია ეკუთვნის ავტორს], სხვანაირად, ადამიანის მოღვაწეობით აზრთა სივრცე. ტრანსცენდენტირებული აზროვნება პოტენციური ხდება ყოფიერებით ონთოლოგიზე გავიდეს და შექმნას ნოოსფერო, როგორც არაფიზიკური სივრცე. ანტროპოგენური ნოოსფეროს შექმნას ის აზრიც აქვს, გარდა ძირითადისა, რომ პლანეტა დედამიწის ახალ პლანეტარულ მოვლენას – ნოოსფეროს ექმნება საშვალება, თუკი არსებობს სხვა ცივილიზაციები, მათთან ურთიერთობისა.

ადამიანი და მისი იმანენტური
(სამყარო ჩვენს შიგნით)

ჩვენს თვალმისაწვდომ და გონმისაწვდომ სივრცეში მე, პირადად, არ მეგულება ისეთი სირთულის სფერო, როგორც არის ადამიანის შინაგანი სამყარო. ,,სამყარო ჩვენს შიგნით'' სუბიექტური სამყაროა. რა იგულისხმება ამ სამყაროს ქვეშ? ის ტერმინი, რომლითაც ჩვენ გავაერთიანეთ ადამიანის ქვეცნობიერი და არაცნობიერი, სახელწოდებით გაუმჭვირვალი, კარგად მოიხმარება ამ სფეროს საკითხებზე მუშაობისას. ცნობიერების თეორიის ხაზით ეს არის მომცველობა ადამიანის სხეულებრივიდან სხეულისმიღმასეულებამდე, ფიზიოლოგიურად ემოციების დონიდან აზროვნებამდე. სომატური, ანუ სხეულებრივი საფუძველი აუცილებელია ადამიანისათვის ეგზისტენციალურად (სასიცოცხლოდ). რაც შეეხება სომატურის ზედა პლასტებს, მე არ შევუდგები არც ფიზიოლოგიურ, არც ფსიქოლოგიურ ანალიზს მათსას, ჩემი ხაზი შიდა პროცესებს გასდევს ცნობიერებითად. არის თუ არა ადამიანის შიდა სამყაროსათვის ინდივიდუალური ქვეცნობიერი საკმარისი? ცხადია, არა! ადამიანის სიღრმისეულ სტრუქტურებისა და ფუნქციების სათავეებთან ძევს უდიდესი საკაცობრიო გამოცდილება. ადამიანის კაცობრიობისგან მოწყვეტილად განხილვა შეუძლებელია. როგორც პირველ თავებში ავღნიშნეთ, ადამიანში ჰოლოგრაფირებულია კაცობრიული პოტენციური, როგორც ასეთი, მხოლოდ, ვიმეორებ, პოტენციური და არა მზა ცნობიერება, და ადამიანური ჰოლოგრამის

ყოველ წერტილში დაფიქსირებულია პოტენციურობის შესახებ ინფორმაცია მთლიანობაში, პერსონიფიცირება კი ხდება განრჩევითობით. პერსონიფიკაცია კი უველირული სამუშაოა ადამიანისეული იერარქიულობის შევსებით, ვიდრე გონითობამდე.

რას ნიშნავს რომ ადამიანი მოუწყვეტელია კაცობრიობისაგან? ჩვენ კაცობრიულის თვალსაზრისით, მხოლოდ მემკვიდრეობითობის გენით არა ვართ დაკავშირებული ადამიანის სივრცესთან. ჩვენ უსასრულო დროითი კავშირი გვაქვს მთელ კაცობრიულთან ფსიქოგენეტურად [იხ. დამ. №11]. ადამიანის ფსიქო-ბიოლოგიური სტატუსის დონეზე ჩვენ ვერ ვიქნებით გახლეჩილები სამყაროსაგან, რომელთანაც ფენოტიპურ (მოღვაწეობრივ) კავშირში ვართ, ფენოტიპური კავშირი ანთროპული პრინციპის განმხორციელებელია, ე.ი. გულისხმობს ჩვენს გარემყოფ სივრცესთან როგორც პირდაპირ ასევე უკუკავშირსაც. რა ტიპის ადამიანურ-სპეციფიურზეა საუბარი, რაც სამყაროს ადამიანის მიმართ ადაპტაციას მოითხოვს?

ის ასიმილატური (თანმდები გარემოზე), რომლითაც ადამიანი ზემოქმედებს – მისი შინაგანი (იმანენტური) სამყარო გახლავთ. აქ, როგორც უკვე მოგახსენეთ, იმპულსის დონიდან იერარქიის გავლით, აზრის ალბათური მნიშვნელობის ფორსირება ხდება, ეს ფორმა აზრისა შემდგომ ტრანსცენდენციის მეოხებით ადამიანისმიღმა ისწრაფვის სუბიექტურიდან ობიექტურზე გასასვლელად.

ერთხელ კიდევ დავუბრუნდეთ შინაგან სამყაროს შიგთავსებს აზრის უნარიანობის შესამოწმებლად. შეუძლია თუ არა ადამიანს შეაფასოს თავისი თავი სუბიექტურს შიგნით? ნაწილობრივ, დიახ, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ, რასაც უმკლავდებიან ზნეობრივი «ორგანოები», მაგალითად, სინდისი – განმსჯელი კატეგორია, მაგრამ განსჯა ფსიქო-სოციალური დონე ჯერ კიდევ მთლიან ობიექტივირებას არ ნიშნავს, რადგან ობიექტური“ ადამიანურ განზომილებათა სივრცეს ეკუთვნის უკვე ე.ი. ონთოლოგიზირებულ სივრცეს [იხ. დამ. №6], ხოლო სოციალურ ღირებულებათა სისტემა კვლავ სუბიექტურის ფარგლებშია, მხოლოდ ობიექტურის პრეტენზიით».

იმანენტურის ტრანსცენდენცია
(მიღმასწრაფვა)

ამ საკითხს მე რამდენჯერმე შევეხე ამ ნაშრომის წინა ფურცლებზე განვიხილე რა ტრანსცენდენცია, როგორც ვექტორიალური კატეგორია. ამ თავში კი შემოგთავაზებთ ტრანსცენდენციას, როგორც ადამიანის თავისუფალ ნებას, თავისუფალ არჩევანს.

მაშ ასე, ტრანსცენდენცია როგორც თავისუფლება. განვასხვავოთ თავისუფლების კატეგორიის მნიშვნელობა ცნობიერების სხვადასხვა საფეხურზე. ა) თავისუფლების კატეგორია ეგზისტენციალური ყოფისას.

სიცოცხლის ჭრილში თავისუფლება ინდივიდის მოღვაწეობრივ თვითრეალიზაციას ნიშნავს, ეს ნიშანი მუშაობს ზოგადად ცოცხალი ბუნებისათვის (მცენარე, ცხოველი, ადამიანი). ცოცხალი აწესრიგებს თავის გარშემო სიტუაციას ისე, რომ რომ თავისუფლება ალბათი გაიხადოს ეგოისტურ სივრცეში, სხვათაშორის, ამ დროს ყველა ჰუმანისტური აქცია დაქვემდებარებულია ეგოს სიცოცხლის ფაზაში რაციონალურად (მატერიალისტური განზომილებები) თუ ირაციონალური (არამატერიალური განზომილებები), შემოქმედი ადამიანი ისწრაფვის თავისუფლებისაკენ და უნდა შევნიშნო, რომ აზრის თვალსაზრისით, ეს ორი ფორმა

თავისუფლებისა ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება. ორივე შემთხვევაში თავისუფლება სუბიექტურის ველშია მოქცეული. ცხადია, მეტი პრეტენზია აზრის თავისუფლებაზე ირაციონალურ შემოქმედებას გააჩნია, მაგრამ გაჰყავს კია ირაციონალურ შემოქმედებას ეგოსისტემაში აზრის თავისუფლებაზე ადამიანი თუ არა? სიზუსტისათვის, ეს «მოპოვებული» ან «განაღდებული» თავისუფლება უფროა, თავისუფლების რაღაც ხარისხებით, ვიდრე თვით თავისუფლების მოვლენაში ყოფნა. თავისუფლების არსის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სუბიექტურს ზედა სიბრტყეში. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ინტუიციები წინმსწრები ცალკეული აქტებია, რომელთაც ადამიანი მეორე ობიექტზე ან სუბიექტზე გაჰყავთ ინტენციონალურად (სენსიბილური, ინტელჰიბელური ინტუიციები), მაგრამ ეს მხოლოდ აქტებია, როცა ჩემი აზრი ჩემთვის კმაყოფილების მომგვრელი და თავისუფლების მომნიჭებელი უპირატესი აზრის ნიშნით არსებობს. ასეთ აქტებს პროცესების «მოცულობა» არ გააჩნიათ, ეგზისტენციალური ირაციონალური შემოქმედი ადამიანი გონით სივრცეში არ არის შესული ან შეიძლება ითქვას, ჯერ მხოლოდ მიკედლებულია აზრის სამყაროს, ხოლო აზრისა და დროის მიმდინარეობა მთლიანობაში სულ სხვაა, ამიტომ არის, რომ ცალკეული აზრობრივი აქტის ან აქტთა სერიის აღმსრულებელი ადამიანი (ნიჭისეული ხაზი) თავად აზრადქცეული არ არის, აზრის ნატიურობაში (ბუნებრივი) შესული არ არის, ის სოციალურ ღირებულებათა სკალას არ გასცდენია, არჩევს ავსა და კარგს, კეტილსა და ბოროტს მხოლოდ, მეტის უნარი არა აქვს, ეს განრჩეულობები კი კვლავ სუბიექტური სამყაროა, აზრის და აზროვნების "ნიჭი" კი ონტოლოგიაში დევს.

თავისუფლების კატეგორია ნოოყოფისას

ობიექტური მხოლობითიდან ობიექტურ მრავლობითზე გადასვლა არ არის სიმრავლე, ჯერ კიდევ ერთიანობას არ ნიშნავს და როცა ჩვენ აზრის ობიექტურობაზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ, რომ ადამიანის აზროვნება აზრისა და აზროვნების ერთიან მოვლენად უნდა იქცეს, თვითორგანიზაციის პრინციპზე დამყარებულმა ევოლუციურმა პროცესმა აზრის სივრცეში ლოკალური თვითორგანიზაციის უბნები უნდა გააჩინოს. ადამიანების აზრობრივი ერთიანი სივრცე აზრის მრავალმნიშვნელოვან ინტენსიფიცირებას მოახდენს. მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლე იარსებებს, მამოძრავებელ ძალად საზოგადოების «აზრი» გახდება, გაუფასურდება უმრავლესი ძველი კატეგორია სიცოცხლის ფაზაში არსებული. კონფლიქტურობა, აგრესიულობა, იმპერატივები გაუქმდება უფუნქციობისა და გამო. ნოოსფერულ სივრცეში ეგოკატეგორიები სასაცილო იქნება. როგორად წარმოგვიდგენია დღეს ჩვენ ნოოსფერული ადამიანი: ცოცხალ არსებად, აზრით წარმართული, განვითარებული ინტუიციებით, ე.ი. სპონტანურობის მაღალი კოეფიციენტით ანუ ალბათური აზროვნებით და ბოლოს დაგვირგვინებული მაობიქტივირებული აზროვნებით. ეს რა იდეალური სამყაროა? ცხადია, არა. იდეალურისა და აბსოლუტურის მძებნელი მეცნიერება არ არის, მეცნიერებას აინტერესებს უფრო რთული ფორმები და შინაარსები, ვიდრე დღეს გააჩნია, ე. ი. ახალი ძველთან შედარებით ევოლუციების და მიხედვით უმჯობესი უნდა იყოს, მაგრამ ახალ უარყოფითსაც არავინ გამორიცხავს. მეცნიერების რეალურობის დიდი გრძნობა გააჩნია და ილუზიებით არასოდეს არ ცხოვრობს, ამჟამად, მეცნიერება

აშენებს ახალს და მას გონითი სამყარო ჰქვია. რამდენად რეალურია ეს მშენებლობა? იმდენად, რამდენადაც ყველა ელემენტი, რაზეც იგება ეს შენობა, არც ყალბი და არც ფანტაზიური არ არის, აგებულია მეცნიერულ კანონზომიერებებზე და მომავალ რეალობას აყალიბებს. ისევე ვიმეორებ, ეს ის მომავალია მეცნირულად, რომელიც უნდა შესდგეს და ის, რასაც თეოლოგია და ეზოთერიკა ეძახის სურვილების სამყაროს, როგორც ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ, რომელსაც ჩვენ, ადამიანები, ჩოჩვით უნდა მივუახლოვდეთ, მეცნიერება არ იხილავს. როცა ახლო რეალური მომავალი შესდგება, მის შემდგომ ვლაპარაკობთ უფრო რთულ ურთიერთობებზე გარემოსი. დღეს ჩვენ ვაშენებთ ანთროპოგენურ ნოოსფეროს.

ანთროპოკოსმიზმი

გასული და ჩვენი საუკუნის ეზოთერულ მოძღვრებებში ხშირად შეხვდებით ისეთ გაცხადებულ წარმოდგენებს გარემოზე, როგორც არის კოსმიზმი. კოსმიზმი გულისხმობს ადამიანის ჩართულობას კოსმიურში როგორც აბსოლუტურ რეალობაში. იმ დროისათვის, ცხადია, ეს იყო ახლებური მიდგომა, აფრთოებდა ჰორიზონტებს, მაგრამ ამ შეხედულებებს ცალმხრივობის უარყოფითი ნიშანი აქვს. კოსმოსი არის ამ მიდგომაში აბსოლუტური და მხოლოდ ადამიანისთვის საადაპტაციო გარემო. ძირითადი პროგრამები და აუცილებლად მზა პროგრამები, რომლითაც ადამიანები ხელმძღვანელობენ, ჩაშვებულია კოსმიურად. აზრობრივალ, ადამიანის დიდი სისტემის შემადგენელ ნაწილად განხილვა წინ გადადგმული ნაწილია, მაგრამ ობიექტის შესწავლისს აზრვრების გაფართოებამ ობიექტს სპეციფიკა არ უნდა დაუკარგოს. ადამიანის კოსმოგენური თეორიით და პრინციპებით განხილვისას ბევრი რამ ადამიანურ ბუნებისეულს მიღმა რჩება. რა თვისობრიობის გაფრთხილებას ეხება ეს მითითება – გაფრთხილება? ლაპარაკია ანტროპოგენური ხაზის ამოქმედებაზე მთელი ძალით, არ უნდა დაიკარგოს არც ერთი შტრიხი ადამიანის მოღვაწებრივი კავშირისა გარემოსთან. რა ასიმილატური სქემები გააქვს ადამიანს მის გარემომცველ სამყაროში, როგორ ალაგებს ის ამ გარემოს ახლებურად, რას სწავლობს გარე არე ადამიანისაგან? ცოცხალს მიღმა გარემო ცოცხალი არსებისაგან სწავლობს სიცოცხლეს, ხოლო სპეციფიურად ადამიანის შემთხვევაში აზროვნებასაც (მე ვგულისხმობ პლანეტა დედამიწას, ხოლო რაც შეეხება სხვა ცივილიზაციებს, ფორმულა იგივე იქნება). ადამიანის გარემოზე გატანილი ასიმილატური სქემები სემანტიკური სქემებია, ადამიანი ჰქმნის ენათა მრავალსახეობას, როგორც ვერბალურს, ასევე არავერბალურს. აზრის სივრცეში გასვლა ეს იგივეა, რაც სემანტიკის შექმნა და ისევ და ისევ, უმნიშვნელოვანეს პროცესზეა შესაჩერებელი ყურადღება აზროვნების დროს – ეს სპონტანურობის პროცესია, აზროვნებისწინარე შრე. დავურთავ ერთ შენიშვნას, რომ თუ არავერბალური სემანტიურობისათვის სპონტანურობის შრე უშუალოდ არის ენის შემქმნელი, ვერბალური ენისათვის აზროვნებისწინარე შრიდან ლოგიკურ ფაზაშია კიდევ საჭირო გადასვლა, ე.ი. აზრის ალბატური მნიშვნელობებიდან ზუსტ მნიშვნელობამდე. სპონტანურობის კატეგორია ჯერ კიდევ ძველ ჩინურ ფილოსოფიაში იყო წარმოდგენილი დაო და ძენ ბუდიზმში. დაოსიზმში დაო «შარას», «გზას» ნიშნავს, ბუნების «გზას», საგნების, ადამიანის გზას, იდეალურ პირველსაწყისს, ბუნებრივ არარსებობას, აზროვნებაში ლოგიკას, არგუმენტს. დაოსიზმი ჩინეთში წარმოიქმნა 6-5 საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, არსებობს

დაო ზეციური, რაც სიცარიელეს ნიშნავს, ხოლო მიწიერი დაო სიმშვიდეს, სიცარიელის გამო ის ამოუწურავია, ხოლო სიმშვიდის გამო არ ექვემდებარება ცვლილებებს, რაც არ იცვლება, მას მანკიერება არ გააჩნია, შეცდომებს არა აქვთ ადგილი, დაო ბუნებრიობის განმხორციელებელია, დაო ჰარმონიაა, დაო არსად არ არის და ყველგან არის, ცასა და მიწას შორის იქმნება სიცოცხლე, სიცოცხლე კი აზროვნებას წარმოქმნის. დაო ავსებს ადამიანის სხეულს და ადამიანის შიგნით ისადგურებს გონება.

ძენ ბუდიზმი აზროვნების სფეროში გამოჰყოფს სპონტანურს, ადამიანის შინაგან სამყაროში ირაციონალურს, რომელსაც მყისიერი ბუნება აქვს. ეს სწორედ ის არის, რასაც ცნობიერების თეორიაში სფეროში აზროვნებისწინარე შრე წარმოადგენს, ინტუიციების ზონა. როცა ლაპარაკია ცნობიერების განვითარებაზე, მნიშვნელოვანწილად იგულისხმება ადამიანისეული ინტუიციურობის მკვეთრი ინტენსიფიკაცია, ეს ნიშნავს, რომ ადამიანს ორიენტირი გაუძლიერდება კოსმოსთან კომუნიკაციისა, სიტუაციების ალღოს აღების უნარი გაიზრდება. რა გვაძლევს საშუალებას ასეთი წინასწარმეტყველებისა? დღეს მსოფლიოს მასშტაბით ძალიან იმატა რიცხვმა ისეთი ადამიანებისა, რომელთაც ასეთი უნარი გააჩნიათ სტატისტიკის მიხედვით, რაც დღეისთვის აქვს მსოფლიო ინფორმაციულ ცენტრებს თავის არსენალში. ნიშნავს თუ არა ასეთი ფაქტები, რომ ნოოსფერო ნაწილობრივ განხორციელებულია? ავტორის აზრით, ნოოსფეროს ნაწილობრივი განხორციელება ნოოსფერო არ არის, რადგან, როგორც ვთქვით, ნოოგენეტურობა მიგვიყვანს ნოოსფერომდე, როცა აზრობრივი ერთიანობის ფაქტი შედგება, ეს ზუსტად იგივეა, როგორც ცალკეული უჯრედის დონე ჯერ კიდევ სიცოცხლე არ არის. სიცოცხლე შემდგარად ითვლება, თუ ეგზისტენციური «დინამიური რეალობა» განხორციელდა, ხოლო ნოოსფეროსათვის აუცილებელია მენტალური «დინამიური რეალობა».

ერთი რამის თქმა კი არის შესაძლებელი, რომ რადგან ჩანასახები არსებობს, მაშ პროცესი ჩაშვებულია და ის შეუქცევადია.

ონთოლოგიზაცია

ამ ნაშრომის ერთ-ერთი გამსჭვალავი აზრობრივი ხაზი ონთოლოგიზაციის კონცეფციაზე გადის. რატომ შეიძლება აღმოჩნდეს ონთოლოგიზაციის პროცესი ერთობ მნიშვნელოვანი აზროვნებითი სისტემებისათვის?

დეტერმინირებული სამყაროსათვის ონთოლოგიზაცია, როგორც კონსტრუირებადი პროცესი არ არსებობს, ვინაიდან ითვლება, რომ ყოფიერება იმთავითვე ჩამოყალიბებულია და მას მხოლოდ შეცნობა ესაჭიროება. წამიერ ჩვენი ადაპტირებული აზროვნება გავაჩეროთ და წარმოვადგინოთ, რომ ვართ არადეტერმინირებულ სისტემაში, სადაც ყოფიერება მოცემული კი არ არის მზა სახით, არამედ დროში ინოვაციას განიცდის. ასეთი ქმნადობათობა, როგორც თავად პოტენციური ყოფიერების, ასევე მისი ყველა ექსპლიციტური ფორმის შიდა არსს წარმოადგენს. ფიზიკურის, ბიოლოგიური, მენტალურის ამ ფორმათაგან არც ერთის წარმოდგენა ერთხელ ჩამოყალიბებულად არ შეიძლება. ყველა ფორმას ანტიენტროპიულობა ახასიათებს, რაც შეეხება მენტალურ ექსპლიციტურ ფორმას, აქ განსაკუთრებით მუშაობს ევოლუციის მექანიზმი. ეს ფორმა დროის წინა ფაზებში იკიდებდა ფეხს და მისი ონტოლოგიზაცია ანუ ყოფიერებადქცევა ურთულეს ფორმას წარმოადგენს «მატერიის გართულების» სქემაში. ზღვრულ საწყის წერტილამდე

მენტალურის დაყვანა გულუბრყვილობა უფროა და მინდობის სფერო, ვიდრე საღი აზრი, საერთოდ კი «აზრს» (მოქმედ არსებით სახელად შემომაქვს) რწმენა იმ თვალსაზრისით აინტერესებს, თუ როგორ იქნება შესაძლებელი ცოდნითი სისტემების უკეთ აგება- აშენება, ვინაიდან რწმენითი სფერო არაცნობიერების დონეზეც კი ფილტრებს საჭიროებს და კიდევ – ადამიანი რწმენების მორწმუნე დარჩება იმ შემთხვევაში, თუ რწმენათა რეალური განხორციელება მოხდება, რაც ნიშნავს, რომ რწმენა ცოდნაში უნდა გადადიოდეს აუცილებლად, რათა რწმენებმა ევოლუციონირება განიცადონ.

თვით ტერმინი ონთოლოგიზაცია ნიშნავს ყოფიერებადქცევას, ყოფიერებადქმნას და არა აბსოლიტურ ჩამოყალიბებულ ყოფიერებამდე მისვლა-მიღწევას, ე.ი. ფიზიკურის ყოფიერებადქცევას (ლითოსფერო), ბიოლოგიურის ყოფიერებადქცევას (ბიოსფერო) და მენტალურის ყოფიერებადქცევას (ნოოსფერო) და ყველა ეს ფორმა «დინამიური რეალობაა».

ონთოლოგიზაცია შესატყვისი ფორმისათვის (ლითოსფერო, ბიოსფერო, ნოოსფერო) გლობალური პროცესის აღმოცენებას ნიშნავს. ინტეგრაციის პროცესის გარეშე ონთოლოგიზაცია ვერ შედგება. ონთოლოგიზაცია და ევოლუცია სატელიტური მიმდინარეობებია. ნაწილობრივ ონტოლოგიზაცია შეუძლებელია. მომავალი გლობალური სისტემის ელემენტები გარკვეულ კონდიციამდე უნდა მივიდნენ ერთიანი სისტემის შესაქმნელად, ახალი წესრიგის დასამყარებლად.

კაცობრიობის წარსულს რომ გადავხედოთ დავინახავთ, რომ თითქმის ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ აზრის ონთოლოგიზაცია შემდგარიყო. ტრიანსცენდენციის მიზანი ინტენციონირება კი არ გახლავთ, არამედ მეორე სუბიექტზე ან ობიექტზე გასვლის აზრობრივი ერთიანი კატეგორიის შექმნა. აზრის ყოფიერების შექმნა სულაც არ ნიშნავს ყველა აზრის ერთ აზრანდე დაყვანას, პირუკუ – აზრის ტევადობის უსასრულო ზრდას, პლანეტის მრავალსაზრობრიობას «აზრის სივრცეში». აზრი არსებობის ფორმად უნდა იქცეს. რა საშუალებებით შეიძლება გასვლა აზრის ონთოლოგიზაციაზე? გზა ერთია – ადამიანში ნოოგენეტური პროცესების განვითარება, როგორც სუბიექტური აზროვნებიდან გამოსვლის უმნიშვნელოვანესი პირობა. სუბიექტური რეალობა – რეალობაა, მაგრამ «ადამიანის განზომილებების» თვალსაზრისით ის ნახევრადრეალობაა, ადამიანისთვის ეგოცენტრული სამყარო თვითმიზანი არ უნდა იყოს, «მე ფსიქიკა» ადამიანს იმდენად უნდა აინტერესებდეს,რომ საკუთარი ფსიქიკის უარყოფითი მხარეებისგან განთავისუფლდეს, «ნარცისის თვალით» ჩვენი თავი ჩვენთვის აბსოლიტურად უინტერესოა. «მე»-ს სიყვარული და განმტკიცება ეს ბიოსფერული ფაზის ავადმყოფობაა და მისგან განკურნვაა საჭირო. პათოლოგიებისგან განთავისუფლებული ადამიანები უკეთ ააშენებენ ცნობიერებით ყოფიერებას, ყოფიერებას, რომელიც თვითშემცნობია ანუ ცნობიერებას, რომელიც თვითშემცნობია, ე.ი. ობიექტი გულისხმობს შემმეცნებელ სუბიექტს. ამით არის სწორედ ცნობიერების ყოფიერება განსხვავებული სხვა ყოფიერებებისგან, ბიოსფეროსათვის, მაგალითად, სუბიექტი და ობიექტი დისტანციური ცნებებია და სუბიექტი ისწრაფვის ობიექტისკენ. მოდელი ასეთია: ობიექტი არსებობს, მოვლენა არსებობს და სუბიექტი შეიმეცნებს. ნოოსფეროსათვის კი სუბიექტი და ობიექტი ერთია და ეს გაერთიანებული სუბსტანცია თავის თავს სწავლობს ევოლუციურ დინამიკაში. დღეს უმთავრეს ამოცანად იქცევა «მეს» ტყვეობიდან თავის დაღწევა, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ადამიანების შემოქმედებითად გაერთიანება, სადაც უმაღლეს შემოქმედებად მენტალური იქცევა. ყველა ხელობა

მოემსახურება ადამიანური განზომილებების რეალიზაციას. ბიოსფერული კარეგორიების უმრავლესობა გაუქმდება თანდათანობითი გაუფასურებით (კომფლიქტურობა, აგრესიულობა, იმპერატიულობა) და «ადამიანის სივრცის» მამოძრავებელ ძალად აზრი და აზროვნება იქცევა ადამიანის თავისუფლება აზროვნების ოპტიმუმის რეალიზაციაში უნდა გამოიხატოს. ბიოსფერული ადამიანისთვის გაუგებარი დარჩება ონთოლოგიზაციის ცნება, რადგან მას სავსებით აკმაყოფილებს ეგზისტენციალური ყოფა, ვითარცა მარადიული კარეგორია, მაგრამ არსებობს კია «გაყინული» კარეგორიები? საით მივყავართ ევოლუციას? როგორ უნდა გართულდეს ეგზისტენციალური? რა ჩაისახა მის წიაღში, რასაც გაგრზელება და განვითარება უწერია პოტენციურად? ეს არის ცერებრალური განვითარების სრულიად განსაკუთრებული პროცესი, ცერებრალურმა თავის ოპტიმუმს უნდა მიაღწიოს. ეგზისტენციალური «დინამიური რეალობა» მენტალურ «დინამიური რეალობაში უნდა გაიზარდოს, რაც ნიშნავს, რომ ადამიანი მარტო სუბიექტის ფარგლებში არ უნდა რჩებოდეს, მან უნდა შესძლოს» «მოვლენადქცევა», მეორე სუბიექტად, ანუ «ობიექტადქცევა» და ასეთი აქტებით აზრზე გასვლა, აზრის გაყოფიერება, ეს უფრო მაღალი ყოფიერებაა, ვიდრე სიცოცხლის ყოფიერება, უკონკურენტო აზრთა სამყარო, აზრი აზრთა განვითარებისთვის და არა აზრი აზრზე გამარჯვებისათვის. ,,მე» ,,არამეს» სამსახურში, ,,არამე» ,,მეს» მთლიანობაში დასანახავად ,,მე» არა კერძო დასახლებებისათვის პლანეტაზე, არამედ ახალი ერთიანი პროცესებისათვის დასამკვიდრებლად, ნოოსფეროს დასამყარებლად.

ნოოსფერო

ნოოსფეროს აპოლოგია

წმინდა მატერიალისტური გამხოლოებული აზროვნებისათვის ნოოსფერო აბსოლუტურად უცხო და მიუღებელი ცნებაა, მაგრამ დიალექტიკა მუშაობს ყველაფრისდა მიუხედავად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ე.წ. ,,მატერიის გართულების» პრინციპი ითვალისწინებს სულ უფროდაუფრო რთულ ფორმებს საყოველთაო განვითარებისა. დღეს ბიოსფერულ რეალიებში გახლართულ ადამიანებს ვერაფრით წარმოუდგენიათ ,,აზრის» მიერ დამყარებული წესრიგი.

ბიოსფერო დღეს არის უაზრობის უდაბნო, ადამიანი დაკარგულია ამ უდაბნოში, ქაოსის პერიოდია პლანეტაზე, ბიოსფეროს აგონიას ჰგავს ეს პლაზმატური სიტუაცია, უკიდურესმა პლაზმატურმა ფლუქტუაციამ, პრიგოჟინის მიხედვით, უნდა იმძლავროს და შექმნას ახალი წესრიგი, რომელიც შეიძლება სწორედ რომ ნოოსფერო აღმოჩნდეს. როგორც უკვე ვიცით, ნოოსფერო ცნობიერებით მოცულ პლანეტა დედამიწას ნიშნავს, ადამიანის არსებობის მთავარ ნიშნად აზროვნება ხდება.

რა იგულისხმება ამგვარ აზროვნებაში, ეს ხომ ჩვენთვის ნაცნობი ძველი სისტემა არ არის. როცა ახლებურად ვლაპარაკობთ აზრის არსზე, ადამინის შემოქმედებითი რეალიზაცია გვაქვს მხედველობაში. ნოოსფერული ცნობიერება ადამიანის პოტენციურის სრულ გამოყენებას ვარაუდობს. ნოოსფეროში აზრზე გასვლა შიშველ რაციონალურს არ ნიშნავს, აქ ირაციონალური აზროვნებაც აზრის დონეზეა, მხოლოდ ერთი შენიშვნით, რომ ეს ირაციონალური ალბათური აზრის მნიშვნელობისაა. ალბათური აზრის მნიშვნელობები ისევ აზრის სტადიაა, როგორც ზუსტი აზრისათვის, სხვანაირად ალბათური აზრი აზრის ერთეულებით გამოხატულ

ირაციონალურს წარმოადგენს. ადამიანში გრძნობისა და აზრის გაყოფა შეიძლება იმ სახით, როგორც ჩვენ გვჩვევია, არც იყოს სწორი. შემოქმედების ენაზე თუ გადავიტანთ ამ პრობლემას, აღმოჩნდება, რომ შემოქმედების ღერძზე სხვადასხვა მნიშვნელობები გვექნება, ღერძი კი ერთი. იქნება ეს ირაციონალური თუ რაციონალური ხაზი ადამიანში, ორივე ისწრაფვის ადამიანის მიღმისეულ სამყაროში, საკომუნიკაციო არეში, ვერბალური თუ არავერბალური ენების მეშვეობით. ნოოსფერო არის სხვადასხვა ენათა ორგანული შერწყმის ,,დრო და სივრცე». აქ მოხდება უდიდესი გაერთიანებები მეცნიერების, ხელოვნების, მისტიურის უფრო ტევად ენაში, რასაც ნოოენა ეწოდება. მაგრამ ამ მდგომარეობამდე მისვლა-მიღწევაა მეტად რთული, რადგან ამისათვის ადამიანურიდან თითქმის ყველაზე მძიმე პროცედურა – ეგოს მიტოვებაა აუცილებელი. ბიოსფერული ადამინისათვის ეგო ნიშნავს სიცოცხლის მთელ არსს, ეგოთი უნდა მიაღწიოს მან ცხოვრების ყველა მონაპოვარს, ეგო არის ბიოსფეროში მისი იარაღი მინიმალური – თავდაცვის მექანიზმებიდან დაწყებული, გათავებული მაქსიმალურით – სოციალური როლის მოპოვებით. ნოოსფეროში ეს ,,ფსიქოლოგია» აღარ მუშაობს, აქ ეგო საჭიროა მხოლოდ ინდივიდუალური წილის შეტანისათვის ახალ გაერთიანებაში – აზრის ონთოლოგიზირების პროცესში. ნოოსფერული ,,მე» მრავალსახოვანი ,,მე» იქნება.

ნოოსფერულ ინტეგრაციას, არსებული ფორმებიდან უმაღლეს ფორმას ინტეგრაციისა – ახალი ტიპის დეპერსონალიზაციის საკითხი შემოაქვს ავტომატურად. ახალი ტიპის იმდენად, რამდენადაც ნოოსფერული დეპერსონალიზაცია ნიშნავს პერსონიფიცირებული საზოგადიოების უფრო მაღალ პერსონაში – ,,ერთიან პერსონაში» – ,,აზრობრივ ერთიანობაში» გადაყვანას, სადაც ჰარმონიულობის კანონები იწყებს მუშაობას აზრის სივრცეში სანაცვლოდ ბიოსფერული კანონისა – აზრის აზრზე გამარჯვებისა, პერსონიფიცირებული აზრის ბატონობისა, დეპერსონიზირებულმა აზრმა პოზიტიური საქმე უნდა შეძლოს ყოველგვარი პიროვნული ფიქსაციის მოთხოვნის გარეშე. ნოოსფერო გამორჩეულად აზრის ჰარმონიის პლანეტარული მოვლენაა, ამ ხაზით ნოოგენეზმა ბევრი რამ უნდა შეძლოს, მენტალურმა ,,დინამიურმა რეალობამ» უნდა მოიცვას პლანეტა, აზრობრივი, ანუ აზრის ,,დინამიური რეალობა» უნდა განეფინოს პლანეტაზე. ,,დინამიური რეალობა» გარკვეული ცნებაა სხვადასხვა პლანეტარული ფაზისათვის და ერთობ მნიშვნელოვნად ჟღერს საკითხი – არის დასაშვები თუ არა, რომ წარმოქმნილი ,,დინამიური რეალობა» იყოს არაჰარმონიული.

ბიოლოგიური: დინამიური რეალობა – ეს არის თავდაპირველად უჯრედი და მისი გამრავლებული სიმრავლე. ფიზიკურ სამყაროში, არაორგანულ ბუნებაში ორგანული ერთი უჯრედი დისჰარმონიულია უჯრედის გაჩენამდე არსებულ ჰარმონიულ სტრუქტურულ სამყაროში, მაგრამ დროის ასიმეტრიით წარმოშობილი უჯრედი სულ ისწრაფვის ჰარმონიის ახალი ფორმისაკენ და ეს ახალი წესრიგი ბიოლოგიური ,,დინამიური რეალობაა», რომლმაც ევოლუციურად შეძლო შეეცვალა ძველი წესრიგი. დისჰარმონია ბუნებაში არსებული ფაქტია და ნიშნავს არამდგრად მდგომარეობას, რაც სტაბილურობით უნდა შეიცვალოს. ის დინამიური რეალობა ხდება რეალური, რომელიც სტაბილურობას მიაღწევს. კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უფრო რთული ,,დინამიური რეალობა» მენტალური ,,დინამიური რეალობაა» და ვიდრე აზრი ახალ გლობალურ ჰარმონიულ წესს არ მიაღწევს, ურიცხვ დისჰარმონიას ექნება ადგილი. აზრის ჰარმონიული ქარგა ძალიან ძნელი მოსაქსოვია, მაგრამ ის უკვე იქსოვება ნელ-ნელა, ბიჯი ბიჯს მისდევს, ობობას ქსელივით ედება აზრის ქსელი პლანეტას, მენტალური ,,დინამიური რეალობა»,

ისევე როგორც ყველა პლანეტარული ,,დინამიური რეალობა» შემდგარად ჩაითვლება, თუ ამ ახალი პლანეტარული მოვლენისათვის მიღწეულია ახალი საფეხურის ჰარმონიულობის დონე. დისჰარმონიულ სივრცეში მოვლენადქმნილობის კატეგორიები არ მუშაობენ, დისჰარმონიულობა შეიძლება იყოს სპაზმატური გამოვლინების ტიპის მხოლოდ, ამიტომაც ონთოლოგიზაცია სხვა ენაზე ჰარმონიის დამყარებას ნიშნავს. დისჰარმონიულობის ელემენტები თუ აქვს შეპარული ერთიანობის პროცესს, ფაქტიურად ასეთი პროცესი მთლიანობის პრინციპის მიხედვით ვერშემდგარი პროცესია, მხოლოდ დისჰარმონიული ელემენტების ლიკვიდაციის შემდგომ ონთოლოგიზაცია შედგება როგორც ინტეგრალური პროცესი. ჰარმონიულობა ძალის გამოყენებას არ გულისხმობს, უფრო სწორად, ძალის გამოყენებას გამორიცხავს. ხოლო თითოეული დისჰარმონიული აქტი უშუალოდ არის დაკავშირებული ძალასთან. ძალისმიერის ადამიანის აზროვნებიდან ,,ამოგდებას» მოხმარდება მთელი ჩვენი სამუშაო დრო ნოოსფეროს დამკვიდრებამდე. ძალის დისჰამონიულობა ბიოსფერულ ფაზაში არ შეადგენს არითმიას, ძალის გამოყენება შემადგენელი ნაწილია საარსებო მექანიზმებისა, ხოლო იმ ფაზაში, რომელშიც ,,ტვინის სტრატეგია» გახდება მამოძრავებელ ძალად, აზრი შეაღწევს ყველა ბიოსფერულ ეკოლოგიურ ნიშაში, იმუშავებენ საყოველთაო ,,თანხმობის ინსტიტუტები». დღესაც ხომ არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარი მიზნების განხორციელებისათვის არავითარ შემთხვევაში ძალას არ მიმართავენ. ამ ტიპის სელექციური ცნობიერება მასობრივი უნდა გახდეს თანდათანობით, ძალის კატეგორია უნდა გაუფასურდეს, აზრის გაგების სურვილმა, უძლიერესმა სურვილმა, უნდა გააუფასუროს ძალისმიერება. გაგება არა მარტო ინფორმაციის გადამუშავების ზრდისა, არამედ ადამიანის ცნობიერების ცვლილებების დონეზე. გაგების მომენტზე მე სპეციალურად გავაჩერებ თქვენს ყურადღებას, ვინაიდან ბიოსფერულ აზროვნებაში ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება აზრთა თანხმობისა, მაგრამ შეიძლება ეს არ ნიშნავდეს აზრთა ონთოლოგიზაციას, რომლის ყველაზე მარტივი ფორმა გაგებაა, ე.ი. ნოოსფერული უმარტივესი ფორმაც კი არ სრულდება ბიოსფეროში. ადამიანი ეთანხმება მეორე ადამიანს, მაგრამ მას სრული გაგების ცერებრალური დონე დღეს არ გააჩნია, ადამიანებს ერთმანეთისა რომ ესმოდეთ, ისინი ძალას არასოდეს არ მიმართავდნენ. გაგება მეორე ადამინის აზროვნების წესის მიხვედრას ნიშნავს, სხვადასხვა ადამიანების აზროვნებები ერთნაირი ვერ იქნება, მაგრამ ,,აზროვნების სივრცის» არსი მდგომარეობს იმაში, რომ აზროვნების ვექტორით უნდა ვმოძრაობდეთ, უნდა ვახდენდეთ უკიდეგანო მოგზაურობებს სხვათა აზროვნების სამყაროებში, მხოლოდ ასე მოხდება გაერთიანება, მეორე ადამიანის აზრის გაგების მომენტი ისეთი მნიშვნელობის არის, რომ მთლიანად უნდა მოიცვას ადამიანი, მეორე ადამიანის ,,ჩემ» აზრზე დაყვანა კი არა, არამედ სხვა აზროვნების გაგება. აზრის ობიექტივაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეს საკითხი უშუალოდ უკავშირდება სუბიექტური ნახევრადრეალობიდან სრულ რეალობაში გადასვლის აუცილებლობას, ე.ი. როგორი უნდა იყოს ,,ჩემი» გაგების დონე იმისა, რომ სუბიექტურად ვაზროვნებთ. ჩვენ კი გონება მისთვის გვაქვს, რათა ამის ანალიზი შევძლოთ. აკმაყოფილებს თუ არა ადამიანს მისი სუბიექტური და მის ფარგლებში დარჩენა? შევხედოთ ადამიანთა ურთიერთობებს ამ თვალით. ურთიერთობები სოციუმში ხომ კავშირებს ნიშნავს, კავშირები კი ცერებრალურ დონეზე აზროვნებათა სუპერპოზიციებია, ე.ი. აზროვნებათა ველების გაჩენას ნიშნავს, კაცობრიობა ვერ აღუდგება წინ ახალი აზროვნებითი ველების შექმნას, ისინი უკვე იქმნებიან და ბიოსფერული ,,თანხმობის ინსტიტუტები», რომლებიც კანტი-კუნტად ჩნდებიან აქა-

იქ სქორედ ამის მომასწავებელია, რომ ძალიან შორს არ არის ,,საწადელი ჰორიზონტი», როცა ,,აზრის დინამირი რეალობა» ამუშავდება მთელი დატვირთვით.

კლასიკური ფსიქოლოგიური მეცნიერება მიიჩნევს, რომ სუბიექტური ისეთი რეალობაა, რასაც აღარაფერში გადაზრდა აღარ სჭირდება, რომ თვით ადამიანში ხდება, მიღმისეულ სამყაროებში გაუსვლელად, უმაღლესი განზომილებების მიღწევა, მაგრამ ისმის კითხვა – რასთან არის დაკავშირებული ადამიანში არსებული ტრანსცენდენციები? ის ინტენციური, რომლითაც ადამიანი გადის მეორე სუბიექტზე, სხვა ობიექტზე, უცნობ მოვლენაზე? ე.ი. არის თუ არა საკმარისი ადამიანებისათვის მხოლოდ ინტროსპექციური ფსიქოლოგიური დონე?

დღევანდელი ტრანსპერსონალური ფსიქოლოგია ლაპარაკობს, რომ ადამინისათვის მისი უმაღლესი განზომილებების მისაღწევად აუცილებელია აზროვნების ონთოლოგიზაცია, ,,აზრის» ჩაკეტილობა კი არა ადამიანში, არამედ ადამიანის აზროვნებითი გასვლა საკაცობრიო აზრობნებრივ გაერთიანებაში.

ემანსიპაცია და ფემინიზაცია

სიტყვა «ემანსიპაცია» (ლათ.) ნიშნავს გამოთავისუფლებას დაქვემდებარებული მდგომარეობიდან, დოგმებიდან გათავისუფლებას, ძველის უარყოფით ზეგავლენის მოხსნას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყოველი ახალი სიახლეს არ წარმოდგენს და ამის შესანიშნავი მაგალითია ქალის ემანსიპაციის საკითხი. სოციუმში მას მიეცა მეტი უფლებები, მოხდა მისი ადექვატიზაცია მამაკაცთან სოციალური როლების მიხედვით. ეს არავითარ სიახლეს არ წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ ფაქტოლოგიური სიახლის შემდგარობა მდგომარეობს იმაში, რომ ის ხელოვნური გზით არ უნდა იქნეს მიღწეული.

მამაკაცი და ქალი განსხვავებული ბუნების არსებანი არიან. ქალის გათავისუფლების ბუნებრივი გზა არის მისი ფუნქციონალური პოტენციურობის ამოზიდვა, თავისუფალი შემოქმედება და არა მიმსგავსება ე.წ. «ძლიერ სქესთან». ჯერ ერთი, რას ნიშნავს «ძლიერი სქესი»? დღეს და უკვე დიდი ხანია არსებობს პატრიარქატი და მისი მამოძრავებელი ძალა არის მამაკაცი თავისი ბიოლოგიური ფუნქციონალური პოტენციურობით. ის ძლიერად გამოკვეთილი «ეგო» სისტემაა და სოციუმი მიჰყავს იმპერატივის ნიშნით. ასეთი საზოგადოება განსაკუთრებული სიმკვეთრით მისდევს «დაინტერესებული მოქმედების» პრინციპს (დაფასების ფაქტორი), უპირატესობის დაფიქსირებას და ბევრ სხვას, რაც რაციონალურ აზრობნებას ახასიათებს. რაციონალური აზროვნების სიძლიერე მისი პრიორიტეტულობაა. რაციონალური აზროვნება მთელის თავის სისავსით ემსახურება ფიზიკურ სამყაროს. ლოგიკური ენა კაუზალური სამყაროს ენაა, მაგრამ არსებობენ ფიზიკურისაგან განსხვავებული სხვა სამყაროები, რომელთაც მაღალი განზომილებები ახასიათებთ. მათთან ურთიერთობისას აუცილებელია სხვა პოტენციურობა, ინტუიტური აზროვნების გარკვეული დოზები.

ფემინა ემპატურია, ფემინა ინტუიტურია, ფემინა ტრანსპერსონალურია. ეს თვისებები მას საშუალებას აძლევს შეიცვალოს თავისი ცნობიერება განზომილების თვალსაზრისით – ე.ი. გადავიდეს ახალ ნოეტურ სივრცეებში. სულიერი შრეებიდან ინტუიციით წამოღებულ ინფორმაციებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის. სულიერი უერთდება რაციონალურს და ქმნის გამთლიანებულ აზროვნებას. ეს ყოველივე არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ქალის

უნივერსალიზაციის ფაქტი. ინტუიტური, რასაკვირველია, მამაკაცსაც გააჩნია, სხვანაირად ის შემოქმედებითი პიროვნება ვერ იქნება, მაგრამ მამაკაცის შემთხვევაში ინტუიტურობას სხვა ფონი აქვს. ინტუიტურობა რაციონალურს კი არ უნდა ემსახურებოდეს, არამედ ეს ორი აზროვნება შეთანხმებულად უნდა მუშაობდეს: ინტუიტურით ცნობიერება უნდა ფართოვდებოდეს, ხოლო რაციონალურით ონთოლოგიზირდებოდეს. ასეთი გზით მივიღებთ «ანთროპოგენურ ნოოსფეროს», ახალ სოციუმს ახალი ჰოლისტური სოციოლოგიით და ახალი ჰოლისტური ფილოსოფიით. ახალ სოციუმში ახალი სოციალური ფუნქციონალური როლებია საჭირო ეგოცენტრულ «ეგოს» გამატეიტრალიზირებელი «არამეს» პრონციპების შემოტანით, საკუთარი თავის გარდა, მეორე ადამიანის გათვალისწინებით, ადამიანური ველის საერთო ხედვით. უნდა ითქვას, რომ ემანსიპაცია ბიოსფერული კატეგორიაა, ხოლო ფემინიზაცია – ნოოსფერული, რაც ნიშნავს მამაკაცის მეტაფიზკურ ინტუიტიზაციას, ხოლო ქალის არაეგოცენტრული რაციონალიზაციის რეალიზაციაას. უნდა შეიქმნას კოჰერენტული ველი, უნდა მოხდეს რაციონალურისა და სულიერის უდიდესი ჰარმონიზაცია.

რა ახალ როლზეა ლაპარაკი ახალ სოციუმში? ეს არის ახალი ტიპის მენეჯერი, რომელიც მართავს მმართველის როლის ფიქსაციის გარეშე, ორგანიზაციის ყველა წევრის შინაგანი ბუნების გათვალისწინებით და არა სტერეოტიპულად; არ აღიზიანებს საზოგადოებას თავისი ძალის თავს მოხვევით; ცდილობს ურთიერთობათა სისტემა იყოს არაანტაგონისტური. ხაზს ვუსვამთ – ეს არ ნიშნავს, რომ ყველა მენეჯერი ქალი უნდა იყოს, არამედ ყოველი მენეჯერისათვის, (კაცი იქნება თუ ქალი), ქალის ფუნქციონალური პოტენციურობის ელემენტი უნდა დაინერგოს საზოგადოებაში; მოისპოს ეგოცენტრიზმი; «მე» კი ემსახურებოდეს ჰარმონიის დამკვიდრებას. ჰარმონია არ დამკვიდრდება, თუ ყველა ბუნებრივი კატეგორია არ იქნა გამოყენებული. ეს ბუნებრივი კანონია. მამაკაცის პოტენციურობა მაქსიმალურად არის გამოყენებული, ქალისა კი – არა. ქალი – დედა, ქალი – მეუღლე, ქალი – კაცის სოციალური მსგავსებაა. სოციუმში საჭიროა გამჟღავნდეს ქალი, როგორც კაცის არამსგავსი საქმესთან სხვანაირი მიდგომით, ურთიერთობათა სისტემის განსხვავებული ალღოთი და სვლებით, ადაპტაციის სხვა უნარით. რადგან ქალი ალბათური აზროვნებისაა, მას ახალთან დამოკიდებულებაც განსხვავებული აქვს. ის არ არის კატეგორიული და უფრო ლოიალურად უდგება საკითხს, გაურბის კონფლიქტს. ცხადია, მას უარყოფითი მხარეებიც გააჩნია. ჩვენ მათ ნუ გამოვიყენებთ სოციუმისათვის. სოციუმის პარამეტრების შევავსოთ ქალის დადებითი და განსხვავებული ელემენტებით. ქალს მეორე ადამიანით გაჯერება მამაკაცისაგან განსხვავებულად შეუძლია. ის არ ტოვებს საკუთარ «მე»-ს კვალს მეორე ადამიანში. «ადამიანური შესვლები» ქალებმა უნდა იკისრონ, ეს მათ შეუძლიათ.

ქალის ბიოსოციალური ნიშნების გამოყენება სოციუმში სულაც არ ნიშნავს პირველყოფილი ფემინიზაციის დაბრუნებას. ყველაფერი უნდა მოხდეს ახალ დონეზე. ახალი დონე კი არის ჰარმონიზაციის მაღალი წერტილების მიღწევა. «არა მე»-თი მართვა გულისხმობს საზოგადოების დატოვებას არა მმართველობის გარეშე, არამედ უფრო მნიშვნელოვან მართვას, უფრო ტოტალურს, როცა მმართველი არავის ახვევს თავს უფროსის უფლებებს, მაგრამ მართვა მიმდინარეობს ფუქციონირების სრული განხორციელებით – ე.ი. შინაარსი უნდა იყოს მმართველობითი, ხოლო ურთიერთობის ფორმა – მარტივი.

დღევანდელ ქალს ისტორიის ხელი ემჩნევა. ის თავისი ეგოცენტრიზმით მამკაცს დაემსგავსა. მასაც სჭირდება თვითგანმტკიცება. პროცესი, ფსიქოლოგიის

თვალსაზრისით, გეომეტრიული პროგრესის მსგავსად რეგრესით მიმდინარეობს. ეს ყველაფერი ხანგრძლივი ემანსიპაციის შედეგია.

ახლა ქალის ბუნებრივობის, ფსიქოლოგიური რაობის დაბრუნების პროცესი უნდა შედგეს, სოციუმში უნდა მოხდეს მამაკაცისა და ქალის პოზიტიურ-ბიოლოგიური მონაცემების შეჯერება; უნდა იქნეს გამოყვანილი სოციუმის მმართველის «ახალი ჯიში» გადაწყვეტილების სწრაფი მიღების უნარით, ემპატიურობით და სხვა. მენეჯერის მომზადების შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის სოციობიოლოგიურად ფასეული პოტენციურობა, რომელიც ორივე სქესს ახასიათებს.

ასალი სოციუმის ჩამოყალიბებაში ყველაფერს აქვს მნიშვნელობა. გარემო ხელს უნდა უწყობდეს ახალი ამოცანების განხორციელებას. თუ ძველი სისტემის ინტერიერებში მოხდა ახლის დანერგვა, შეიძლება ჩანაფიქრი ვერ შედგეს, კაბინეტური სისტემები უფროს-უმცროსობის იერარქიებით, ძველი ფსიქოლოგიური სისტემა, ან კიდევ «სკამისკენ» სწრაფვა, როცა ამის მონაცემები არ გვაქვს. თუ ორგანიზაციის ნიჭი ადამიანისათვის ორგანულია, საქმისათვის კარგი იქნება ასეთი ადამიანის უფროსობა, ხოლო თუ უფროსის ადგილი ბრძოლით არის მოპოვებული თვითგანმტკიცებისა და უპირატესობისათვის ასეთი მმართველი ნორმალურ ურთიერთობებს ვერ დაამყარებს. იქნება განუკითხაობა, ქაოსი, აღებ-მიცემობა, კოლექტივში ანგარება.

ვიხილავთ რა ფემინიზაციის საკითხს, ეს არ ნიშნავს ქალის მამაკაცთან უპირატესობის ხაზგასმას. ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ მამაკაცის ბიოლოგიამ სოციუმში ბევრი კარგი შექმნა. უარყოფითიც საკმაოდ არის დანერგილი ეგოცენტრიზმის თვალსაზრისით. სანამ ქალი ბიოლოგიურად არ შეცვლილა ისე, რომ სოციუმში მხოლოდ მამაკაცის პროტოტიპობა შეიძლოს, გამოვიყენოთ ქალის შემორჩენილი დადებითი პოტენციურობა «არა მე»-ს ხაზით. «მე» და «არა მე» ბიოსოციოლოგიამ ერთად უნდა იმუშავოს.

ემპატიურობა, ატარაქსია, თავისუფლება
ფუტუროვერტული ადამიანი

ბიოსფერული საკაცობრიო გზა რთულად გამოიყურება იმ დამკვირვებლისათვის, რომელიც იმავე განზომილებისაა, როგორიც ბიოსფეროა, მაგრამ განსხვავებული განზომილების დამკვირვებლისათვის ბიოსფერული სტრუქტურა მარტივი აღმოჩნდება. რა განსხვავებული განზომილებაა ეს?

ეს არის ნახევრადკაუზალური 3+ნ (ნ=1,2,3...) განზომილების სამყაროები სუბლიმირებული და ფსიქიზირებული ენერგიით, რომელსაც შეუძლია როგორც არამატერიალურ მდგომარეობაში ყოფნა, ასევე მატერიალიზაცია. ეს სამყაროები უფრო რთულია, ვიდრე ჩვენი სამყაროა. ასეთი შეიძლება იყოს პარალელური სამყაროები. მათ აბორიგენებს უფრო მაღალი ცნობიერება გააჩნიათ, ვიდრე ჩვენ. ეს უცხო ცივილიზაციებია. ეს, რაც შეეხება ბიოსფეროს მსგავს სამყაროებს. მაგრამ არსებობს ნოოსფერული სამყარო გარკვეული ინფორმაციული ვიბრაციულობის იერარქიით. რაც მეტია ვიბრაციულობის მაჩვენებელი, მით მეტია აკაუზალობის ალბათობა. ყველაზე უფრო სრულყოფილი უმაღლესი ვიბრაციულობის – კოსმიური ცნობიერებაა. ოლდოს ჰაქსლი ამბობს, რომ ჩვენ მარადიულად ვართ დაკავშირებული კოსმიურ ცნობიერებასთან და ხელოვნურად ვახდენთ მისგან იზოლაციას რაციონალური აზროვნებით სარგებლობისას (ჰილოტროპიული აზროვნება). ეს

აზროვნება ფიზიკური სამყაროს ტყვეობაშია. რაციონალური აზროვნებით მეორე ადამიანზე მხოლოდ ვერბალურად არის შესაძლებელი გასვლა. დღევანდელი ადამიანი მეორე ადამიანთან კავშირის ინტუიტიურ გზებს არ ეძებს, ადამიანური ველები იქმნება ემპატიური კავშირებით. ემპატიურობა მეორე ადამიანში სულიერი, ინფორმაციულ ველში შესვლაა, მისი «სამყაროს მის შიგნით» (პრიბრამის გამოთქმა) გაზიარება, ტანდემური მდგომარეობის შექმნა, ამით იხსნება პრაგმატული დატვირთვები, ეგოცენტრიზმი უადგილო ხდება, «ცენზი» ეკარგება, ორივე ადამიანი ერთად იღწვის ადამიანური სულიერი სირთულეების დასაძლევად, ემპატიურობა ეყრდნობა ტრანსცენდენციას პირველი აქტი იყო, წარმოსახვა (воображение), იმაგინაცია – გზა შემოქმედებისაკენ და ასეთი ტრანსტენდენცია მეორე ადამიანში, ფაქტობრივად, შემოქმედებაა. ემპატიურობა, შეიძლება ითქვას, ე.წ. «ახლო კოსმოსის» პრეროგატივაა. ემპატიურობას გათავისუფლებული ადამიანი შემდგომ გადის სხვა მაღალ სულიერ განზომილებებზე (ჰოლოტროპიული აზროვნება).

მორფოგენეტური ველები გარდა ფორმის და მეხსიერებისა, აგრეთვე სიბრძნის პასუხიმგებელია. როგორც ძველი ბრძენნი ამბობენ – სიბრძნე მიიღწევა შიშის ძლევით, შფოთისაგან გათავისუფლებით და სამყაროს აღქმით, მის საიდუმლოებებზე გასვლით. ეს არის ატარაქცია (невозмутимость). ამას შეძლებს ადამიანი, თუ კი კოსმოფსიქოსომატურს შესწვდება, როგორც ბიო-ფსიქო-სოციო-ფილოსოფიურ-კოსმოსური ფენომენი.

კოსმოფსიქოსომატური დედაბოძი (Древо) არის ფიზიკურისა და ფსიქიურის თანაარსებობა, რომელიც გამოიხატება ფიზიკურისა და ფსიქიურის ექვივალენტურობაში, პარალელიზმში. ჯერ კიდევ ტეიარ დე შარდენმა იწინასწარმეტყველა, რომ სომა შეიმოსება ფსიქიკით და ცნობიერება იარსებებს ზესიცოცხლის სახით. და ეს მართლაც ასეა, ?-ნოოსფერო არსებობს და გზა მისკენ «ანტროპოგენური ნოოსფეროა».

კოსმოსის სომატიკა – ეს არის ჩვენი ფიზიკური სამყარო, ხოლო ტრანსფიზიკური – ფსიქიური.

მორფოგენეტიკურ ველში შეღწევა ნიშნავს სიბრძნის დაუფლებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიბრძნე ნიშნავს შიშის დაძლევას, ანუ არცოდნიდან ცოდნაზე გადასვლს. მაგრამ ისმის კითხვა – ცოდნა შესაძლებელია სრულყოფილი იყოს? ყოველგვარი ცოდნა არსებობს მხოლოდ კოსმიურ ცნობიერებაში, რადგან ის დროსა და სივრცის გარეშე არსებულია, ამიტომ სრულყოფილების მიღწევა შესაძლებელია, თუ ადამიანი მოვლენაში შესვლას შესძლებს. შფოთისაგან განთავისუფლება უდარდელობას არ ნიშნავს, პირიქით, სიღრმისეული პროცესია და დღეს რჩეულთა ხვედრია, ისევე როგორც სრულყოფილი მეხსიერება. ყველაფერში ადამიანი თავისი თავის იმედად უნდა ცხოვრობდეს, ყველაფერი მის ხელთაა თუ ჰოლიტროპიულობის გზას დაადგება. სრულყოფილების მიღწევის პროცესს ერთნაირი დასასრული აქვს – ან უმაღლესი ნატიურობა (ბუნებრიობა) ან შეშლობა. ადამიანმა ყველაფერი უნდა იცოდეს, ადამიანს ყველაფერი უნდა ახსოვდეს, ადამიანი უნდა ფლობდეს თავის თავს.

როგორ? სპონტანურობის საშუალებით. მყისიერი გაცისკროვნება სპონტანურ გასხივოსნებას ნიშნავს. მართალია, ჩვენ არ ვიცით, რადგან ის კოსმიური ფენომენია [კოსმიური ცნობიერება – გლობალური სპონტანურობაა], მაგრამ ის პოტენციურად ჩვენშიც არის და უნდა გვქონდეს ნებელობა მისი გაჩენილი მომლოდველობისა. რაც მეტი იქნება სპონტანური მომენტები, მით მეტ ხანს გაატარებს ადამიანი მორფოგენეტურ ველში, მით მეტია ალბათობა სიბრძნესთან შეხებისა.

როგორ ჩნდება სპონტანურობა? მაგიურად. ინტუიციის ბუნება სულ ცოტა მაინც ვიცით, რადგან ის ადამიანის სატელიტია; ვიცით, რომ ინტუიციით შეგვიძლია გასვლა იმპლიციტურის ვიბრაციებზე. ინტუიცია ფსიქიური ზონდია, რომლითაც ადამიანური სპონტანურობა მოდის რეზონანსში კოსმიურ სპონტანურობასთან. ასე გავდივართ ჩვენ მორფოგენეტიკური ველის სპონტანურობაზე. მორფოგენეტიკური ველი ძალიან ძლიერი ველია და ამზადებს ადამიანებს თავისუფლებისათის. თავისუფლება კოსმიურ ცნობიერებასთან შემდგარობა და მის მიღმა გასვლაა, მარადიულად კოსმიურ სპონტანურობასთან გაერთიანება, სპონტანურობის პერმანენტულ ჯაჭვად ქცევა. სპონტანურობა არის ყველაზე უფრო ინფინიტიური კატეგორია.

ჩვენ ყველა ერთხმად ვამბობთ, რომ ყველაფერი ახალი არის ძველში, ძველს ეყრდნობა და აი, იბადება კითხვა – შესაძლებელია ახალი, რომელიც არ გამომდინარეობს ძველიდან? იბადება აზრი, რომ შესაძლებელია სპონტანურად ქმნილი ახალი ძველიდან არ იყოს წარმომდგარი. ეს ფუტუროვერტულობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. მომავალი უსასრულოა. ოდნავ რომ გაგვიადვილდეს სპონტანურობის აღქმა, მივმართოთ ფიზიკური სამყაროს მაგალითებს: ჭექა-ქუხილი, ტორნადო, ტაიფუნები, ცუნამები, ვულკანები – ყველა სპონტანურობის მაგალითია, მხოლოდ მიზეზ-შედეგობრივ საფუძველზე, ხოლო კოსმიური სპონტანურობა აკაუზალობას ეყრდნობა.

გაზეთი «ურმული», №5, 2003 წელი

გლობალიზაციის სისტემები – ანტინოოსფერული მოვლენა

ცნობიერების კარტოგრაფია – გამთლიანებული აზროვნების ონთოლოგიზაცია – უნივერსალური ცნობიერება. ეს მოვლენა ხალხს გაუცნობიერებელი აქვს. გლობალიზაციის სისტემები სამჰიპოსტასიურ აზროვნებას განზომილებებს უდაბლებენ, აქცევენ რობოტებად, ცნობიერება ხდება სხეულის დონედ, აზროვნებათა გლობალიზაციის პირობებში ცრუ სტრუქტურად იქცევა, ის მარიონეტია და მისით თამაში შეიძლება, ერზაცია. ნოოსფერო კატეგორიულად უარყოფს გლობალიზაციას, როგორც უკიდურესად უარყოფით სისტემას. ფეტიშიზმი დამარცხდა, ახლა აღზევდა ამერიკანიზმი, კიდევ უფრო უარესი, ვიდრე ფეტიშიზმია. ეკოლოგიური ნიშნები ცნობიერებით შევსების მაგიერ იტენება ამერიკანიზმით, ნარკოტიკით. ამერიკანიზმი მუშაობს გამთლიანებული აზროვნების წინააღმდეგ. გამთლიანებული აზროვნების შემთხვევაში სხეული ხდება ცნობიერების დონედ, მოაზროვნე ადამიანი გლობალიზაციის მესვეურთ მტრად მიაჩნიათ.

გლობალიზაციის სტრუქტურები მომხვეჭელი სისტემებია, მათ უნდათ მთელი მსოფლიოს ბუნებრივი რესურსი, მთების, ცის, ჰაერის ჩათვლით, მაშინ, როცა ნოოსფეროს შემთხვევაში ღვთით ნაბოძი უნდა იყოს მსოფლიო მონაპოვარი, ინტუიტიურმა აზრმა უნდა იმძლავროს რაციონალურზე და შთანთქოს კონფლიქტი და აგრესია.

ნოოსფერო აცხადებს, რომ მსოფლიოში უნდა შეწყდეს იარაღის დამზადება, ის უფუნქციო უნდა გახდეს.

ამერიკის იარაღი ობმა უნდა დაფაროს, დაჟანგდეს, იარაღის საფლავები უნდა გაჩნდეს და თან წარიტანონ ომის გამჩაღებლები.

ცნობიერება უნდა მოეფინოს კაცობრიობას. მაღალ ცნობიერებას სძულს პრაგმატული და უნდა დაამარცხოს ეგოცენტრული «მე».

უამრავი გლობალიზაციური კერა გაჩნდა საქართველოში, ერევიან ეროვნულ საქმეებში, თითქოს იცოდნენ ქართველის განწყობის თეორია უზნაძის თეორიის დონეზე, ქართული ხასიათი, ქართული პოტენცია; თესავენ უკულტურობას, ფულის სიყვარულს. ფულზე დაგეშილი ახალი ქართველები მიდიან პროვოკაციაზე, ხდებიან გლობალიზაციის თანამონაწილენი, აგენტებად უდგებიან, გლობალისტების ჰუმანიტარული დახმარებები შხამია. ახალმა ქართველებმა მეტი ვერაფერი ისწავლეს მამონის ფეტიზაციის მონებად იქცნენ, გაუაზრებელი ამერიკული სლენგით ინფიცირებულია მთელი საქართველო, ახალი ქართველი ფულისათვის და აშშ-ში ჩასვლისათვის მთელ საქართველოს გაყიდის.

თითოეული ამერიკანოფილს აბორდაჟი უნდა გამოეცხადოს? სტატისტიკურად, მსოფლიოში საიდან მოდის უარყოფითი ტორსიონები?

კიბორგტექნოლოგიური, დისჰარმონიული მუსიკა, ტრილერები ქილერებით, სისხლიანი ბესტსელერები, დამანგრეველი პოლიტიკა საქართველოში, თბილისში უნდა ინჰიბირდეს ყველა გლობალისტური ცენტრი.

უნდა აიკრძალოს არაპროფესიონალებისათვის წმინდა რელიგიებში ხელის ფათური, ეკონომიკაში ფოთიალი, მენტალური უაზრო ვაქხანალიები. სად არის მთავრობა, ხელისუფლება? რატომ არ იღებენ ზომებს აბსურდული მიკროსტრუქტურების, ინფრასტრუქტურების წინააღმდეგ?

კავბოებად ქცეულმა პლეიბოებმა უნდა შეჭამონ საქართველო? ლასო ამ უგუნურებაზე უნდა იყოს ნასროლი.

ადამიანი და მისი აზროვნების სამჰიპოსტასიურობა

ეს სტატია იმისათვის დაიწერა, რომ ადამიანმა დაინახოს თავის თავი საკუთარ სამგანზომილებიან სტერილიზაციაში, ანუ რაციონალურის ჩიხში, მიხვდეს «ინტუიციის ვექტორის» მნიშვნელობას, გაიმთლიანოს აზროვნება და მიზეზ-შედეგობრიობიდან გამოსვლით, შემდგომ ოთხჰიპოსტასიური (დრო, სივრცე, კაუზალობა (მიზეზ-შედეგობრიობა), აკაუზალობა (დროისა და სივრცის გარეშე არსებული) აზროვნებით ადამიანური ველები შექმნას.

დავიწყოთ ადამიანის განხილვა უნივერსუმთან (მთელი სამყარო) მიმართებაში.

სამყარო წარმოადეგნს ფიზიკური (მატერიალური) და ტრანსფიზიკური (არამატერიალური) ქვესამყაროების ერთობლიობას, უხეში და ნატიფი ვიბრაციების გამთლიანებულ ვიბრაციულობას, სამყაროში არსებობს მხოლოდ ვიბრაცია. ფიზიკური ნაწილი წარმოადგენს მრავალგანზომილებიანი უნივერსუმის სამგანზომილებიან პროექციას და ჩვენთვის ადვილი აღსაქმელია. ამ ნაწილს ნოოგენეტიკოსები (ცნობიერების სპეციალისტები) ვეძახით ექსპლიციტურ (გამჟღავნებულ სამყარო).

ტრანსფიზიკური, ანუ იმპლიციტური (გაუმჟღავნებელი) დიდ ქვენაწილს წარმოადგენს და გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ექსპლიციტური. ეს ნაწილი ბევრნაირად არის მონათლული:

15. მაკროკოსმი

16. შორი კოსმი
17. პირველადი ტორსიული (გრეხვის) ველები
18. ცნობიერებითი ველები
19. სუპერკომპიუტერი
20. აბსოლუტი
21. ლოგოსი
22. ღმერთის სამფლობელო
23. აკაშა
24. ინფორმაცია
25. ელექტროობა
26. მოაზროვნე ეთერი
27. ანთროპოგენური ნოოსფერო
28. წ – ომეგა ნოოსფერო

ფუნქციონალური შინაარსი შემდეგნაირია:

ფიზიკური – ჩვენი სამყაროა, ბიოსფერო.

არამატერიალური წარმოადგენს ინფორმაციისა და სასიცოცხლო ენერგიის (პრანა) ერთობლიობას (კონგლომერატს). ეს ნაწილი იერარქიულია მზარდი სულიერი გრატუალით: (გრატუალი – სულიერი ინფორმაციის «საზომი»).

8. სტიქიალები (მთების, ტყეების, ოკეანეების სულები)
9. ეგრეგორები (ანგელოზთმფარველობა)10. კარმული (ადამიანთა ქმედების ჩანაწერების უნივერსუმის ქსოვილში) ველები
11. რეინკარნაციული (განსხეულება) ველები
12. მორფოგენეტური (ფორმის, მეხსიერების, სიბრძნის პასუხისმგებელი) ველები
13. კოლექტიური არაცნობიერი (კაცობრიული ვიტარების დემატერიალიზებელი სამყარო)
14. კოსმიური ცნობიერება (კოსმიურ ვითარებათა დემატერიალიზებული სამყარო)

იერარქიის ველებს თავისი სპეციფიკური ვიბრაციულობები ახასიათებთ და იმის მიხედვით, თუ რა ვიბრაციაზე შეუძლია გასვლა ჩვენს ინტუიციას, ჩვენ ვწვდებით გარკვეულ ველს, ინდივიდუალური და კოსმიურ სპონტანურობათა რეზონანსით ვხსნით კოსმიურ ინფორმაციას და ჩვენი გამთლიანებული აზროვნება (ნებელობა, ინტუიცია, სპონტანურობა, საზრისები, რაციო), თუკი ასეთი გაგვაჩნია, ახდენს აპრიორულ იდეათა სამყაროდან მოხსნილი ინფორმაციის ონთოლოგიზაციას (ყოფიერებად ქცევა), სხვანაირად, იდეა მატერიალიზდება და ხდება ადამიანთა სოცუმის მონაპოვარი.

ეს იდეალში, ხოლო რეალობა აბსოლიტურად სხვანირია. ჩვენი თანამედროვეობის ცნობილი მოაზროვნე ილია პრიგოჟინი წერს ერთ-ერთ თავის სტატიაში, რომ «ჩვენი დროის ბოლო ათეული წლის განმავლობაში ამოიზიდა კოლოსალური ინტელექტუალურ-სულიერი ადამიანური პოტენციალი და ეს მაშინ, როცა დედამიწაზე არსებობს უმძაფრესი ეკოლოგიური კრიზისი (ადამიანური დაკნინება). სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გარდა, რომელმაც ფანტასმაგორიულ მასშტაბებს მიაღწია, აღმოცენდა უამრავი ცნობიერებითი ელიტარული კერა სხვადასხვა ცნობიერებითი კარტოგრაფიით:

11. სტანისლავ გოფის ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიის ცენტრი,
12. მრავალგანზომილებიანი ფიზიკის ცენტრი,
13. ძენ-ბუდისტური ცენტრი,
14. ტორსიული ველების ცენტრი,

15. კასტენედას ცენტრი,
16. დე-ბონოს ლატერალური აზროვნების ცენტრი,
17. რ. შელდრეკის ახალი ბიოლოგიის ცენტრი,
18. მერ-კა-ბას კვლევის ცენტრი,
19. ტრანსცენდენტალური მედიტაციის ცენტრი,
20. ნოოსფეროს კვლევის ცენტრები მთელს მსოფლიოში, მათ შორის, თბილისშიც.

თბილისში მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ლეონიდე კალანდაძის სახლ-მუზეუმთან არსებული «ადამიანის ინსტიტუტი – ნოოსფერო», ინსტიტუტს გააჩნია საკუტარი კარტოგრაფია: კონცეფცია – «ანთროპოგენური ნოოსფერო» – გამთლიანებული აზროვნებით მოცული პლანეტა – დედამიწა.

მიმართულება: ნოოსფერო. გენეზისიდან – ნოოსფერომდე.

მეთოდოლოგია:

1. ინტერტრანსდისციპლინარიზმი (ინტუიტიური შეთანხმებული ველების შექმნა სხვადასხვა სფეროში)
2. ინტუიციის ინტენსიფიკაცია სოციუმის ყველა დონეზე
3. ახალი ქალაქმშენებლობა ნოოცენტრებით
4. ახალი კილტუროლოგია.

შედეგი: ახალი ცნობიერების ადამიანი ახალი სოციუმისათვის. რით უნდა ავხსნათ ზემოთ აღნიშნული პარადოქსული მოვლენა უჩვეულო გრადიენტისა?

ნოოგენეტიკოსებს მოგვაჩნია, რომ ცნობიერების იმპლიციტური ფენომენი უსწრებს ექსპლიციტურს, ანუ სამგანზომილებიანი აზროვნების მანიპულაციებს. ეს ფენომენი ბარიერად აღიმართება ავარიულობის შემთხვევაში.

აპოკალიპსის თავიდან აცილების მიზნით, ცნობიერებაში უნდა მოხდეს ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ცნობიერების სრულ ფუნქციონალური მობილიზაციას. ფუნქციონალური მობილიზაცია ნიშნავს, რომ ადამიანი სოციუმის ღირებულებების (კარგისა და ცუდის დიხოტომია) მონა კი აღარ იქნება, არამედ ადამიანური ოპტიმიზმით იმოქმედებს.

აზროვნება უნდა გამთლიანდეს!

რაციონალური აზროვნებისაგან განსხვავებით, გამთლიანებული აზროვნება (ნებელობა, ინტუიცია, სპონტანურობა, საზრისები, რაციო) აღმატებული აზროვნებაა. მას არ შეუძლია იყოს კორუმპირებული, ნუვორიში ადამიანის აზროვნებაა. გამთლიანებული აზროვნება არ შეიძლება იყოს განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანის აზროვნება, არ შეიძლება იყოს ცრუ ადამიანის აზროვნება. გამთლიანებული აზროვნება ლატერალური (გაფართოებული) აზროვნებაა. ეს არის ინტერტრანსდისციპლინარული აზროვნება. ასეთ აზროვნება სწორედაც რომ შეუძლია კოსმიურ ცნობიერებაზე გასვლა, ე.ი. ტრანსპერსონალური ტრანსცენდენცია მაღალ სულიერ ინფორმაციულ განზომილებებზე. არა თუ გაერთიანება კოსმიურთან, არამედ დროებითი ტრანსცენდენტალური მედიტაციას კი პოზიტიურად მოქმედებს ნეგატიურ მოვლენებზე, იქნება ეს სტიქიური, თუ სოციალური.

აზროვნების გამთლიანება უნდა მოხდეს, უპირველეს ყოვლისა, სოციალური იერარქიის მაღალ ეშელონებში, რამეთუ აქედან იწყება სამგანზომილებიანი ქმედებები, სწორედ «სკამის» ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ გონს მოგებაა საჭირო, გონს უნდა მოეგონ როგორც ადამიანები და როგორც მარტო ჩინოვნიკები.

გამთლიანებული აზროვნება ნიშნავს ინტუიტური აზროვნების ინტენსიფიკაციას, ე.ი. ინტუიტიური აზროვნების სუბდომინანტურობიდან გამოსვლას, რაციონალურის თანაბრად დომინანტურად ქცევას და ასეთნაირად რაციონალურისა და ინტუიტიურის წონასწორობას. ასეთი აზროვნება აქცევს დაუოკებელი მატერიალური სურვილების მქონე ადამიანს მტაცებლის რანგიდან სოციალურისადმი შემრიგებლური არსის მატარებელ ნორმალურ ადამიანად.

თუკი ზედა ეშელონებში მოწესრიგდა ცნობიერება, ხალხის ცნობიერების შეცვლა უფრო ადვილია, რადგან თუ ცხოვრების პირობები გაუმჯობესდა, ადამიანის ფსიქოსომატური სისტემის ფუნქციონალური პილიმორფიზმის რეალიზაცია შესაძლებელია ინტერტრანსდისციპლინარიზმის შემოტანით სოციუმში, საზოგადოების ყველა დონეზე. ინტუიტიური აზროვნების გამძლავრებით, იქნება ეს კულტუროლოგია, ქალაქმშენებლობა (ნოოპოლისი, ნოოცენტრი) თუ სხვა. გამთლიანებული აზროვნება უბრალოდ ლამაზი სიტყვები არ არის. როცა ადამიანი მარტო ლოგიკური ფანჯრიდან იყურება, ის სამყაროს ხედავს მხოლოდ ერთი კუთხით, გამთლიანებული აზროვნება მას უქმნის მთლიან სურათს სამყაროსას. ასეთი ხედვისას ის შესძლებს ეკოლოგიური დესტრუქცია აღიქვას როგორც სამყაროს კოლაფსის მომასწავებელი და მიხვდება, რომ საერთო უბედურება, რომელშიც ხელი თვით ადამიანსაც ურევია, მისი უბედურებაც არის. პასიური მხედველიდან ადამიანი აქტიურ მხედველად უნდა იქცეს და შეერწყას მაღალ ცნობიერებას. უნდა ითქვას, რომ ადამიანის სულიერი ზრდისათვის აუცილებელია ადამიანის ორგანიზმში სასიცოცხლო ენერგიის ბალანსირების რეგულაციის ცოდნა. პრანის რეგულაციით ხდება მაღალ ჩაკრებზე ფიქსაცია და ადამიანი უკავშირდება ტრანსფიზიკურ სამყაროს. მაღალი განზომილებების დალაშქვრა განსაკუთრებით საჭიროა იმ შემთხვევაში, როცა თავად პლანეტა მაღალ ვიბრაციებს რეზონანსულად დაუკავშირდება. ახალ ვითარებაში ძველი ჩაკრული სისტემის დატვირთვა არ გამოდგება. ვინც ვერ შესძლებს ჩაკრების მუშაობით მობილიზაციას, ის ახალ პლანეტარულ განზომილებებს ვერ გასწვდება და დარჩება ძველ დანგრეულ სისტემაში.

ადამიანის არჩევანი თავისუფალია და დღევანდელი პრაგმატიზმით იცხოვრებს და იქნება სულ სამგანზომილებიანი, ან მრავალგანზომილებიანობას ეზიარება. მართალია, მეორე გზა შორი და რთულია, მაგრამ მომავლიანი, ხოლო პირველი – უმომავლო.

არჩევანი თქვენზე.

ველით გამოხმაურებას გაზეთის მისამართით და აგრეთვე «ნოოსფეროს ინსტიტუტის» ტელეფონზე 95-44-17

კანიბალი და ნოოსფერო

დაახლოებით ამ სათაურის შინაარსის გრადიენტია დღევანდელ ერთგანზომილებიან ადამიანებსა და ნოოსფეროს შორის.

ბიოსფერო, რომლის პირმშოა ადამიანი, წარმოადგენს სიცოცხლის მასტიმულირებელ სფეროს, ხოლო ნოოსფერო ცნობიერებით მოცული პლანეტა და სამყაროა.

ადამიანი პლანეტა დედამიწაზე მოვიდა მაღალი ზეადამიანური პრინციპების განსახორციელებლად, ასეთი იყო მაღალვიბრაციული ინფორმაციული კოდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ცხოვრებამ ადამიანური გზა გაამრუდა, გადარჩენის სინდრომი შეცვალა მომხვეჭველობის სიმპტომებმა, ადამიანი ეგოცენტრული, კაფსულირებული გახადა.

კაცობრიობის ისტორია ადამიანი გადაატარა დიდ დროს, პროფანული, აბორიგენული აზროვნებიდან, ვიდრე ანტიგრავიტაციულ, ჰოლოგრაფიულ ცხოვრებამდე. დღეს კი 22 ცივილიზაციის შემდგომ, ადამიანი მარცხენა-ნახევარსფერო ცივილიზაციის წარმომადგენელია, აგრესია და კონფლიქტი არის მისი სატელიტი.

ე.წ. სამგანზომილებიანი სამყაროს ერთგანზომილებიანი ადამიანი ვერც დღეს, ვერც მომავალში აბსოლუტურად ვერაფერს შესძლებს სასიკეთოს, რადგან გაჟღენთილია ნეგატიური ველებით. ვერავითარი სოციალური რევოლუცია ვერ დაამყარებს წესრიგს სოციუმში, რადგან ხდება ერთ-, ორ- ან სამგანზომილებიანი აზროვნების შეცვლა მეორე უმსგავსოებით, ნომენკლატურა და ხალხი რჩება კუსტარული და კაზიონური აზროვნების დონეზე, იმარჯვებს მხოლოდ ძალა.

ადამიანის ეზოთერული განხილვა იძლევა შეუდარებელ საშუალებას სამჰიპოსტასიური აზროვნების ოთხჰიპოსტასიურში გადაყვანისა, ადამიანი უკვე კანონის, და მითუმეტეს, უკანონო კანონის, მონა კი არ იქნება, არამედ თვით მასში მოხდება ისეთი ცვლილება, რომ კანონის შიშით კი არა, არამედ თავად ადამიანი ვეღარ შესძლებს ნეგატიურ ქმედებას, მას ჩაკრები ფუნქციონალურად აუმუშავდება, ადამიანი კატარსირდება, გაძლიერდება უნტერტონალური სპირალები და ადამაინი შესძლებს ტრანსცენდენციას კაფსულირებული მდგომარეობიდან.

ის დაეუფლება დაუშრეტელ წყაროს კოლოსალური ენერგიებისას და რაციონალურის ჰეგემონია დამთავრდება. ლაპარაკია ეგოცენტრულ ასპექტებზე, ინტერსიფიცირდება ინტუიცია. ეს არის გამთლიანებული ხედვა. გამთლიანებული აზროვნება არის მომავლის აზროვნება. ადამიანი კანიბალიდან კაცთმოყვარე გახდება.

1. სამყარო მხოლოდ სტრუქტურულად მოწყობილი არ არის, სამყარო თავის არსში ჰოლოგრაფიული კონსტრუქტია (ტალღური ბუნებისაა).

2. სამყაროს ე.წ. ბომის ჰოლოგრამა მხოლოდ ფიზიკური ქვესამყარო არ არის, არსებობს ტრანსფიზიკური, ფსიქიკური ქვესამყარო.

3. ფიზიკური ქვესამყარო დაბალვიბრაციული დასახლებაა, ხოლო ფსიქიური ქვესამყარო – ზემაღალვიბრაციული.

4. ფიზიკური ქვესამყარო მხოლოდ მანიფესტაციაა, მეტაფორაა ტრანსფიზიკურისა, ანუ სამგანზომილებიანი პროექციაა მრავალგანზომილებიანი (გაუმჟღავნებელი) დასახლებისა.

5. სამგანზომილებიანობა ნიშნავს დროს, სივრცეს, კაუზალობას (მიზეზ-შედეგობრიობა).

6. მრავალგანზომილებიანი – დროს, სივრცეს, კაუზალობას და აკაუზალობას (დროისა და სივრცია გარეშე არსებობას).

7. ფიზიკურ ქვესამყაროში ადამიანს სამჰიპოსტასიური ცნობიერება გააჩნია (დრო, სივრცე, კაუზალობა); ტრანსფიზიკურში – ოთხჰიპოსტასიური (დრო, სივრცე, კაუზალობა, აკაუზალობა). – კ. იუნგი, ვ. პაული, ა. აინშტაინი.

8. ფიზიკურ ქვესამყაროში ადამიანის ცნობიერებას მაღალი გრატუალი (სულიერების საზომი) გააჩნია.

9. ფიზიკურ ქვესამყაროში დევს უმნიშვნელოვანესი ადამიანური ველები, ეს არის პატერნების და სოლიტონების იმპლიციტურობა.

10. ადამიანის ცნობიერება უნდა ლატერალიზდეს 4-ჰიპოსტასიურობამდე.

11. დღეს ადამიანის ცნობიერება მარცხენა-ნახევარსფეროს ცივილიზაციის ცნობიერებაა, ეგოცენტრული და კაფსულირებული.

12. მარცხენა-ნახევარსფერო ცივილიზაცია
ინტუიციის თვალსაზრისით მძიმედ მბობღავი ცივილიზაციაა.

13. კაფსულირებიდან ტრანსცენდენცია ნიშნავს გონითობის, ანუ კოსმიური ცნობიერების წვდომას.

14. სულიერება ნიშნავს სიცოცხლის მიერ გონითობის, ანუ კოსმიური ცნობიერების წვდომას.

15. სიცოცხლე არ არის ერთადერთი და საბოლოო კატეგორია პლანეტაზე.

16. ცნობიერება არის სიცოცხლის შემდგომ შემდეგი ბუფერი პლანეტა დედამიწასა და კოსმოსს შორის.

17. ადამიანი, ტიპოლოგური აღნაგობის თვალსაზრისით, მხოლოდ ფიზიკური სხეული არ არის, ველისმიერ სტრუქტურებთან ერთად ადამიანს 7 სხეულებრიობა ახასიათებს (6 ან მეტი ველისმიერი სტრუქტურა (სხეული).

18. ტვინი არ არის აზროვნების მთავარი ცენტრი. უნდა ვილაპარაკოთ ადამინის ბიოკომპიუტერზე: ქერქი, ველისმიერი სტრუქტურები, ფიზიკური ვაკუუმი.

19. ადამიანის ცნობიერების ექსტრაპოლაცია მაღალგანზომილებამდე შესაძლებელია გამთლიანებული ცნობიერებით (ნებელობა, ინტუიცია, სპონტანურობა, საზრისები და არაატომარული რაციო).

20. რეალობა 8-საფეხუროვანი იერარქიით არსებობს ობიექტური და სუბიექტური ფიზიკა: აბსოლიტური არარა, პირველადი ტორსიული ველები, ფიზიკური ვაკუუმი (სუბიექტური ფიზიკა), ფიზიკური ვაკუუმი, პლაზმა, გაზი, სითხე, მყარი ტანი (ობიექტური ფიზიკა).

საქართელოში არც ერთი მაღალჩინოსანი ჩინოვნიკი არ ლაპარაკობს ქართველი ადამიანის აზროვნების და, მითუმეტეს, სულიერების უბადრუკი მდგომარეობის შესახებ. საქმე ისაა, რომ ეს სფერო არავის აინტერესებს დიდიდან პატარამდე, ყველას ჰგონია, რომ აზროვნების გარეშე იარსებებს, ვინაიდან რასაც ეს სოციუმი ეძახის აზროვნებას, ის აზროვნება არ არის. სახელმწიფო, პოლიტიკა, ეკონომიკა, მენეჯმენტი, მეცნიერება, მეცნიერებათა აკადემია, განათლების სისტემა, ხელოვნება, სპორტი – დღეს ეს ყველაფერი უტილიტარიზმზეა დამყარებული.

სურათი ნათელია, ზომბირებულია ხალხი, ზომბირებულია ხელისუფლება, ყველა დაკავებულია პირადული პრობლემებით, ნომენკლატურა იბრძვის კარიერისათვის, უბრალო ადამიანებს უნდათ მატერიალური დოვლათი, აზროვნება და სულიერება კი არც კარიერაში შედის და არც მატერიალურის ფეტიშში.

ინფორმაციის ეპოქაში მთავარია მეტაფიზიკური ინფორმაცია. სოციალური რევოლუციები სასაცილოა ინფორმაციულ ეპოქაში, თუ არ ჩავთვლით, რომ საქართველო ზიმბაბვე და მოპუტუ არის.

რა ნიშნავს, რომ სამყაროში მეტაფიზიკური ინფორმაციაა რეგენტი? სწორედ იმას, რომ მთელი კანონზომიერება აკაუზალურშია. ეს აპრიორულ იდეათა სამყაროა. სამყაროს მართავს ღვთაებრივი კარტოგრაფია, ღვთიურ პატერნებზე და სოლიტონებზე გადასვლა საჭიროა, მათ გარეშე ადამიანი იქნება საცოდავი ფრაქტალი (უსწორობის ზომა) და ადამიანი როგორც მოვიდა, ისე წავა ამ ქვეყნიდან.

ბიოსფეროს თავისი მოღვაწეები ჰყავს – ზიუსი და ცნობილი ვიტალისტები, ხოლო ნოოსფეროს თავი დაადგეს ლე-რუამ, ტეარ-დე-შარდენმა, ვერნადსკიმ (მეცნიერული ცოდნით მოცული პლანეტა დედამიწა), შემდგომ – ანთროპოგენური ნოოსფერო (თბილისი, ადამიანის ინსტიტუტი – ნოოსფერო) და ? ომეგა ნოოსფერო, როცა ყველა სხეულებრივი დონე იქცევა ცნობიერების დონედ.

რას აკეთებს თბილისის ადამიანის ინსტიტუტი – ნოოსფერო?

20 წელია იღწვის ადამიანის ცნობიერების შეცვლისათვის. როგორ? 20 წლის განმავლობაში ყოველ კვირა დღეს ტარდება ტრანსდისციპლინარული სემინარები მსოფლიო ახალი მიღწევების ინოვაციური ინფორმაციებით, პრაქტიკული მასტერკლასებით, ქართული ახალი კარტოგრაფიით...

შექმნილია ახალგაზრდული ნოოსფერული სკოლა, გაკეთებულია პროექტი – «ნოოპოლისი – ახალი ტაძარი» – ტრანსდიციპლინარიზმისა და ნოოსფეროს პრობლემატიკის ნოოცენტრი, სადაც იმუშავებს ცნობიერების შეცვლის 200 მეთოდური კაბინეტი, ათობით აზროვნების ინსტიტუტი, ანუ ინტეგრალური პერსპექტიული კვლევის, ახალი ინიციატივების მატრიცული, დიდსპექტრიანი ლაბორატორიული ტიპის გლობალური ინსტიტუტი ნოოცენტრი – გამთლიანებული აზროვნების კრეაციული ცენტრი ფორმულით – ადამიანი ბიო-ფსიქო-სოციო-ფილოსოფიურ-კოსმიური ფენომენია.

ვისაც ახალი ცნობიერების ადამიანი მიაჩნია მომავლის მშენებლად, შემოგვიერთდეს და შეიტანოს თავისი ადამიანური წვლილი კანიბალის გაადამიანურებაში.

მასების ფსიქოტრონიზაცია

ზომბირება დააჩლუნგებს ადამიანს საბოლოოდ. საინტერესოა ეს სპეციალურად კეთდება, რომ ამერიკანიზმმა იბატონოს?

ახალი ანტიგლობალისტური მეტაფიზიკური მეცნიერება იღწვის სულიერი გრატუალის გაზრდისათვის, რათა სხეული იქცეს ცნობიერების დონედ, ხოლო მონსტრული რეაქციული მანქანა ქმნის ინგრატუალს, ანუ ცნობიერება იქცევა სხეული დონედ. ეს სპეციფიკური ზემოქმედება საჭიროა იმისათვის, რომ მარიონეტულად, ბუტაფორიულად, ვითარცა რობოტი, ფიტული გლობალისტებმა მართოს ადამიანი.

ვინც დღევანდელი ინფორმაციული მეცნიერების შიგთავსები არ იცის, მათთვის ვამბობ – ზომბები ჰკიდია პირდაპირ ეთერში. ამით არის გამოწვეული დღევანდელი ადამინის ესოდენ გაუგებარი ანომალური ბიჰევიორიზმი (ქცევა), ადამიანი დაუპირისპირდა თავის თავს, მას სძულს მეორე ადამიანი, იგი მტრობს მას, საშინელი ეგოცენტრიზმი მეფობს, მატერიალური კორუმპირებულობა არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ჰქვია ცნობიერების კორუმპირებულობა, პირველ რიგში, გლობალურ სისტემებს მოგდებული ჰყავთ ქვეყნების პათოლოგიური ლიდერები, ხდება მათი ზომბირება, შემდგომ ზომბირებული ხელისუფალი მართავს ქვეყანას (პიგმალიონის ეფექტი). ამ საშუალებით აავადებენ ხალხის მასებს, უსაზრისოდ დარჩენილი მასა ვეღარ არჩევს ვის უნდა გაჰყვეს, განსაკუთრებით პლებსი (პლებეები) არის ძალიან ცუდ დღეში. ინტელიგენცია თამაშგარე მდგომარეობაშია.

დედაქალაქში სუფევს არნახული დონის ურბანიზაცია. უამრავი დეზერტირი სარანჩასავით შესეულია სოციალურ ადგილებს. არც ერთი სოციალური ფილტრი არ მუშაობს. საქართველოში სრული ანარქიაა, რომელსაც ჰქვია დემოკრატია. მეცნიერული ინტერპრეტაცია რომ მივცეთ დღევანდელი საქართველოს დემოკრატიას სამჰიპოსტასიურ დონეზე, აღარ ვლაპარაკობ მაღალ განზომილებებზე, – ეს კანონის უზენაესობა კი არა, არამედ ზომბირების უზენაესობაა, ზომბირებული სხეულის ჰეგემონია. ფაქტობრივად, ზომბი მართავს ქვეყანას. სუფთა წყლის ზომბოკრატიაა. მონობის ასეთი ფაქტები კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს, უფრო სწორად, კაცობრიობამ არ იცის.

სხვადასხვანაირი მონობა ყოფილა, მაგრამ ადამიანის ბიოკომპიუტერის ინჰიბირება (შეკავება) ადამიანის სიკვდილს ნიშნავს, რადგან ის ვერ აზროვნებს.

ახალი მეტაფიზიკური მეცნიერების მეცნიერთათვის სურათი ნათელია – ფსიქოტრონული ინფორმატიზაცია რეალურია, მხოლოდ პერცეპცია ყოველივე ამისა არ არსებობს. ზომბოკრატია მოსპობს ცოცხალ აზრს, დაეცემა ერი. ზომბირების საწინააღმდეგოდ საჭიროა ცნობიერების შეცვლა, უარყოფითი ინფორმაცია უნდა განეიტრალდეს, დაითრგუნოს დადებითი ინფორმაციით, მარცხენა ტორსიული ველები უნდა შეიცვალოს მარჯვენათი, მაგრამ ხალხმა უნდა შეიგრძნოს, რომ რობოტებად არიან ქცეულნი და პირველი მოთხოვნა გარე და შიდა მმართველთა მიმართ უნდა იყოს ის, რომ შეურყვნელი დაუტოვონ ადამიანებს ადამიანური ფენომენი, რადგან ვითარცა მათხოვართ მიგდებული 1 1/2 ლარი ადამიანებს ვერას უშველის. ადამიანი არა მარტო ფიზიკურად უნდა გადარჩეს, არამედ მან აუცილებლად უნდა გადაირჩინოს საკუთარი სააზროვნო სისტემები.

ადამიანმა თავად უნდა ქმნას თავის მომავალი

ცხადია, ანთროპოგენური ნოოსფერო, როგორც ცნობიერების ბუფერი ადამიანსა და კოსმოსს შორის ხვალ და ზეგ არ განხორციელდება, მაგრამ ვექტორი მისკენ სულ უნდა არსებობდეს. რას ნიშნავს ეს? იცვლება ფორმაციები, მათი იაერარქია ევოლუციონირებადია, ახალი სოციალური პარადიგმა ცვლის ადრე არსებულს. კაცობრიობამ გადააგდო, როგორც შეუსატყვისი და შეუმდგარი, სოციალიზმი და კომუნიზმი. სოციალიზმი და კომუნიზმი არ შედგა, პირველ რიგში, ნულოვანი ცნობიერების მატარებლობის გამო. დღეს პლანეტა გაჩერებული კაპიტალიზმზე, როგორც შემდგარ ფორმაციაზე ისევ ნულოვანი ცნობიერებით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აზრობრივად კაპიტალიზმი უფრო მარტივია, ვიდრე ადამაინის სრულყოფილების ცალკე აღებული თეორია. კაპიტალიზმი მუშაობს ადამანის ჭურჭლის შევსებაზე და არაფერი ესაქმება სიღრმისეულ ეკოლოგიასთან. მაპატიეთ, მაგრამ ადამიანის მატერიალური ფუფუნება სულაც არ არის გლობალურად ჭეშმარიტი ადამინის თვითმიზანი. მატერიალური ადამიანს სჭირდება მხოლოდ იმისათვის, რომ არამშიერმა ადამიანმა მოიწესრიგოს თავისი ფსიქოლოგიური სისტემები. მამონის ფეტიშიზაცია ფაქტობრივად სტაგნაციაა. მამონა რატომ უნდა იყოს გიდი ადამაინის ცხოვრებაში?

ადამიანი მხოლოდ ფიზიკური სხეული არ არის. ადამიანის ბიოკომპიუტერი ურთულესი სისტემაა. ეს არის თვინის ქერქი, მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფეროებით, ეს არის ველიმიერი სტრუქტურები და ფიზკური ვაკუუმი აინშტაინის ეთერით, დირეკის ველით და, რაც მთავარია, მეტაფიზიკური

ინფორმაციის მდგენლებით. მეტაფიზიკურ ინფორმაციას «კოლბასი» არ სჭირდება. «კოლბასი» სჭირდება სხეულს. მაგრამ ხომ არ უნდა გადავყვეთ ამ «კოლბასს»? რამდენი უნდა ვნთქათ? აზროვნება არ გვჭირდება? სხვათა შორის, მონელების პროცესის დროს და გამუდმებული ფიქრით პროდუქტგადახარშვაზე ხდება სისხლის ნაკადის გადაზიდვა კუჭზე და თავი რჩება სისხლმიუწოდებელი. ასე ვღებულობთ ფრუსტრირებულ ადამიანს.

ყველაფერს აქვს ზომა, ყველაფერს აქვს თავისი ლატენტური პერიოდი. თუ ასე გარდაუვალია ეს კაპიტალიზმი, გარკვეულ დროს იდინოს, მაგრამ

ბოგინობის პერიოდში უნდა გაიშალოს დიდი ფრონტი სამუშაოების ადამიანის ცნობიერების შეცვლის და მერე ცნობიერებაშეცვილი ადამიანი და ადამიანთა კონგლომერატი თვითონ გადააგდებს მამონის კერპატქცევის ფორმაციას. სხვანაირად, პრაგმატიზმი წალეკავს ამ ცივილიზაციას. უნდა მომრავლდეს სხვადასხვა ცნობიერებით კარტოგრაფიბის ელემენტარული უბნები. ამ კერებმა უნდა შეავიწროვოს მატერიალურ სისტემებზე ზრუნვა. მრავალგანზომილებიანი ცნობიერების აგურები დღესვე, ახლავე უნდა ჩაიდოს საფუძველში, პირველ რიგში, განათლების სიტემის რეორგანიზაციაში. კულტურა, მეცნიერება უნდა ავიდეს ძალიან მაღალ დონეზე. დღეს ვინც ებრძვის ფუნდამენტალურ მეცნიერებებს, ნეტავი იმათ თუ იციან, რომ ფრიდრიხ ნიცშე წერს თავის კაპიტალისტურ ნაშრომში «Воля ко власти» – «наука возникла из отвращениинтеллекта к хаосу», ასე მაგალითად, გაუგებარი პროფესიის განათლების მინისტრმა, ანდა თავისუფლების ინსტიტუტმა, რომელიც «არამკითხე მოამბის» სტატუსით მოგვევლინა იდეოლოგიურ ცენტრად. აზროვნების პრობლემის გადაწყვეტა ოფრო სერიოზულ დონეზე უნდა ხდებოდეს ახლა ჩვენ რა, ილია პრიგოჟინის უმძლავრესი სინერგეტიკის თეორიის წინააღმდეგ მივდივართ, ვილტვით ქაოსისაკენ?

დღეს ვინც ამ სამჰიპოსტასიურ სოციუმში იღწვის პოზიტიურად და არა ეგოზენრული ფსიქიკის უკიდურესი ფორმების გამოვლენით, მარტო სამგანზომილებიანობაზე არ უნდა იმუშაოს. კაპიტალისტური სუპერმანქანის შემოტანა უდიერად ძალიან საშიშია სულიერების დათრგუნვის თვალსაზრისით. ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ სულიერება ეს არის ვიტალობის, სიცოცხლის მიერ კოსმიური ცნობიერების წვდომა. ჩვენი ცნობიერება კოსმიური ცნობიერების მეტაფორაა,. ინფორმაციულ ველებში უარღესად მნიშვნელოვანი, ადამიანისათვის გამოუყენებელი კოლოსალური ენერგიებია. ადამიანი მარტო ლოგიკური აზროვნება არ არის, რაციონალური აზროვნების დომინანტურობამ მოგვცა ის, რაც დღეს არის პლანეტაზე. ასეთი აზროვნების გარდა ადამიანს აქვს ინტუიტიური აზროვნება, რითაც ის ტრანსცენდენტირებს მიღმისეულ სამყაროში. დღეს ეს აზროვნება დათრგუნულია. მარცხენა ნახევარსფეროტვინს სულიერება ამოცანად არ უდგას. სულიერებასთან უშუალო კავშირში არის გამთლიანებული აზროვნება – ნებელობა, ინტუიცია, სპონტანურობა, საზრისები, რაციო.

ყველა მოღვაწემ სოციალური ინოვაციების სფეროში, პირველ რიგში, უნდა იზრუნოს, რომ ყველა პროცესი სოციუმში განვითარდეს გამთლიანებული აზროვნების ფონზე. გამთლიანებული აზროვნება აუცილებელია, რომ სოციუმში ინტერაქტივის პროცესი სწორად წარიმართოს, ხოლო პროდუქტი, რომელსაც შექმნის ეს ურთიერთობები, თავისთავად უზრუნველყოფს უშეცდომო პროდუქტს.

დაქუცმაცებული აზროვნება მუშაობს აგრესიაზე და კონფლიქტზე. ეს უკანასკნელი ქმნის ქაოსს და ქაოსი ხდება მარადიულად გადაუწყვეტი პრობლემა –

ბიოტექნოლოგიები, ნანატექნოლოგიები, კობორგტექნოლოგიები, დაფუძნებული დანაწევრებულ აზროვნებაზე უჰარმონიო სიახლეებს შემოიტანენ, კომპიუტერიზაცია თBM-ების გარეშე ადამიანებს ფიტულებად, რობოტებად აქცევს, მაშინ, როცა ადამიანებს სჭირდებათ კოსმიურ სოლიტონებზე გასვლა, სულიერი გრატუალის ზრდა. უხეში ვიბრაციული სამყარო ძალიან პრიმიტიულია და ამიტომ არის, რომ მეფობს პიგმალიონის ეფექტი.

რაც შეეხება დემოკრატიას დღეს პლანეტაზე, უბრალოდ ძალიან სასაცილო პრეცედენტთან გვაქვს საქმე. ლატერალური აზროვნების გარეშე დემოკრატიული სისტემები მატყუარა სისტემებია.

თავად ამერიკაში, ე.წ. დემოკრატიის აკვანში ტრანსპერსონალური და ტრანსდისციპლინარული აზროვნების ცენტრები შეურიგებელი ოპოზიციონერის როლში უტევენ ცრუ დემოკრატიას. მე არ ვიცი, რამდენ ანს გასტანს კაპიტალისტური პროლონგაცია, მეშინია, ეპიდემიას არ დაემსგავსოს და კარანტინი არ იყოს გამოსაცხადებელი, მაგრამ ქვეყნიერება უნდა გამოთავისუფლდეს მამონის მონობიდან, ეს არის ცნობიერების კორუმპირებულობის შემთხვევა. მამონას კრიატულ პროცესთან საქმე არა აქვს, შეიძლება ბიზნესს ეწოდოს შემოქმედებით ცალკეულ აქტთა სიმრავლე, მაგრამ ყველა შემთხვევაში ძალიან ყოფით პროცესებთან გვაქვს საქმე. ინდივიდი სიმდიდრით კი არ უნდა მოეფინოს საზოგადოებას, არამედ აზროვნების განფენით, მსოფლიო ბიზნეს სისტემა მთლიანად პროფანული აზროვნებისაა.

ინსტრუმენტალური აზროვნების წარმომადგენლებს მივმართავ – ასწავლეთ ბიზნესმნებს ლატერალური აზრვნება, გაუმთლიანეთ მათ ცნობიერება, თუ დღეს აუცილებელია კაპიტალიზმი, მაშინ შეიძლება რაიმე სასუკეთო მოხდეს, დღეს ეს დაქუცმაცებული აზროვნებით თავსმოხვეული პროდუქტი უგემურია. ეკონომიური აღმასვლის სპეციალისტებს ვეხმიანები – ნურაფერი ნუ შემოვა სოციუმში ახალი გამთლიანებული აზროვნების გარეშე. ყველა აქტში ჩადეთ გამთლიანებული აზროვნება, ვინაიდან არ მოხდება ისე, რომ ჯერ ეკონომიკურად ავღორძინდეთ და მერე ფსიქიურ სისტემებზე ვიზრუნოთ. გამთლიანებული აზროვნება სატელიტი უნდა იყოს ყველა სოციალური მოვლენისა. როგორც პიტერ ვეილი ამბობს, მენეჯმენტში ურთიერთობის მეცნიერება ურთიერთობის ხელოვნებით უნდა შეიცვალოს. ნახეთ, რამხელა გრადიენტია მენეჯმენტის ცნობილი თეორეტიკოსის გამონათქვამსა და სოციუმის დღევანდელ რეალობას შორის. ურთიერთობები არა თუ რაციონალური, არამედ ვულგარულ-ბანალურ-სპეკულატიურია. თითოეული ადამიანი მეორე ადამიანის ვამპირია. ჰაერში ჰკიდია ზომბები, ხელისუფლება ნაყიდი, კორუმპიებული აზრვნებით, ხალხი ტყუილებით კმაყოფილი და გასულელებული, სივრცის ყოველ წერტილში შავი ტორსიოი, ტვინის დამლუქველი კომპიუტერები, ოკეანე მობილურების. ხალხს ჰგონია, რომ წიგნი შეცვალა კომპიუტერმა, ადამიანმა დაამყარა უსივრცო კონტაქტები. წარმოდგენისათვის – თანამედროვეობის რეალური სურათი ასეთია: ადამიანური სუროგატი ცხადია, რაღაც ჯიპის ტიპის მერსედესში მჯდარი, მხრით ყურზე მიბჯენილი პრეტენციულობის გამომხატველი ე.წ. მესიჯური მობილურით, ერთ ხელში ქონიანი ხაჭაპური, მეორეში – «ბარანკა» (რული), კაპიტალისტური იდილია, იყო შიგნით ნული, გარეთ ხნული, ამერიკული შმოტკა, ღია ჭიპი, შიშველ ფეხზე ბარძაყამდე ჩექმა, კობორტექნოლოგიური თვალები, ისიპარის პრიჩოსკა, საქართველოს მთელი პროვინცია მაინცდა მაინც თბილისში, ამას ჰქვია – ქაჯებო გაგიმარჯოთო. ანტისანიტარია დეზედორებით დაღვარული. ვიმოწმებ მიხეილ

ზადორნოვის ახალი რუსობის აღწერას, ათასჯერ უარესია ახალი ქართველი. არაჩვეულებრივი ელეგია ვიტალობის, რომელსაც ვიტალობის ავტონომიის აპოლოგეტი ბიოლოგი იოჰან ფონ იქსკიული ეძახის საბოლოო და თავისთავად სინამდვილეს. მგონი, მართლაც ასეთია სამჰიპოსტასიური აზროვნების ჭერი. ვიტალობა თუ არაფერში გადაიზარდა, მაშინ აღმოვჩნდებით უენესკუს «ნოსოროგის» როლში. ვერავინ ვერ გადარჩება, არც მიწისქვეშა ქალაქები უშველის ხელისუფლებას და მთავრობას, არც პერშინგები და ავაქსები, არც ფული. კოსმოსი მათ მიმართ განსაკუთრებით მრისხანე იქნება.

მეტაფიზიკური მეცნიერების სათავეებთან

მოსწონთ თუ არა დღევანდელი აზროვნების ადამინებს ნოოსფეროსაკენ (ცნობიერებით მოცული სამყარო) მოძრაობა, უხილავი სვლა, სამყაროს დიალექტიკა მაინც თავისი გზით მიდის და უნდა ითქვას, რომ კლასიკური სამჰიპოსტასური (დრო, სივრცე, მიზნობრიობა) დღეს უკმარია, ვინაიდან საჭიროა პირდაპირი ცოდნით (ხედვა, ჭვრეტა) გასვლა უნივერსუმზე. ცნობიერების შემსწავლელი მცოფლიო მნიშვნელობის ელიტარული ცენტრები მეტაფიზიკურ მეცნიერებად აცხადებენ ისეთ მეცნიერულ სივრცეს, რომელშიც მუშაობენ როგორც ცოდნითი, ასევე ხედვითი სისტემები. ცნობილი ინგლისელი ფიზიკოსისა და ფილოსოფოსის დევიდ ბომის მიხედვით, სამყაროს ჰოლოგრამა ფიზიკური (ექპლიციტური) და ტრანსფიზიკური (იმპლიციტური) შრეებისაგან შედგება. ტრანსფიზკური ნაწილი მეტად რთულ იერარქიას წარმოადგენს დაწყებული სტიქიალებიდან (ოკეანეების, მთების, ტყეების სულები და ა.შ.), შემდგომ – ეგრეგორები (ადამიანის, კოლექტივების, ერების, სახელმწიფოს მფარველი ანგელოზები), რომლებიც პასიონირებისა და ემისრების საშუალებით ამყარებენ ურთიერთობას ფიზიკურ სამყაროსთან. კარმული და რეინკარნაციული მოვლენები უნივერსუმის ქსოვილში ჰოლოგრაფიულადაა ჩაბეჭდილი და მათი აღდგენა ხდება აზრის მეშვეობით. აღდგენის მექანიზმი ჰოლოგრაფიულია (აქ ლაპარაკია მრავალგანზომილებიან ჰოლოგრამაზე). შემდეგი იერარქიაა მორფული ველები, რომლებიც წარმოადგენენ კოსმოსის მეხსიერებას, ბუნების მეხსიერებას, საგანთა ბუნების მეხსიერებას და პასუხისმგებელნი არიან ფორმების ორგანიზაციაზე – დაწყებული ფიზიკური ფორმებიდან სიცოცხლის სპირალური ფორმების ჩათვლით, ანგელოზის მორფოლოგიით და ცნობიერების გრიგალური ფორმებით, თვით დევიდ ბომის ჰოლოგრამის ფორმით დამთავრებული.

კოლექტიური არაცნობიერი არის დემატერიალიზებული სასიცოცხლო ვითარების, კაცობრიული ხატების, ასტროლოგიური არქეტიპების კონგლომერატი. დაბოლოს, კოსმიური ცნობიერება – ეიდოსების და ასტროსომების აკუზალური სამყარო, რომელიც აწესრიგებს ნახევრად კაუზალურ და მთლიანად კაუზალურ სამყაროებს. სამგანზომილებიან სამყაროებს უჭირთ, უფრო სწორად – ვერ ახერხებენ კავშირის დამყარებას კოსმიურ ცნობიერებასთან საკუთარი ინიციატივით. მაგრამ არსებობს «ანთროპოგენური ნოოსფეროს» შექმნის კონცეფცია (გამთლიანებული აზროვნებით მოცული პლანეტა დედამიწა), რომელიც წარმოადგენს ტრამპლინს, სატრანზიტო პუნქტს განზომილებათა ზრდისათვის.

იდეათა სამყაროები ახდენენ იდეათა მატერიალიზაციას კ. გ. იუნგის სინქრონიზაციის ფენომენის დამამტკიცებელი დიდი სტატისტიკით. იდეები მატერიალიზდებიან ფიზიკურ სამყაროში.

ფიზიკური სამყაროს სამგანზომილებიანი ადამიანები «ანთროპოგენური ნოოსფეროს» გარეშე ვერ შესძლებენ ურთიერთობას ტრანსფიზიკურ სამყაროსთან, მრავალგანზომილებიანობაზე გასვლას, თუ არ მოხდა ცვლილებები ცნობიერებაში. ეს ცვლილებები ხდება ინტუიციისა და სპონტანურობის ზრდით. რაციონალურ აზროვნებას არ ძალუძს მაღალ ინფორმაციულობაზე გასვლა, ის სამგანზომილებიანობის ტყვეა. ინტუიციის ინტენსიფიკაციას ხელს უწყობს ინტერტრანსდისციპლინარიზმის, როგორც ახალი პროფესიის ჩამოყალიბება, ანუ ნაბიჯ-ნაბიჯ იქმნება მატაფიზიკური მეცნიერება, როგორც რელიგიის, ხელოვნების, მეცნიერების შეთანხმებული ცდა სამყაროს ყველა კუთხის დანახვისა. გამთლიანებული აზროვნების ადამიანი არის ტრანსდისციპლინარი. მას შეუძლია ურთიერთობა ტრანსფიზიკურ სამყაროსთან და მისვლა სუბიექტ-ობიექტის გაერთიანების კონდიციამდე, ქცევა შიდა დამკვირვებლად, მოვლენაში შესვლა. ეს მოხსნის გამხოლოებული, რაციონალური სამყაროს უამრავ პრობლემას, პირველ რიგში, აგრესიების, კონფლიქტების, ეგზცენტრიზმის პრობლემას. და თუ ადამიანმა ცნო, რომ თავად ფიზიკური სამყარო მრავალგანზომილებიანია («გრავიტაცია მრავალგანზომილებიან სისტემაში» – გია დვალის და ამერიკელი მეცნიერების ერთობლივი ნაშრომი), ის იმასაც მიაღწევს, რომ აღიაროს ტრანსფიზიკური სამყაროს მრავალაგანზომილებიანობა. მეტაფიზიკური მეცნიერების ბირთვულ პროცესს წარმოადგენს კრეატიული (შემოქმედებითი) პროცესი და ამ პროცესის ენა – მეტაფიზიკური ინტუიცია.

განვიხილოთ უცნაურ მოვლენათა ერთი შემთხვევა. ცნობილია, რომ შემოქმედებითი პროცესის შედეგის – ნაწარმოების – ავტორი არის შემოქმედი პირი, ხოლო შემსრულებელი – მხოლოდ ინტერპრეტატორი. მაგრამ არსებობს მოლის თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ შემსრულებელი შეიძლება ჩაითვალოს მეორე ავტორად. შევეცადოთ ეს ჰუმანიტარული თეორია გავაანალიზოთ ველების ენაზე.

კარგადაა ცნობილი, რომ არსებობენ სპინტორსიული ინფორმაციული ველები. ვაკუუმის სპინით (ელექტრონის ბრუნვა საკუთარი ღერძის გარშემო) აღგზნების შემთხვევაში ვღებულობთ სპინორულ, ანუ ინფორმაციულ ველს. თუ მხოლოდ ორთოდოქსალურ სფეროში მიღებული ცნებით ვისარგებლებთ, მაშინ შემსრულებელი ღებულობს ინფორმაციას და მეტს არაფერს არა აქვს ადგილი, ის მხოლოდ ინტერპრეტატორია. მაგრამ თუ ჩვენ შევეცდებით გამოვიყენოთ ჩვენთვის უკვე ნაცნობი მორფოგენეტური ველები, სურათი შეიცვლება – დროისა და სივრცის გარკვეული ლოკალიზებულ ადგილას გახდება ჩვევების კუმულაცია (დაგროვება). ჩვევები კრეოდიულია, ანუ გადაადგილდებიან სტაბილური დროითი ღერძებით, ახასიათებთ კრეატიულობა, ე.ი. გარკვეული მიზნისაკენ სწრაფვა, ევოლუციონირებენ, წარსული აწმყოდ იქცევა, ადგილი აქვს მორფულ რეზონანსს, ჩვევები კონკრეტიზირდებიან გარკვეულ ფორმებად იმ გარკვეულ ადგილას, სადაც აწარმოებენ მუშაობას. ეს არის საგნის ბუნების მეხსიერება. როცა ორი აზროვნებითი სისტემა ურთიერთობს, თითოეულს ცალკე აქვს საკუთარ ჩვევათა კონგლომერატი. ეს კონგლომერატები შედიან მორფულ რეზონანსში და ქმნიან აზროვნებით ფორმას, რომელიც ფაქტიურად, ქმნის ახალ ნაწარმოებს. კომპოზიტორი და შემსრულებელი, თუკი ისინი არიან გამთლიანებული აზროვნების ადამიანები, ინტუიციით გადიან

კოსმიურ ცნობიერებაზე, ხოლო თუ შემსრულებელს არ ექნა გამთლიანებული აზროვნება, ის დარჩება მხოლოდ ინტერპრეტატორად.

არის შემთხვევები, როცა შემსრულებელი იმდენად დიდია თავისი პოტენციურობით, რომ წამყვანი როლი მას ენიჭება, კომპოზიტორი გამოდის მეორის როლში, შემსრულებლის მხატვრული აზროვნების ჩვევები მაღალია, ასეთ შემთხვევაში იქმნება მორფული რეზონანსი, მხოლოდ შემსრულებლის პრიოპიტეტით, ე.ი. ყველაფერი გამომდინარეობს ჩვევების მნიშვნელობიდან. მეტაფიზიკური მეცნიერება იქმნება მეცნიერების, ხელოვნებისა და რელიგიის უდიდესი თანამშრომლობით, თუმცა რელიგია სულ გვაფრთხილებს, რომ ზომა უნდა ვიცოდეთ და ღვთაებრივი საკრალური ხელშეუხებლად დავტოვოთ, ვიდრე თვით არ ინებებს და ჩათვლის დროს გამჟღავნებისათვის შესაფერისად, მაგრამ ეს თავისთავად ხდება, რადგან მეცნიერები ვერ ადიან იქ, სადაც ღმერთის სამფლობელოა, თუმცაღა ერთი ნაბიჯით წინ – მეცნიერებაში ნიშნავს ახალ პარადიგმას, პარადიგმების რიგი – განზომილებათა ზრდას. ჩვენს საუკუნეში ძალიან დიდი გამოძახილი აქვს ინფორმაციულ პროცესებს. «ინფორმაციას, როგორც ინფორმაციას და არა როგორც მატერიასა და ენერგიას», როგორც ვინერი აღნიშნავს. ინფორმაციული სამყაროები სულიერი სამყაროებია. ეს არის დროისა და სივრცის გარეშე არსებული მთელი კოსმიური ვითარების დინამიური რეზერვუარი, არსებული იდეაფორმათა სახით. ეს სულიერი იერარქია სხვადასხვა ვიბრაციულობისაა. ადამიანი თავისი შესაძლებლობის მიხედვით გადის სხვადასხვა ვიბრაციებზე და ინფორმაციები მოქვს თავის ადამიანურ გარემოში, რომლებიც ყოფიერდებიან. ასე ვივსებით ჩვენ სულიერებით. ტორსულ ველებს გადააქვთ ინფორმაცია კოსმოსის შორეულ მანძილებზე. ამიტომ ჩვენ მათ ინფორმაციული ველები ვუწოდეთ. ადამიანის თვალსაწიერი ივსება ახალი ფორმებით, რომლებსაც განაგებენ მორფოგენეტიკური ველები.

საქართველოს საპატრიარქო, უწმინდესისა და უნეტარესის პატრიარქ ილია II-ის ხელდასხმით, აგრძელებს რა კალისტრატე ცინცაძის ჩანაფიქრს, ხელს უწყობს რელიგიისა და მეცნიერებების ურთიერთობებს, იმართება «ხუთშაბათობები» აზრთა გაცვლა-გამოცვლისა.

მეტაფიზიკური მეცნიერება მიდის პლატონისაკენ, რომ რეალურობის არსებობის ფორმა ცნობიერებაა და ადამიანის ცნობიერება წარმოადგენს კოსმოსური ცნობიერების მანიფესტაციას. ცნობიერებითი ველები შესული არიან ველის ერთიან თეორიაში სუსტ, ძლიერ, ელექტრომაგნიტურ, გრავიტაციულ ძალებთან ერთად გრეხვის ველების და მახარიშის ველების სახით. ეს XX საუკუნის დიდი მიღწევაა. ცნობიერების მატარებელია არა მარტო ბიოსფერო და ნოოსფერო, არამედ ლითოსფერო მინერალების სახით, რომლებიც ცნობიერების ნიშნად შეიცავენ პირამიდებს – ფორმულ ველებს. არაჩვეულებრივ ეპოქაში ვცხოვრობთ, როცა იუნგის კოლექტიური არაცნობიერი ტრანზიტული ასტროლოგიით აიხსნება. ჩვენ მომსწრენი ვართ ჩაკრების, ტორსიული ველების, ასტროლოგიური ბივალენტურობის დადგენისა, ე.ი. არ არსებობს სუფთა მატერიალური და მატერიალურთან კავშირის გარეშე არსებული არამატერიალური, სამყარო წარმოადგენს ჰოლომოძრაობას და ადამიანის ამ მოძრაობის მონაწილეა, ამიტომ ჩვენ გვმართებს სწრაფვა ლატერალური აზროვნებისაკენ.

1. გაცნობის დღე
რა არის ბიოსფერო?
რა არის ვერნადსკი ნოოსფერო?
რა არის ანთროპოგენური ნოოსფერო?
რა არის ? – ნოოსფერო?
ი. კალანდაძე, თ. ძიძიგური

2. II შეხვედრა
გამთლიანებული აზროვნების თვალსაწიერი – ნოოპოლისიი. კალანდაძე, თ. ძიძიგური

3. III შეხვედრა
სიღრმისული ეკოლოგია.
როგორ ჩავიხედოთ ჩვენს თავში, როგორ ვიპოვოთ ჩვენი შეცდომების მიზეზი ჩვენშივე?
გაცნობიერება მიზეზის და თავისუფლების ხარისხების მოპოვება
თ. შენგელია

4. IV შეხვედრა
ვისტუოლოგია
რ. რაზმაძე

5. V შეხვედრა
ჰოლოგრაფია
ზ. ვარდოსანიძე

6. ტრანსპერსონალური ფსიქოლოგია
რ. კორინთელი

7. კონფლიქტოლოგია, როგორც ასეთი
ნ. შანიძე

8. ბიოენერგეტიკა
ე. მჟავია

9. მისტიური ანატომია
ნ. მამისაშვილი

10. დრამატურგია და ნოოსფერო
რ. კლდიაშვილი

11. რას ნიშნავს ი. პრიგოჟინი ცხოვრებაში?
მ. კუჭუხიძე

12. დემოკრატიული სისტემები – მითი თუ
რეალობა?

გ. გიორგაძე

ნოოპოლისი და მისი მთავარი უჯრედი აზროვნების
გამთლიანების სასწავლო-კვლევითი ცენტრი

(თეზები, პუნქტები, ტრენაჟები)

1) საკუთარი თავის განდიდების გრძნობის ჩახშობა;
2) ბარიერი სტრესების მსხვრევისათვის;
3) კათარზისის;
4) კონცენტრაცია;
5) ფროტაცია (სტერილიზაციიდან გამოსვლა, ადამიანური ველის ძებნა);
6) არადაინტერესებული ქმედება;
7) ადამიანის წარსულის უკუკავშირების ზეგავლება ადამიანზე (ბ-ნ ნოდარ მამისაშვილის ექსპერიმენტი ყიფლიბანდთან დაკავშირებით; პენროუზის თეორია – ადამიანის წარსულის მრავალარხიანი უკუკავშირი ადამიანის აწმყოსთან; სიკვდილის მეფე – იამა – სარკე კაილასთან; კოზირევის სარკეები);
8) ადამიანის ტრანსპერსონალური მიღმასვლა საკუთარი ნაჭუჭიდან;
9) მოცემული პოტენციის საზრისებრივი გამოყენება;
10) მამონის ფეტიშის ინჰიბირება;
11) სოციუმის უნივერსალობის მცდარობის გააზრება;
12) წარმოდგენითი ტრანსპარატიზმი;
13) კარმის პრინციპის გათავისება;
14) რეინკარნაცია სიცოცხლეში;
15) ეიდეტიური მეხსიერება;
16) ჰოლოგრაფიული მეხსიერება;
17) ტრანსპერსონალური მეხსიერება;
18) რ. შელდრეიკის ოთახი;
19) ვ. ფრანკლის ოთახი, ლოგოთერაპია;
20) ქართული ქორეოგრაფიული არქეტირები;
21) ენის სიღრმისეული სტრუქტურა, ნ. ჩომსკი;
22) საბრძოლო ხელოვნება;
23) ფსიქიკური პლუსირების მეთოდი;
24) უნტერტონალური მუსიკა;
25) სიცრუის ოთახი;
26) მართლის თქმის ოთახი;
27) სინდისი როგორც საზრისის ორგანო, სამართალი სოციუმში;
28) კარმის დაწვის სამუშაოთა კომპლექსი;
29) ინტუიციის ინტენსიფიკაციის სამუსაოთა კომპლექსი (ე. დებონოდან დაწყებული მეტაფიზიკურ ინტუიციამდე, ს. გროფი, პ. ვეილი, სუძუკი);
30) შემთხვევითობის, ალბათობის კანონზომიერება, სინქრონისტულობა (კ. იუნგი);
31) ვინერის ინფორმაციულობიდან მეტაფიზიკურ ინფორმაციულობამდე (სუძუკი);
32) ტორსიულობა, გრეხვის ველები, ნივთიერების მეხუთე მდგომარეობა;
33) ბრახმანი, არაპარადოქსულობის პრინციპი;
34) ენტელექიები, ტონალი – ნაგვალი;

35) განდიზმი, ემპათია და ტრანსპერსონალიზმი კარიერის წინააღმდეგ;
36) იმანენტური კანონზომიერებები ადამიანში;
37) დ. უზნაძის განწყობადოებრიობის უზოგადესი პრინციპი;
38) ემანსიპაცია და ფემინიზაცია;
39) სინერგეტიკა თვითორგანიზაცია კომპენსაციურობის მაგიერ;
40) ჰარმონიზაცია ბიორეზონანსი;
41) ჰოლონი;
42) ემერჟენტულობა;
43) ჰოლოგრაფია;
44) ჯანმრთელობის ფსიქოლოგია: ფსიქოლოგიური ჩაციკლურობის აუცილებლად იყო ლიდერი – ჩაქოლვა;
45) ინფორმაციული მედიცინის საიდუმლოებანი;
46) პროფესიული სინდრომების ჰიპერბოლები სოციუმში. ჩინოვნიკების სინდრომი;
47) ინდივიდუალური სინდრომების ჰიპერბოლები: დიდაქტიკოს-პედაგოგის, ოლიგარქის, ლამაზმანის, ძლიერმანის, დაკავებული ადამიანის, ფრიადოსნის, პროვინციალის და ა. შ.;
48) ზნეობრიობის ფსიქოლოგია;
49) სამართალი სოციუმში, განკერძოებულობის პრინციპი, მიკერძოებული, ნომენკლატურული სამართალი;
50) ნომენკლატურული კარიერა – თავდაცვის საშუალება;
51) ჰავკიზმი – სიჩუმის თეორია და პრაქტიკა;
52) თვითდისციპლინა;
53) თვითგანათლება;
54) ენერგეტიკული ანემია;
57) გონება ჰუმანიზმის გარეშე მუხრუჭია;
58) სამართლის ეკონომიკა;
59) შემოქმედებითი ნგრევა (ი. შემპეტერი);
60) შეცდომა, რომელშიც სიმართლის ნაწილია, ყველაზე საშიში (ა. სმიტი);
61) გონების, ჰუმანიზმის და ნებისყოფის ჰარმონი;
62) შემთხვევა უაზრო სიტყვაა, უაზროდ ვერაფერი იარსებებს (ვოლტერი);
63) მარტოობის სიბრძნე (ო. იოსელიანი);
64) მათხოვრობა – სიზარმაცის შრომაა (პ. დეკურსელი);
65) თუ ნგრევა არ იცი ვერ ააშენებ;
66) თავისუფლება – სუფთა სინდისი (პერიანდრი);
67) რა სიმდიდრეა ამ დალოცვილ სიღარიბეში (გოეთე);
68) მე ისეთი მდიდარი არ ვარ, რომ იაფი საქონელი ვიყიდო;
69) გულის მეცნიერებისა და გონების მეცნიერების კომბინაცია;
70) დროსგასწრებული ადამიანები (მოაზროვნეები);
71) ღირსეულად აზროვნება;
72) ზნეობრივი დეზინფექცია;
73) კრიტიკოსი, თაყვანისმცემელი;
74) ეკონომიკის ინტელექტუალიზაცია და ჰუმანიზაცია;
75) პიგმალიონის ეფექტი – ერის იმპოტენციის წანამძღვარი;
76) «რისთვის დავიბადე»? – სიკვდილამდე თანამდევი კითხვაა;
77) სულიერებისა და გონების ჰარმონია;
78) ვერ იქნები მშენებელი თუ არა ხარ მნგრეველი (ნიცშე);

79) ავტორეგულაცია – შინაგანი მექანიზმით თვითმოწესრიგება;
80) ამპლიფიკაცია – გავრცობა, გაფართოება, გაზრდა;
81) ანტიციპაცია – მოვლენის ნაადრევი დადგომა;
82) დივერგენცია – განშტოება, დიფერენცირება, განშლა;
83) ევენტუალიზმი – გარკვეულ გარემოში შესაძლებელი;
84) ვირტუალურობა – რაც შეიძლება გამოვლინდეს;
85) იზომორფიზმი – ერთნაირი ფორმის წარმოქმნა სათანადო პირობებში;
86) იმპლიციტური – საღ აზრზე დამყარებული;
87) ინტენციონალური საგნებისადმი ცნობიერების მიმართებაზე აგებული;
88) კოგნიტიური – შემეცნებასთან, ცოდნასთან დაკავშირებული;
89) კონგრუენცია – ურთიერთსასარგებლო თანაარსებობა;
90) მუტუალიზმი – ურთიერთსასარგებლო თანაარსებობა;
91) ოკაზიური – რაიმე კერძო შემთხვევისათვის შექმნილი;
92) საიდენტიფიკაცია – ცოდნის, მეცნიერების როლის და გავლენის ზრდა;
93) სუქცესიური – მემკვიდრეობითი, თანმიმდევრული;
94) ფილაცია – აზრის, იდეის თანმიმდევრობითი განვრცობა;
95) შეგნების ტრანსფორმაცია;
96) გონების ეკოლოგია;
97) სამყაროს დასასრული;
98) სიმდიდრე განუზომლად იზრდება, მაგრამ უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის ჯერ განუზომლად დიდა;
99) სამყაროს სჭირდება ჰარმონია
100) ცხოვრების მიზანი?
101) ბედნიერების წყაროები;
102) თანაგრძნობა, სიყვარული, მიტევება – გადარჩენის აუცილებელი შემადგენლებია;
103) სტრესი– ცხოვრების შნო და ლაზათია;
104) სიმშვიდე – ოფორმოა;
105) სიტუაციაში შეჭრა – განმსჭვალვა;
106) კარგი და ცუდი;
107) ტანჯვა – ყოფიერების ნაწილია თუ არა?
108) ტკივილი – ყოველთვის მტანჯველია?
109) სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ;
110) ტანჯვა – შეიძლება იყოს სასარგებლო?
111) ვინ არიან ჯანმრთელი ადამიანები?
112) თავისუფლება – ფილოსოფიური და ეკონომიკური თვალსაზრისით;
113) სოციალური მოდელირება;
114) თავისუფლება თვითშეზღუდვის დიადი ნაყოფია (ეპიკურე);
115) ჩვენი მტრები სასარგებლონი არიან;

ნოოსფერული ორკესტრი – ჰოლოგრამა

პულტთან ნოოსფერული დირიჟორი რევაზ კლდიაშვილი

რ. კლდიაშვილი აძლევს ნიშანს პიანისტს. სრულდება მ. რაველის «ბოლერო». დიდი ორკესტრი გაყოფილია ორ ნაწილად: Э (ექსპლიციტური) და И (იმპლიციტური).

დირიჟორის ნიშანი Э-ს. (№1 – პირველი ექსპლიციტიურიდან) № 1 Э ამბობს – მე ვარ ადამიანი და წარმოვდექი მაიმუნისაგან. დირიჟორის ნიშანი სინათლეს – ეკრანზე ჩნდებიან სამგანზომილებიანი ადამიანები.

შემდეგ ნიშანი №1' – პირველი იმპლიციტიურიდან И-ს. ის ამბობს: Nо... Nо! ჩვენ წარმოვდექით ღმერთისაგან. ისმის о, ყეს! ეკრანზე – უზნაძე, პრიგოჟინი, დალაი-ლამა, ეინშტეინი...

ნიშანი პიანისტს – უკრავს ა. ვივალდის

ნიშანი №2 Э-ს. ის ამბობს – მე მაქვს სხეული.

ისმის O, yes, but. 2' ამბობს – ჩვენ გვაქვს 7 სხეული. ხალხნო! ტვინია მთავარი! – ამბობს №3 Э.

Nо... Nо, Nо! – ყვირის И და ისმის – ვაზროვნებთ ჩვენ ფსიქიური ველების მეშვეობით.

ისმის ჰენდელი.

ექსპლიციტური
ხ, ყ, ზ საკმარისია.
ლოგიკა და ისევ ლოგიკა
ინტუიცია რაციონალური სამსახურში
ფსიქიური სამყარო ჩვენს შიგნით
ეგოცენტრიზმი, კაპსულირება
მატერიალური და მხოლოდ მატერიალური
ფული, Lazgan, Money
სექსი სექსისათვის
ზნეობა
ცოდნითი სისტემები
მარცხენა ნახევარსფერო
დიქოტომიურობა – კეთილი, ბოროტი
კარგი, ავი
ოჯახი
კაუზალობა
შემთხვევითობა
საიდუმლო
ეკოსისტემები.

იმპლიციტიური
სამყარო არის ხ, ყ, ზ, ტ...ნ
გამთლიანებული აზროვნება
მეტაფიზიკური ინტუიცია
ტრანსპერსონალობა
ტრანსცენდენცია
ფსიქიური მატერიალურზე უფრო ლამაზია

დაუინტერესებელი მოქმედება
სექსი ფსიკისათვის
ბუნებრიობა
ხედვითი სისტემები
მარჯვენა ნახევარსფერო
ანდროგენი
სულიერი ურთიერთობები
აკაუზალობა
ალბათურობა
ობიექტივაცია
ონთოლოგიაზაცია
ემპათიურობა

ორკესტრის ორი ნაწილი ამბობს თავისას, მყარდება ჰარმონია, ვინაიდან იმპლიციტური ჩამშვებია, ნათელი ხდება, რომ ექსპლიციტური მხოლოდ პროექტია იმპლიციტურისა. ისმის ვივალდი, გლუფი, სალიერი, მოცარტი, რაველის «ბოლერო», ეკრანზე გაშლილი მარაოების აღლუმია. დადგა ნოოსფერო.

პროტოგონისტური კონფერენცია

ნოოსფერო – მითი თუ რეალობა

ღვთაებრივი კარტოგრაფია

ორგანიზატორები:

ადამიანის ინსტიტუტი – ნოოსფერო,
ადამიანის ეკოლოგიის ინსტიტუტი

13 ნოემბერი, კვირადღე, 13 სთ.

რუბრიკა – ეზოთერიკა
1) ზონური თეორია
მომხს. – ნ. მამისაშვილი
2) ხედვა თვალის გარეშე
ო. ლომაის ინფორმაცია

20 ნოემბერი, კვირადღე, 13 სთ.

რუბრიკა – ფსიქოლოგიია
1) ინტროსპექტული ფსიქოლოგიის საიდუმლოებანი
მომხს. – თ. შენგელია
რელაქსაციის სეანსი – წამყვანი თ. შენგელია
2) ადამიანის ენერგეტიკა, მაგია ადამიანის ცხოვრებაში
ინფორმატორი – ე. მჟავია

27 ნოემბერი, კვირადღე, 13 სთ.

რუბრიკა – მეტაფიზიკა
1) რეალობის არსებობის ფორმა – ცნობიერება
იერარქიული სურათი
ი. კალანდაძის ინფორმაცია
2) ბიოკომპიუტერი – სუპერკომპიუტერი
ღვთაებრივი კარტოგრაფია
ა) მისტიური ანატომია
ნ. მამისაშვილის ინფორმაცია
ბ) მეტაფიზიკური ტოპოლოგია
(ველისმიერი სტრუქტურები)
ი. კალანდაძე
გ) ეთერის გლობალური დისპერსულობა
(აინშტაინის ეთერი, დირაკის ველი, ინერციის ველები)
ი. კალანდაძე

4 დეკემბერი, კვირადღე, 13 სთ.

რუბრიკა – მისტერიები
1) სამყაროს საიდუმლოებანი
მომხს. – ნ. ხანიაშვილი

რუბრიკა – ხელოვნება
ნოოსფერო და დრამატურგია
რ. კლდიაშვილი

11 დეკემბერი, კვირადღე, 13 სთ.

რუბრიკა – ფსიქოთერაპია
მომხს. – რ. კორინთელი
მომხს. – რ. რაზმაძე

18 დეკემბერი, კვირადღე, 13 სთ.

1) მეტაფიზიკური მენზა
2) ნოოსფერული ორკესტრი – ჰოლოგრამა
ფინალი – ნოოსფეროში შესვლა –
მარაოების აღლუმი

2005 წელი
ი. კ.
თ. შ.

რა არის ბიოსფერო?

როცა პლანეტის ცხოვრების ყველა ნიშანი გაჯერებულია სიცოცხლით.

რა არის ნოოსფერო?

1. ვერნადსკის ნოოსფერო

როცა პლანეტის ცხოვრების ყველა ნიშანი გაჯერებულია მეცნიერებით.

2. ანთროპოგენური ნოოსფერო

როცა პლანეტის ცხოვრების ყველა ნიშანი გაჯერებულია გამთლიანებული აზროვნებით, ცნობიერებით.

გამთლიანებული ცნობიერება – ადამიანის ცნობიერების იერარქიის ის შრე, რომელშიც ნებელობა, ინტუიცია, სპონტანურობა, საზრისები, არაატომური რაციო მუშაობს ერთად. გამთლიენების შემთხვევაში ეს ყველაფერი ადამიანის კაპსულაში არ რჩება და ილტვის ადამიანის მიღმისეულ სამყაროში ტრანსცენდენციით.

3. ? – ნოოსფერო.

დროსა და სივრცის გარეშე არსებული საყოველთაო აპრიორულ იდეათა ბანკი. გლობალური სპონტანურობის კოსმიური გონი, ცნობიერების განფენილობა, იმპლიციტური (გაუმჟღავნებელი) კატეგორია სამყაროს ჰოლოგრამაში, რომელსაც უნდა ჰქონდეს თავისი ექსპლიციტური (გამჟღავნებული).

4. თუ ადამიანი გამთლიანებული აზროვნებით მიაღწევს ? – ნოოსფეროს, მაშინ პლანეტა დედამიწისათვის სიცოცხლის განფენილობა შეიცვლება ცნობიერების განფენილობით. სხეული იქცევა ცნობიერების დონედ. მაგრამ რადგან სამყარო თვითშემცნობი ევოლუციაა ჰოლოგრამის სახით, გადავა რა ძველი ექსპლიციტიური მთლიანად იმპლიციტიურში, უმალ წარმოიქმნება ახალი იმპლიციტიური, რადგან არსებობს ჰოლომოძრაობა, იშვება ახალი ადამიანური სამყარო.

რა აწუხებს ნოოსფეროს ინსტიტუტს დღეს

ცხადია, ანთროპოგენური ნოოსფერო, როგორც ცნობიერების ბუფერი ადამიანსა და კოსმოსს შორის ხვალ და ზეგ არ განხორციელდება, მაგრამ ვექტორი მისკენ სულ უნდა არსებობდეს.

რას ნიშნავს ეს?

იცვლება ფორმაციები, მათი იერარქია ევოლუციონირებადია. ახალი სოციალური პარადიგმა ცვლის ადრე არსებულს. კაცობრიობამ გადააგდო სოციალიზმი და კომუნიზმი როგორც შეუსატყვისი, შეუმდგარი ფორმაცია. სოციალიზმი და კომუნიზმი არ შედგა, პირველ რიგში, ნულოვანი ცნობიერების მატარებლების გამო. დღეს პლანეტა გაჩერებულია კაპიტალიზმზე, როგორც შემდგარ ფორმაციაზე ისევ ნულოვანი ცნობიერებით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აზრობრივად კაპიტალიზმი უფრო მარტივია, ვიდრე ადამაინის სრულყოფილების ცალკე აღებული თეორია. კაპიტალიზმი მუშაობს ადამანის ჭურჭლის შევსებაზე და არაფერი ესაქმება სიღრმისეულ ეკოლოგიასთან. მაპატიეთ, მაგრამ ადამიანის მატერიალური ფუფუნება სულაც არ არის გლობალურად ჭეშმარიტი ადამიანის თვითმიზანი. მატერიალური ადამიანს სჭირდება მხოლოდ იმისათვის, რომ არამშიერმა ადამიანმა მოიწესრიგოს თავისი ფსიქოლოგიური სისტემები. მამონის ფეტიშიზაცია ფაქტობრივად სტაგნაციაა. მამონა რატომ უნდა იყოს გიდი ადამიანის ცხოვრებაში? ადამიანი მხოლოდ ფიზიკური სხეული არ არის.

ადამიანის ბიოკომპიუტერი ურთულესი სისტემაა. ეს არის ტვინის ქერქი, მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფეროებით, ეს არის ველისმიერი სტრუქტურები და ფიზიკური ვაკუუმი აინშტაინის ეთერით, დირაკის ველით და, რაც მთავარია, მეტაფიზიკური ინფორმაციის მდგენელებით. მეტაფიზიკურ ინფორმაციას «კოლბასი» არ სჭირდება. «კოლბასი» სჭირდება სხეულს. მაგრამ ხომ არ უნდა გადავყვეთ ამ «კოლბასს»? რამდენი უნდა ვნთქათ? აზროვნება არ გვჭირდება? სხვათა შორის, მონელების პროცესის დროს და გამუდმებული ფიქრით პროდუქტგადახარშვაზე ხდება სისხლის ნაკადის გადაზიდვა კუჭზე და თავი რჩება სისხლმიუწოდებელი.
ასე ვღებულობთ ფრუსტრირებულ ადამიანს.

ყველაფერს აქვს ზომა, ყველაფერს აქვს თავისი ლატენტური პერიოდი. თუ ასე გარდაუვალია ეს კაპიტალიზმი, გარკვეულ დროს იდინოს, მაგრამ ბოგინობის პერიოდში უნდა გაიშალოს დიდი ფრონტი სამუშაოებისა ადამიანის ცნობიერების შეცვლისათვის; მერე ცნობიერებაშეცვილი ადამიანი და ადამიანთა კონგლომერატი თვითონ გადააგდებს მამონის კერპადქცევის ფორმაციას. სხვანაირად, პრაგმატიზმი წალეკავს ამ ცივილიზაციას. უნდა მომრავლდეს სხვადასხვა ცნობიერებითი კარტოგრაფიების ელიტარული უბნები. ამ კერებმა უნდა შეავიწროვოს მატერიალური სრბოლის სივრცეები. ყოვლად დაუშვებელია ადამიანის ადამიანის მხოლოდ მატერიალური უზრუნველყოფის სისტემებზე ზრუნვა.
მრავალგანზომილებიანი ცნობიერების აგურები დღესვე, ახლავე უნდა ჩაიდოს საფუძველში, პირველ რიგში, განათლების სისტემის რეორგანიზაციაში.
კულტურა, მეცნიერება უნდა ავიდეს ძალიან მაღალ დონეზე. დღეს ვინც ებრძვის ფუნდამენტალურ მეცნიერებებს, ნეტავი იმათ თუ იციან, ვთქვათ, სპეცინფექციის დანიშნულების ე.წ. თავისუფლების ინსტიტუტმა, რომელიც რატომღაც უცხოური ფულების მეშვეობით და არამკითხე მოამბის სტატუსით მოგვევლინა იდეალურ ცენტრად, მასათა განძს იყენებს «კმარას» მოძრაობის შესაქმნელად. არადა, რა წასაბილწი მოძრაობაა ეს მათი «კმარა» მატერიალიზაციისათვის. უწიგნურები გამოდიან წიგნიერთა წინააღმდეგ. წერდა კიდეც ფრიდრიხ ნიცშე თავის კაპიტალურ ნაშრომში «Воля ко власти» – «Наука возникла из отвращении интеллекта к хаосу». ახლა ჩვენ რა, ილია პრიგოჟინის უმძლავრესი სინერგეტიკის თეორიის წინააღმდეგ მივდივართ, ვილტვით ქაოსისაკენ?

დღეს ვინც ამ სამჰიპოსტასიურ სოციუმში იღწვის პოზიტიურად და არა ეგოცენტრული ფსიქიკის უკიდურესი ფორმების გამოვლენისათვის, მარტო სამგანზომილებიანობაზე არ უნდა იმუშაოს.

კაპიტალისტური სუპერმანქანის შემოტანა უდიერად ძალიან საშიშია სულიერების დათრგუნვის თვალსაზრისით. ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ სულიერება ეს არის ვიტალობის, სიცოცხლის მიერ კოსმიური ცნობიერების წვდომა. ჩვენი ცნობიერება კოსმიური ცნობიერების მეტაფორაა,. ინფორმაციულ ველებში უარღესად მნიშვნელოვანი, ადამიანისათვის გამოუყენებელი კოლოსალური ენერგიებია. ადამიანი მარტო ლოგიკური აზროვნება არ არის, რაციონალური აზროვნების დომინანტურობამ მოგვცა ის, რაც დღეს არის პლანეტაზე. ასეთი აზროვნების გარდა ადამიანს აქვს ინტუიტიური აზროვნება, რითაც ის ტრანსცენდენტირებს. დღეს ეს აზროვნება დათრგუნულია. მარცხენანახევარსფერო ტვინს სულიერება ამოცანად არ უდგას. სულიერებასთან უშუალო კავშირში არის გამთლიანებული აზროვნება – ნებელობა, ინტუიცია, სპონტანურობა, საზრისები, რაციო.

ყველა მოღვაწემ სოციალური ინოვაციების სფეროში, პირველ რიგში, უნდა იზრუნოს, რომ ყველა პროცესი სოციუმში განვითარდეს გამთლიანებული

აზროვნების ფონზე. გამთლიანებული აზროვნება აუცილებელია, რომ სოციუმში ინტერაქტივის პროცესი სწორად წარიმართოს, ხოლო პროდუქტი, რომელსაც შექმნის ეს ურთიერთობები, თავისთავად უზრუნველყოფს უშეცდომო პროდუქტს.
დაქუცმაცებული აზროვნება მუშაობს აგრესიაზე და კონფლიქტზე. ეს უკანასკნელი ქმნის ქაოსს და ქაოსი ხდება მარადიულად გადაუწყვეტი პრობლემა – ბიოტექნოლოგიები, ნანატექნოლოგიები, კიბორგტექნოლოგიები, დაფუძნებული დანაწევრებულ აზროვნებაზე უჰარმონიო სიახლეებს შემოიტანენ, კომპიუტერიზაცია თBM-ების გარეშე ადამიანებს ფიტულებად, რობოტებად აქცევს, მაშინ, როცა ადამიანებს სჭირდებათ კოსმიურ სოლიტონებზე გასვლა, სულიერი გრატუალის ზრდა. უხეში ვიბრაციული სამყარო ძალიან პრიმიტიულია და ამიტომ არის, რომ მეფობს პიგმალიონის ეფექტი.

რაც შეეხება დემოკრატიას, დღეს პლანეტაზე, უბრალოდ, ძალიან სასაცილო პრეცედენტთან გვაქვს საქმე. ლატერალური აზროვნების გარეშე დემოკრატიული სისტემები მატყუარა სისტემებია. თავად ამერიკაში, ე.წ. დემოკრატიის აკვანში ტრანსპერსონალური და ტრანსდისციპლინარული აზროვნების ცენტრები შეურიგებელი ოპოზიციონერის როლში უტევენ ცრუ დემოკრატიას. მე არ ვიცი, რამდენ ხანს გასტანს კაპიტალისტური პროლონგაცია, მეშინია, ეპიდემიას არ დაემსგავსოს და კარანტინი არ იყოს გამოსაცხადებელი, მაგრამ ქვეყნიერება უნდა გამოთავისუფლდეს მამონის მონობიდან, ეს არის ცნობიერების კორუმპირებულობის შემთხვევა. მამონას კრიატულ პროცესთან საქმე არა აქვს, შეიძლება ბიზნესს ეწოდოს შემოქმედებით ცალკეულ აქტთა სიმრავლე, მაგრამ ყველა შემთხვევაში ძალიან ყოფით პროცესებთან გვაქვს საქმე. ინდივიდი სიმდიდრით კი არ უნდა მოეფინოს საზოგადოებას, არამედ აზროვნების განფენით, მსოფლიო ბიზნეს სისტემა მთლიანად პროფანული აზროვნებისაა.

ინსტრუმენტალური აზროვნების წარმომადგენლებს მივმართავთ – ასწავლეთ ბიზნესმნებს ლატერალური აზროვნება, გაუმთლიანეთ მათ ცნობიერება, თუ დღეს აუცილებელია კაპიტალიზმი, მაშინ შეიძლება რაიმე სასიკეთო მოხდეს, დღეს კი დაქუცმაცებული აზროვნებით თავსმოხვეული პროდუქტი უგემურია. ეკონომიკური აღმასვლის სპეციალისტებს ვეხმიანები – ნურაფერი ნუ შემოვა სოციუმში ახალი გამთლიანებული აზროვნების გარეშე. ყველა აქტში ჩადეთ გამთლიანებული აზროვნება, ვინაიდან არ მოხდება ისე, რომ ჯერ ეკონომიკურად ავღორძინდეთ და მერე ფსიქიურ სისტემებზე ვიზრუნოთ.
გამთლიანებული აზროვნება სატელიტი უნდა იყოს ყველა სოციალური მოვლენისა. როგორც პ. ვეილი ამბობს, მენეჯმენტში ურთიერთობის მეცნიერება ურთიერთობის ხელოვნებით უნდა შეიცვალოს. ნახეთ, რამხელა გრადიენტია მენეჯმენტის ცნობილი თეორეტიკოსის გამონათქვამსა და სოციუმის დღევანდელ რეალობას შორის. ურთიერთობები არა თუ რაციონალური, არამედ ვულგარულ-ბანალურ-სპეკულატიურია. თითოეული ადამიანი მეორე ადამიანის ვამპირია. ჰაერში ჰკიდია ზომბები, ხელისუფლება ნაყიდი, კორუმპიებული აზროვნებით, ხალხი ტყუილებით კმაყოფილი და გასულელებული, სივრცის ყოველ წერტილში შავი ორსიონი, ტვინის დამლუქველი კომპიუტერები, ოკეანე მობილურების. ხალხს ჰგონია, რომ წიგნი შეცვალა კომპიუტერმა, ადამიანმა დაამყარა არამაგისტრალური კონტაქტები. წარმოდგენისათვის – თანამედროვეობის რეალური სურათი ასეთია: ადამიანური სუროგატი ცხადია, რაღაც ჯიპის ტიპის მერსედესში მჯდარი, მხრით ყურზე მიბჯენილი პრეტენციულობის გამომხატველი ე.წ. მესიჯური მობილით, ერთ ხელში ქონიანი ხაჭაპური, მეორეში – ბარანკა (რული), კაპიტალისტური იდილია, იყო

შიგნით ნული, გარეთ ხნული, ამერიკული შმოტკა, ღია ჭიპი, შიშველ ფეხზე ბარძაყამდე ჩექმა, კიბორტექნოლოგიური თვალები, ისი პარის პრიჩოსკა, საქართველოს მთელი პროვინცია მაინცდამაინც თბილისში, ამას ჰქვია – ქაჯებო გაგიმარჯოთო. ანტისანიტარია დეზედორებით დაღვარული. ვიმოწმებ მიხეილ ზადორნოვის ახალი რუსობის აღწერას, ათასჯერ უარესია ახალი ქართველი. არაჩვეულებრივი ელეგია ვიტალობის.

ვიტალობის, რომელსაც ვიტალობის ავტონომიის აპოლოგეტი ბიოლოგი იოჰან ფონ იქსკიული ეძახის საბოლოო და თავისთავად სინამდვილეს. მგონი, მართლაც ასეთია სამჰიპოსტასიური აზროვნების ჭერი. ვიტალობა თუ არაფერში გადაიზარდა, მაშინ აღმოვჩნდებით უენოსკუს «ნოსოროგის» როლში.

ვერავინ ვერ გადარჩება, არც მიწისქვეშა ქალაქები

უშველის ხელისუფლებას და მთავრობას, არც პერშინგები და ავაქსები, არც ფული. კოსმოსი მათ მიმართ განსაკუთრებით მრისხანე იქნება.

ურმული, №7, 2003

რა ნაირსახეობით შეიძლება არსებობდეს ქართული გენოფონდი?

ხუროთმოძღვარმა ნუკრი (ნუგზარ) ალხაზაშვილმა შექმნა პროექტს მემორიალის «უსაფლავო მთწმინდელები», რომელიც ჯერ მთაწმინდაზე არ დადგმულა, მაგრამ იმედია რომ მას განხორციელება უწერია.

ამ მემორიალმა დაგვაფიქრა ადამიანის ინსტიტუტის – ნოოსფერო ადამიანები მის მნიშვნელობაზე და ჩვენ გამოვთქვამთ ჰიპოთეზას ხსოვნის არსთან დაკავშირებით, ფსიქიური მხოლოდ ადამიანის შინაგანი სივრცის მოცემულობა არ არის, ის მის მიღმისეულ სამყაროში უფრო მნიშვნელოვანწილადაა არსებული, ადამიანის ცნობიერება ხომ კოსმიური ცნობიერების მანიფესტაციაა.

დღევანდელ ინფორმაციულ მეცნიერებაში ტრანსფიზიკური ფსიქიკური ტანატოლოგიის (მეცნიერება სიკვდილის ფენომენის შესახებ) ურთულეს პრობლემასთანაა კავშირი.

მკითხველისთვის, ვინც ულტრაახალს ადევნებს თვალს ცნობილია, რომ გარდაცვალება ორი სახის არსებობს:

1. სომატური, როცა სხეული პოზიტიური

ინფორმაციული (ტორსიული) ველებითაა გაჯერებული, სომატური წყალი მეოთხე ფაზურ მდგომარეობაშია გადასული მეტაბოლიზმი შეჩერებულია, ხოლო «ვერცხლის ძაფით» კავშირს სხეული სულთან განაგრძობს.

2. მკვდარი სხეული, რომელშიც არც ერთი ზემოთნახსენები პარამეტრი არ მუშაობს და სხეული იხრწნება. სომატები დიდი ხნის მანძილზე არსებობენ და შესაძლებელია, რომ მათ გონის მეშვეობით (არსებული მაღალინფორმაციულ ველში) სული დაუბრუნდეს სხეულს და რაღაც განსხეულების საშუალებით ერს მოევლინოს ახალი ქარიზმა.

დღეს საქართველოს ძალიან სჭირდება ახალი სულიერი ძალები და ჩვენი წინამორბედების ძლევამოსილი ფსიქიკა ქართველი ადამიანის სადარაჯოზე მდგარი, არ მოგვცემს საშუალებას წავიშალოთ, როგორც ერი.

ხსოვნა ახალი სახით ნიშნავს წარმოდგენას, რომ ბრძნული სულები მატერიალიზირდებიან ჩვენს მიწაზე, თუნდაც ფორმული ველებით, თუნდაც ფოტოების ტორსიული ველებით, თუნდაც წყლის მიმოცვლით, წყალი იწერს კოსმიურ ინფორმაციას. ეს ხსოვნა ჩვენ გვჭირდება, რათა ვირწმუნოთ სინათლის.

არსებობს თუ არა ქართული შამბალა? (შამბალა სომატების ადგილსამყოფელია), ეს არავინ იცის საქართველოში! და ვიდრე ჩვენ ეს არ ვიცით, მოდით მემორიალების დადგმას მივცეთ დიდი მნიშვნელობა, ჩაწვდეთ მათ არსში და იქნებ გაგვეხსნეს გონება, რომ ადამიანის საზრისი ადამიანია და მისი კავშირი კოსმოსთან და არა შავი ტორსიონი – ფული და ადამიანის გენოციდი.

ნ. ალხაზიშვილის მემორიალი აუცილებლად უნდა დაიდგას, რათა კოსმოსის მეხსიერებას მივცეთ მწვანე შუქი.

2004 5 თებერვალი

გეშინოდეთ ნორმოზის!

ნორმოზი ადამიანისა და საზოგადოების მე-20 საუკუნის უმძიმესი დაავადებაა. ეს დაავადება მოიტანა მატერიალური ფეტიშიზაციის დაუოკებელმა წყურვილმა. ეს არის ტოტალური შიმშილისა და წყურვილის, საკაცობრიო უბედურების თავი და თავი. სიმდიდრე სააქაოში განუზომლად იზრდება, მაგრამ უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის ჯერ არნახულია.

რას ნიშნავს ეს? ნიშნავს იმას, რომ პათოლოგია იქცა ნორმად და ადამიანი ვეღარ გრძნობს ინვერსიას, უფრო სწორად, მას ინვერსია აწყობს.

დღეს ყველაფერი პათოლოგიური იქცა ნორმად: კორუფცია – ნორმაა, ნუვორიშობა – ნორმაა, კონფორმიზმი – ნორმაა, ქილერობა – ნორმაა, ნეგატიური კალაბორაციონიზმი – ნორმაა, პროზოლითიზმი – ნორმაა, კამიკაძეობა – ნორმაა, ფრუსტირებულობა – ნორმაა, პიგმალიონის ეფექტი – ნორმაა, ჰოლიკოსტა – ნორმაა, პროვინციალის სინდრომი – ნორმაა, ნომენკლატურული აბსურდიზმი – ნორმაა, ლიდერობის ჩაციკლულობა – ნორმაა, სახელისუფლო ისტერია – ნორმაა, ტყუილის ვაქხანალია – ნორმაა, კალკირებული აზროვნება – ნორმაა, კორუმპირებული აზროვნება – ნორმაა.

დღეს ნორმოზის სია თითქმის უსასრულოა, მაგრამ ამ სიიდან ყველაზე მძიმე სენი კორუმპირებული აზროვნებაა. როგორც მომთვინიერებელი იმორჩილებს მოსათვინიერებელ ობიექტს, ისევე კორუმპატორი მოსყიდვით მოიხელთებს საკორუმპირებელ სუბიექტს და მარიონეტივით ათამაშებს.

პატარა, ძველი კულტურის ერი ამდენ კორუფციას ვერ გაუძლებს და საერთოდ, მთელი პლანეტა გადაშენდება ცრუ დემოკრატიის დიდ დოზებისაგან. დრევანდელი საერთასორისო პოლიტიკური ცენტრები მოძველებული აზროვნების ორგანიზაციები არიან და მათ დასკვნებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

პლანეტაზე საჭიროა ამუშავდეს ახალი აზროვნება – არაეგოცენტრული, ნატიური, ლატერალური ცნობიერება. უნდა მოხდეს ძველი აზროვნების კონფისკაცია. ასეთ სამუშაოებს უნდა უხელმძღვანელოს მსოფლიოს ნოეტურმა ცენტრმა და ყოველი ადამიანი პასუხვალდებული უნდა იყოს უმაღლესი გონის დესპანისა დედამიწაზე –

ნოოცენტრიზმის წინაშე, პირველ რიგში, ქვეყნის პრეზიდენტები ამალითურთ, სწორედ ეს არის დემოკრატია.

ნოეტური ცენტრი – ეგოცენტრული, კაფსულირებული აზროვნების ტრანსფორმატორი არაეგოცენტრულ, გამთლიანებულ, გაფართოებულ აზროვნებაში. ეს არის მსოფლიოს მეცნიერული ჰუმანიტარული გეგმა-მოდელი. თუ ჟურნალისტებს აქვთ უფლება თავისუფალი აზრისა, მითუმეტეს, შესაძლებელია ეს მეცნიერებისათვის.

გაზეთი «რეზონანსი», 2004, 13 იანვარი

რა ხდება მეცმიერებისა და პოლიტიკის საზღვარზე?

სულიერების გარეშე არსებული სოციუმი ბუშტების კონგლომერატს უფრო წააგავს, ვიდრე ადამიანთა ნაკრებს ადამიანური ველებით

ირინა კალანდაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის «ადამინის ინსტიტუტის «ნოოსფეროს» ხელმძღვანელია. ინსტიტუტი უკვე მრავალ წელია ადამიანის ცნობიერების პრობლემებსა და მისი გამთლიანების საკითხებზე მუშაობს.

თანამედროვე საზოგადოების მოწყობისა და მეცნიერებისა და პოლიტიკის ურთიერთობის შესახებ, დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით, ირინე კალანდაძეს სუპერმეცნიერული შეხედულებები აქვს, რასაც «მთელ კვირას» ექსკლუზიურად უზიარებს.

«რეზონანსი»: ქალბატონო ირინე, როგორც ვიცით, თქვენი ინსტიტუტი ადამიანის ინსტიტუტად იწოდება და ნოოსფერო ჰქვია. იქნებ, განმარტოთ, რას გულისხმობს თქვენი მუშაობის სფერო?

ირინა კალანდაძე: ჩვენ ძირითადად პრობლემატური მეცნიერების სფეროში ვმუშაობთ, ცნობიერების გამთლიანებაზე, ლატერალიზაციაზე (გაფართოება), ინტენსიფიკაციაზე, ინოვაციაზე. ესაა სამუშაოების მთელი ფრონტი ახალი საკაცობრიო აზროვნების ჩამოსაყალიბებლად. ეს ის არ არის, რასაც დღევანდელი პლამეტარული პოლიტიკა ახალ აზროვნებას ეძახის. პოლიტიკური პრიმატით, ახალი აზროვნება ისევ ჩვეულებრივი, სამჰიპოსტასური (დრო, სივრცე, მიზეზ-შედეგობრიობა) დაბალი ვიბრაციების აზროვნებაა. არც ერთი პლანეტარული ნომენკლატურა პლანეტა დედამიწას ახალ განზომილებებს პირვე რიგში ვერ და შემდგომ არ მოუტანს, ვინაიდან ყველა ამ ტიპის აზროვნება ეგოცენტრული (სამგანზომილებიანი სივრცის) კუსტარული აზროვნებაა.

ის არ გულისხმობს ადამიანთა თავისუფლების ხარისხის ზრდას, სულიერ გრატუალს. საერთოდ, პოლიტიკური აზროვნება განიხილავს ადამიანს, როგორც ცარიელ ჭურჭელს, რომელშიც შეიძლება ჩაისხას მაღალეშელონური განზავების სხვადასხვა სითხე. ადამიანს კი სხეული იმისთვის გააჩნია, რომ მასში გონმა სული შეიყვანოს.

«რეზონანსი»: რას ნიშნავს დაბალვიბრაციული აზროვნება და სულიერი გრატუალი?

ი. კალანდაძე: რეალობა 7+1 საფეხურებრივი იერარქიისაგან შედგება. ეს არის აბსოლიტური არარა. საკრალური რიცხვი7+1 კონსონანსის ფაზა, რომლის მეშვეობითაც აბსოლუტი მანიფესტირებს არა ყოველთვის, არამედ განსაკუთრებულ ფაზებში და წარმოიქმენება ინფორმაცია, როგორც ასეთი, ანუ გონთა სამყარო. ზევიდან ქვევით შემდეგი საფეხური არის ფიზიკური ვაკუუმი, რომლიდანაც ვღებულობთ ფიზიკურ სამყაროს ელემენტარული ნაწილაკების, გაზების, სითხის და მყარი სხეულების სახით. ფიზიკური ვაკუუმი ის დონეა, სადაც გონი შეიძენს მატერიალურ მატარებელს. ეს იერარქია ვიბრაციული იერარქიაა. ფიზიკური სამყარო დაბალვიბრაციული მოცემულობაა. იერარქიით რაც უფრო ზევით ავდივართ, ვიბრაციულობა მატულობს, ფიზიკური გადის ტრანსფიზიკურში, ჩვენ გადავდივართ გონთა სამყაროში. მაღალინფორმაციული ვიბრაციების წვდომა ნიშნავს გრატუალის ზრდას. დღეს პლანეტა დაბალ საფერხურზე იმყოფება.

ხალხის ცნობიერებაში თუ ცვლილებები არ მოხდა (ადამიანის ცნობიერება უნდა გამთლიანდეს), ისე არავითარ დემოკრატიას აზრი არ ექვს. ეს ნომენკლატურული თამაშია.

«რეზონანსი»: რას ნიშნავს თქვენი ეს განცხადება?

ი.კ. ალანდაძე: იმას, რომ სახელმწიფოს აღმშენებლობის შემთხვევაში არა მარტო ეკონომიკის ამაღლებაზე უნდა იყოს ზრუნვა, არამედ მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან ერთად აუცილებლად უნდა გაიშალოს ცნობიერებაზე სპეციალური მუშაობის ფრონტი, ძალიან ინტენსიურად უნდა დაიწყოს მუშაობა ნოეტურმა ცენტრმა, რომელმაც ჯეროვნად უნდა გაშალოს ცნობიერების ლატერალიზაციის საქმიანობა.

ჩვენ, როგორც ადამიანის კვლევის ცენტრს, ეს გეგმა-მოდელი გაგვაჩნია. ამასწინათ მე ვუსმენდი რუსეთის პრეზიდენტის ეთერს. რუსეთის ინტელექტუალურ ელიტას აქვს ძალიან მაინტრიგებელი სქემა სახელმწიფოს გარდაქმნისა. ეს სქემაა: სახელმწიფოებრივი გარდაქმნა, საზოგადოებრივი გარდაქმნა, ეკონომიკური გარდაქმნა, მრეწველობის გარდაქმნა. ამ ყველაფრის ცენტრად გვევლინება განათლების სისტემა და განთლების სისტემის რეორგანიზაციის ძალიან საინტერესო ბირთვით, ენისა და აზროვნების კავშირის საკითხთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო სამუშაოები. ეს თუ სნობური თეორეტიზაციაა? ჩნდება ექსპერიმენტალური დაინტერესება.

«რეზონანსი»: რამდენად აქვს მნიშვნელობა თქვენთვის, რუსეთის სახელმწიფოებრივი გარდაქმნის გეგმას?

ი. კალანდაძე: ჩემში, როგორც ტრანსდისციპლინარულ მეცნიერში, მომწიფდა სურვილი, ჩავეკითხო რუსეთის სახელმწიფოებრივ მეცნიერებს და თავად პრეზიდენტს, თუ როგორ უყურებენ ისინი ამ სქემაში ნოეტური ცენტრის ჩართვის ამბავს.

საქმე ისაა, რომ დემოკრატიის აგება პლანეტაზე იმ ცნობიერებით, რომელიც გააჩნიათ ხელისუფალთ, ადამიანებს, არ მოხერხდება. ეკონომიკურად დაკმაყოფილებული ადამიანი კანონის შიშით შემსრულებელი დემოკრატიის გარანტი არ არის. სულიერების გარეშე არსებული სოციუმი ბუშტების კონგლომერატს უფრო წააგავს, ვიდრე ადამიანთა ნაკრებს ადამიანური ველებით.

ეკონომიკურად დაკმაყოფილებულ ადამიანს მაღალი ფსიქოლოგიური სისტემები თავისთავად არ განუვითარდება, ამ სისტემების წამოწევას ძალიან სკრუპულოზური მუშაობა სჭირდება. «რეზონანსი»: რატომ არ გინდათ, თქვენი მოსაზრებები, თქვენი

ინსტიტუტის ჩატარებული გამოკვლევები საქართველოს ახალ ხელისუფლებას შესთავაზოთ?

ი. კალანდაძე: არათუ ლოკალურ ხელისუფლებას, რომელიც მეტაფიზკურ ეპოქაში «კიდურების» რევოლუციით მოვიდა, განდიზმი «კმარიზმად» გადააქცია (მათ სულიერებისათვის არ სცალიათ), არც შირაკს, არც შროდერს, არც ბერლუსკუნის და მით უმეტეს, არც ბუშსა და ბლერს არ ვთავაზობ.

უნდა გითხრათ, რომ ეს ჩვენი თავისუფალი არჩევანია და მგონია, რომ დღეს რუსეთის წარმოდგენილი მაღალინტელექტუალური პოტენციალი და ფუტუროვერტულობა გამოჩნდება იმის მიხედვით, რა გამოძახილი ექნებათ გამოწვევაზე.

თავისუფალი არჩევანი ხომ დემოკრატიაა, როგორც აქ ახალი ხელისუფალნი რეკლამირებენ. თავისუფალ აზრს კი ეკრანიზაცია არ უნდა გაუკეთდეს.

შეიძლება მე ვცდები და ამის დასტური იქნება საქართველოს ხელისუფლების დაინტერესება გამთლიანებული ცნობიერების კონცეფციით, ნოოფრონტის მუშაობით. ცნობილია ფ. ნიცშეს გამონათქვამი, რომ მეცნიერება წარმოიქმნა ქაოსისადმი იდიოსინკრეზით.

გაზეთი «რეზონანსი», 2004, 9 მარტი

როგორ გადავლახოთ სიძნელეები ბრძნულად
და არა უსაზრისოდ

მეცნიერება არასდროს გამოდის ოპოზიციონერის როლში. ოპოზიციონერობა უყვართ პოლიტიკაში, რათა პოზიციები მოიგონ კონკურენციით. მეცნიერება მხოლოდ ოპონირებას ახდენს, ანალიზს უკეთებს სიტუაციას და კმაყოფილი იქნება, თუ შეთავაზებული აზრები და განსხვავებული აზროვნება მიღებული იქნება მხედველობაში ქვეყნის მმართველების მიერ.

მეცნიერება და განსაკუთრებით მეტაფიზკური მეცნიერება ბევრ რამეს ხედავს არალოგიკურს, განსაკუთრებით ინტუიტიურად მცდარს ქვეყნის მართვის სისტემაში, ამასთან დაკავშირებით ბევრი თემა გლობალური მნიშვნელობისაა. ერთ-ერთი ასეთი თემა ათარაქსია და სტოიციზმია. ათარაქსია სიბრძნის მიღწევაა შფოთისაგან განთავისუფლებით, შიშის Dდაძლევით და სამყაროს აღქმით, მის საიდუმლოებაზე გასვლით. სტოიციზმი სიცოცხლის გამძლეობაა და სიძნელეებში გამოწრთობა. რომელი უსურვოს მეცნიერებამ პირველ და მეორე რიგში ხალხს და ხელისუფლებას? პრიმატის კატეგორია აქ ნაკლებად მუშაობს. ორივე ძალიან სჭირდება როგორც ხალხს, ისე ხელისუფლებას.

როგორ დავძლიოთ სიძნელეები მხოლოდ ჭკუით და არა სიბეცით? როგორ ვიყოთ ბრძენნი, არა შფოთით, არა გლობალური სამყაროს უცოდინარობით.

ქვეყნის მართვისთვის აუცილებელია საზრისის რეგენტულობა. ხელისუფლების საზრისი კატეგორიულად უნდა იყოს მოქმედება დაუინტერესებელი პრინციპით, ე.ი. არა თვითგანმტკიცებისათვის, არამედ სტალკერის გზით, ანდრე ჟიდის გმირივით ხელისუფლებას ცისფერი კონტინენტისკენ უნდა მიჰყავდეს ხალხი, ოღონდ ეს ცისფერი კონტინენტი რეალური უნდა იყოს და ამ გზაზე ხელისუფლება თავს არ

უნდა იშურვებდეს. ლამაზი სიტყვებით შირმირებას დიდი სიცოცხლე არ უწერია. ვისაც სამშობლო უყვარს, საკუთარი ხალხი უყვარს, ის თავის თავზე ნაკლებად ფიქრობს. კაცობრიობის ისტორიაში ძალიან დიდი გამონაკლისით მართველობის სისტემაში ვინც კი მოდის, მან საერთოდ არ იცის, თუ რა არის ემპათია. ემპათია არის მეორე ადამიანის ინფორმაციულ ველში შესვლა, შეუმჩნეველი დახმარება, სულიერი სფერო იგულისხმება, და უკვალოდ გამოსვლა. დღეს საქართველოს სულიერი ლიდერები ესაჭიროება, რომლებიც გვირგვინისთვის კი არ იბრძოლებენ, არამედ გვირგვინს საქართველოს დაადგამენ. აქ ერთი რამ არის ძალიან მნიშვნელოვანი – არსად მსოფლიოში არაფერი სასიკეთო არ გაკეთდება, თუ აზროვნება, ცნობიერება არ შეიცვალა. საქართვლო გამონაკლისი არ არის. ცნობიერების გამთლიანების გარეშე გარღვევები არ იქნება. გამთლიანებული აზროვნება ნიშნავს რაციონალურს და ირაციონალურს მთლიანობაში.

ადამიანი ფსიქო-სოციო-ფილოსოფიურ-კოსმიური კატეგორიაა და ფენომენი.

ადამიანებო! გარდა ფიზიკური სამყაროსი, არსებობს აგრეთვე ტრანსფიზიკური,ფსიქიკური სამყარო. ჩვენ წარმოავდგენთ ტვინის მარცხენა ნახევარსფეროს მუშაობის შედეგად წარმოებულ ცივილიზაციას. სამგანზომილებიანი სამყაროს ადამიანს აქვს სამჰიპოსტასური ცნობიერება – ეგოცენტრული, კაფსულირებული, რაციონალური. საჭიროა გამოსვლა, ტრანსცენდენცია კაფსულირებიდან. ცივილიზაცია უნდა შედგეს «მარცხენა»+»მარჯვენა ნახევარსფერულ» ცივილიზაციად ერთდროულად. ინტენსიურად უნდა ამუშავდეს ინტუიტიური მარჯვენა ნახევარსფერო.

ინტუიცია საჭიროა მაღალინფორმაციულ ველებზე გასასვლელად, ფსიქიკური სამყაროს ტორსიულ (ინფორმაციულ) ველებში კონცენტრირებულია კოლოსალური ენერგია, რომლის გარეშეც ჩვენ ჭეშმარიტი ადამიანები ვერ შევდგებით. კოსმიური პატერნები შეიცავენ სასიცოხლო მამოძრავებელ ძალებს. ამ ენერგიების გარეშე ჩვენს სამყაროში იბატონებენ მგლური კანონები.

ქვეყნის ახალებურად წარმართვა შეიძლება არასიღრმისეული სქემითაც: ავამუშაებთ წარმოებას, შევქმნით ეკონომიკურ ბაზას, მოხდება განათლების სისტემის რეორგანიზაცია, გარდაიქმნება საზოგადოება. ეს ზედაპირული სისტემებია, სიღრმეში კი დევს დაქუცმაცებულ-დანაწევრებული ცნობიერება, რომლის გამთლიანება საჭიროა მარჯვენა ნახევარსფეროს დომინანტურობით. დღეს ეს ნახევარსფერო სუბდომინანტურია და დაჩაგრულია რაციონალური აზროვნებით. ახალ აზროვნებაზე გადასვლა სტანდარტული საშუალებით არ მოხერხდება, ახალ ცნობიერებას უნდა უხელმძღვანელოს მსოფლიოს ნოეტურმა ცენტრმა. ნოეტური ცენტრის შესახებ მე წინა სტატიებში აღვნიშნავდი, მაგრამ დღევანდელში მთელი ყურადღება მინდა შევაჩერო ამ ცენტრის ფუნქციებზე. მსოფლიოში ასეთი ტიპის ორგანიზაციას არ უმუშავია. ეს არასოდეს არ არის არც ადამიანის უფლებების, არც მოვალეობების დამცველი სისტემა. ეს არის სიცოცხლის მიერ კოსმიური ცნობიერების წვდომისათვის, ადამიანური ველების ათვისებისათვის აუცილებელი, გამთლიანებული აზროვნების ამუშავების პიონერი და გუშაგი, მუდამ მდგარი მის სადარაჯოზე, რათა გამთლიანებულმა აზროვნებამ ბზარი არ მისცეს, რადგან თუ აზროვნება გამთლიანდა, გადავრჩებით და რაც გადაგვარჩენს, იმას უნდა გავუფრთხილდეთ. ნოეტურმა ცენტრმა გამთლიანებული აზროვნების ავარიულობის შემთხვევაში უნდა მიიღოს ზომები მისი რეანიმაციის შესახებ. დემოკრატია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გამთლიანებული ცნობიერების სისტემებში და მსოფლიო ნოოტურ ცენტრს უნდა ჰქონდეს უფლება, არ ცნოს აღიარებული

დემოკრატები მათი კუსტარულობის გამო. ასე, მაგალითად, ამერიკული დემოკრატიული სისტემები პროფანური აზროვნების დემოკრატიული სისტემებია და ვიშისა და ვაის მეტს მსოფლიოს არ აძლევენ არაფერს. მსოფლიოს ცნობიერებითი ცენტრების გაერთიანება ნოეტიზმის ნიშნით ახალი მოვლენაა. ნოეტურ ენაზე ყველა ნეგატიური საქციელი მოინათლება ეგოცენტრიზმად და ეს მართლაც ასეა. ნოეტურმა ცენტრმა უნდა შემოიღოს ადამიანური უმაღლესი ღირსების წოდება – «ადამიანი» და მას მიიღებენ ერთეულები, თუმცაღა არსებობს სახელდება ადამიანი. ეგოცენტრიულობის გამჟღავნების შემთხვევაში ეს სახელდება პირს ჩამოერთმევა და დაცული იქნება საჯაროობა. ვთქვათ, ადამიანმა კაცი მოკლა, იურიდიულად მას დააპატიმრებენ, მაგრამ მთავრია, რომ სახელდება გაუუქმდეს, როგორც ყველაზე დიდი სასჯელით დასჯა. ნოეტური ცენტრის დონეზე ყველა ადამიანს აქვს უფლება, დაუკავშირდეს განურჩევლად ყველა უმაღლესი ეშელონის პირს ჩინოვნიკური სირთულეების გარეშე. ნოეტური ცენტრის კოდექსის მიხედვით, ოფიციალური უმაღლესი პირები არ წარმოადგენენ პერსონებს განდიდებული პრივილეგიით, არამედ არიან ხალხის მსახურნი. «მანია გრანდიოზო» უნდა იქნეს მხილებული.

ვერდიქტი

ნოეტურ ცენტს აქვს უფლება, დაგმოს საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციების გადაწყვეტილებები, როგორც შიშველი პოიტიკური იურისდიქციის გამტარებელი და ადამიანური თვალსაზრისით მიუღებელი. ასე, მაგალითად, ნებართვა ამერიკისათვის ერაყში დიქტატორული რეჟიმის დამხობის, ამერიკის დემოკრატია თავად დიქტატორული სისტემაა და მით უმეტეს, მისი გლობალიზაციის ერთპიროვნული სისტემა. თუ კბილებამდე შეიარაღებულ ამერიკას სამხედრო იარაღის გასაღება უნდა, რაღა ბაბილონს ანგრევს, რამეთუ ორასწლიანი კულტურის ქვეყანა უძველესი კულტურის დონეზე არსებულ ისტორიულ მიწას ვერასდროს რესტავრაციას ვერ გაუწევს; ან კიდევ, სად იყვნენ საერთაშორისო და სამშვიდობო ორგანიზაციები, როცა ხიროსიმა და ნაგასაკი ატომური ბომბის საექსპერიმენტო ბაზად იქცა და ძლივს გადარჩა ტოკიო? ან რატომ არკრძალავენ ახალი იარაღის დამზადებას მსოფლიოში? რომელი ერთი შეიძლება ჩამოითვალოს – ჩვენ ხომ ადამიანური საზოგადოება ვართ პლანეტაზე და რაღას ვხოცავთ ერთმანეთს? ამას ხომ ცხოველების კი არ აკეთებენ, თუკი არ შიათ. ეს უმიზეზო შიმშილი ადამიანში ნგრევისა, მსხვრევისა, განადგურებისა, რა უბედურებაა?! და თუ თვითონ ადამიანს არ ესმის, რომ ის ადამიანია, ვინმემ ხომ უნდა გაახსენოს! ეს ვინმე უნდა იყოს მსოფლიო ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანდება:

1. სტანისლავ გოფის ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიის ცენტრი,
2. მოსკოვის ფუტუროლოგიის ცენტრი (ბესტუჟევლადა),
3. მრავალგანზომილებიანი ფიზიკის ცენტრი (კანადა),
4. ძენ-ბუდისტური ცენტრი,
5. კარლოს კასტენედას ცენტრი,
6. რუსეთის ტორსიული ველების ცენტრი,
7. დე-ბონოს ლატერალური აზროვნების ცენტრი,
8. რ. შელდრეკის ახალი ბიოლოგიის ცენტრი,
9. მერ-კა-ბას კვლევის ცენტრი,
10. ტრანსცენდენტალური მედიტაციის ცენტრი,

11. ნოოსფეროს კვლევის ცენტრები მთელს მსოფლიოში.

ყველა ამ ცენტრს ძალიან მაღალი აზრობრივი დატვირთვა აქვს. ცხადია, გაერთიანება მოხდება ნებაყოფილობით, მაგრამ სასურველია, რომ ყველა ცნობიერებითმა კარტოგრაფიამ მიიღოს მონაწილეობა. ეს არის ცენტრები, რომლებმაც იციან ადამიანის ფენომენი სამყაროს მასშტაბით და არა მარტო სოციუმის ფარგლებში. სად დაედება ბინა ამ ცენტრს, ძნელი სათქმელია, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ეს იყოს თბილისში. ასეთი პროექტი დღევანდელი ცნობიერების ადამიანს შეიძლება უტოპიად მოეჩვენოს, რადგან პლანეტაზე ზნეობრივი, მორალური დასჯის ინსტიტუტი არ არსებობს. მუშაობს მხოლოდ იურიდიული მანქანა. იურიდიულად ადამიანის დასჯისას ადამიანს მორალი არ უსწორდება. მაკაროვის სკოლები საქმეს არ შველის. არადა, მსოფლიოში უნდა არსებობდეს ადამიანის ადამიანურობის ინსტიტუტი, ადამიანის ბუნებრიობის ნატიურობის ინსტიტუტი, რომელიც არ დაუშვებს ადამიანის გაველურებას. ნოეტურმა ცენტრმა განათლების სისტემის კურირება მთლიანად თავის თავზე უნდა აიღოს. საგანმანათლებლო ქსელი არ უნდა იყოს აგებული აზროვნების სამჰიპოსტასურობაზე. განათლების სისტემის საფუძველი უნდა იყოს გამთლიანებული აზროვნება. ბავშვთა ბაგებიდან დაწყებული, საბავშვო ბაღები, სკოლები გადაყვანილ უნდა იქნეს გამთლიანებული აზროვნების ინტერაქტივზე და პირველ რიგში უნდა მოხდეს ინტუიციის ინტერსიფიკაცია. უმაღლეს სასწავლებლებში ინტერდისციპლინარიზმის ფაკულტატიური კურსები, შემდგომ, აკადემიური სწავლება, სოციუმში შემოქმედებითი სახლები სპეციალური მხატვრული და მეცნიერული დატვირთვისათვის, საქალაქო სპეციალური უიკენდები, შემოქმედებითი ფუნქციონალური კლუბები, ახალი აროვნების თეატრი, სატელევიზიო ეთერი პროფილირებული თოქ-შოუებით, პრესა. ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს ახალი აზროვნების დამკვიდრებას, აღარ იქნება ყვითელი პრესა, ვესტერნები, თრილერები, დისონანსური მუსიკა. ყველაფერი ეს შავი ტორსიონებია. კაპიტალიზმმა შემოიტანა საშინელი ლოზუნგი: დრო ფულია! და შეიჭრა ადამიანში დაუზოგავად, დახია, დაგლიჯა ადამიანური სისტემები, ზნეობაში შეაღწია. დღეს ზნეობა, მორალი ფულია. თუ ფული არა გაქვს, კაცი არა ხარ. ახლა უკვე ძნელია ამ
პროცესების რეგულაცია, რეაქციულობა შეუქცევადი გახდა. რა ვქნათ? გავხდეთ ზომბებად? გადავაშენოთ ეს ცივილიზაცია?

ხალხნო! ფული ადამიანად ვერ იქცევა, ფული ფულად დარჩება, ხოლო ადამიანი გაქრება.

შეიძლება უკვე ითქვას, რომ მოკვდა ადამიანი და კაპიტალისტური პლანეტის ლაბირინთებსა და კატაკომბებში ადამიანის აჩრდილებიღა დადიან. პლანეტა ისვენებს ადამიანებისაგან, პლანეტა ისვენებს გენიოსებისაგან. ქართველი ხალხი რომ ობოლია დიმიტრი უზნაძით, ეს დღეს არავის აწუხებს, არადა ქართველ ხალხს მისი სახით ისეთი მეცნიერება აქვს ხელთ, რომ მსოფლიოს შეშურდება. ჩვენ, ქართველებს, კი ეს ძვალსა და რბილში არ გვიზის, ამიტომ ვართ სულიერად ღატაკნი დღეს. ჩვენ ობოლნი ვართ ვახტანგ ჭაბუკიანით, ასეთი ჯადოქარი მსოფლიოს არ ჰყოლია. დღევანდელი საქართველო კი ზუმბას ცეკვავს.

რამდენი ქართული სული და გონი ჩამოვთვალო, რამდენად გავღარიბდით და შემომატება არ ჩანს. ქართველი დღეს ვეღარ ქართველობს. რა მოხდა? სად წავიდა ქართული სული? რატომ ვტრაბახობთ ამდენს? ტრაბახობს ხელისუფლება, ტრაბახობს ხალხი. ნამდვილი ქართველისათვის კი სახასიათოა კრძალვა, ადამაინის სიყვარული. რად გვინდა ამდენი შოვინიზმი? მართალია, არც გადაჭარბებული

ინტერნაციონალიზმი და კოსმოპოლიტიზმი ვარგა. თავმომწონეობა, ნარცისი ჩინოვნიკები, ერზაცი, სუროგატიულობა, დამცინავი კილო არაფერს გვარგებს.

ხელისუფალნო ამა საქართველოსი! ჯერ სატრაბახო არაფერი გაქვთ, ჩინ-მედლებს ნუ დაიკიდებთ. მერე და რა ხდება, ახალგაზრდა ასაკი, ვარდების არ იყოს, პანაცეაა? უცხო ენების ცოდნა მსოფლიოს შვიდი საოცრებაა, თანაც ონიაშვილის საქართველოში?

ბატონო განათლების მინისტრო!

ქართველი ადამიანის აზროვნების საფუძვლად შეიცანით დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგია. ნუ გეშინიათ, გაიმარჯვებს ხალას საძირკველზე დამყარებული განათლება. პროქართულობა ნიშნავს დააამკვიდრო ქართული შენს მიღმა, სხვა ქვეყნებში, გახვიდე საერთაშორისო ორბიტაზე; დიდი პეტრიწი (აკაუზალობის ქართული თეორია), დიდი იბერი, დიდი უზნაძე (პირველი და მეორე რიგის ფსიქიური).

იმპორტის მაგიერ ექსპორტი, მაგრამ საექსპორტო მასალას მომზადება უნდა. ჩვენ კი შევჩერებივართ სხვებს, გავხდით უცხოურის მონები.

ეს რა შეუსაბამი რამ მოიტანა გორბაჩოვმა, ფრაქტალური (წილადოვანი აზროვნება) აზროვნების ფონზე საჯაროობა და პლურალიზმი? ღვარძლის ნთხევა, თავხედური აზროვნების მოწინავე აზროვნებად გამოცხადება არის საქმე? ფილტრი არ უნდა არსებობდეს? აუცილებლად უნდა არსებობდეს, ოღონდ სააზროვნო სივრცის ადეპტად პოლიტიკური «ტვინის ქერქის» (არაპროფესიონალური სამთავრობო და დილეტანტური, ვულგარული აზროვნების ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები) გამოცხადება ყველა შემთხვევაში აბსურდია. ყველასათვის კარგად ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს სულიერების პარალიზების კერებია, სპეცდანიშნულების ინფექციის ბუდეებად ქცეულნი ტოქსინებით გვავსებენ. შერყეულია საქართველოს სულიერი მეტაბოლიზმი და ჰომეოსტაზი.

კვლავ და კვლავ ვიმეორებ – ქვეყანაში და პლანეტაზე ცნობიერების დისპერსიის, ანუ განფენის რეგენტი ცნობიერებითი ცენტრების ანსამბლი უნდა იყოს, ყველაზე დიდი ქარიზმა სააქაოში.

იცოდეთ! პრეზიდენტები, მინისტრები და მისნანი წარმავალნი არიან. საქართველო, თავად პლანეტა დედამიწა კი დარჩება.

16. სამყარო მხოლოდ სტრუქტურულად მოწყობილი არ არის. სამყარო თავის არსში პოლოგრაფიული კონსტრუქტია.

17. სამყაროს ე.წ. ბომის პოლოგრამა მხოლოდ ფიზიკური ქვესამყარო არ არის. არსებობს ტრანსფიზიკური, ფსიქიკური ქვესამყარო.

18. ფსიქიკური ქვესამყარო დაბალვიბრაციული დასახლებაა, ხოლო ფსიქიკური ქვესამყარო ზემაღალვიბრაციულია.

19. ფსიქიკური ქვესამყარო მხოლოდ მანიფესტაცია, მეტაფორაა ტრანსფიზკურისა ანუ სამგანზომილებიანი პროექციაა მრავალგანზომილებიანი იმპლიციტური (გაუმჟღავნებელი) დასახლებისა.

20. სამგანზომილებიანობა ნიშნავს დროს, სივრცეს და კაუზალობას (მიზეზ-შედეგობრიობა).

21. მრავალგანზომილებიანი – დროს, სივრცეს, კაუზალობას და აკაუზალობას (დროსა და სივრცის გარეშე არსებულს).

22. ფიზიკურ ქვესამყაროში ადამიანს სამჰიპოსტასიური ცნობიერება გააჩნია (დრო, სივრცე, კაუზალობა), ტრანსფიზიკურში ოთხჰიპოსტასიური (დრო, სივრცე, კაუზალობა და აკაუზალობა) კ-გ. იუნგი, ვ. პაული, ა. ფინშტეინი.

23. ფსიქიკურ ქვესამყაროში ადამიანის ცნობიერებას მაღალი გრატუალური (სულიერების საზომი) გააჩნია.

24. ფსიქიკურ ქვესამყაროში დევს უმნიშვნელოვანესი ადამიანური ველები. ეს არის პატერნებისა და სოლიტინების იმპლიციტიურობა.

25. ადამიანის ცნობიერება უნდა ლატერალიზდეს 4-ჰისპოსტასიურობამდე.

26. დღეს ადამიანის ცნობიერება მარცხენანახევარსფერო ცივილიზაციის ცნობიერებაა, ეგოცენტრული და კაპსულირებული.

27. მარცხენა ნახევარსფეროს ცივილიზაცია ინტუიციის თვალსაზრისით მძიმედ მბობღავი ცივილიზაციაა.

28. კაპსულირებიდან ტრანსცენდენცია ნიშნავს გონითობაზე გასვლას.

29. სულიერება ნიშნავს სიცოცხლის მიერ გონითობის ანუ კოსმიური ცნობიერების წვდომას.

30. სიცოცხლე არ არის ერთადერთი და საბოლოო კატეგორია პლანეტაზე.

31. ცნობიერება არის სიცოცხლის შემდგომი ბუფერი პლანეტა დედამიწასა და კოსმოსს შორის.

32. ადამიანი ტოპოლოგიური აღნაგობის თვალსაზრისით მხოლოდ ფიზიკური სხეული არ არის. ველისმიერ სტრუქტურებთან ერთად ადამიანს 7 ან მეტი სხეულებრიობა ახასიათებს.

33. ტვინი არ არის აზროვნების მთავარი ცენტრი. უნდა ვილაპარაკოთ ადამიანის ბიოკომპიუტერზე.

34. ადამიანის ცნობიერების ექსტრაპოლიაცია მაღალგანზომილებამდე შესაძლებელია გამთლიანებული ცნობიერებით (ნებელობა, ინტუიცია, სპონტანურობა, საზრისი, არაატომარული რაციო).

35. რეალობის 8-საფეხუროვანი იერარქია – ობიექტური და სუბიექტური ფიზიკა.

სიღმისეული ეკოლოგია

ერის გლობალური კათარზისის აუცილებლობა სულიერი აღორძინებისათვის საქართველოში თბილისის «ადამიანის ინსტიტუტის – ნოოსფეროს» შეხვედრა ახალგაზრდობასთან - 2001 წ.

ჩვეულებრივ, ეკოლოგიას აღიქვამენ, როგორც გარემოს შესახებ მეცნიერებას, გარემოს დაცვას და მასზე ზრუნვაზე ისევ ადამიანის კეთილდღეობისათვის. ეს მეტად საჭირო და აუცილებელია ადამინის ცხოვრებისათვის, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია სიღრმისეული ეკოლოგიის საკითხები, ე.ი. იმ სულიერი სივრცის გაფრთხილება, რომელსაც შეადგენს ურთიერთობა «სამყაროსი ჩვენს შიგნით», «სამყაროსთან ჩვენს გარეთ».

პირველყოფილი ადამიანი მთლიანი აზროვნების იყო პრიმიტიულ დონეზე. ეს სინკრეტული აზროვნებაა. შემდგომ ადამიანმა ნელ-ნელა ცხოვრების შესწავლა დაიწყო. უფრო სწორი იქნება გვეთქვა, ცხოვრების აგება დაიწყო, ცივილიზაციის მშენებლობას მიჰყო ხელი, ამისათვის მას მთლიანი აზროვნება ვერ გამოადგებოდა

და გაჩნდა აზროვნების დაქუცმაცების მცდელობა, რაციონალური, რწმენით – რელიგიური, მხატვრულ-ხატოვანი, ყოფითი მიდგომებით.

ამ სპექტრში იმძლავრა რაციონალურმა აზროვნებამ. რაციონალურმა აზროვნება არაელასტიური აზროვნებაა. ამ აზროვნებაზე დაფუძნებული ურთიერთობა ქმნის უხეშ და პრაგმატულ სივრცეს. ძლიერად მჟღავნდება მარცხენა ნახევარსეფროს პოტენციურობა. ძირითადად მუშაობს მონოლოგიური პრინციპი, რაც იწვევს პოზიციათა შეჯახებებს, ეგოცენტრულ კონფლიქტებს.

ასეთ ურთიერთობათა სოციუმი ხისტი სოციუმია და ადამიანს მაღალი ადამიანური მონაცემებით რიყავს, რადაგან ფიზიკურ სივრცეში მაღალსულიერი მონაცემები საჭირო არ არის, სულიერების გარეშე წყდება ყველა სოციალური პრობლება, გაწყევტილია კავშირი კოსმოსთან.

ხისტი სოციუმი ვერასოდეს ვერ გადაჭრის «ადამიანის პრობლემას». კათარზისი უნდა დაიწყოს თვით ადამიანში.

როგორ? რა გზით?

ამისათვის უნდა გაიშალოს მუშაობის ფართო ფრონტი სოციუმის ყველა დონეზე. უნდა იმძლავროს საყოველთაო ინტუიტიურმა აზროვნებამ, ეს ლატერალური აზროვნებაა და ადამიანს ფართე ასპარეზს უხსნის. რა ხერხებით უნდა შემოვიდეს ინტუიტური აზროვნება ცხოვრებაში?

პირველ რიგში, განათლების სისტემაში ბავშვთა ბაგებიდან მოყოლებული, საბავშვო ბაღებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, საბავშვო თეატრებში, საბავშვო კინოებში, საბავშვო სატელევიზიო გადაცემებში, საბავშვო თამაშებში. ოჯახებში მშობლები უნდა ცდილობდნენ საკუთარი რაციონალური აზროვნება ბავშვებზე არ გადაიტანონ, რაც შეიძლება მეტი ინტუიტიური საზრდო მიაწოდონ შვილებს, რაციონალური თავისით მოვა, იმის გარეშე ცხოვრება არ შეიძლება. ამიტომ რაციონალური ასპექტით ძალიან ნუ გავირჯებით.

ქართველი ადამიანი ინტუიტიურია და ამაზე უნდა იქნეს გაკეთებული აქცენტი. ბავშვი ოჯახში ისმენს მშობლების რაციონალურ საუბარს სხვადასხვა პრობლემებზე. ბავშვები ამას ითვისებენ, ამიტომ მშობელი უნდა შეეცადოს, ბავშვებს გაუადვილოს ცხოვრება. ოჯახში, როცა რაღაც მატერიალური პრობლემა (მინ) არსებობს, მშობელი ინტუიციას უნდა მოუხმობდეს, მახვილი მატერიალურიდან სულიერზე უნდა იქნეს გადატანილი. ვთქვათ, არსებობს ბევრი რაიმეს დეფიციტი ლამაზი ჩაცმის, დღესასწაულების, პრობლემა არ უნდა შევქმნათ. მე მოგიყვებით ერთ შემთხვევას ცნობილი პიანისტის სვიატოსლავ რიხტერის და მისი მეუღლის ნინო დორლაკის ცხოვრებიდან. ერთ დროს ისინი ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდნენ. ერთხელ, როდესაც მათთან სტუმრად ელენე ახვლედიანი იყო, მოხდა შემდეგი: ახლოვდებოდა ახალი წელი. მათი საცხოვრებელი ძალიან ცუდად გამოიყურებოდა. ელენემ და სლავამ იხელთეს დრო, როცა ნინო სახლში არ იყო, სასწრაფოდ დაიწყეს ერთი ოთახის გალამაზება – შეიქმნა ბუტაფორიული საზეიმო სასტუმრო, ჭერი – ოქროს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, იყიდეს ძალიან იაფფასიანი საჭმელები და ათასნაირად შეამკეს. ეს იყო სუფთა ინტუიციებზე დაყრდნობილი ქმედებები. როცა ნინა სახლში დაბრუნდა, გაოცდა, არნახული სილამაზე დახვდა, როგორც ზღაპარში. ეს იყო არაჩვეულებრივი ახალი წლის დღესასწაული.

საქართველოში ქართულ ოჯახებში ბავშვს აჩვევენ რომ უნდა იყოს ხვავი, კერძებით გადატვირთული მაგიდები. ბავშვი ეჩვევა უპირატეს ვითარებებს და მაშინ გრძნობს თავს კარგად, როცა ანებივრებენ.

ერთხელ ჩვენს «ადამიანის ინსტიტუტში» მოვაწყვე შეხვედრა. ორ სხვადასხვა ოთახში გაშლილი იყო ორი მაგიდა, ერთი საჭმლით დაზვინული, მეორე – ე.წ. «მენზა», სადისკუსიო მაგიდა ბუტერბროდებით.
სტუმრებს შევთავაზე, რომელ მაგიდასაც გინდათ, იმას მიუსხედით, აბსოლიტურად ყველამ მიაშურა სასადილო ოთახს. ესეც არ გამოვრიცხე, რომ პირველ რიგში, საჭირო იყო კუჭის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მაგრამ შეთავაზებისას – გადაგვენაცვლა «მენზის» ოთახში – არავინ განძრეულა. მითხრეს, თუ გინდა დისკუსია სუფრასთან გავმართოთო. ეს არ არის ნამდვილი ქართველის ბუნება. ძველ საქართველოში ნადიმები იმართებოდა არა კუჭისათვის, არამედ ადამიანთა ურთიერთობისათვის, აზროვნებისათვის.

ვზარდოთ ბავშვები ძველქართულ ყაიდაზე. თავადები თავის შვილებს სოფლად აგზავნიდნენ ძიძებთან. ეს ტყუილუბრალოდ არ იყო, იქ ისინი სხვა ზნეობას სწავლობდნენ. მატერიალურის გაფეტიშებას მივყავართ მამონის განდიდებამდე, რაც ძალიან ცუდად ახასიათებს კაპიტალისტურ სისტემებს. ეს ნიშნავს სულიერი პროცესების სტაგნაციას.

დღეს კი იქ, სადაც თითო-ოროლა მიზანდასახული აზრობრივი კერა გაგვაჩნია, თანამედროვე ქართველები ასეთ ადგილებს სალონს ეძახიან.

საქართველოს დღეს სალონები კი არ სჭირდება, არამედ ახალი აზროვნების კერები, ძველი ქართული ადათ-წესების არადავიწყებით.

და კიდევ ერთის თქმა მინდა, ალბათ, სამარცხვინოა ქართველი ერისათვის, რომ ქართულ სკოლებში დიდი ქართველი მეცნიერის დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგია არ ისწავლება. ეს ხომ მსოფლიო მნიშვნელობის აწმყოსა და მომავლის ფსიქოლოგიაა.

გაზეთი «რეზონანსი»

გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის «ადამინის ინსტიტუტის «ნოოსფერო» კონფერენცია, რომელიც, შეიძლება ითქვას, ერთ საკითხს – «ჩვენი მახინჯი სოციუმის ანალიზი – მიეძღვნა. შეხვედრაზე წამოჭრილ პრობლემებზე გაზეთ «რეზონანსს» «ადამიანის ინსტიტუტის «ნოოსფერო» ხელმძღვანელი ირინა კალანდაძე ესაუბრება.

სულიერება ფენიქსივით ვერ აღდგება

«რეზონანსი»: რატომ გახდა აუცილებელი ამ თემისადმი მიძღვნილი კონფერენციის ჩატარება?

ირინა კალანდაძე: როგორც იტყვიან, ჩვენი სოციუმი დღეს ორ გველეშაპზეა დაყრდნობილი: ფული და სექსი. ყველაფერი დანარჩენი – მატერიალური თუ არამატერიალური – ფულისა და სექსის ვარიაციებია, წარმოებულია. სამგანზომილებიანი, სამჰიპოსტასური, მარცხენა-ნახევარსფერო, რაციონალური, კაფსულირებული სოციუმის ცხოვრების საზრისი არის მხოლოდ ფული და სექსი, ამისთვის იკლავს ხალხი თავს. ერთგანზომილებიანი სექსი და ჭუჭყიანი ურთYიერთობის საზომი – ფული.

«რეზონანსი»: რა არის, თქვენი აზრით, ამის მიზეზი?

ი. კალანდაძე: თუ გაქვს ფული, კაცი ხარ, კარიერაც გექნება, დოვლათიც. თუ სექსი გამოძრავებს, ბედნიერი ხარ, ფულიც და სექსიც ზნეობაში არის შესული. არც

მეცნიერებაა საჭირო, არც მთლიანად კულტურა, სულიერება ხომ საერთოდ საჭირო არ არის. ამისათვის კაპიტალიზმმა დანერგა ბიზნესმანიპულაციები. ადამიანური ურთიერთობები დიდი ხანია გადაგდებულია. მოდაშია სექსუალური ზომბირება ანაბოლიკებით. უბრალო ენაზე – ჯადოობით. ადამიანებს ჰგონიათ, რომ მათ სიყვარული ესტუმრათ. გამოიყენება ძლიერი პრეპარატი ნონდრადოტი, რომელიც მხოლოდ სექსზე აფიქსირებს ადამიანს, მსხვერპლი ადამიანურად წაშლილი ხდება, ემართებათ ნერვიული ვენერიული სნეულებები, შობენ დაკომპლექსებულ შვილებს, ყველაფრისადმი ინდიფერენტულად იქცევიან, აღარც სიკეთე ესმით, აღარც ადამიანური სილამაზე იციან, ასეთი ადამიანებს ცხოველები სჯობიათ, მცენარე ხომ მითუმეტეს.

მგონი, მართლდება – ადამიანი ფრაქტალია. ფრაქტალი – უსწორობის ზომა, ადამიანი შეუმდგარი ქმნილებაა. შავი უბედურება სუფევს პლანეტაზე, სიკეთეს ერთეულები აკეთებენ, დანარჩენები ვამპირები არიან. ვამპირების არმია მალე გაძლიერდება და ყველაფერს წალეკავს პირისაგან მიწისა.

«რეზონანსი»: თქვენ საუბრობთ ემპათიურობის შესახებ. ეს რას ნიშნავს?

ი. კალანდაძე: ემპათია არის მეორე ადამიანის ინფორმაციულ ველში შესვლა, მეორე ადამიანის ქვეცნობიერი დახმარება, მიხმარება ქვეცნობიერად თან შენი საკუთარი თავის გარედან შეხედვა. ემპათია ნოოსფერული (ცნობიერებით მოცული პლანეტა დედამიწა) კატეგორიაა, ძალიან რთული და ძალიან საჭირო ადამიანთა ურთიერთობის მაღალ დონეზე ასაყვანად. თუ ადამიანი მზად არის მაგიური ინფორმაციის მიღებისათვის, ის ვერ შესძლებს მხოლოდ ინტელექტუალურად მაღალი ფსიქიკური მდგომარეობის განხორციელებას. სულიერბა ბევრს ბანალური ცნება ჰგონია, მაგრამ, ვაი, რომ ეს ასე არ არის.

«რეზონანსი»: ვერ დაგეთანხმებით, ბევრს არ ჰგონია

ი. კალანდაძე: დავიწყოთ იმით, რომ რესპუბლიკაში სულიერების საქმე ძალიან ცუდად არის. სულიერება მხოლოდ სიყვარული, სექსი, მუსიკა, პოეზია, თეატრი, კინო არ არის. სულიერება ეფემერული ფენომენია. ეს არის უმაღლესი გონის წვდომა. პლანეტაზე დღეს და განსაკურებით საქართველოში კვდომა და კვნესაა მხოლოდ მატერიალურის დეფიციტის გამო. სულიერება, როგორც ასეთი, სამუდამოდ დაიმარხა ადამიანის მიერ, რომელიც იარაღის ჟღარუნის ვნებით არის ატაცებული. სულიერების რეგერენაცია თითქმის შეუძლებელია, სულიერება ფენიქსივით ვერ აღდგება. სულიერების პროცესი შეუქცევადია, მისი მატერიალიზაცია იძლევა უხეშ მატერიას. სულიერების გარეშე კაცთა მოდგმის წარმოდგენა შეუძლებელია. ადამიანი იქცევა სხეულად, ადამიანი იქცევა რობოტად, ფიტულად, ბუტაფორიად, მარიონეტად და მისი მართვა ყველა ზომბს, ვამპირს შეუძლია. გადახედეთ დღეს პლანეტას: მას მართავს ეკონომიურად ძლიერი მონსტრი, რომელიც ურიცხვი ფულის ხარჯზე ყიდულობს სულიერებას და აცხადებს მას საკუთრებად. კოსმიური გონის წვდომა სხვანაირად ნიშნავს მაღლეს ადამიანურ ველებზე გასვლას, სადაც ადამიანი ადამიანად შედგება. როცა ვამბობთ, რომ ჩვენი პლანეტა თავის მასაში, ზოგიერთი წინმსწრები ადამიანის გამოკლებით, სულიერების მატარებელი არ არის, ვგულისხმობთ, რომ ადამიანობა პლანეტაზე არ სუფევს, რობოტები დაიარებიან, ომობენ, მამონას აგროვებენ და კვდებიან. მათთვის უკვდავება არ არსებობს.

ვთქვათ, ხელისუფლებამ ხალხს გადმოუყარა ბევრი ძეხვი, ადამიანებმა მოინელეს ეს ხორაგი, შემდეგ რა... მუქთახორობა, ტვინის გაუნძრევლობა? თქვენ რომ სარკეში თავს დიდხანს უყუროთ, საბოლოოდ გაგიჟდებით, რადგანაც თქვენ თავს

შეასკდებით. ასეა მაძღარი და არასულიერი ადამიანის საქმეც. ის მხოლოდ ფულის ნაკვალევზე დადის და სექსაობს. აი მთელი მისი ცხოვრება.

რა ვქნათ? სოროსებს, ონასისებს, ფრიდმანებს გავყვეთ და პლანეტა დავანგრიოთ? რისთვის მოგვეცა ეს პლანეტა, ფუტუროყოფისთვის? არამც და არამც. «რეზონანსი»: რიას გაკეთებას აპირებთ? ი. კალანდაძე: ჩვენ უნდა ვეომოთ ფულის მანიას, სექსომანიას, ფუტურომანიას, ცრუ პოლიტიკოსებს, ცრუ ინტელიგენციას, კორუმპირებული ცნობიერების ლიდერებს. მათში არაფერი ქარიზმატული არ არის. ჭკვიანმა და ადამიანურმა ადამიანებმა უნდა შექმნან ჰუმანური პოლიტიკის პრეცედენტი. ამის პოტენციალი საქართველოში არის. ესაა გამთლიანებული აზროვნების იდეის და კონცეფციის ჩადება განათლების სისტემაში, ეკონომიკაში, მთელ მენეჯმენტში. დაქუცმაცებული აზროვნება, რომელიც დღეს საქართველოშია, სჭირდება «სკამების» ადამიანებს. საქართველო კი მხოლოდ ისინი არ არიან. ეს არის დიმიტრი უზნაძის, შოთა რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას და სხვა მაღალი სულების სამშობლო, ამიტომ აპოკალიფსი ნეგატიურ ველებს გაანადგურებს დადებითი ველებისათვის კი დადგება ნოოსფერო.

სულიერი აზროვნების განვითარებისათვის საქართველოში

აზროვნების ისტორია უძველესია. ის არსებობდა, არსებობს, ევოლუციონირებს და მისი ძირითადი არსი მის ინოვაციურობაშია.

ადამიანი ბიოფსიქოსოციოფილოსოფიურ-კოსმოსური სისტემაა და ამიტომ მის აზროვნება ამ რთული სიტყვის ყველა ასპექტს უნდა აკმაყოფილებდეს. აბსოლუტურად დაუშვებელია გამხოლოებული სოციალური აზროვნების არსებობა, რაც დღევანდელობის უცილობელი სატელიტია.

პროექციული, სამგანზომილებიანი აზროვნება ადამიანს აქცევს პრაგმატულ, რაციონალურ, ეგოცენტრულ არსებად. მისი აზროვნება დანაწევრებეულია, დაქცუცმაცებულია, დაკარგული აქვს პირველყოფილი მთლიანობა (ლოგიკური, რწმენითი, ხატოვანი, ყოფითი). განსაკუთრებით გაძლიერებულია რაციონალური (დისკურსიული) აზროვნება, რითაც ის მოქმედებს სოციალურ სივრცეში და ვერ გადის მისი ტყვეობიდან.

ფიზიკური სამყარო უნივერსუმის ერთ-ერთი ქვესამყაროა. ეს არის ერთადერთი გამჟღავნებული (ექსპლიციტური) ქვესამყარო. დანარჩენი ქვესამყაროები გაუმჟღავნებელი (იმპლიციტური) პოტენციურობის ქვესამყაროებია და წარმოადგენენ ძალიან რთულ სულიერ იერარქიას. ყველაფერი ერთად შეადგენს სამყაროს ჰოლოგრამას.

ჩვენ გვგონია, რომ სიცოცხლე ჩვენს პლანეტაზე ერთადერთი და თავისთავადი რეალობაა, რომელიც წარმოადგენს ბუფერს ადამიანსა და კოსმოსს შორის. მაგრამ ბუფერის როლი შეუძლია შეასრულოს
ცნობიერებამ, რომელშიც მუშაობს შემდეგი პარამეტრები: ნებელობა, ინტუიცია, სპონტანურობა, საზრისები, რაციო და სწორედ ეს უკანასკნელი ახდენს მაღალი იერარქიიდან მოტანილი მასალის ონთოლოგიზაციას.

გამთლიენებულ აზროვნებაზე დამყარებული სოციუმი უკვე იკავებს ადგილს ჰოლოგრამაში ექსლიციტურ და იმპლიციტურ შრეებს შორის და აქვს შესაძლებლობა ზარდოს განზომილებები იმპლიციტურობის თვალსაზრისით. ასეთ ახალ სოციუმს ეწოდება ანთროპოგენური ნოოსფერო, რომელიც, ცხადია, განსხვავდება

სამყაროსული ომეგა ნოოსფეროსაგან, ანუ იმ ინფორმაციული, ტორსიული ველებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ სუფთა ინფორმაციას ენერგიის გარეშე, რასთანაც არის დაკავშირებული, უპირველეს ყოვლისა, უმაღლესი სულიერება.

ანთროპოგენური ნოოსფეროს აღმშენებლობა მეტად რთული საქმეა და განეკუთვნება მეტაფიზიკურ მეცნიერებათა სპექტრს. სწორედ აქ დგება საკითხი სოციუმში ოთხი რევოლუციური მომენტის შემოატანისა. ესენია:

1. სოციუმის ყველა დონეზე აქცენტის გადატანა რაციონალურიდან ინტუიტიურზე;
2. ინტერ-ტრანს-დისციპლინარიზმი, როგორც ახალი პროფესია;
3. ახალი ქალაქდაგეგმარება;
4. ახალი კულტუროლოგია.

გავარჩიოთ თითოეული. დღეს სოციუმის ძირითადი აზროვნება რაციონალურია. ცხადია, იტყვით, რომ რაციონალური აზროვნება ინტუიტურის გარეშე არ არსებობს. ასეთი ინტუიცია ბიოსფერულია, რაც ნიშნავს, რომ ცალკეული ინდივიდებისათვის არის დამახასიათებელი და ატარებს დროებით ხასიათს. ნოოსფეროში კი ინტუიცის ინტენსიფიკაცია უნდა მოხდეს. სოციუმი ისევე უნდა დაიტვირთოს ინტუიციით, როგორც არის დატვირთული რაციონალური აზროვნებით. საზოგადოების ინტუიტიური აზროვნებით გაჯერება მოიტანს განსხვავებულ, უფრო მშვიდსა და თავისუფალ სიტუაციას, ადამიანები უკეთ გაუგებენ ერთმანეთს, იკლებს აგრესია და კონფლიქტები. აქცენტის გადატანა რაციონალურიდან ინტუიტიურ აზროვნებაზე, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს განათლების სისტემაში, ხატოვანი აზროვნება უნდა გაიშალოს ფართე სპექტრით. უნდა მოხდეს ბუნებისმეტყველების ჰუმანიტარიზაცია, მშრალი რაციონალური აზროვნება უნდა შეივსოს ინტუიტიური მიდგომებით ყოველ ფეხის ნაბიჯზე ბავშვთა ბაგებით დაწყებული საბავშვო ბაღებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, მასობრივ ორგანიზაციებში.

ინტერ-ტრანს-დისციპლინარიზმი უნდა შემოვიდეს არსებულ დისციპლინარიზმთან დამატებით, როგორც ახალი პროფესია. დღემდე ინტერდისციპლინარიზმი გაიგებოდა, როგორც დისციპლინათა კავშირი, ერთი სპეციალობის აპარატის გამოყენება მეორე სპეციალობაში, მაგალითად, ბიოფიზიკა, ბიოქიმია, ნეიროლინგვისტიკა და ა.შ.

ტრანს-დისციპლინარიზმი კი გულისხმობს სხდასხვა სფეროთა გადაკვეთაზე ინტუიტიური, შეთანხმებული (კოჰერენტული) ველების შექმნით ახალ აზრობრივ სივრცეში გადასვლას. დღეს ამის უამრავი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ: ნობელის პრემიის ლაურეატის, ცნობილი ფიზიკოსის ი. პრიგოჟინის დროის შეუქცევადობის თეორია და ნევროლოგის, ჯერალდ ედელმანის მიერ დარვინის განზოგადებული პრინციპის შემოტანა ნეირონული სისტემისათვის (პარალელიზმი) და მრავალი სხვა.

ინტერ-ტრანს-დისციპლინარიზმის საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს მონოლოგიდან დიალოგზე გადასვლა. დღეს მსოფლიო კაცობრიობა ეწევა მონოლოგურ მოღვაწეობას და ურთიერთობებს. საჭიროა დიალოგის გადაქცევა ძირითად პრინციპად, დაინერგოს ფსიქიური პლუსირების პრინციპი.

დიალოგი უნდა გაიმართოს შეთანხმებულ აზრთა ევოლუციური სპირალის აგებით და არა თითოეული მოპაექრის აზრის განმტკიცებით პოზიციის მორგებისათვის. პოზიციის მორგებას აზრი არა აქვს, ინდივიდუალური აზრი შეიძლება იქნეს მართებულიც არამართებულიც, მთავარია, ახალ აზრზე გადასვლა შეთანხმებით.

რაც შეეხება ახალ ქალაქმშენებლობას, ქალაქის კულტურულ ზონაში არსებულ კულტურის კერებს (მუზეუმი, ეკლესია, კინოთეატრი, თეატრი და სხვ.) უნდა დაემატოს ნოოცენტრები – გამთლიანებული აზროვნების ცენტრები, სადაც ხალხი მივა აზროვნების გამთლიანებისათვის. ასეთი შენობები უნდა აიგოს კოსმოსთან კავშირის დასამყარებლად ახალ აზროვნებაში სპეციალური ცოდნის გათვალისწინებით. კულტუროლოგია – მეცნიერებამ უნდა იზრუნოს მეტაფიზიკური მეცნიერების ჩამოაყალიბებაზე. აქ ერთად უნდა იღწვოდეს მეცნიერება, რელიგია, ხელოვნება, ყოფა. აზრობრივი ერთიანი სისტემის შექმნისათვის მეცნიერებამ უნდა გამოიყენოს რელიგიური სათავეები და გამოცდილება. რელიგია უნდა შეეცადოს კავშირი იქონიოს ახალ, მეცნიერულ გამოკვლევებთან, უნდა შეიქმნას თეატრალური და კინო-ნოოსფერული სიუჟეტები, რადიო და ტელევიზიის სპეციალური გადაცემები, პრესა.

ასე, ფეხდაფეხ, აიგება ახალი სოციუმი ახალი სოციოლოგიით და ფილოსოფიით. გამხოლოებული, რაციონალური ცნობიერება უნდა შეიცვალოს გამთლიანებული ცნობიერებით. ახალი ცნობიერების ადამიანები შექმნიან ახალ სოციუმს. ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოების არსებობა შესაძლებეია მხოლოდ ახალ ცნობიერებაზე დაყრდნობით. ბიოსფეროში დემოკრატიის დამყარებას ყველა დროში კანონებით ცდილობენ. ადამიანი შეიძლება დექვემდებაროს კანონს, მაგრამ ცნობიერებაში კი მზად არ იყოს დემოკრატიული პრინციპების განხორციელებისათვის. აქედან გამომდინარე, ეს გზა უკმარია. უფრო მიზანშეწონილია, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა შეცლილი ცნობიერებით მოხდეს. ადამიანმა უნდა მიაგნოს თავისი ადამიანური განზომილების განვითარების კანონებს. მარტო სოციუმის კანონზომიერებები და ღირებულებათა თეორია ადამიანს არ შეცვლის. ცნობიერების შეცვლა საზოგადოების ყველა რგოლში უნდა მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნება მხოლოდ შეცვლილი ცნობიერების ადამიანთა ელიტარული უბნები. მართალია, ესეც დიდი საქმეა, რადგან ასეთი უბნები ჩამშვები უბნებია და მუშაობენ, როგორც აქტივიზაციის ცენტრები. ცნობიერების შესაცვლელად უნდა გაიშალოს სამუშაოთა ფრონტი მთელს სახელმწიფოში. პირველ ყოვლისა, რაციონალური აზროვნებიდან ინტუიტიურ აზროვნებაზე აქცენტის გადატანა, ეს გეშტალტი უნდა ჩაიდოს ადამიანებში. საკუთარი ინტუიციის განვითარებაზე ზრუნვა ისევე აუცილებელია, როგორც ცოდნითი სისტემების განვითარებაზე. ცოდნითი სისტემების შემთხვევაში ადამიანი თვალნათლივ ხედავს შედეგს, ინტუიტიური და სპონტანური სისტემების შემთხვევაში კი საქმე გვაქვს ფარულ პროცესთან, ადამიანი ადამიანურად იზრდება, ის უკეთ იწყებს ადამიანური ველის ხედვას და ეს ადამიანისათვის მთავარია, ადამიანური სივრცე ადამიანური განზომილებებისა უნდა იყოს და არა სუბადამიანური. კიდევ ერთ საკითხს გვინდა შევეხოთ გამოკვეთილად – ეს არის სოციუმში ბიოლოგიური პრინციების დარღვევის საკითხი. ამის ნათელი მაგალითია ემანსიპაცია, როგორც ისტორიული პროცესი.

სიტყვა «ემანსიპაცია» (ლათ.) ნიშნავს გამოთავისუფლებას დაქვემდებარებული მდგომარეობიდან, დოგმებიდან თავისუფლებას, ძველის უარყოფითი ზეგავლენის მოხსნას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყოველი ახალი სიახლეს არ წარმოდგენს და ამის შესანიშნავი მაგალითია ქალის ემანსიპაციის საკითხი. სოციუმში მას მიეცა მეტი უფლებები, მოხდა მისი ადექვატიზაცია მამაკაცთან სოციალური როლების მიხედვით. ეს არავითარ სიახლეს არ წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ

ფაქტოლოგიური სიახლის შემდგარობა მდგომარეობს იმაში, რომ ის ხელოვნური გზით არ უნდა იქნეს მიღწეული. მამაკაცი და ქალი განსხვავებული ბუნების არსებანი არიან. ქალის გათავისუფლების ბუნებრივი გზა არის მიი ფუნქციონალური პოტენციურობის ამოზიდვა, თავისუფალი შემოქმედება და არა მიმსგავსება ე.წ. «ძლიერ სქესთან». ჯერ ერთი, რას ნიშნავს «ძლიერი სქესი»? დღეს და უკვე დიდი ხანია არსებობს პატრიარქატი და მისი მამოძრავებელი ძალა არის მამაკაცი თავისი ბიოლოგიური ფუნქციონალური პოტენციურობით. ის ძლიერად გამოკვეთილი «ეგო» სისტემაა და სოციუმი მიჰყავს იმპერატივის ნიშნით.

ასეთი საზოგადოება განსაკუთრებული სიმკვეთრით მისდევს «დაინტერესებული მოქმედების» პრინციპს (დაფასების ფაქტორი), უპირატესობის დაფიქსირებას და ბევრ სხვას, რაც რაციონალურ აზროვნებას ახასიათებს.

რაციონალური აზროვნების სიძლიერე მისი პრიორიტეტულობაში მდგომარეობს.

რაციონალური აზროვნება მთელის თავის სისავსით ემსახურება ფიზიკურ სამყაროს. ლოგიკური ენა კაუზალური სამყაროს ენაა, მაგრამ არსებობენ ფიზიკურისაგან განსხვავებული სხვა სამყაროები, რომელთაც მაღალი განზომილებები ახასიათებთ. მათთან ურთიერთობისას აუცილებელია სხვა პოტენციურობა, ინტუიტური აზროვნების გარკვეული დოზები.

ფემინა ემპატურია, ფემინა ინტუიტურია, ფემინა ტრანსპერსონალურია. ეს თვისებები მას საშუალებას აძლევს შეიცვალოს თავისი ცნობიერება განზომილების თვალსაზრისით – ე.ი. გადავიდეს ახალ ნოეტურ სივრცეებში.

სულიერი შრეებიდან ინტუიციით წამოღებულ ინფორმაციებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის. სულიერი უერთდება რაციონალურს და ქმნის გამთლიანებულ აზროვნებას. ეს ყოველივე არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ქალის უნივერსალიზაციის ფაქტი. ინტუიტური, რასაკვირველია, მამაკაცსაც გააჩნია, სხვანაირად ის შემოქმედებითი პიროვნება ვერ იქნება, მაგრამ მამაკაცის შემთხვევაში ინტუიტურობას სხვა ფონი აქვს. ინტუიტურობა რაციონალურს კი არ უნდა ემსახურებოდეს, არამედ ეს ორი აზროვნება შეთანხმებულად უნდა მუშაობდეს: ინტუიტურით ცნობიერება უნდა ფართოვდებოდეს, ხოლო რაციონალურით ონთოლოგიზირდებოდეს. ასეთი გზით მივიღებთ «ანთროპოგენურ ნოოსფეროს», ახალ სოციუმს ახალი ჰოლისტური სოციოლოგიით და ახალი ჰოლისტური ფილოსოფიით. ახალ სოციუმში ახალი სოციალური ფუნქციონალური როლებია საჭირო ეგოცენტრულ «ეგოს» გამანეიტრალიზებელი «არა მეს» პრონციპების შემოტანით, საკუთარი თავის გარდა, მეორე ადამიანის გათვალისწინებით, ადამიანური ველის საერთო ხედვით.

უნდა ითქვას, რომ ემანსიპაცია ბიოსფერული კატეგორიაა, ხოლო ფემინიზაცია – ნოოსფერული, რაც ნიშნავს მამაკაცის მეტაფიზიკურ ინტუიტიზაციას, ხოლო ქალის არაეგოცენტრული რაციონალიზაციის რეალიზაციაა. უნდა შეიქმნას კოჰერენტული ველი, უნდა მოხდეს რაციონალურისა და სულიერის უდიდესი ჰარმონიზაცია.

რა ახალ როლზეა ლაპარაკი ახალ სოციუმში? ეს არის ახალი ტიპის მენეჯერი, რომელიც მართავს მმართველის როლის ფიქსაციის გარეშე, ორგანიზაციის ყველა წევრის შინაგანი ბუნების გათვალისწინებით და არა სტერეოტიპულად; არ აღიზიანებს საზოგადოებას თავისი ძალის თავს მოხვევით; ცდილობს ურთიერთობათა სისტემა იყოს არაანტაგონისტური. ხაზს ვუსვამთ – ეს არ ნიშნავს, რომ ყველა მენეჯერი ქალი უნდა იყოს, არამედ ყოველი მენეჯერისათვის, (კაცი იქნება თუ ქალი), ქალის ფუნქციონალური პოტენციურობის ელემენტი უნდა დაინერგოს საზოგადოებაში; მოისპოს ეგოცენტრიზმი; «მე» კი უნდა ემსახურებოდეს

ჰარმონიის დამკვიდრებას. ჰარმონია არ დამკვიდრდება, თუ ყველა ბუნებრივი კატეგორია არ იქნა გამოყენებული. ეს ბუნებრივი კანონია. მამაკაცის პოტენციურობა მაქსიმალურად არის გამოყენებული, ქალისა კი – არა. ქალი – დედა, ქალი – მეუღლე, ქალი – კაცის სოციალური მსგავსებაა. სოციუმში საჭიროა გამჟღავნდეს ქალი, როგორც კაცის არამსგავსი საქმესთან სხვანაირი მიდგომით, ურთიერთობათა სისტემის განსხვავებული ალღოთი და სვლებით, ადაპტაციის სხვა უნარით. რადგან ქალი ალბათური აზროვნებისაა, მას ახალთან დამოკიდებულებაც განსხვავებული აქვს. ის არ არის კატეგორიული და უფრო ლოიალურად უდგება საკითხს, გაურბის კონფლიქტს. ცხადია, მას უარყოფითი მხარეებიც გააჩნია. ჩვენ მათ ნუ გამოვიყენებთ სოციუმისათვის. სოციუმის პარამეტრების შევავსოთ ქალის დადებითი და განსხვავებული ელემენტებით. ქალს მეორე ადამიანით გაჯერება მამაკაცისაგან განსხვავებულად შეუძლია. ის არ ტოვებს საკუთარ «მე»-ს კვალს მეორე ადამიანში. «ადამიანური შესვლები» ქალებმა უნდა იკისრონ, ეს მათ შეუძლიათ.

ქალის ბიოსოციალური ნიშნების გამოყენება სოციუმში სულაც არ ნიშნავს პირველყოფილი ფემინიზაციის დაბრუნებას. ყველაფერი უნდა მოხდეს ახალ დონეზე. ახალი დონე კი არის ჰარმონიზაციის მაღალი წერტილების მიღწევა. «არა მე»-თი მართვა გულისხმობს საზოგადოების დატოვებას არა მმართველობის გარეშე, არამედ უფრო მნიშვნელოვან მართვას, უფრო ტოტალურს, როცა მმართველი არავის ახვევს თავს უფროსის უფლებებს, მაგრამ მართვა მიმდინარეობს ფუქციონირების სრული განხორციელებით – ე.ი. შინაარსი უნდა იყოს მმართველობითი, ხოლო ურთიერთობის ფორმა – მარტივი. დღევანდელ ქალს ისტორიის ხელი ემჩნევა.

ის თავისი ეგოცენტრიზმით მამაკაცს დაემსგავსა. მასაც სჭირდება თვითგანმტკიცება. პროცესი, ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, გეომეტრიული პროგრესის მსგავსად რეგრესით მიმდინარეობს. ეს ყველაფერი ხანგრძლივი ემანსიპაციის შედეგია.

ახლა ქალის ბუნებრიობის, ფსიქოლოგიური რაობის დაბრუნების პროცესი უნდა შედგეს, სოციუმში უნდა მოხდეს მამაკაცისა და ქალის პოზიტიურ-ბიოლოგიური მონაცემების შეჯერება; უნდა იქნეს გამოყვანილი სოციუმის მმართველის «ახალი ჯიში» გადაწყვეტილების სწრაფი მიღების უნარით, ემპატიურობით და სხვა.

მენეჯერის მომზადების შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის სოციობიოლოგიურად ფასეული პოტენციურობა, რომელიც ორივე სქესს ახასიათებს.

ასალი სოციუმის ჩამოყალიბებაში ყველაფერს აქვს მნიშვნელობა. გარემო ხელს უნდა უწყობდეს ახალი ამოცანების განხორციელებას. თუ ძველი სისტემის ინტერიერებში მოხდა ახლის დანერგვა, შეიძლება ჩანაფიქრი ვერ შედგეს, კაბინეტური სისტემები უფროს-უმცროსობის იერარქიებით, ძველი ფსიქოლოგიური სისტემა, ან კიდევ «სკამისკენ» სწრაფვა, როცა ამის მონაცემები არ გვაქვს. თუ ორგანიზაციის ნიჭი ადამიანისათვის ორგანულია, საქმისათვის კარგი იქნება ასეთი ადამიანის უფროსობა, ხოლო თუ უფროსის ადგილი ბრძოლით არის მოპოვებული თვითგანმტკიცებისა და უპირატესობისათვის ასეთი მმართველი ნორმალურ ურთიერთობებს ვერ დაამყარებს. იქნება განუკითხაობა, ქაოსი, აღებ-მიცემობა, კოლექტივში ანგარება.

ვიხილავთ რა ფემინიზაციის საკითხს, ეს არ ნიშნავს ქალის მამაკაცთან უპირატესობის ხაზგასმას. ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ მამაკაცის ბიოლოგიამ სოციუმში ბევრი კარგი შექმნა. უარყოფითიც საკმაოდ არის დანერგილი ეგოცენტრიზმის თვალსაზრისით. სანამ ქალი ბიოლოგიურად არ შეცვლილა ისე, რომ სოციუმში მხოლოდ მამაკაცის პროტოტიპობა შეიძლოს, გამოვიყენოთ ქალის

შემორჩენილი დადებითი პოტენციურობა «არა მე»-ს ხაზით. «მე» და «არა მე» ბიოსოციოლოგიამ ერთად უნდა იმუშაოს.

ჩვენ განზრახ განვიხილეთ ბიოსოციალური ასპექტი უფრო დაწვრილებით, მაგრამ სტატიას ვამთავრებთ იმით, რითაც დავიწყეთ – ადამიანი ბიო-ფსიქო-სოციო-ფილისოფიურ-კოსმიური სისტემაა და ეს შინაარსი და ფორმა მან აუცილებლად უნდა გაამართლოს.

XX საუკუნის მიწურულისა XXI საუკუნის
არასაკაცობრიო, მაგრამ კაცობრიული ფენომენი –
ზომბი და ზომბოკრატია

(ფილოსოფიური იგავი)

პუბლიცისტური სიუჟეტი მოქმედი პირებით:

ავტორი
ორაკული
დემოსი
მონსტრი – ურჩხული
ინფორმაცია – მეტაფიზიკური ინფორმაცია
ზომბი

მძინარე ორაკული ედგარ კეისი და შეუდარებელი მიქაელ ნოსტრადამუსი ხედავენ ნათლად, რომ თავისუფალი ნება ადამიანისა, ბოძებული აბსოლიტური არარადან მიიყვანს ადამიანს სრულყოფილების გზის გამრუდებამდე, თუ არ იარსება კოსმიურმა რეზიდენტმა. დემოსი ცალკე აღებული ადამიანების კონგლომერატია, რომელიც უმალ აყალიბებს კონგლომერატის შემდგარობას სპეციფიკურ კანონებს. მეტაფიზიკოსის აზრით, დაბალი ბიოსოციალური სოციუმის წარმოქმნა, რომელსაც არ აკონტროლებს ეგრეგორები, ხელს უშლის ადამიანის სრულყოფილების მიღწევას. ბიოსოციუმი უნდა ლატერალიზირდეს მაღალვიბრაციულ ბიო-ფსიქო-სოციო-ფილოსოფიურ კოსმიურ სოციუმამდე, ე.ი. ვიტალობასთან ერთად ბუფერი ადამიანსა და კოსმოსს შორის უნდა გახდეს ცნობიერება. ასეთ სოციუმს მაღალმნიშვნელოვანი კავშირები აქვს, პირველ რიგში, ეგრეგორებთან და ასევე იმპლიციტურის სხვა შრეებთან – რეინკარნაციულ და კარმულ ჰოლოგრამებთან, მორფოგენეტურ ველთან, კოლექტიურ არაცნობიერთან და ბოლოს კოსმიური ცნობიერების პატერნებთან, კოსმიურ სოლიტონებთან.

ეს ურთულესი სისტემაა და მოდით პერცეპციისათვის გავამარტივოთ ისეთნაირად, რომ ვერბალურ ენაზე ავალაპარაკოთ ჩვენი გმირები: დემოსი, მონსტრი, ინფორმაცია, ზომბი. კაცობრიობის ისტორიაში დღემდე ასეთ კვარტეტს არ უარსებია. ფანტასმაგონიური კვარტეტია, ვერაფერს ვერ ვიტყვი.

დავიწყოთ ჩვენი იგავი:

მონსტრი ვერაფრით ვერ ისვენებდა და ერთ მშვენიერ გაცისკროვნებულ დღეს, როცა ცაზე პაწაწინა ღრუბელიც კი არ იყო, უსაქმურობისაგან და სიავის გამო მოინდომა იერარქია აეგო. მან იცოდა, რომ დემოსზე საკუთარი ზეგავლენის გავრცელება შეიძლებოდა და კბილებს ილესავდა. რთულად ჰქონდა საქმე ერთ

რამესთან, რასაც ინფორმაცია ერქვა. მონსტრი ძალიან ხარბი და უკულტურო იყო. ყველა გრძნობის ორგანო ეგოცენტრიზმზე ჰქონდა აწყობილი. გაგონილი ჰქონდა, რომ არსებობს ინფორმაცია, როგორც შეტყობინება, მაგრამ როგორც ყველა გაიძვერას, აწუხებდა ინფრაბგერები რაღაც სხვა ინფორმაციის შესახებ. ღრძო ბუნება კარნახობდა, რომ ის რაღაცა შეიძლება გამოადგეს და სხვას უნდა აჯობოს მოპოვებაში, თან ახასიათებდა უსაშინლესი თვისება – უყვარდა უმიზეზოდ სხვებისათვის ზიანის მიყენება.

ერთხელ სიზმარში დაესიზმრა, რომ არსებობს რაღაც ზომბი, რომლის მეშვეობითაც ყველასი და ყველაფრის ხელში მოგდება შეიძლება. კიდევ ერთი რამ იყო – როცა ის მარტო იყო და თავში აზრები მოსდიოდა, ძალიან იღლებოდა, ჯანმრთელობისათვის საზიანოა, თავის შეწუხება არ უყვარდა. ბევრი ფული ჰქონდა, ქვეყანაზე ყველაფერს ყიდულობდა, ოხრად რჩებოდა, მაგრამ ყიდულობდა, სხვაზე მეტი უნდა მქონდესო. სხვისი ექსპლუატაცია უყვარდა და გადაწყვიტა ერთხელ დემოსისათვის დაეძახა. დემოსი მისთვის ვიღაც კი არა, არამედ რაღაც იყო. იფიქრა, ამათ ვააზროვნებ ჩემ მაგივრად, დე, ესენი დაიღალონ, მე კი დაუხარჯავად რაღაცას გავიგებ, დავტყუებ და იმით არ ვაგემებ. ჰოდა, დაჯდა ფაშასავით, დიდი მარაოებით დაანიავებინა, დაისვა დემოსი და აბა, ახლა მითხარი, ეს რაღაც უცნაური ინფორმაცია რა არისო. დემოსი გამოთაყვანებული იყო ზომბით, ყველაფერზე თავს აქიცინებდა და სავარაუდოდ ერთ სიტყვას ყვიროდა ცაში ხელებაპყრობილი: «მიწა»..შ. ბევრ სხვა ავადმყოფობასთან ერთად აფაზია სჭირდა და «წ» მაგივრად რატომღაც «შ» ამბობდა. ამ შებრუნებული ასოთი მონსტრი ძალიან დაინტერესდა. პირში ენა წ-ს შ-დ რატომ აგდებსო. უნდა გავარკვიოო და მართლაც, მოიწვია მეცნიერები – რა ხდებაო. მეცნიერებში იყვნენ ფილოსოფოსები, ფიზიკოსები, ლინგვისტები, ეკონომისტები. ფილოსოფოსები ძალიან ორთოდოქსალურნი იყვნენ, მათი აზროვნება მოიკოჭლებდა ეპოქალური თვალსაზრისით. ეკონომისტები ფრთხილობდნენ: «как бы чего не вышло «. ფიზიკოსებმა და ლინგვისტებმა კი უთხრეს, რომ ეს «შ» ის დიდი «შ» არის, რომელიც თქვენს სახელდებაში არისო, შემდეგ ოკეანეთიქეთში პატარავდებაო და იმყნება განუვითარებელ ცივილიზაციის მიწაზე. ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, – იოცებს ავტორი. რას არკვევს ეს ურჩხული-მონსტრი, დიდი «შ» იმიტომ აქვს დახატული ჰაბიტუსზე, რომ «შ» ტრანსლაცია მოახდინოს მთელს პლანეტაზე და ახლა მეცნიერებს ეკითხება – გამარკვიეთო. შენს ამბავს სხვას ეკითხებოდე, რა წერია, ალბათ, ან პრაიდოხაა, ან ქაჯი. მონსტრის, დემოსის, მეცნიერების გაუგებრობებს უსმენდა ინფორმაცია და ხათხათებდა – ჯალათმა რამდენიც უნდა ეცადოს, ვერაფერს მიზამს, რადგან არამატერიალური ვარ და მათთვის, ანუ ფიზიკური სამყაროს წარმომადგენლებისათვის გამჭვირვალე ვარ, უხილავი. და ესეც არ მესმის. მითუმეტეს, მატერიალურ მონსტრს მე რატომ უნდა ვაინტერესებდე? მე გავჩნდი ქვეყანაზე კეთებისათვის სიტყვა სიკეთისაგან, რომელსაც ანტიშინაარსი, ანუ ბოროტება საერთოდ არა აქვს, რადგან სუბსტანციაა, ან ეს მონსტრი როგორ უძებნის სამყაროს ანტისამყაროს, ან რად უნდა ეს ანტისამყარო. ერთი უნდა ვესტუმრო და ჩავსახლდე ამ მონსტრში. მე ხომ ემპათია ვარ. მინდა, გავიგო მისი შიგთავსები, გამოვამზეურო. არც მონსტრმა, არც დემოსმა და არც ბევრმა მეცნიერმა არ იციან, რომ მე მეტაფიზიკური ინფორმაცია ვარ. არსებობს ცარიელი სივრცის გრეხვის ველები, გრეხვის დროს, როგორც სუფთა ბრუნვა, მოვწყდები მბრუნავ ობიექტს და ვიქცევი არამატერიალურ ინფორმაციად. მე ვაქრ მეხსიერება ყოფილი ბრუნვისა, დაახლოებით, როგორც ინერცია. ხომ საინტერესოა – მბადებენ ფიზიკური ველები და შემდგომ მე ვმეტამორფოზირებ ირეალურში. ამას როდის გაიგებს ვინმე. ამას უნდა

ათასწლეულები. ერთი გამაგებინა, ამ მონსტრს რა უნდა ჩემგან, რას მისაფრდება, მას ხომ სულ შავი ძალები აინტერესებს. თუმცა რა ფიზიკურ სამყაროში პრეცენდენტი თეთრის შავ საქმეში გადაყვანისა, ანუ ანტისტალკერიზმი არსებობს – ატომური ენერგიის ბომბად გამოყენებისა. ახლა რა ფიზიკური სამყაროს უშნო გამოცდილება ტრანსფიზიკურში გადავიტანოთ? ე.ი. ტრანსფიზიკურის რედუქცირება უნდა მოვახდინოთ ფიზიკურის დონემდე? მონსტრს სხვანაირად არ შეუძლია. მას ანდროგინის დონე არ სწამს და საერთოდ არ იცის. მას დიხატომური ზონის ბოროტი შრეების იზიდავს. პირდაპირ ჩახუტებულია ამ ბოროტებასთან. რა უბედურებაა! ამჯერად ამ ურჩხულმა გაიგო ჩემი არსებობის შესახებ, მეძებს, უნდა, ბოროტი ზრახვებისათვის ჩემი გამოყენება, ვიმეორებ – მე ვარ მეტაფიზიკური ინფორმაცია. ის მე ვერაფერს დამაკლებს. მაგრამ შეიძლება გამოიყენოს, მაგრამ შეიძლება გამოიყენოს ინფორმაციის უარყოფითი ველები და ფსიქოტრონულად ცუდად იმოქმედოს მასებზე. მგონი, ასეთ ველებში ვეშლები. მან ისიც არ იცის, რომ უარყოფით ველებს ვთრგუნავ და მას კოვზი ნაცარში ჩაუვარდება.

უარყოფითი ველები სულ მატერიალურთან არის დაკავშირებული. ადამიანებმა არ იცინ, რომ მატერიალური ღმერთმა მათ სათამაშოდ გადმოუგდო და გარედან უყურებს ამ თამაშებს. ოინი იქნება, თუ თამაშიდან არაკი გამოვიდა. მოდი, ექსპერიმენტს მონსტრზე ჩავატარებ. ის ძალიან ვერაგი მოთამაშეა და ვინძლო შევძლო ეს მისი სამარცხვინო თამაშები ვაქციო თხრობად არაკისა საკუთრივ მისი მაქინაციების შესახებ. უკეთესია მე თვითონ მივიდე მასთან, გავუადვილო ოპერაცია ჩემი პოვნისა. ე.ი. ურჩხულო აი, მე თავად მოვედი შენთან. თურმე მეძებ. მე მოსე მწერალი ვარ და მოვედი, რათა შევქმნა ეპოპეა შენი მოღვაწეობისა. თურმე ძალიან მაგარი ხარ. ვაჩუქოთ ხალხს ბრწყინვალე არაკი ურჩხულის კრეატიულობის შესახებ, სამამულიშვილო საქმეა. მონსტრმა ყური ათხოვა ინფორმაციას. ვახ, თავის ფეხით მოვიდა, კარგია. იმას რაღაც არაკი უნდა, მე კი – ბოროტების წყაროს მიგნება. ბარი-ბარში ვართ. ძალიან უწონასწორო წყვილი შეიქნა. ერთი – ტრაგლატიტი, მეორე – «сама щедрость». ურჩხულს კულტურა არავითარი არ გააჩნდა, სულ ორასი წელია რაც არსებობდა. ეს რა არის შედარებით 22 ცივილიზაციასა და 18000 ფსიქოზირებულ და სუბლიმირებულ პარალელურ სამყაროთა არსებობასთან. უძველესი კულტურის ერებთან, ხოლო ინფორმაცია იყო ნაქსოვი მთლიანად ბუნებრიობისაგან და უხსოვარი დროიდან არსებობდა. ძალიან საინტერესო «პრაიდოხასა» და ეფემერას ურთიერთობა ცხადია, ეს ინტენციალური რეფერენციის დიალოგი არაფრით არ არის და არც იქნება. ვინ აჯობებს, ალბათ ეს არის, ვინც იცის, ინფორმაციას რთული სტრუქტურა აქვს. მისი გაშიფვრა ძალიან რთულია. რაც შეეხება მონსტრს, ის ამორფული ქსოვილია, სიავის ქვევრია.

ჩაირთო საათი. დაიწყო საუბარი.

მატერიალური ყოველთვის უფრო თავხედია, ვიდრე არამატერიალური. ინფორმაცია სიტყვას უთმობს ურჩხულს. მონსტრი იწყებს – მე ძალიან დიდი გეგმები მაქვს, მთელი პლანეტა უნდა ვმართო და ამიტომ უნდა ვიცოდე ყველა ხრიკი, რითაც შეიძლება მართვის აპარატი სარგებლობდეს. მე მითხრეს, რომ შენ შეგიძლია ყველგან შეღწევა და საქმეებში ჩარევა. ზის თავისთვის ინფორმაცია და ფიქრობს – ამ სულელ მონსტრს ჰგონია, რომ შეუძლია პლანეტის მართვა ბოროტებით. ერთი მე მკითხოს, მე აკაუზალურის გამგებელი ვარ. მხოლოდ გაუმჟღავნებელი. მე ვაყალიბებ ფიზიკურ სამყაროს და ვაწესრიგებ კიდევაც. ეს ურჩხული ნეტავ ჩემი შექმნილია? ეს, ეტყობა, ჩემი მოღვაწეობის არტეფაქტია. კოდი შემეშალა, ახლა ამის დეკოდირება როგორ მოვახერხო? რთული საქმეა. ანჰიბირება თუ ანიჰილაცია?

კაცო, რაღაც ზომბი არსებობს. შენ იცი ამის შესახებ? – ეკითხება მონსტრი ინფორმაციას. ზომბი უნდა გამოვიყენო ჩემი ზრახვების განსახორციელებლად. ინფორმაციას გაგონილი ჰქონდა, რომ მას ზომბირებისათვის იყენებდნენ, მაგრამ მის ბუნებას არ ესმოდა, თუ რისთვის იყო საჭირო ადამიანის ზომბირება. მან იცოდა, რომ მეტაფიზიკურ ინფორმაციას მატერიალური პროცესები ცნობიერების კატეგორიებში გადაჰყავდა, ხოლო პირუკუ, ცნობიერების მატერიალურში გადაყვანა რის მაქნისი იყო – მის ცნობიერების სპექტრში ეს არ შედიოდა.

მონსტრი ტავტოლოგიური მონოლოგისტი იყო.

დაჩემებული ჰქონდა – ზომბი უნდა ვიშოვო და პლანეტა დავიმორჩილოო. სხვა არაფერი აინტერესებდა. ინფორმაცია კი წარმოადგენდა ყველაფერს. თუ როგორ დაამახინჯებდნენ მას – ისიც უნდა სცოდნოდა, ე.ი. ადამიანმა, მოვლენამ, პროცესმა, კატეგორიამ, ფენომენმა როგორ უნდა გაიგოს თავისი ანტიფენომენი. объект монстра-удобный случай. მოდი, თავს გავუყადრებ, – ფიქრობს თავისთვის ინფორმაცია, – ემპათიით შევაღწევ მასში და სტალკერის მეთოდით უარყოფით ველებს დადებითზე შევუცვლი. ძალიან რთული ამოცანაა ურჩხულის დამარცხება. ჰო, ჰო, ჰო, რა ძნელი საქმეა, თანაც არაფიზიკური მკვლელობა, არამედ ისე, რომ თავისი თავი შიგნიდან დაინახოს, ვირტუალურად.

გადაწყვეტილება მიღებული იყო და უთხრა ინფორმაციამ მონსტრს, რომ ზომბს გააცნობდა. წამოდი, ძმაო, ოცნებას შეგისრულებ. ურჩხულმა მოიკიდა მთელი თავისი ანტიადამიანური გუდა-ნაბადი: ბომბდამშენები, ნავიგაცია, გაუჩინარებადი ყუმბართმტყორცნები, ჯაშუშები, სიკვდილის თანამედროვე მანქანები და დაიძრნენ.

ამ ურჩხულს ტანატოლოგიური სამყაროც გაფუჭებული აქვს, – ფიქრობს ინფორმაცია, – ამიტომ მხოლოდ ზომბი ელანდება. ინფორმაციამ მონსტრს ზომბი ძალიან ადვილად აპოვნინა, იმის გამო, რომ ზომბი აღმოჩნდა ურჩხულის ქვეყნის მონაპოვარი, უკულტურო, ალაპლაპებული, სინთეზური, ფულის გრანდიოზული დერჟავა, სადაც სულიერებაც კი ფულით ტირაჟდება. მონსტრის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ეს რა ტუზი დამეცაო. საქმე ისაა, რომ სიხარბის გამო ზომბი სულ გიგანტ ზომბს ეძებდა და პატარებს ვერ ამჩნევდა. ინფორმაციამ ურჩია, პატარ-პატარები გააერთიანე და დიდი ზომბი გექნებაო.

მოკლედ, მატერიალურ აჯავშნულობას მონსტრმა არამატერიალური ზომბიც დაუმატა და გაეშურნენ კონტინენტების დასაპყრობად. ბევრ ქვეყანაში ურჩხულს ხელს უშლიდა კულტურა. ვინ არის ეს ნაბუქოდონოსორი, რის სემირამიდას ბაღები, ძველი რელიგიები, ძენბუდიზმი, ქრისტიანობა. ეს ყველაფერი რა საჭიროა, ავაშენოთ ცათამაბჯენები, ფანტასტიური სავაჭრო ქალაქები, სუპერპენტაგონები; კომპიუტერი შეცვლის ყველაფერს დედამიწაზე. გამრავლების ტაბულაც კი აღარ იქნება საჭირო. იქნება კომპიუტერული მონოპოლია, ფული, ფული და კიდევ ფული, სექსი, პორნო, ვესტერნები, თრილერები, ქილერები, კლიპური ცნობიერება, დისონანსური მუსიკა, მარაზმის ორგაზმი, მანიაკების ჰიტპარადები. მეტი რა უნდა ადამიანს და დღეს მონსტრის ერთპოლარობა ცას ეწევა ბრჭყალებში. ამასობაში Бесплатное дополнение – ინფორმაცია მიჩანჩალებს მონსტრის გვერდით და ფეხს უწყობს, მაგრამ მოსალოდნელია «подножка» მიდიან და არ ითვლება ქვეყნები. ყველა ქედს უხრის მონსტრს, მართლა მონსტრად გრძნობს თავს ურჩხული, მაგრამ ეს რა ქვეყანაა? ქვევით სინგაპური, მარჯვნივ – ტაილანდი, ძველი გობის უდაბნოს ქვეყანა, ღმერთთა ქალაქი, ტიბეტი. ვერა და ვერ შედის აქ მონსტრი. ეუბნებიან, ატიპიური ვირუსია ჩვენთან. გვერდი აგვიარეთ. აგრძელებს გზას მონსტრი. ინფორმაცია ჩუმად არის. ინფორმაციამ ხომ ყველაფერი იცის. ის ხომ აკაუზალობაა, ე.ი. მას აქვს ყველა სფერო

აბსოლუტურად აპრიორული იდეების სახით, ამიტომ ის, რომ ეს X ქვეყანა მონსტრს არ იღებს და სხვა მიზეზებს იგონებს, რომ სამშობლო ურჩხულს არ წააბილწინოს, ინფორმაცია თავისი ინფორმაციულობით ფლობს ამას. მონსტრი საშინლად გაბრაზებულია – დიდი ქვეყანა უნდა მაინცდამაინც. ინფორმაცია აწყნარებს. დამპყრობლის ფსიქიკა სხვანაირია, ოღონდ დაიპყროს. ეს ტიბეტის ქვეყანა აუღებელი კედელია. რა გახდა ეს უძველესი კულტურა. ეიფორიაშია მონსტრი. ინფორმაცია აკონტროლებს მონსტრის ფიქრებს. სწორედ ეს უძველესი კულტურა გიტირებს ყოფას, შე უბედურო, მატერიალური მეტი რომ არაფერი გაინტერესებს და გგონია, რომ არამატერიალურის ყიდვა შეიძლება. არა შეჯდა მწყერი ხესა...

ინფორმაცია დროდადრო პატარა დოზებით ჰომოპათიურად აწვდიდა ინფორმაციას მონსტრს. მოუყვა ძველი რელიგიების შესახებ. ქრისტიანობაც უხსენა და ვაი, საოცრებავ, არ დაადგა ურჩხულმა თვალი მზიან ქვეყანას, ღმერთის წილნაყარს?! შეეშალა ინფორმაციას, ვერ გათვალა მტაცებლის ინსტიქტი. რას ვახსენე ეს ულამაზესი ხალხის ქვეყანა, გველეშაპს პირში რად ჩავუგდე? – ნანობდა ინფორმაცია. აიჩემა მონსტრმა ორზღვასშუა ქვეყანა – თავზე სულ მზე ადგასო, გადაპენტილია ჯეჯილით, იქ ჩამიყვანეთ, იქ ზომბი უნდა ვიხმაროო. აღარ მინდა დიდი ქვეყანა. ჯობია პატარა, ლამაზი, ჭკვიანი და მგონი, რაღაც ინტუიციური. არ ვიცი, რა არის ეს ინტუიცია. სწორედ ეს ქვეყანა მინდა. იქ ზომბი უნდა განვფინოო.

ვაიმე, რაღა ვქნა? ეს რა დამემართა? ახლა არ შემეშვება. – წუხს ინფორმაცია. უნდა გზა-კვალი ავუბნიო. მონსტრი კი დატრიალდა. აგენტები მოიკრიბა. შპიონთა ქსელი გააბა. ამ ნაყიდ ხალხს სხვა სახელი მოუძებნა, ვიღაც განდის ორგანიზაცია, მეტსახელად «თავისუფლება». ღმერთო, რა შეუსაბამობაა, მაჰათმა განდი და ვიღაც ნაძირლები. თავის იდეოლოგიურ ცენტრად გამოაცხადა ეს ცენტრი და გაავსო უწიგნური სოფლელებით. სამაგიეროდ, დიდ ფულს დაჰპირდა და გეგმები დაურიგა. ძალიან გახარებული იყო მონსტრი. ტელევიზია იყიდა. გაუგებარი ეთნოსის დიდულვაშებიანი კაცი დასვა დიდ ხაზინადარად. მაგრამ ინფორმაციას არ ეძინა. მან თავის მხრიდან სამუშაოების დიდი ფრონტი გაშალა. მსოფლიოს რუკაზე ეს პატარა ქვეყანა ამოიბურცა, ლამაზი სხეული დაისერა ჭრილობებით. ომები, სისხლისღვრები, საშინელებები დაატეხა თავს მონსტრმა. შინაურ საქმეებში ჩაერია, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ზომბი იხმარა, ყოველ გოჯ მიწაზე ათასი ჯაშუში იდგა. თავს აყრიდა მშიერ ხალხს უვარგის საქონელს. ყოველნაირად წამლავდა. უნდოდა უმშვენიერესი მიწა, გამჭვირვალე მათრობელა ჰაერი, აყვავებული მთა-ველი, ცით მოდენილი წყალი, აბიბინებული ყანები, ზღვის ტალღებში მომცინარე ოქროს მზე, იებისა და ზამბახების ქვეყანა. აქ უნდოდა ფეხის მოკიდება მონსტრს, მაგრამ ის არ ესმოდა, რომ მისი უჯილაგო ფესვი ამ მიწაზე ვერ გაიხარებდა. ხალხის აყრა უნდოდა. ხალხი დააავადმყოფა და მთლიანად განადგურებას უპირებდა, მაგრამ ინფორმაცია მხნედ იყო. მან ანტივირუსული მუშაობა გააჩაღა იმისათვის, რომ ზომბი მთელ ქვეყანას არ მოდებოდა, გამაჯანსაღებელი კერები მოამრავლა ამ პატარა ქვეყანაში. ურჩხული ადამიანების ცნობიერებას უტევდა. ეს კერები კი ცნობიერებას აძლიერებდნენ. მსოფლიომ იცოდა, რომ დედამიწაზე იყო პატარა ეთნიკურად ძალიან რთული ერი, რომელსაც ინტუიციის დიდი პოტენციალი ჰქონდა. ცხადია, ინფორმაციას ეს არ გამორჩებოდა და ვისი განადგურებაც მოინდომა ურჩხულმა, იმის აყვავებას შეეცადა.

მონსტრმა ზომბი დაამყნო დედის რძეშეუშრობელი ნომენკლატურის ჩინოვნიკებზე. მთელი ქვეყანა იყო წუმპეში. ზედა ეშელონები კი ისხდნენ ჯავშანმაგარ გემში და ვინ იცის, ჩაძირვას ელოდებოდნენ. მეტაფიზიკური

ინფორმაციის მეშვეობით ხოხბების ქვეყანაში ამოდიოდა ახალი მზე, მზე ახალი სამყაროს დაბადებისა. ეს ქვეყნის მატრიმანძირი იყო ახალი ქალწული, ნოოსპოლისი. იბერთა მხარეს ეფინებოდა ქარვის სინათლე, მოლივლივებდა ცნობიერება. ღმერთო, რა სილამაზეა! გამჩენო დიდებულო! სწორედ ამას გულისხმობდა ღმერთი ადამიანებისათვის. ასეთი მზე ჩვენ არსად გვინახავს. ეს იყო დიდი სულიერება, რომელიც ვერცხლის ძაფზე ეკიდა. გონთა საყაროდან ჩამოშვებულ ვერცხლის ძაფზე. ეს იყო იდუმალება, ფერები, ბგერები გადადიოდნენ ვიბრაციებში. ახალი ეთერი შემოდიოდა საქართველოში. ეს ეთერი მოაზროვნე ეთერი იყო. გამთლიანებული აზროვნება ქართველებს ფრთებს ასხამდა. უნტერტონები პირდაპირ სამყაროს ჰოლოგრამაზე გადიოდნენ.ზღაპარი

ამბობენ, როდესაც ბავშვი იბადება, მას სწორი მხედველობა არა აქვს. და, აი, მოხდა ისე, რომ... ერთი ბავშვი...

საოცარი დრო იყო. კაცობრიობა უკვე დიდი ხანი არსებობდა. ადამიანები თავისი პლანეტებიდან სხვა პლანეტებზეც კი გადიოდნენ, მაგრამ რატომღაც შეუსაბამად ამისა, ადამიანობას მგლად ყოფნას არჩევდნენ და ეს ადამიანი-მგლები სულმოუთქმელად ელოდნენ ხოლმე, რომ ყველა ბავშვი... ჯერ შემგელებულქმნილიყო, მერე კი დამგელებულიყო. ამ ჩვენს დროში ეს, ე.ი. მგლობა ძალიან საპატიო იყო და რა... არ დაადგა საშველი, უფრო სწორედ – ვერ დააყენეს, რომელიმე ერთი ბავშვის მგლად ქცევას საშველი. კბილებს კი ილესავდნენ. მგლებმა არ იცოდნენ, რომ ამ ბავშვს აკვნიდან სწორი მხედველობა დაჰყვა და სხვანაირად იხედებოდა. ვერა და ვერა ოთხ ფეხზე ბავშვმა ვერ გაიარა, სწორი თვალი კი ჭვრეტდა თავისთვის წყნარად, წამწამებში გასდიოდა სიცილი, როს უყურებდა რა – მაძღარი მგელნი როგორ დაძრწოდნენ, სულ კბილებს აკაწკაწებდნენ, ჭუჭყიანნი, მათგან მძორის სუნი ადიოდა. სუნი ესე მათ ძალას მატებდა.
იყვნენ და მრავლდებოდნენ. ასე იყო ეს ქვეყანა.

ერთხელ მგლებმა გადაწყვიტეს მგლური სამსახური გაეწიათ ქვეყნისათვის და თავყრილობა დააპირეს, რათა ემსჯელათ მგლობა როგორ გაეგრძელებინათ. მაგრამ, ნურას უკაცრავად. მგლებს სხვებმა არ ადროვეს... აქ მოვიდა მამრობითი სქესის ნესვთავიანი ოთხფეხა, მდედრობითი სქესის გომბეშტანა, გაუგებარი სქესის პავიანკაცა, საეჭვო სქესის სამფეხა, რომელსაც მესამე ფეხად კუდი ჰქონდა გამოყენებული და ამ კუდიდან გაუთავებელი ბოლი ამოსდიოდა, შეშინებული ნაცარა, რომელიც ორ ფეხზე დგებოდა და კიდევ ორ სხვას ილოკავდა, მრავალი
სხვადასხვანაირი პირმბგერადი პირუტყვი, აქვე დაიარებოდნენ და ღობე-ყორეს ედებოდნენ ოთხფეხები ჭორბუდიდან.

ყველაზე შესამჩნევი ცხოველი მაინც ხის კოლოფა იყო, ორ ფეხზე შემდგარი კოლოფი. კოლოფშიო რაღაც ნამტვრევები ჩხარუნობდნენ და ისეთი ხმებს გამოსცემდნენ, რომ ყველა ზარმაცს ეღვიძებოდა.

ამათგანი იყო, რომელიც რომ ჭინკასავით იყურებოდა, ერთი პატარა ლოთი ორღობიდან. ჰოდა, დასხდნენ: ნესვა, კოლოფა, გომბეშო, კვამლა, ნაცარა, მლოცველი, ჭუტალა. ჭორიკნები ფეხზე იდგნენ. თავმჯდომარეობდა ლოთი-ორღობელი და მოდითო, მომავალი შევქმნათო.

ლოთმა თქვა, ილაპარაკეთო და ატყდა ისეთი ყაყანი, რომ ყურთასმენა აღარ იყო. ნესვას ღრანჭი მოქცეული ჰქონდა, ის რაღაცას ამბობდა, – რომ ჯერ რაც იყო ჩვენამდე, იმას მივხედოთო. გომბეშომ – სილამაზეზე ვიმასლაათოთო, კვამლამ – სიცოცხლის სიცოცხლეზე ვაბოლოთო, კოლოფამ – ბუნების კანონები დავწეროთო,

ნაცარამ – მოდი ვიჭკვიანოთო. ჭორიკნებმა ვერაფერი მოიგონეს და მეზობელ კუთხეებში გავარდნენ სალაქლაქოდ. ჩქარა თავყრილობამ ყლორტები გამოიღო. ნესვა დაჯდა «ის, რაც ჩვენამდე იყო» იმის უფროსად, გომბეშო – «სილამაზის», კვამლას ეძინა და სიზმარში ღრუბლებს ხედავდა, კოლოფა სამარეებს თხრიდა და შიგ ყრიდა თავის ნადავლს, ნაცარა ენატანია გახდა, ლოთი კი – ბობოლა, ჭორიკნები კი ჭორიკნებად დარჩნენ. ერთხელ, მგლების თავყრილობის სიახლოვეს, შარაზე ბავშვი გამოჩნდა მიუახლოვდა და უნებლიედ შეიხედა კარ-მიდამოში. სუნი კი არ მოეწონა, მაგრამ უცხო ყველაფერი საინტერესოა, ვიღაცას გამოელაპარაკა. ბავშვს დაუძახეს, საღეჭი მიაწოდეს, მან აიღო და გაიხედ-გამოიხედა ირგვლივ, სუნი მძაფრი იყო არც თვალს ახარებდა არაფერი, მაგრამ ბავშვი მაინც დაჯდა და კითხვების მიცემა დაიწყო. გლებმა სასწრაფოდ ნიღბები გაიკეთეს, რომ ნატურალურად არ მოსჩვენებოდნენ ბავშვს.

ბავშვს დიდი ინტუიციის უნარი ჰქონდა როგორც კარგი, ისე ცუდი ვითარებისა. აქ ბავშვი გარკვეული არ იყო, სად მოხდა, მაგრამ ალღოს ინერცია ამოძრავებდა. ის ხან ნესვას ასკდებოდა, ხან კოლოფას, ხან კვამლას. თანდათან ბავშვმა თავისი შინაგანი დრო და ურთიერთობა გამოიმუშავა ყველასთან ცალკეულად. მიხვდა, რომ ლოთი-ორღობელი გაბღენძილი იყო და არაფერზე რეაგირებდა; კვამლა მთელი თავისი ცხოვრება, ეტყობოდა ბოლვით იყო დაკავებული და არავითარ ბავშვთან მას სალაპარაკო, და საერთოდ ლაპარაკის, თავი არ ჰქონდა; გომბეშო ნამდვილი ჭაობის გომბეშო იყო. როცა ჭაობის სუნი ბავშვში ამაზრზენ გრძნობას იწვევდა, გომბეშო უფრო მეტად იფუყებოდა, ლამის სკდებოდა სიბრაზით, რომ მის სამფლობელოს ზიზღით უყურებდნენ. კოლოფასთან ურთიერთობა იყო განსაკუთრებით აღსანიშნავი. თუ ამდენი ბოროტება და სიავე არსებობდა ქვეყანაზე, ბავშვმა არ იცოდა კოლოფამ საშინელებათა გაკვეთილები ჩაუტარა მას და, როგორც იტყვიან, ყოველგვარი ცოდნისათვის უნდა ვიყოთ მადლიერი. ბავშვებო! წარმოიდგინეთ, რომ სამოთხის ჩიტები ხართ. დაფრინავთ და ბედნიერება მოგაქვთ ყველასათვის, სიკეთეს აკეთებთ და გიხარიათ. ამ დროს თქვენს ირგვლივ დაფრინავენ და დაძრწიან რაღაც საშინელი ფრინველები და ცხოველები. ისინი უბედურების მომტანნი არიან, დაფრინავენ და დადიან, თან შხამს თესავენ ყველგან. იკვებებიან საძაგლობით და იკორტნებიან, სადაც კი ნისკარტი მიუწვდებათ, ადამიანის ხორცამდეც კი. ზოგიერთი მათგანი ძალიან დიდხანს ცოცხლობს. ასე ამბობენ, რომ მათ რკინის ნერვული სისტემა აქვთ; სიკვდილი უყვართ; გვამებზე დადიან და სუნი მოსწონთ.

ასეთი იყო კოლოფა. მოვიდოდა ხოლმე, ბავშვს მოსაზიდად ტკბილ რასმე მოუთრევდა, მერე გაიქცეოდა, ავადმყოფობას დაიჭერდა და შიშველი ხელებით შეყრიდა ბავშვს. ბავშვი ტკბილს იხსენებდა, ტანი კი მაღალი სიცხით ჰქონდა ატანილი. კოლოფა ყველას შემოურბენდა და შესჩივლებდა, რომ ძალიან სწუხდა ბავშვის ავადმყოფობას, ნიანგივით ცრემლებს ღვრიდა. ცოდნით სრულიად არაფერი იცოდა ამ კოლოფამ. დროს რომ ეკითხებოდნენ – წალენჯიხაო ამბობდა. ერთხელ ასე იძახა წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ჩერეპოვეცკი და უცბად ცხინვალი წამოსცდა. აქ ნესვა აპილპილდა, ის მისი სამშობლო იყო და იქ აკადემიის პრეზიდენტიც კი იყო. როგორ გამიბედეო, შენ კოლოფავ რაღაც მიუნხენთან ჩემი ცხინვალის ხსენებაო. შენ რა გგონია ცხინვალი? ცხინვალი კულტურის ცენტრია, იქ შოპენჰაუერი არ დაბადებულა მარტო, თორემ ყველა დიდი ადამიანი იქიდან არისო.

ერთხელ სირბილ-სირბილში, სპილოს გადაეყარა. ამ სპილომ ძალიან ბევრი რამ იცოდა, მხოლოდ ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო არ ჰქონდა განვითარებული,

მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, რომ ხორთუმით კისერი მოეგრიხა კოლოფასათვის. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს სპილომ ჰკითხა: უგუნურო, რომელი საათიაო? და როცა კოლოფამ ისევ, დროის მაგივრად, ზესტაფონიო, ხორთუმმა დაგრიხა თქვენი კოლოფა და ხრეშზე ისე აგორავა, რომ ქვები, თავის ტვინის კოლოფში სულ ნახშირებად გადაექცა. გავარვარებული კოლოფა გავარდა ლოთ-ორღობელთან – ცივი წყალი დამასხიო. ლოთმა წყლის მაგიერ კოლოფა ყინულზე დასვა და სათამაშო ესკიმო მისცა გასალოკად. კოლოფა, ცოტა რომ განელდა, სპილოზე გაბრაზებული ისევ ბავშვს ეცა. ბავშვს უთხრა შენ ბავშვი კი არა წიწილა ხარო და ახლა შენგან ტაბაკა უნდა გავაკეთოო. ბავშვმა ცოტა ხანს უსმინა შტერ კოლოფას, წიწილობა არ მოინდომა და მტრედობა არჩია. ცოტა ხანს იმტრედა, იღუღუნა ბავშვმა. მისი ტკბილი ღუღუნი მგლებისათვის საწამლავი ხმა იყო, მაგრამ იმ იმედით, რომ მათი საწამლავი გაცილებით ძლიერი აღმოჩნდებოდა, თავს იკატუნებდნენ და ხანდახან ცბიერად უსმენდნენ. ბავშვი იზრდებოდა და მხოლოდ ღუღუნი აღარ იყო მისთვის საკმარისი. მან ადამიანობა მოინდომა, მე ეს მომწონსო. დაიწყო წყლის ზიდვა ჭიდან ბაღის მოსარწყავად, ბაღს გავახარებ და კარგი საქმე იქნებაო. მგლებმა კი – ბაღი არ გვინდაო, საჭმელი გვირჩევნია ყვავილებსო, თუ მაინცდამაინც – ბოსტანიო, მაგრამ ესეც არ მოსწონდათ, განსაკუთრებით ნესვას რა საჭიროა სხვა ნაყოფიო, ხომ ვარო. ბავშვს ეცინებოდა. ლოთი-ორღობელი უთვალთვალებდა, ერთი ეს ბავშვი უნდა გავლახოო, ნეტავ რას იცინისო. მგლები დაბნეულები და შეშფოთებულები იყვნენ ბავშვის საქმიანობით. ალბათ, ჭირიან, ანუ ადამიანურ ფესვებს თესავსო. ჭირი შეგვეყრებაო, ფესვები უნდა ამოვუგდოთო. რა უნდა ამ ბავშვს, რატომ შემოგვეჩვია, რა უნდა ჩვენგანო. უნდა მოვისროლოთო, რაიმე უნდა ვიღონოთო.

ბოსტანი კუს ნაბიჯით ჯახირობდა და ჰა, ჰა ტარხუნის წვერები გამოჩნდა. ბავშვს თვალები გაუბრწყინდა. ცოტა დააყოვნა და სულ ქორფა მწვანილი კვამლას მიუტანა. კვამლა ბოლავდა და სხვა არაფერი უნდოდა. ბავშვს უთხრა, ნესვას და ორღობელს მიუტანეო. იმათ კოლოფას დაუძახეს და ყველამ ერთად – ეს ოხრახუშიაო. შენ სჯობს სარეველა დარგო, შეიძლება სარიანი ლობიო ამოვიდეს და მერე ცხინვალში გადავიტანოთო. ბავშვი გაოცდა, ეს რას ამბობენო. არ დაუჯერა, ტარხუნასთან ერთად პიტნაც დარგო, კარგი სუნი და გემო ექნებაო. აქ უკვე სამგლეთი განრისხდა, ჰერიჰაო, რას გავს ესაო, რა ვქნათ, სჯობს მიწაში შხამი ჩავუყაროთო, თორემ არ მოგვშორდებაო. რად გვინდა ეს ჯანსაღი ყლორტები, ზირშივე მოვსპოთო. და დაიწყეს თავისი შავი საქმე. ბავშვს თავშიც კი არ მოსდიოდა ამგვარი რამ, კვლავ ეზიდებოდა წყალს ჭიდან, საკვებს უყრიდა მიწას, მაგრამ თანდათან აღარაფერი ხარობდა. მგლები პატარ-პატარა რაოდენობით უყრიდნენ შხამს ცოცხალს, თითქოს თავისით ფუჭდებაო ბოსტანი, ოხრავდნენ. თან ეცინებოდათ, ცოტა ხანს მოიცადე, ბავშვო, შენი ბოსტნიანად გუდა-ნაბადს აგაკვრეფინებთო.

დანაღვლიანდა ბავშვი. ვინ მოსთვლის, რამდენის დარგვას აპირებდა. ყველას ეკითხებოდა. ხომ არ იცით, რომელი ხე იყრის ყველაზე მეტ ტოტებსო? ძალიან უნდოდა მრავალშტოიანი ხე დაერგო ბევრის შესაფარავად, სულმოსათქმელად. ბოსტნის არა, მეტიც, ტყის არა, ცოცხლის არა, სულიერების მატარებელი სულიერის მოშენება უნდოდა, მაგრამ მგლები?

სიტყვა «ველიდან» არის წარმომდგარი «ველურობა». მაგრამ ადამიანმა რომ გაიაროს ველზე გაველურდება? მოდი ერთი, წიგნში ჩავიხედავ. აქ წერია, რომ ადამიანის გაველურება შეიძლება, მაგრამ ველის გაადამიანურობაზე არაფერია ნათქვამი. მაშინ ვცდი. დავრგავ ადამიანებს ველზე და, ალბათ, მივიღებ ადამიანურ

ველს. კარგია! დიდი ველი და მზის სინათლე! ნამდვილად გაიხარებს, ფიქრობს ბავშვი, მაგრამ ვინ დავრგო და როგორ? ამ ფიქრებში იყო ბავშვი. მგლებს კი ხორცის სუნი სცემდათ. ჩვენ ხომ გვკლავენ ადამიანები, ახლა სისხლი უნდა ავიღოთო. ეს ბავშვი არ დამგელდა და ადამიანი რად გვინდაო. მაგრამ რომელ მგელს უნდა შეეჭამა, ეს ვერ დაადგინეს. გაწბილდნენ ძალიან.

ბავშვმა ბევრი იფიქრა. ვერა მოიფიქრა რა. აიღო და ნაყოფის მისაღებად საკუთარი თავი დარგო, ფესვად გადაიქცა.

მგლებმა შესძრეს ქვეყანა, მსხვერპლი სად არისო? ხორცის სუნიც აღარ არისო. კუჭები გამოეფატრათ. ნესვას ჭიები გაუჩნდა, კოლოფა გაიხვრიტა, გომბეშო დაობდა, ჭინკა დანახშირდა, ლოთი გახმა, ჭორიკნები ქვეწარმავლებად გადაიქცნენ, მერე მათაც ბაქტერიები გაუჩნდათ და იქაურობა ისტორიულ ადგილად იქცა. თუმცა ძეგლებს არავინ აგებდა, ჩვენც იგივე არ დაგვემართოსო.

ბავშვის ფესვი ჩუმად ხარობდა ნიადაგში და მზის ჩაწვდომას ელოდებოდა.

ნოოსფერო – ცნობიერებით მოცული პლანეტა, დედამიწა და სამყარო – ნოოსფერო).